განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო

თბილისი, 2015

სარჩევი

წინასიტყვაობა 11

სახელმძღვანელოს ავტორები 12

რეცენზენტები 13

შესავალი საბაჟო საქმეში 14

სახემძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა გარმანტება 26

თავი 1. საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზება 30

1.1. რისთვის არის საჭირო 30

1.1.1. მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა 30

1.1.2. სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა 32

1.1.3. საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა 33

1.1.4. შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა 35

1.1.5. პირველადი გადაუდებელი დახმარება 35

1.2. სამართლებრივი რეგულირება 37

1.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 38

1.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 41

1.5. სავარჯიშოები 43

დანართი 1.1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში მუშაობის ინსტრუქცია 47

თავი 2. კონსულტირება საბაჟო საკითხებზე 50

2.1. რისთვის არის საჭირო 50

2.1.1. გადასახადის გადამხდელის საჭიროების დადგენა 50

2.1.2. პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე 51

2.1.3. გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა 51

2.2. სამართლებრივი რეგულირება 53

2.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 54

2.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 56

2.5. სავარჯიშოები 57

დანართი 2.1. კონსულტირების დიაგრამა 58

თავი 3. ფიზიკური პირების კონტროლი 59

3.1. რისთვის არის საჭირო ... 59
3.1.1. პირის იდენტიფიცირება ... 59
3.1.2. ფიზიკური პირის გამოკითხვა (ინტერვიურება) ... 60
3.1.3. ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ... 60
3.1.4. ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა ... 61
3.1.5. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა ... 62
3.1.6. ფიზიკური პირისა (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება ... 62
3.1.7. ექსპერტის მოწვევა ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ... 63
3.1.8. ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისა და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის შედგენა ... 64
3.2. სამართლებრივი რეგულირება ... 65
3.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 67
3.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 72
3.5. სავარჯიშოები ... 75
თავი 4. სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი ... 77
4.1. რისთვის არის საჭირო ... 77
4.1.1. სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმება. ... 78
4.1.2. სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრა ... 79
4.1.3. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება 81
4.1.4. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა ... 81
4.1.5. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება ... 81
4.1.6. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება ... 84
4.1.7. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება ... 84
4.1.8. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება ... 85
4.1.9. კონტეინერების დათვალიერება ... 85
4.1.10. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტი მოიწვევა ... 86
4.1.11. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენა ... 87
4.2. სამართლებრივი რეგულირება ... 88

4.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 89
4.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 97
4.5. სავარჯიშოები 99
დანართი 4.1. ზენორმატიული და არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების სამახსოვრო 102
დანართი 4.2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები 103
დანართი 4.3. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები 106
დანართი 4.4. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები 107
დანართი 4.5. კონტეინერების გავრცელებული სახეები 109
თავი 5. საქონლის კონტროლი 110
5.1. საბაჟო კონტროლის ზონები, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა 110
5.2. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება (საბაჟო შეღავათები) 112
5.3. რისთვის არის საჭირო საქონლის კონტროლის საერთო პროცედურები 118
5.3.1. ზოგადი დეკლარირება 118
5.3.2. საქონლის რაობის დადგენა 118
5.3.3. საქონლის კონტროლის მიზნის განისაზღვრა 119
5.3.4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობის შემოწმება 119
5.3.5. საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება 119
5.3.6. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა 119
5.3.7. საქონლის დათვალიერება 120
5.3.8. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა 120
5.3.9. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება) 121
5.3.10. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა 121
5.4. სამართლებრივი რეგულირება 122
5.5. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 124
5.6. კითხვები თვითშემოწმებისათვის 127
5.7. სავარჯიშოები 129
თავი 6. სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი 132
6.1. რისთვის არის საჭირო 132

6.1.1. სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ... 132
6.1.2. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ... 132
6.1.3. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ... 133
6.1.4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა ... 133
6.2. სამართლებრივი რეგულირება ... 134
6.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 135
6.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 139
6.5. სავარჯიშოები ... 141
თავი 7. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი ... 142
7.1. რისთვის არის საჭირო ... 142
7.1.1. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა ... 143
7.1.2. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება ... 143
7.1.3. გადაწყვეტილების მიღება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ ... 143
7.1.4. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა ... 143
7.1.5. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება ... 144
7.1.6. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა ... 144
7.1.7. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება) ... 144
7.1.8. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა ... 145
7.2. სამართლებრივი რეგულირება ... 146
7.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 147
7.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 148
7.5. სავარჯიშოები ... 150
თავი 8. სპეციალური კონტროლი ... 152
8.1. რისთვის არის საჭირო ... 152
8.1.1. სავალუტო კონტროლი ... 152
8.1.2. შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლი ... 153
8.1.3. კულტურული ფასეულობების კონტროლი ... 155
8.1.4. ქიმიური ნარჩენების კონტროლი ... 156
8.1.5. სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლი ... 158
8.1.6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი ... 159

8.2. სამართლებრივი რეგულირება 162
8.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 166
8.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 171
8.5. სავარჯიშოები 173
დანართი 8.1. სპეციალური კონტროლის გზამკვლევი კანონმდებლობაში 175
დანართი 8.2. გამაფრთხილებელი ნიშნები 184
თავი 9. საბაჟო დოკუმენტაციის წარმოება 186
9.1. რისთვის არის საჭირო საბაჟო დოკუმენტაციის წარმოება 186
9.1.1. საბაჟო დოკუმენტების შემოწმება 186
9.1.2. საბაჟო პროცედურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნა 190
9.1.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება 190
9.1.4. დათვალიერების აქტის შედგენა 191
9.2. სამართლებრივი რეგულირება 192
9.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 193
9.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 198
9.5. სავარჯიშოები 199
თავი 10. საბაჟო ზედამხედველობა 201
10.1. რისთვის არის საჭირო 201
10.1.1. ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება 202
10.1.2. ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მიტანის ვადები 202
10.1.3. საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადება 203
10.1.4. საბაჟო ზედამხედველობის დაწყება (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლზე აყვანა) 211
10.1.5. საბაჟო ზედამხედველობის დასრულება (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლიდან მოხსნა) 212
10.2. სამართლებრივი რეგულირება 213
10.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 215
10.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 217
10.5. სავარჯიშოები 219

დანართი 10.1. საბაჟო გამშვები პუნქტები და საბაჟო გაფორმების ძირითადი ადგილები საქართველოში 221

დანართი 10.2. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე ლუქის დადებისა და შემოწმების პრინციპები 222

თავი 11. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) 223

11.1. რისთვის არის საჭირო 223

11.1.1. საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა 224

11.1.2. ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა 224

11.1.3. სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა 225

11.2. სამართლებრივი რეგულირება 227

11.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 228

11.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 229

11.5. სავარჯიშოები 231

თავი 12. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა 232

12.1. რისთვის არის საჭირო 232

12.1.1. საქონლის წარმოშობის დეკლარირება 233

12.1.2. წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმება 233

12.1.3. საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა 234

12.2. სამართლებრივი რეგულირება 236

12.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 238

12.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 240

12.5. სავარჯიშოები 242

თავი 13. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა 243

13.1. რისთვის არის საჭირო 243

13.1.1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით 246

13.1.2. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით 247

13.1.3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით 248
13.1.4. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით 249
13.1.5. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით 250
13.1.6. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით 251
13.2. სამართლებრივი რეგულირება 253
13.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 255
13.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 257
13.5. სავარჯიშოები 260
დანართი 13.1. საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის შინაარსი 262
დანართი 13.2. საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის სამახსოვრო 267
თავი 14. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები 268
14.1. რისთვის არის საჭირო 268
14.1.1. გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენა 268
14.1.2. საგადასახადო (საბაჟო) შეღავათების დადგენა 269
14.1.3. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება 271
14.2. სამართლებრივი რეგულირება 272
14.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 273
14.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის 275
14.5. სავარჯიშოები 277
დანართი 14.1. სამახსოვრო საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებთან დაკავშირებით 280
ნაწილი 1. იმპორტის გადასახდელები 280
ნაწილი 2. იმპორტის გადასახდელებისა და შეღავათების გზამკვლევი საგადასახადო კოდექსში 280
ნაწილი 3. დღგ-ს გამოანგარიშების წესი იმპორტისას 280
თავი 15. საბაჟო დეკლარირება 281
15.1. რისთვის არის საჭირო 281
15.1.1. დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა 281
15.1.2. მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში 283

15.1.3. შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება ... 283
15.1.4. ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში ... 284
15.1.5. დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება ... 284
15.2. სამართლებრივი რეგულირება ... 286
15.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 290
15.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 295
15.5. სავარჯიშოები ... 296
დანართი 15.1. საბაჟო დეკლარაციების გზამკვლევი საგადასახადო კანონმდებლობაში ... 297
თავი 16. საბაჟო გაფორმება ... 298
16.1. რისთვის არის საჭირო ... 298
16.1.1. რისკის კრიტერიუმის მიხედვით დერეფნის განსაზღვრა ... 299
16.1.2. დეკლარირებული მონაცემების შედარება თანდართულ დოკუმენტაციასთან ... 299
16.1.3. მოთხოვნის შედგენა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ ... 300
16.1.4. საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ... 300
16.2. სამართლებრივი რეგულირება ... 302
16.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 303
16.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 304
16.5. სავარჯიშოები ... 305
დანართი 16.1. საბაჟო გაფორმების ტექნოლოგიური სქემა ... 307
დანართი 16.2. სასაქონლო ოპერაციების გზამკვლევი საგადასახადო კანონმდებლობაში 308
თავი 17. საბაჟო საქმესთან დაკავშირებული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ... 310
17.1. რისთვის არის საჭირო ... 310
17.1.1. სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება ... 310
17.1.2. სამართალდარღვევის კვალიფიცირება ... 311
17.1.3. შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ... 311
17.1.4 სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება ... 312
17.2. სამართლებრივი რეგულირება ... 313
17.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები ... 315
17.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის ... 317

17.5. სავარჯიშოები 319

წინასიტყვაობა

საბაჟო საქმის სპეციალისტი სახელმძღვანელოს დამკვეთია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. სახელმძღვანელო მოიცავს საბაჟო საქმის სპეციალისტის პროგრამის შემდეგ მოდულებს: 1. საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზება; 2. კონსულტირება საბაჟო საკითხებზე; 3. ფიზიკური პირის კონტროლი; 4. სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი; 5. სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი; 6. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი; 7. სპეციალური კონტროლი; 8. საბაჟო დოკუმენტაცია; 9. საბაჟო ზედამხედველობა; 10. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ); 11. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა; 12. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა; 13. საბაჟო გადასახდელები; 14. საბაჟო დეკლარირება; 15. საბაჟო გაფორმება; 16. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საბაჟო საქმის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის, როგორც საჯარო სამსახურის (საბაჟო გამშვები პუნქტის მებაჟე-ოფიცერი, გაფორმების ეკონომიკური ზონის თანამშრომელი, საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული სხვა საჯარო თანამდებობები), ისე კერძო სექტორის მიმართულებით (საშუამავლო ფირმის მენეჯერი/აგენტი, ექსპორტ-იმპორტის მენეჯერი, საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული სხვა კერძო თანამდებობები). ამასთან, სახელმძღვანელო წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუქციას მასწავლებლისთვის, თუ როგორ შეადგინოს მაქსიმალურად ეფექტური დავალებები ყველაზე ოპტიმალური მეთოდებით.

სახელმძღვანელო შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს ბიზნესის აკადემიისა (SBA), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემიისა (GCCI Academy) და სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით.

სახელმძღვანელო მომზადებულია საბაჟო სფეროს მარეგულირებელ საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაზე, ასევე საბაჟო სფეროში დასაქმებულ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

სახელმძღვანელოს ავტორები

პაატა ცაგარეიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA, პროფესორი;

ტიტე ბოლქვაძე - აუდიტორული კომპანია „არ ეს ემ კაპტო“, კონსულტანტი საბაჟო საკითხებში;

გივი სხილაძე - საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი;

ნინო დამიანიდის - საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო, წამყვანი ანალიტიკოსი;

სოფიკო დავითაშვილი - საბაჟო დეპარტამენტის უფროსი მებაჟე-ოფიცერი;

კახა პაპავა - საბაჟო გამშვები პუნქტის ცვლის უფროსი;

ვახტანგ ბოგველიშვილი - საბაჟო დეპარტამენტის მთავარი მებაჟე-ოფიცერი;

სერგო ნოზაძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემია - GCCI Academy, პრეზიდენტი;

ლაშა ცაგარეიშვილი - სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაცია - SEPIA, დამფუძნებელი.

რეცენზენტები

კახაბერ ერაძე - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA პროფესორი;
ანა გოგორიშვილი - საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

შესავალი საბაჟო საქმეში

საბაჟო საქმის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა პრაქტიკა, როდესაც ვაჭრობა ერთი ქვეყნის საზღვრებს არ სცილდებოდა. თავის მხრივ, საგარეო ვაჭრობის განვითარება დაკავშირებულია სატრანსპორტო ინდუსტრიისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო მიმართულებით. საინტერესოა პირველად რომელმა ქვეყნებმა დაიწყეს ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან.

ადამ სმიტი საგარეო ვაჭრობის განვითარების შესახებ

ადამ სმიტის აზრით, საგარეო ვაჭრობის განვითარებას პირველ რიგში განაპირობებდა ტრანსპორტირების გაიაფება და მისი უსაფრთხოების ხარისხის ზრდა. თავის ლეგენდარულ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“[1], ადამ სმიტი გასაოცარი ლოგიკური მსჯელობით აღწერს ვაჭრობის განვითარების საწყისებს. უცვლელად გთავაზობთ რამოდენიმე აბზაცს ამ წიგნიდან, სადაც გამუქებულია ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით უკავშირდება საგარეო ვაჭრობის განვითარებას.



ადამ სმიტი
1723-1790

*„ხალხები, რომელნიც, ყოვლად სარწმუნო ისტორიული წყაროების თანახმად, ცივილიზაციის პირველი მატარებელნი იყვნენ, **ხმელთაშუა ზღვის** ნაპირების გასწვრივ ბინადრობდნენ. ეს ზღვა, უდიდესი შინაგანი ზღვა ყველა იმათგან, რომლებიც ცნობილია დედამიწაზე, ზღვა, რომელმაც არ იცის არც მიქცევა და მოქცევა და არც, სხვა ღელვა გარდა ქარით გამოწვეულისა. ამიტომაც მისი ზედაპირის სიმშვიდის გამო და აგრეთვე მისი კუნძულების სიმრავლისა და ნაპირების სიახლოვის გამო, მეტისმეტად **ხელს უწყობდა ახლად ფეხადგმულ ნაოსნობას** იმ შორეულ დროში, როდესაც ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ იცნობდნენ კომპასს, შიშობდნენ მხედველობიდან დაეკარგათ ნაპირები და, **გემთმშენებლობის ხელოვნების** სუსტი განვითარების გამო, ვერ ბედავდნენ თავი მიეცათ აბობოქრებული ოკეანის ტალღებისათვის. ჰერკულესის სვეტებს იქით, ე.ი. გიბრალტარის სრუტეს (იხ. სურათი 1) იქით, ოკეანეში ნავით გასვლა ანტიკურ*

[1] ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938 წელი.

*ქვეყანაში დიდხანს ფრიად საკვირველ და უაღრესად სახიფათო გმირობად ითვლებოდა. ბევრმა დრომ განვლო, ვიდრე **ფინიკიელები[2] და კართაგენელები[3]** (იხ. სურათი 2), იმ შორეული დროის ეს უაღრესად დახელოვნებული მეზღვაურები და გემთმშენებლები, შეეცადნენ იქ გასვლას და დიდხანს მარტო ეს ხალხები ბედავდნენ ამას.*



სურათი 1. ადამ სმიტი: *„ბიბრალტარის სრუტეს იქით, ოკეანეში ნავით გასვლა ანტიკურ ქვეყნებში დიდხანს ფრიად საკვირველ და უაღრესად სახიფათო გმირობად ითვლებოდა“* (იხ. რუკაზე)

---

[2] **ფინიკია** (ბერძნ. φοινιξ, ფოინიკე, „მეწამულის ქვეყანა“) — უძველესი ქვეყანა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ (ე.წ. ლევანტის) სანაპიროზე მდებარეობდა (თანამედროვე ლიბანის, სირიისა და ისრაელის ტერიტორიებზე). ძვ.წ. VI ს-ში ეგვიპტემ აფრიკის გარშემო სამოგზაუროდ დაიქირავა ფინიკიელი მეზღვაურები, რომელთა მოგზაურობამ 3 წელს გასტანა. ხშირი ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან, მაგ. კალით და ვერცხლით მდიდარ ბრიტანეთთან, დაიწყო დაახლოებით 450 წელს. ფინიკიელთა დაცემა 200-100 წლებში მოხდა, როდესაც ხმელთაშუა ზღვისპირეთში კონტროლის დასამყარებლად მათ რომი შეებრძოლა და დაანგრია კართაგენი. წყარო: www.ka.wikipedia.org/ფინიკიელები

[3] **კართაგენი** - (ლათ. Carthago) ჩრდილო-ცენტრალური აფრიკის მაშინდელი სახელწოდება. წყარო: www.ka.wikipedia.org/კართაგენი

ხმელთაშუა ზღვის ნაპირების გასწვრივ მდებარე ყველა ქვეყნიდან, როგორც სჩანს, ეგვიპტე უნდა ყოფილიყო პირველი ქვეყანა, სადაც მიწათმოქმედება და მანუფაქტურა რამდენადმე მნიშვნელოვანი ზომით აღორძინდა და განვითარდა. ***ზემო-ეგვიპტე არც ერთ ადგილას არაა რამდენსამე მილზე მეტად ნილოსს დაშორებული, ხოლო ქვემო-ეგვიპტეში ეს დიდი მდინარე იშლება მრავალ ტოტებად, რომელნიც არართულ ხელოვნურ ნაგებობათა დახმარებით, როგორც ეტყობა, უზრუნველჰყოფდნენ წყლით მიმოსვლას*** *არა მხოლოდ ყველა დიდ ქალაქებს შორის, არამედ აგრეთვე ყველა მნიშვნელოვან სოფლებს შორის და მრავალ ცალკეულ ფერმებს შორისაც კი, – დაახლოებით ისე, როგორც ამას ამჟამად ადგილი აქვს რეინზე და მაასზე ჰოლანდიაში. ამ* ***შინაგანი ნაოსნობის სივრცელე და სიმარტივე იყო ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგვიპტის ადრეული ცივილიზაციისა.“***



სურათი 2. საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი პირველი მარშრუტები

საგარეო ვაჭრობის განვითარება ეგვიპტეში

ეგვიპტე გამოირჩეოდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. ხმელთაშუა ზღვა აკავშირებდა მას საბერძნეთთან (იხ. სურათი 1), ეგეოსის ზღვის კუნძულებთან, წინა აზიასთან (ფინიკიასთან - სირია, ისრაელი, ლიბანი). ეგვიპტეში აქტიურად ვითარედებოდა საგარეო ვაჭრობა. ექსპორტზე გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი, მარცვალი, ფინიკი, ბეწვი, ხე-ტყე, ქვა, ლითონი. ძველ ეგვიპტეში ზეთით ვაჭრობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა და სახელმწიფო მოხელეები მკაცრად აკონტროლებდნენ ზეთის მოხმარებას.

საგარეო ვაჭრობის განვითარება კართაგენში

კართაგენი (ლათ. Carthago) - ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოა ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე. ის წარმოიშვა ტვიროსელ[4] ფინიკიელთა სავაჭრო კოლონიის ადგილას (ამჟამინდელი ტუნისის ყურე) დაახლოებით ძვ. წ. IX ს-ის. ბოლოს. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სავაჭრო კოლონიათა ფართო ქსელმა განამტკიცა კართაგენის ბატონობა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის სავაჭრო გზებზე. ძვ. წ. III საუკუნეში კართაგენში **საბაჟო გადასახადი სახელმწიფო შემოსავლის იმდენად მნიშვნელოვანი წყარო იყო, რომ ჰანიბალმა[5], რომელმაც ერთიან**

[4] **ტვიროსი** (არაბ. صور) – ერთ-ერთი უძველესი სავაჭრო ფინიკიური ქალაქი ლიბანში. წყარო: www.ka.wikipedia.org/ტვიროსი

[5] **ჰანიბალი**, ბარკა (დ. ძვ. წ. 247 ან ძვ. წ. 246 — გ. ძვ. წ. 183) — კართაგენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, კართაგენის საზოგადოების წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი. რომის რესპუბლიკის მოსისხლე მტერი და კართაგენის უკანასკნელი დიდი ლიდერი. წყარო: www.ka.wikipedia.org/ჰანიბალი

სისტემაში გააერთიანა საზღვაო და სახმელეთო საბაჟოები, შესძლო მთლიანად დაეფარა ყველა ხარჯი და წარმატებით ეომა რომთან.

საგარეო ვაჭრობის განვითარება რომის იმპერიასა და საბერძნეთში

რომში კარგად იყო განვითარებული საგარეო ვაჭრობა, რომელიც, როგორც ზემოაღნიშნული ცივილიზაციები, ძირითადად საზღვაო გზებით მიმდინარეობდა. რომი ვაჭრობდა კართაგენთან და საბერძნეთთან. რომაელები გამომწვარი თიხისაგან ამზადებდნენ ქანდაკებებს, რომლებიც ძვირად ფასობდა საზღვარგარეთ. ექსპორტზე გადიოდა ღვინო და ზეითუნის ზეთი.

საბერძნეთის ეკონომიკურ ზრდას განაპირობებდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა - სავაჭრო გზები. ბერძნები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, რამაც ხელი შეუწყო ჭარბი პროდუქტის წარმოქმნას და ვაჭრობის გამოცოცხლებას.

საგარეო ვაჭრობის განვითარება ინდოეთში

ინდოეთში კარგად იყო განვითარებული როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. ინდური ქალაქები ძირითადად ვაჭრობდნენ პაკისტანთან, სხვადასხვა ქვეყნებიდან იღებდნენ ლითონსა და ნახევრადძვირფას ქვებს. ექსპორტზე გაჰქონდათ დეკორატიული ნიჟარები და

სხვადასხვა სახის ქვები. ვერცხლი, ფირუზი და სპილენძი შემოჰქონდათ ირანიდან და ავღანეთიდან. საზღვაო და სახმელეთო გზებით საქონელი, განსაკუთრებით კი ბამბა, ინდოეთიდან ჩადიოდა შუამდინარეთში. საქართველოზე გადიოდა ე.წ. „აბრეშუმის გზა“ (იხ. სურათი 3.), რომელიც აღმოსავლეთს აკავშირებდა ევროპასთან.

სურათი 3. აბრეშუმის გზა, რომლის მეშვეობითაც ინდოეთი საქართველოს გავლით ვაჭრობდა ევროპასთან

კოლონიზაციის[6] პერიოდის დასაწყისი

ორი ცივილიზაციის - ევროპული და ამერიკული (მაიას ცივილიზაცია) - პირველი შეხვედრა შედგა ქრისტეფორე კოლუმბის მონაწილეობით, „ინდოეთში“ (იგი დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ აღმოჩენილი მიწა ინდოეთი იყო). ხომალდებს კუნძულ გუანაიასთან[7] შემოხვდათ ცალფა ხეში ამოღებული კანოე, სიგანით 1,5 მ. **ეს იყო სავაჭრო ნავი**, რომლის მგზავრებმაც ევროპელებს შესთავაზეს სპილენძის ფირფიტები, ქვის ხელცულები, კერამიკული ნაკეთობები, კაკაოს მარცვლები და ბამბის ქსოვილები.



[6] **კოლონიზაცია** (ლათ. კოლონია-დასახლება, ახალშენი) — საკუთარი ქვეყნის უშენი განაპირა მიწების დასახლებისა და სამეურნეო ათვისების პროცესი. აგრეთვე ეს არის უპირატესად მიწადმოქმედებასთან დაკავშირებული ახალშენების დაარსება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

[7] **გუანაია** (Guanaja)- კუნძული კარიბის ზღვაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას შორის (იხ. რუკაზე).

ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენების გავლენა საგარეო ვაჭრობაზე

1492-1498 წლებში ქრისტეფორე კოლუმბის[8] მიერ ამერიკის აღმოჩენა დაედო საფუძვლად ფართო კავშირების ჩამოყალიბებას ახალ მიწებსა და ევროპას შორის. კოლუმბის აღმოჩენა რომ ინდოეთი არ იყო, 1515 წელს დაამტკიცა ამერიგო ვესპუჩიმ. სწორედ ამიტომ ეწოდა კოლუმბის მიერ აღმოჩენილ კონტინენტს ამერიკა.

ქრისტეფორე კოლუმბი
1451-1506

კოლუმბმა პირველმა გადაცურა ატლანტიის ოკეანე სუბტროპიკულ და ტროპიკულ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პოლუსში და ევროპელთაგან პირველმა შეცურა კარიბის ზღვაში. მან დაუდო სათავე სამხრეთ ამერიკის მიწებისა და ჩრდილოეთ ამერიკის ყელის აღმოჩენას. მან აღმოაჩინა ყველა დიდი ანტილის კუნძული, ბაჰამის არქიპელაგის ცენტრალური ნაწილი, პატარა ანტილიის კუნძულები (დომინიკიდან ვირჯინიის კუნძულების ჩათვლით), ასევე მთელი რიგი პატარა კუნძულებისა კარიბის ზღვაში და კუნძული ტრინიდადი სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან.

სურათი 4. ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენები 1492-1502 წ.

[8] ქრისტეფორე კოლუმბი (ესპ. Cristóbal Colón, იტალ. Cristoforo Colombo, პორტ. Cristóvão Colombo, ლათ. Christoferus Columbus) (დ. დაახ 31 ოქტომბერი, 1451, გენუა, იტალია — გ. 20 მაისი, 1506, ვალიადოლიდი, ესპანეთი) — იტალიელი მეზღვაური-მკვლევარი ესპანეთის მეფის სამსახურში. თავისდაუნებლიედ ამერიკის აღმომჩენი. წყარო: www.ka.wikipedia.org/ქრისტეფორე_კოლუმბი

კოლუმბმა სულ ოთხჯერ იმოგზაურა ცენტრალურ ამერიკაში:

1. პირველი მოგზაურობა (3 აგვისტო 1492 — 15 მარტი 1493);
2. მეორე მოგზაურობა (25 სექტემბერი 1493 — 11 ივნისი 1496);
3. მესამე მოგზაურობა (30 მაისი 1498 — 25 ნოემბერი 1500);
4. მეოთხე მოგზაურობა (9 მაისი 1502 — ნოემბერი 1504).

სწორედ ამ მოგზაურობებით დაიწყო შუასაუკუნეების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა. XV საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში გაიზარდა მსხვილი ქალაქები, განვითარდა ვაჭრობა, საყოველთაო გაცვლის საშუალება გახდა ფული. სწრაფად გაიზარდა მოთხოვნა ოქროზე. ამის გამო ითვლებოდა, რომ ოქრო შეიძლება მოიპოვო იქ, საიდანაც შემოდიოდა სანელებლები, ანუ ინდოეთში.

ამასთან, ოსმალეთის მიერ ბალკანეთისა და მცირე აზიის ტერიტორიის დაპყრობამ ევროპელებს ძველი სავაჭრო (სახმელეთო და საზღვაო) გზების გამოყენების საშუალება აღარ მისცა. პორტუგალიამ გზების პოვნა სამხრეთ ზღვაში დაიწყო. ამავე დროს დაიბადა აზრი დასავლეთის გზის არსებობაზე. ეს აზრი ეფუძნებოდა წარმოდგენას, რომ დედამიწა იყო ბურთის მაგვარი, ამ აზრმა გაფართოება ჰპოვა ევროპის აღორძინების ეპოქაში. **შორეული საზღვაო გზების მოძიების იმედს იძლეოდა მიღწეული წარმატებები გემთმშენებლობასა და ნავიგაციაში**.

შუასაუკუნეების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა დასავლეთ ევროპის მეურნეობის განვითარებისათვის:

- ✓ გაჩნდა კავშირები ყველაზე მოშორებულ მიწებთან;
- ✓ სავაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან გადაინაცვლა ოკეანეში;
- ✓ საგარეო ვაჭრობამ XVI-XVIII საუკუნეებში მიიღო მსოფლიო ხასიათი;
- ✓ გაიზარდა საქონლის ასორტიმენტი;
- ✓ ჩამოყალიბება დაიწყო მსოფლიო ბაზარმა;
- ✓ ოქროსა და ვერცხლის დიდმა შენაკადმა ევროპაში გამოიწვია ე.წ. „ფასების რევოლუცია“ და XVI საუკუნის 30-ან წლებში დამკვიდრდა „ახალი ფასები“.

რა არის საბაჟო საქმე

საბაჟო საქმე უძველესი დროიდან ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის განუყოფელი ნაწილი იყო. ძალიან მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ საბაჟო სამსახურს აკისრია ორი ძირითადი ფუნქცია:

1. ფისკალური;
2. მაკონტროლებელი.

ფისკალური ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების უზრუნველყოფას, ხოლო მაკონტროლებელი ფუნქცია გულისხმობს საზღვარზე გადაადგილებული მგზავრების,

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

საბაჟო საქმე და ბიბლია

ყოფილმა მებაჟე მათემ დაწერა ოთხთავის ერთ-ერთი წიგნი - მათეს სახარება.

იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას „გამომყევი“, ისიც წამოდგა და გაყვა მას. (მათე, 9).

და, ჰა, იყო კაცი ვინმე ზაქე-მებაჟეთა უფროსი და მდიდარი. სურდა მას იესოს ხილვა და რადგანაც ტანად დაბალი იყო, წინ გაიქცა და ლეღვის ხეზე ავიდა.

იესომ აიხედა მაღლა და უთხრა „ზაქე ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე“... (ლუკა, 19).

საბაჟო საქმე და ისლამი

ცნობილი მაჰმადიანი ეკონომიკური მოაზროვნე იყო აბუ იუსუფი (731-798). მან დაწერა წიგნი „დაბეგვრის შესახებ “ (kitab al-kharaj), რომელშიც გახმოვანებულია მისი შეხედულებები დაბეგვრის შესახებ. მას მიაჩნია, რომ საგადასახადო სისტემის ცენტრალიზებული ადმინისტრირება შეამცირებს კორუფციას. აბუ იუსუფი ემხრობოდა საგადასახადო შემოსავლების გამოყენებას სოციალურ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისათვის. საგადასახადო შემოსავლებში შედის სხვადასხვა სახის გადასახადები, მათ შორის გაყიდვების და იმპორტის გადასახადები.

ტერმინი „ბაჟი“ ქართულ წყაროებში

ქართულ წყაროებში სიტყვა „ბაჟი“ პირველად მე-11 საუკუნეში იხსენიება. ესაა გიორგი II (1072-1089 წ.წ.) სიგელი შიო-მღვიმის მონასტრისადმი. ადრე „ბაჟს“ - „ზუერი“ ერქვა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით:

- ბაჟი – ზუერი
- მებაჟე – მეზუერე

ვახტანგ VI „დასტურლამალში“ მოხსენიებულია ტერმინები:

- „ტივის ბაჟი“;
- „ხილის ბაჟი“;
- „ტყავის ბაჟი“.

საბაჟო საქმეს ფეოდალურ საქართველოში განაგებდა შურტა[9], ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი[10]. მეფეების მიერ გაცემული სიგელები კერძო პირებს, დიდგვაროვნებს ანიჭებდა თანამდებობასთან დაკავშირებული შემოსავლების აკრეფის უფლებას.

საბაჟო საქმე და გეორგიევსკის ტრაქტატი

1783 წელს გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს და რუსეთს შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რითაც ქართველ ვაჭრებს ეძლეოდათ რუსეთში თავისუფალი აღებ-მიცემობის უფლება და ენიჭებოდათ ყველა ის შეღავათი, რითაც თვითონ რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ.

თავის მხრივ, ერეკლე მეფეც კისრულობდა ვალდებულებას მიეცა შეღავათები რუსი ვაჭრებისთვისაც. ამასთან, საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა.

ცარიზმი

1804-1808 წლებში რუსეთის იმპერატორმა გამოსცა ოთხი განკარგულება, რომლითაც ქართველ თავად-აზნაურობას აეკრძალა მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ბაჟის აღება. 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა დებულება „ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ბაჟების საქმის მოწესრიგების შესახებ“, რომლის საფუძველზე თანდათანობით გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამსახური.

საქართველოს დამოუკიდებლობა - 1918-1921

საქართველოს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში, ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 30 აგვისტოს მიიღო კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საბაჟო ორგანოთა სტრუქტურა, კომპეტენცია, მათი ამოცანები და ფუნქციები.

[9] შურტა - სამოქალაქო პოლიცია.

[10] მეჭურჭლეთუხუცეცი - სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მეჭურჭლეთა უფროსი (მაშინდელი ფინანსთა მინისტრი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ, საბჭოთა კავშირი)

1921-1991 წლებში საქართველო შედიოდა სსრკ-ში ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკად და საქართველოში საბაჟო საქმე აღარ განვითარებულა. ქართველი მებაჟეები დასაქმებული იყვნენ ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში არსებულ საბაჟო საგუშაგოებზე, რომლებიც სტრუქტურულად ექვემდებარებოდა სოჭის საბაჟო განყოფილებას.

საბაჟო საქმის განვითარება საქართველოში

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო საბაჟო სამსახურის შენება. კერძოდ:

- 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი - კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ;
- 1992 წელს მიღებულ იქნა პირველი საბაჟო კოდექსი;
- 1998 წელს მიღებულ იქნა რიგით მეორე საბაჟო კოდექსი;
- 2007 წელს მიღებულ იქნა რიგით მესამე საბაჟო კოდექსი და ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი;
- 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები. ამასთან, ყველა ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტიც გაერთიანდა ერთ ნორმატიულ აქტად.

საბაჟო საქმის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 2007 წელს ამოქმედებულ საბაჟო კანონმდებლობას. კერძოდ, როგორც აღინიშნა, 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნებთან იყო ჰარმონიზებული და მასთან ერთად ამოქმედდა ასევე, ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებშიც თავიდან გაიწერა საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი ამოცანები (შესრულების მექანიზმებთან ერთად), საბაჟო რეჟიმები და საბაჟო კონტროლის პროცედურები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული საბაჟო კოდექსით შემოღებულ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ცნება და ამ კოდექსითვე განისაზღვრა პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები თითოეული საბაჟო სამართალდარღვევისათვის. შედეგად, ბიზნესმენები მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტით ღებულობენ ინფორმაციას თუ რა ითვლება საბაჟო სამართალდარღვევად და რა არა.

2007 წლის გაზაფხულიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდა ერთ სამსახურად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით[11].

[11] მანამდე ისინი ფუნქციონირებდნენ ჯერ საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის, ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სახით.

აღნიშნული რეფორმების შედეგად გამარტივდა საბაჟო საქმიანობის ადმინისტრირება, რასაც მოჰყვა საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, აგრეთვე ბიზნესმენების მხრიდან კანონმდებლობის არცოდნით გამოწვეულ ჯარიმებთან დაკავშირებული დამატებითი დროისა და ხარჯების შემცირება.

2007-2011 წლებში, საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების კიდევ უფრო შემცირების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (ძალაში შევიდა ცვლილების 200-ზე მეტი ნორმატიული აქტი).

2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი (დღეისათვის მოქმედი) რომელშიც გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები. საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების ძირითადი ნაწილი გერთიანდა სულ ორ დოკუმენტად - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციასა (რომელიც შეცვალა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულმა ინსტრუქციამ) და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 31 დეკემბრის №2724 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში (რომელიც შეცვალა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებულმა ინსტრუქციამ). შედეგად, ბიზნესმენთათვის კიდევ უფრო მარტივი გახდა საბაჟო კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება.

2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში მოეწყო და ექსპლუატაციაში შევიდა ხუთი გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ), სადაც, ბიზნესმენის სურვილის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი. ამასთან, ამოქმედდა მთელი რიგი პროცედურები, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დრო და ხარჯები საერთაშორისო ვაჭრობით დაკავებული ბიზნესმენებისთვის.

სახემძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა გარმანტება

№	ტერმინი	განმარტება
1	აქტიური ცვლა	ცვლა, რომელიც იწყებს სამუშაო დღეს.
2	გეზ	გაფორმების ეკონომიკური ზონა.
3	დეკლარანტი	საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი, საქონლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი.
4	იდენტური საქონელი[12]	• საქონელი, რომელიც შესაფასებელ საქონელთან შედარებით ყოველმხრივ, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით, ერთნაირია, აგრეთვე აქვს ერთი და იმავე წარმოშობის ქვეყანა. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის იდენტურად მიჩნევას, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას; • „იდენტურ საქონლად“ არ ჩაითვლება ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში; • სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ მოიპოვება მონაცემები იმავე მწარმოებლის მიერ წარმოებული იდენტური საქონლის გარიგების ფასზე.
5	მსგავსი საქონელი[13]	• არის საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი და აქვს ერთი და იმავე წარმოშობის ქვეყანა, მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი;

[12] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.
[13] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

		• „მსგავს საქონლად“ არ ჩაითვლება ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში; • სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ მოიპოვება მონაცემები იგივე მწარმოებლის მიერ წარმოებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასზე.
6	მგზავრი	ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, მიუხედავად საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მიზნებისა.
7	ორმაგი დანიშნულების პროდუქცია[14]	პროდუქცია (მათ შორის, კომპიუტერული პროგრამა ან/და ტექნოლოგია), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ბიოლოგიური ან/და ქიმიური იარაღის, ბირთვული იარაღის ან ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად, ისე არაფეთქებადი მიზნებისათვის.
8	პასიური ცვლა	ცვლა, რომელიც ამთავრებს სამუშაო დღეს.
9	საბაჟო კონტროლი	მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.
10	საბაჟო ტერიტორია[15]	საქართველოს საბაჟო ტერიტორია. საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიგა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს საბაჟო ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

[14] საქართველოს კანონი „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“, მუხლი 2/მ.
[15] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 208/1.

11	საბაჟო საზღვარი[16]	საქართველოს საბაჟო საზღვარი. საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.
12	სგპ	საბაჟო გამშვები პუნქტი.
13	სავაჭრო პოლიტიკა[17]	საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები (ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა. შ.)
14	საუძვლიანი ეჭვი	სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, იგულისხმება სავარაუდო სამართალდამრღვევისათვის დამახასიათებელი ქცევითი (არაადექვატური ქცევა, აგრესია, შიში, ზედმეტი ფამილიარობა და სხვ.) და გარეგნული ნიშნები (ნერვიულობა, საეჭვო ვარცხნილობა, არაადეკვატური ჩაცმულობა, საეჭვო მარშრუტი, საეჭვო ქვეყანა და სხვ.)
15	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი	ვალუტა და ფასიანი ქაღალდები; შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა; კულტურული ფასეულობები; ქიმიური ნარჩენები; სამკურნალო საშუალებები და პრეკურსორები; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები.
16	სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი)[18]	წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის, მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით ნებაყოფლობით რეგისტრირებული კომპლემენტარული სამკურნალო საშუალება, ბიოლოგიურად აქტიური დანამატი და პარასამკურნალო საშუალება.
17	ნარკოტიკული საშუალება[19]	ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამისი

[16] საქართველოს საგადასახადო კდექსი, 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[17] საქართველოს საგადასახადო კდექსი, 207-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.
[18] **სამკურნალო საშუალება** - წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1(პრიმა), პუნქტი 13.
[19] **ნარკოტიკული საშუალება** - „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

		კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა I და II სიაში.
18	ფსიქოტროპული ნივთიერება[20]	ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა III სიაში.
19	პრეკურსორი[21]	ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა IV სიის №1 და №2 ცხრილებში.
20	საქონლის გაშვება[22]	1. თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სრულადაა დაცული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, საქონელი დაუყოვნებლივ გაიშვება. 2. ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი გაშვებული უნდა იქნეს ერთდროულად, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომელზედაც გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანო. 3. თუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია სხვადასხვა სახეობის საქონელი, საქონლის თითოეული სახეობა ითვლება ცალ-ცალკე დეკლარირებულად. 4. საქონლის გაშვება არ გამორიცხავს საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ზედამხედველობის ვადის გაგრძელებას.

[20] **ფსიქოტროპული ნივთიერება** - „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი „ბ“.

[21] **პრეკურსორი** - „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი „გ“.

[22] საქართველოს საგადასახადო კოექსის 220-ე მუხლი.

თავი 1. საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზება

(მოკლე შინაარსი: მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა; სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა; საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა; შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა; პირველადი გადაუდებელი დახმარება)

1.1. რისთვის არის საჭირო

სამუშაოს ორგანიზებაში იგულისხმება საბაჟო საქმის სპეციალისტის ნებისმიერი აქტივობა, რომელიც საჭიროა სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესრულებისათვის. სამუშაოს ორგანიზებას საბაჟო საქმის ყველა სპეციალისტი ახორციელებს ინდივიდუალურად, თუმცა სახელმძღვანელოში განხილულია ისეთი აქტივობები, რომელთა გათვალისწინებაც ხშირად სავალდებულოა ყოველდღიურ საქმიანობაში. კერძოდ, სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზებაში იგულისხმება:

1. მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;
2. სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა;
3. საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა;
4. შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა;
5. პირველადი გადაუდებელი დახმარება.

1.1.1. მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა საჭიროა იმისთვის, რომ არ მოხდეს მათი ბოროტად გამოყენება უცხო პირების მიერ. საბაჟო საქმის სპეციალისტი ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება, არ გამოიყენოს იგი პირადი მიზნებისათვის ან/და არ გადასცეს სხვა პირს, რაც ითვლება საგადასახადო საიდუმლოების გახმაურებად.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივ ატრიბუტიკაში იგულიხმება გარკვეული სახის დოკუმენტები და ინვენტარი. კერძოდ:

ა) დოკუმენტები:

ა.ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები (წერილობითი ფორმით შედგენისათვის განკუთვნილი ოქმის ცარიელი ბლანკები ან შედგენილი ოქმები)[23];

ა.ბ) საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები (წერილობითი ფორმით შედგენისათვის განკუთვნილი ოქმის ცარიელი ბლანკები ან შედგენილი ოქმები)[24];

ა.გ) მგზავრის/საქონლის/სატრანსპორტო საშუალები დათვალიერების ოქმები;

ა.დ) საქონლის/სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ოქმები (წერილობითი ფორმით შედგენილი ან ელექტრონული ფორმით შედგენილი და ამობეჭდილი);

ა.ე) მიღება-ჩაბარების აქტები (წერილობითი ფორმით შედგენილი ან ელექტრონული ფორმით შედგენილი და ამობეჭდილი);

ა.ვ) ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;

ა.ზ) სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საბაჟო საქმის სპეციალისტის მიერ გადამხდელის/კლიენტის მიმართ განხორციელებულ ამა თუ იმ ქმედებას.

ბ) ინვენტარი:

ბ.ა) საიდენტიფიკაციო საშუალებები;

ბ.ბ) ბეჭდები და შტამპები;

ბ.გ) სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საბაჟო საქმის სპეციალისტის სამსახურებრივ საქმიანობაში და რომელთა გადაცემა არ შეიძლება უცხო პირთათვის.

გ) სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, კონფიდენციალურ ინფორმაციაში იგულისხმება:

გ.ა) სპეციალურ ელექტრონულ პროგრამებში დასაშვებად საჭირო მოხმარებლის სახელი და პაროლი;

გ.ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო საიდუმლოება;

გ.დ) დამსაქმებლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ინფორმაცია (მაგალითად, საჯარო სამსახურში დასაქმებულ საბაჟო საქმის სპეციალისტს, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას ავალდებულებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესი[25]).

საბაჟო საქმის სპეციალისტი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, არ გაავრცელოს და დაიცვას სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სახის

---

[23] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მკაცრი აღრიცხვის ფორმად ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი 1) მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

[24] საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი მკაცრი აღრიცხვის ფორმად ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ მე-2 პუნქტის „ყ(ჯრიმა)“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

[25] საჯარო სამსახურში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის (დანართი 1) მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტთ.

კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ცნობილი გახდა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით[26], **საგადასახადო საიდუმლოებას** განეკუთვნება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, ამ გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან.

მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკის ან საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის[27] შესაბამისად.

1.1.2. სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა

სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა საჭიროა იმისათვის, რომ სამუშაო დღის განმავლობაში მაქსიმალურად გამოვრიცხოთ ყველა გაუთვალისწინებელი შეფერხება (მოულოდნელად არ აღმოჩნდეს, რომ დაზიანებულია/დაკარგულია ძირითადი აღჭურვილობა ან/და გათავდა სახარჯი მასალა და ა.შ.), რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია უმარტივესი ძალისხმევით (იხ. 1.3 ქვეთავის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, შესაბამისი რეკომენდაციები).

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, სამუშაო აღჭურვილობა შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად - ძირითადი აღჭურვილობა (მათი მოხმარება შესაძლებელია მრავალჯერადად) და სახარჯი მასალები (ისინი იხარჯება მუშაობის პროცესში):

ა) **ძირითად აღჭურვილობად** ითვლება შემდეგი ინვენტარი:

ა.ა) სატრანსპორტო საშუალებები;

ა.ბ) პერსონალური კომპიუტერი და მისი პროგრამული უზრუნველყოფა;

ა.გ) პრინტერი, სკანერი და ე.წ. „კომბაინი“;

ა.დ) გადამცემი (ე.წ. „რაცია“);

ა.ე) ფოტო-ვიდეო გადაღების საშუალებები;

ა.ვ) საქონლის რაოდენობისა და წონის დასადგენი ხელსაწყოები;

ა.ზ) საზომი ხელსაწყოები;

ა.თ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დასათვალიერებელი ხელსაწყოები;

---

[26] საგადასახადო საიდუმლოებას განუთვნილი ინფორმაცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[27] კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება ითვლება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად, რისთვისაც პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლით.

ა.ი) სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება **საბაჟო კონტროლის** მიზნებითვის (მათ შორის, მატერიალური თუ ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალები).

ბ) **სახარჯი მასალებია**:

ბ.ა) საწვავი;

ბ.ბ) კარტრიჯები;

ბ.გ) საკანცელარიო ინვენტარი;

ბ.დ) თაბახის ფურცლები;

ბ.ე) სხვა მასალა რომლებიც გამოიყენება **საბაჟო კონტროლის** მიზნებისთვის.

როგორც წესი, სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა ხორციელდება ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში და მისი დასრულებისას. ხშირად, სამუშაო აღჭურვილობის მიღების/ჩაბარების დოკუმენტური დადასტურების მიზნით დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი[28] (იხ. 1.3 ქვეთავის „ბ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეკომენდაციები). ასევე, როდესაც სამუშაო აღჭურვილობა დაზიანებულია ან სახარჯი მასალა არ არის საკმარისი რაოდენობით, დგება განაცხადი სამუშაო აღჭურვილობის მოთხოვნის/შეკეთების შესახებ (იხ. 1.3 ქვეთავის „ბ.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეკომენდაციები).

1.1.3. საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა

საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა საჭიროა იმისათვის, რომ უნებურად არ დავარღვიოთ ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები, რითაც, პირველ რიგში ვავნებთ როგორც საკუთარ, ისე საკუთარი სამსახურის რეპუტაციას და ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირად, კანონმდებლობის არცოდნის გამო დაშვებული შეცდომებისთვის, გათვალისწინებულია გარკვეული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები (გაფრთხილება, შენიშვნა, ხელფასის დაქვითვა, დაქვეითება, სამსახურიდან გათავისუფლება და ა.შ.).

პროცედურული სიახლეების გაცნობა და მათი სწრაფად ათვისება აიოლებს საბაჟო საქმის სპეციალისტის ყოველდღიურ სამუშაოს და მნიშვნელოვნად აჩქარებს შრომის მწარმოებლურობას. მაგალითად, თუ ადრე მანქანის დათვალიერებას სჭირდებოდა ერთი საათი, სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით იგივე პროცედურის განხორციელებას (ამასთან, უფრო ხარისხიანად) სჭირდება 10 წუთი.

დავალებების ყურადღებით გაცნობა, წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სამუშაოს ეფექტურად და ხარისხიანად შესრულებისათვის. როგორც საჯარო, ისე კერძო

[28] სამუშაო აღჭურვილობას, მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივ ატრიბუტიკასთან ერთად, აქტიური ცვლის თანამშრომელი მიღება-ჩაბარების აქტით იბარებს პასიური ცვლის თანამშრომლისაგან. მაგალითად, საბაჟო დეპარტამენტში ასეთ მიღება-ჩაბარების აქტს ადგენენ აქტიური და პასიური ცვლის უფროსები.

სექტორში დასაქმებულ საბაჟო საქმის სპეციალისტს, საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა დავალების შესრულება უხდება საკანონმდებლო თუ პროცედურული შინაარსის მუდმივი ცვლილებების ფონზე. საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეროვნული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებითაც საბაჟო საქმე რეგულირდება, პერიოდულად განიცდიან ცვლილებებს - ზოგიერთი მათგანი იცვლება სხვა ნორმატიული აქტით, ზოგში ცვლილება შედის, ზოგიერთი საერთოდ უქმდება და ა.შ. ამასთან, ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ხშირად

პროცედურები, რომლის შესასრულებლადაც ადრე საჭირო იყო ფურცელი და საწერი კალამი, დღეს კომპიუტერით ან სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით სრულდება, ან საქმიანობა, რომელიც ადრე ხორციელდებოდა მოძველებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, დღეს განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ხორციელდება (მაგალითად, საგადასახადო სამართალდარღვევის ელექტრონული ოქმის შედგენა, აღრიცხვის მოწმობის გამოწერა, საიდენტიფიკაციო საშუალებების აღრიცხვა, საბაჟო დეკლარაციების შევსება, საქმიანი მიმოწერა და ა.შ.). ასევე, თუ ადრე სატრანსპორტო საშუალების განყოფილებების ან სამალავების დასათვალიერებლად საჭირო იყო სატრანსპორტო საშუალებიდან გარკვეული ნაწილების მოხსნა, დღეს ამის გაკეთება აუცილებლობას არ წარმოადგენს, რადგან საბაჟო სამსახურს გააჩნია დათვალიერების სპეციალური ხელსაწყოები.

ხშირად, საბაჟო სამსახურს ევალება გაამკაცროს კონტროლი განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა საქართველოდან გაყვანის ვადაც დარღვეულია, ან გაამკაცროს კონტროლი იმ ქვეყნებიდან შემოტანილ საკვებ პროდუქტებზე, სადაც მძვინვარებს ეპიდემია და ა.შ.

თავის მხრივ, საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების დროული გაცნობა არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას და ხელს უწყობს მაღალი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას საკუთარ პროფესიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ატესტაციით, რეორგანიზაციით თუ სხვა მიზეზით სამუშაო ადგილების შემცირების დროს, დამსაქმებლები არჩევანს გააკეთებენ სწორედ მობილიზებულ თანამშრომლებზე და არა იმათზე, რომლებიც არ ეცნობიან საკანონმდებლო სიახლლებს, არ სწავლობენ ახალ პროცედურებს და დავალებებს არ ასრულებენ ხარისხიანად.

1.1.4. შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა

შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა გულისხმობს სამუშაო დღის (კვირის ან თვის) განმავლობაში საბაჟო საქმის სპეციალისტის მიერ გაკეთებული საქმეების აღრიცხვას. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის შედგენა ერთის მხრივ საჭიროა იმისათვის, რომ შევამოწმოთ სამუშაო დღის (კვირის ან თვის) განმავლობაში ხომ არ დაგვრჩა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გასაკეთებელი, ხოლო მეორეს მხრივ, დროთა განმავლობაში, საშუალებას იძლევა დავინახოთ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების გარკვეული სტატისტიკა და დინამიკა, რასაც თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკუთარი შრომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

1.1.5. პირველადი გადაუდებელი დახმარება

პირველადი გადაუდებელი დახმარება გულისხმობს ექიმის მოსვლამდე დახმარების სწრაფად და სწორად გაწევას ადამიანისთვის, რომლის ჯანმრთელობას მოულოდნელად საფრთხე დაემუქრა (დაეცა, ხელი გაიჭრა, ფეხი მოიტეხა, თავი დაარტყა, ცხოველმა ან ქვეწარმავალმა უკბინა, გულის შეტევა დაემართა და ა.შ.).

ასეთ შემთხვევებში თქვენი ქმედებები მკაცრად უნდა იყოს დაგეგმილი. გახსოვდეთ, რომ თქვენი მოქმედების გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი თანმიმდევრული საფეხურებისაგან:

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა;
2. უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
3. პირველადი დახმარების გაწევა;
4. დახმარების დროული მოხმობა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევის ეტაპზე თქვენ უნდა მიუახლოვდეთ შემთხვევის ადგილს სწრაფად და მშვიდად. უნდა ეცადოთ რაც შეიძლება მოკლე დროში შეაგროვოთ მაქსიმალური ინფორმაცია:

- პირველ რიგში თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ საფრთხე არ გემუქრებათ თქვენ, დაზარალებულს და თვითმხილველებს.
- ასევე საჭიროა სწრაფად შეაფასოთ, თუ რა სახის დახმარებაა საჭირო და რისი გაკეთება შეგიძლიათ დამოუკიდებლად.
- აუხსენით დაზარალებულსა და თვითმხილველებს, რომ თქვენ შეგიძლიათ პირველადი დახმარების გაწევა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გაითვალისწინეთ, რომ ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის მდგომარეობის დამძიმება, შეიძლება კვლავ მოქმედებდეს და საფრთხეს წარმოადგენდეს!!! ხშირად ძალიან მარტივი ხერხებით შეიძლება გარემოს

უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მაგალითად, ძრავის გამორთვა, თუ ავტოავარიის შემდეგ მანქანა დაქოქილია). გახსოვდეთ,

არასოდეს ჩააგდოთ თქვენი და დაზარალებულის
სიცოცხლე საფრთხეში და ნუ ეცდებით გააკეთოთ ის,
რაც აღემატება თქვენს შესაძლებლობებს!

პირველადი დახმარების გაწევა. მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდით გარემოს უსაფრთხოებაში, გაუწიეთ დაზარალებულს პირველი დახმარება.

დახმარების დროული მოხმობა. შემთხვევის ადგილზე თქვენ შეიძლება ერთდროულად დაგჭირდეთ უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება ტელეფონი და პირველადი დახმარების გაწევა. ამიტომ დროულად მოუხმეთ დახმარებას. თუ დაგჭირდათ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება, მიეცით სასწრაფოს სატელეფონო ოპერატორს ზუსტი ინფორმაცია:

- თქვენი ტელეფონის ნომერი;
- მისამართი (უბედური შემთხვევის ადგილმდებარეობა);
- რა უბედური შემთხვევა მოხდა და რამდენად სერიოზულია ის (მაგალითად, ავტოავარია, ორი მანქანა დაზიანდა, სამი ადამიანი დაზარალდა);
- დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, დაახლოებითი ასაკი და ზოგადი მდგომარეობა (მაგალითად, ბავშვი, სამი წლის, აქვს სისხლდენა ხელიდან);
- სხვა, ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია.

პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ არსებობს სპეციალური სახელმძღვანელო, რომლის გაცნობაც აუცილებელია სამსახურის დაწყების წინ. გახსოვდეთ, ასეთი შემთხვევის დროს თქვენს მიერ დამოუკიდებლი, სწორი გადაწყვეტილების მიღებამ ან/და აქტიურმა ქმედება შესაძლოა სიცოცხლე შეუნარჩუნოს ბევრ ადამიანს.

1.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით:

ა.ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მკაცრი აღრიცხვის ფორმად ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი 1) მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ა.ბ) საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი მკაცრი აღრიცხვის ფორმად ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი 1) მე-2 პუნქტის „ყ(პრიმა)“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ა.გ) იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვის, გაცემის და განადგურების პროცედურები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ის 34-ე მუხლით.

ა.დ) საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა.ე) კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლით.

ბ) მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

გ) საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

დ) შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენის წესი, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

ე) გადაუდებელი პირველადი დახმარების გაწევის წესები, კონკრეტული შემთხვევების მიხედვით, მოცემულია სპეციალურ სახელმძღვანელოებში და შესაძლებელია მისი სავალდებულოდ სწავლა და გამოყენება რეგულირდებოდეს დამსაქმებლის შინაგანაწესით.

1.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია (სასურველია მოცემულ თანამდებობაზე მუშაობის დაწყების წინ) საბაჟო საქმის სპეციალისტი გაეცნოს ყველა დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი თანამდებობის შესაბამისი უფლება-მოვალეობები, მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

ა.ბ) რეკომენდებულია, მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკა განთავსდეს მათ შესანახად გამოყოფილ, უცხო პირთათვის მიუწვდომელ, უსაფრთხო ადგილზე - სპეციალურ ოთახში ან/და კარადაში. ასევე რეკომენდებულია:

ა.ბ.ა) მათ შესანახად სეიფის გამოყენება;

ა.ბ.ბ) მათი გამოყენების/დაზიანების ნებისმიერი შემთხვევის აღრიცხვა.

ა.გ) რეკომენდებულია, მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკა და სამუშაო აღჭურვილობა **აქტიური ცვლის** თანამშრომელმა მიღება-ჩაბარების აქტით გადაიბაროს **პასიური ცვლის** თანამშრომლისაგან (მაგალითად, როგორც წესი, საბაჟო დეპარტამენტში ასეთ მიღება-ჩაბარების აქტს ადგენენ აქტიური და პასიური ცვლის უფროსები);

ა.დ) კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით დაუშვებელია მისი გახმაურება[29]. ამასთან, სპეციალურ პროგრამაში მუშაობის დასრულებისთანავე სასურველია ამ პროგრამიდან გამოსვლა ამავე პროგრამის ინსტრუქციით დადგენილი წესით. პროგრამიდან გამოსვლა განსაკუთრებით რეკომენდებულია სამუშაო ადგილიდან საბაჟო საქმის სპეციალისტის ნებისმიერი მიზეზით გასვლის შემთხვევაში.

ა.ე) რეკომენდებულია, მომხმარებლის სახელისა და პაროლის კომპიუტერის მიერ ავტომატური დამახსოვრების შემთხვევის გამოსარიცხად, პროგრამიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეამოწმოთ ნამდვილად გამოხვედით თუ არა პროგრამიდან, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი სახელით, თქვენი ნებართვის გარეშე, ვერავინ იმუშავებს ამ პროგრამაში.

ბ) მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

ბ.ა) როგორც წესი, სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა ხორციელდება ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში და მისი დასრულებისას.

ბ.ბ) სამუშაო პროცესში გაუთვალისწინებელი შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია სამუშაო დღის დასაწყისში დავიცვათ მიღება-ჩაბარების შემდეგი პროცედურები:

---

[29] საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს.

ბ.გ) დავადგინოთ ძირითადი აღჭურვილობის ფაქტობრივი რაოდენობა და შევამოწმოთ მათი ტექნიკური გამართულობა;

ბ.დ) დავადგინოთ დაახლოებით ოთხი სამუშაო დღისთვის სამყოფი სახარჯი მასალის რაოდენობა;

ბ.ე) ჩავიბაროთ სამუშაო აღჭურვილობა მიღება-ჩაბარების აქტით (მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ სამუშაო გარემოში, სადაც მუშაობს რამოდენიმე ცვლა)

ბ.ვ) შევადგინოთ განაცხადი საჭირო სამუშაო აღჭურვილობის მოთხოვნის/შეკეთების შესახებ.

ბ.ზ) **მიღება-ჩაბარების აქტი**, როგორც მინიმუმ, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგი აუცილებელი ელემენტების შესახებ:

ბ.ზ.ა) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის ადგილსა და თარიღს;

ბ.ზ.ბ) მიმღები და ჩამბარებელი პირების სახელს, გვარს, პირად ნომერსა და თანამდებობას;

ბ.ზ.გ) გადასაცემი ნივთების რეკვიზიტებს (დასახელებას, რაოდენობას, საჭიროების შემთხვევაში ნომრებს, ანაბეჭდსა თუ სხვა მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს);

ბ.ზ.დ) მიმღები და ჩამბარებელი პირების ხელმოწერას.

ბ.თ) **სამუშაო აღჭურვილობის მოთხოვნის/შეკეთების შესახებ განაცხადი,** როგორც მინიმუმ, უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

ბ.თ.ა) იმ პირის სახელს, გვარს და თანამდებობას, რომელიც პასუხისმგებელია დაზიანებული ძირითადი აღჭურვილობის შეცვლასა და სახარჯი მასალის გამოყოფაზე;

ბ.თ.ბ) განაცხადის შემდგენის სახელს, გვარს და თანამდებობას;

ბ.თ.გ) დაზიანებული ძირითადი აღჭურვილობის დასახელებას და რაოდენობას;

ბ.თ.დ) დახლოებით ოთხი სამუშაო დღისთვის საჭირო სახარჯი მასალის დასახელებას და რაოდენობას.

ბ.თ.ე) განმცხადებელი პირის ხელმოწერასა და განაცხადის შედგენის თარიღს.

გ) საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობასთან დაკავშირებით:

გ.ა) საბაჟო საქმის სპეციალისტი ვალდებულია სამუშაო დღის დასაწყისში გაეცნოს ყველა საკანონმდებლო სიახლესა და ახალ პროცედურას.

გ.ბ) რეკომენდებულია, საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებით სანდო ინფორმაციას გაეცნოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://matsne.gov.ge/ (იხ. დანართი 1.1). გარდა აღნიშნულისა, დამსაქმებლები ასევე იყენებენ სხვადასხვა თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს (მაგალითად, ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით დაგზავნა) საკანონმდებლო სიახლეების თანამშრომლებამდე დაყვანისათვის, რომელთა რეგულარული შემოწმება ასევე აუცილებელია სამუშაო დღის განმავლობაში.

გ.გ) თუ ახალი დავალება არ არის ნათლად გასაგები, რეკომენდებულია დავალების გამცემ პირს დავუსვათ კითხვები რათა მაქსიმალურად კარგად გავიგოთ შესასრულებელი დავალების შინაარსი.

დ) შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებით:

დ.ა) თუ სამსახურს არ აქვს შემუშავებული სამუშაო ანგარიშის ფორმა, სასურველია შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში შევადგინოთ რომელიმე საოფისე ან სხვა, ჩვენთვის უფრო მოსახერხებელი და სამსახურისთვის მისაღები ელექტრონული პროგრამის გამოყენებით.

დ.ბ) შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ელექტრონული ფორმა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ სწრაფად და იოლად იყოს შესაძლებელი საჭირო ინფორმაციის შეტანა/წაკითხვა.

დ.გ) როგორც წესი, სამუშაო ანგარიშში შეიტანება სამუშაო დღის (კვირის ან თვის) განმავლობაში ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის აღრიცხვაც ავტომატურ რეჟიმში არ ხორციელდება - საჯარო სამსახურში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტის შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს მაგალითად რამდენი ფიზიკური პირი ან რამდენი სატრანსპორტო საშუალება დავათვალიერეთ, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტის შემთხვევაში - რა სახის საბაჟო მომსახურება მოითხოვეს, რამდენი საჩივარი შევადგინეთ, რა დრო დაგვჭირდა ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად და სხვ.

ე) რეკომენდებულია, პირველადი გადაუდებელი დახმარების წესებს, კონკრეტული შემთხვევების შესაბამისად, გაეცნოთ სპეციალურ სახელმძღვანელოში „პირველადი გადაუდებელი დახმარება“.

1.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით:

ა.ა) რა იგულისხმება მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივ ატრიბუტიკაში სახემძღვანელოს მიზნებისთვის?

ა.ბ) რა იგულისხმება კონფიდენციალურ ინფორმაციაში სახემძღვანელოს მიზნებისთვის?

ა.გ) რისთვის არის საჭირო სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა?

ა.დ) რა რეკომენდაციებია აუცილებლად გასათვალისწინებელი სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით?

ა.ე) საქართველოს კანონმდებლობით, მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკიდან, რომელი დოკუმენტები ითვლება მკაცრი აღრიცხვის ფორმად?

ა.ვ) გადასახადის გადამხდელის შესახებ რა ინფორმაცია არ ითვლება საგადასახადო საიდუმლოებად?

ა.ზ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ვის შეიძლება გადაეცეს საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია?

ბ) სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

ბ.ა) სამუშაო აღჭურვილობიდან რა ითვლება ძირითად აღჭურვილობად და რა ითვლება სახარჯ მასალად სახლემძღვანელოს მიზნებისთვის?

ბ.ბ) რა სხვაობაა ძირითად აღჭურვილობასა და სახარჯ მასალას შორის?

ბ.გ) რისთვის არის საჭირო მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა?

ბ.დ) სამართლებრივად რა არეგულირებს მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობას?

ბ.ე) როდის არის რეკომენდებული მიღება-ჩაბარების განხორციელება?

ბ.ვ) მიღება-ჩაბარების რა პროცედურები უნდა დავიცვათ სამუშაო დღის დასაწყისში?

ბ.ზ) როგორც მინიმუმ, რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს მიღება-ჩაბარების აქტი?

გ) საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობასთან დაკავშირებით:

გ.ა) რისთვის არის საჭირო საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა?

გ.ბ) რისთვის არის საჭირო პროცედურული სიახლეების გაცნობა?

გ.გ) რისთვის არის საჭირო დავალებების გაცნობა?

გ.დ) ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივად რომელი დოკუმენტი არეგულირებს საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობას?

გ.ე) სად არის რეკომენდებული საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებული სანდო ინფორმაციის მოძიება?

გ.ვ) სხვა რა რეკომენდაციებია აუცილებლად გასათვალისწინებელი საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობასთან დაკავშირებით?

დ) შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა?

დ.ბ) რისთვის არის საჭირო შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა?

დ.გ) ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივად რომელი დოკუმენტი არეგულირებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენას?

დ.დ) რა აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები იცით შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებით?

ე) პირველად გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით:

ე.ა) რას გულისხმობს პირველადი გადაუდებელი დახმარება?

ე.ბ) რა თანმიმდევრული საფეხურებისაგან შედგება პირველადი გადაუდებელი დახმარება?

ე.გ) რას გულისხმობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სიტუაციაში გარკვევა?

ე.დ) რას გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფა?

ე.ვ) რას გულისხმობს პირველადი დახმარების გაწევა?

ე.ზ) რას გულისხმობს დახმარების დროული მოხმობა?

ე.ვ) რა სამართლებრივი რეგულირება შეიძლება არსებობდეს პირველად გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით?

1.5. სავარჯიშოები

ა) მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით:

ა.ა) სავარჯიშო №1.1. მკაცრი აღრიცხვის ფორმებთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხაში“ (დანართი 1) იპოვეთ ნორმები, სადაც წერია თუ რა შემთხვევაში ითვლება ადმინისტრაციული და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები მკაცრი აღრიცხვის ფორმად. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 1.1. Strict Registration Forms_(Your Name and Surname[30]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება)

ა.ბ) სავარჯიშო №1.2. საგადასახადო საიდუმლოების რეგულირებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 1.2. Tax Secrecy_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება)

ა.გ) სავარჯიშო №1.3. იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვასთან დაკავშირებით (დავალება): შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში (დანართი 1)[31] იპოვეთ იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვასთან, გაცემასთან და განადგურებასთან დაკავშირებული პროცედურები. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 1.3. Identification Assets Accounting _(Your Name and Surname) - და

[30] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

[31] თუ აღმოაჩენთ, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია ძალადაკარგულია, მაშინ იპოვეთ ახალი ნორმატიული აქტი, სადაც ჩაიწერა იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვასთან, გაცემასთან და განადგურებასთან დაკავშირებული პროცედურები და თქვენი პასუხი დაასაბუთეთ სამართლებრივად.

თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

ბ.ა) სავარჯიშო №1.4. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (როლური თამაში): აღნიშნული სავარჯიშო სრულდება ორი სტუდენტის მიერ ერთდროულად, რომელთაგან ერთი სტუდენტი პირობითად არის სგპ „წითელი ხიდის“ აქტიური ცვლის უფროსი, რომელმაც უნდა მიიღოს, ხოლო მეორე სტუდენტი არის სგპ „წითელი ხიდის“ პასიური ცვლის უფროსი, რომელმაც უნდა ჩააბაროს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობები:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომელთა ნომრებია: 011001, 011002, 011003, 011004, 011005, 011006, 011007, 011008, 011010;

2. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები: 444121, 444122, 444127, 444128, 444129, 444130.

3. საიდენტიფიკაციო საშუალებები: GE0178158, GE0178159, GE0178160, GE0178188, GE0178195, GE0178203.

4. ბეჭდები და შტამპები:

5. გადამცემი (რაცია) – 8 ცალი;

6. ფოტოაპარატი - 2 ცალი;

1.3. ქვეთავის „ბ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიხედვით შეადგინეთ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ორივე სტუდენტმა უნდა შეავსოს ცალკ-ცალკე მიღება-ჩაბარების აქტი და საჭიროების შემთხვევაში,

ხელის მოწერამდე, ერთმანეთის მიერ შევსებულ მიღება-ჩაბარების აქტში შეიტანონ შესაბამისი შესწორება.

ბ.ბ) სავარჯიშო №1.5. საჭირო სამუშაო აღჭურვილობის მოთხოვნის/შეკეთების განაცხადის შედგენასთან დაკავშირებით (პრაქტიკული სავარჯიშო): წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ სგპ „სარფის“ აქტიური ცვლის უფროსი და ცვლაში გყავთ 16 თანამშრომელი. მიღება-ჩაბარების პროცესის დროს დაადგინეთ, რომ:

- 18 გადამცემიდან (რაცია) არ მუშაობს 5 გადამცემი;
- 5 პრინტერიდან, 3 პრინტერი ვერ ბეჭდავს გამართულად;
- გაქვთ 2 ყუთი თაბახის ფურცელი რაც საკმარისია მხოლოდ 2 სამუშაო დღისთვის;
- საწავავის ბალანსი, რომელსაც მოიხმარს სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალება, არის 30 ლიტრი, რაც საკმარისია მხოლოდ ერთი სამუშაო დღისთვის;
- სატვირთო ავტოსატრანსპრტო საშუალებების სასწორი (ე.წ. „ღერძულა სასწორი“) არის დაზიანებული.

1.3. ქვეთავის „ბ.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიხედვით შეადგინეთ განაცხადი სამუშაო აღჭურვილობის მოთხოვნის/შეკეთების შესახებ.

გ) სავარჯიშო №1.6. საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეების მოძიებასთან დაკავშირებით (პრაქტიკული სავარჯიშო):

გ.ა) დანართი 1.1-ის გამოყენებით იპოვეთ ყველა ცვლილება, რაც კი შესულა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, 2011 წლის 1 იანვრიდან დღემდე.

გ.ბ) დანართი 1.1-ის გამოყენებით იპოვეთ ყველა ცვლილება, რაც კი შესულა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, 2012 წლის 1 აგვისტოდან დღემდე.

გ.გ) დანართი 1.1-ის გამოყენებით იპოვეთ ყველა ცვლილება, რაც კი შესულა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, 2012 წლის 1 აგვისტოდან დღემდე.

გ.დ) დანართი 1.1-ის გამოყენებით იპოვეთ როდიდან გამოცხადდა ძალადაკარგულად საქართველოს ბოლო საბაჟო კოდექსი.

დ) სავარჯიშო №1.7. შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებით (პრაქტიკული სავარჯიშო): დავუშვათ ხართ ერთ-ერთი საკონსულტაციო ფირმის თანამშრომელი. საგადასახადო კოდექსში მოიძიეთ საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

1. საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლით/ნაწილით არის განსაზღვრული სანქციის ოდენობა დეკლარირების ვადის დარღვევისთვის?

2. საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლით/ნაწილით არის განსაზღვრული სანქციის ოდენობა შემოსავლების სამსახურთან შეუთანხმებელი ქმედებისათვის?

3. საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლით/ნაწილით არის განმარტებული რას ნიშნავს საქონლის მფლობელი?

4. საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლით/ნაწილით არის განმარტებული რას ნიშნავს ზოგადი დეკლარირება?

5. საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლით/ნაწილით არის განსაზღვრული იმპორტის გადასახადთან დაკავშირებული შეღავათები ფიზიკური პირებისთვის?

Excel-ის ცხრილის გამოყენებით შეადგინეთ შესრულებული სამუშაოს ანგარიში სადაც გამოჩნდება რამდენი შეკითხვა ეხებოდა სამართალდარღვევებს (მიუწერეთ საგადასახადო კოდექსის მუხლი/ნაწილი), რამდენი შეკითხვა ეხებოდა ტერმინოლოგიას (მიუწერეთ საგადასახადო კოდექსის მუხლი/ნაწილი) და რამდენი შეკითხვა ეხებოდა შეღავათებს (მიუწერეთ საგადასახადო კოდექსის მუხლი/ნაწილი). Excel-ის დოკუმენტს დაარქვით - 1.7. My Job Report_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №1.8. პირველად გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით (დავალება): მოიძიეთ პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალური სახელმძღვანელო. აღნიშნულ სახელმძღვანელოში იპოვეთ რას გულისხმობს სიცოცხლის შენარჩუნების ძირითადი ალგორითმი - DRABC (Doctor ABC) და ცნობიერების შესამოწმებელი სქემა - AVPU. ნაპოვნი მასალა შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 1.8. Emergency First Aid_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 1.1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში მუშაობის ინსტრუქცია

საკანონმდებლო მაცნეს საიტზე განთავსებული ძებნის სისტემა[32] მარტივი და მოქნილი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა გვეძლევა მოვძებნოთ სხვადასხვა სახის ნორმატიული დოკუმენტი და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალა (იხ. სურათი 5. საკანონმდებლო მაცნეს მთავარი სამუშაო გვერდი).



სურათი 5. საკანონმდებო მაცნეს მთავარი სამუშაო გვერდი (იხ. საიტი)

ამ ვებ-გვერდის გმოყენებით ძებნა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ველის შერჩევის და სხვადასხვა სიტყვის/ფრაზის ჩაწერის მეშვეობით. ძებნას გააჩნია შემდეგი ველები:

საძიებო სიტყვა/ფრაზა: ამ ველში უნდა ჩაიწეროს ის სიტყვა ან სიტყვის ნაწილი (მაგ., ადმინისტ) ან ფრაზა (მაგ., ადმინისტრაციულ სამართალდარ), რომლის მეშვეობითაც ვეძებთ დოკუმენტს. ასევე შესაძლებელია ფრაზის მოძებნა ორი არასრული სიტყვით, რა დროსაც გამოყენებული უნდა იქნეს "+" ნიშანი (მაგ., ადმინ+სამართალ). ასეთ შემთხვევაში პროგრამა მოძებნის იმ დოკუმენტებს, სადაც არის ორივე სიტყვა.

დოკუმენტების ფილტრი: ეს არის არჩევადი ველი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ, თუ რომელ დოკუმენტში ვახორციელებთ ძებნას. ძებნის განხორციელებისას თავდაპირველად პროგრამა ეძებს ჩვენ მიერ შერჩეულ სიტყვას/ფრაზას მხოლოდ ძირითად (კოდიფიცირებულ) დოკუმენტებში, ხოლო თუ ჩვენ გვინდა მოვძებნოთ ასევე ცალკეული ცვლილების დოკუმენტი ან სხვადასხვა საინფორმაციო დოკუმენტი, ამ შემთხვევაში უნდა ავირჩიოთ ძებნა – ყველა დოკუმენტში.

დოკუმენტის ტიპი: ასარჩევი ველი, სადაც ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ, თუ რა ტიპის დოკუმენტს ვეძებთ (მაგ: კანონი, ბრძანება და ა.შ.).

[32] წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი https://matsne.gov.ge/ka/node/203.

დოკუმენტის მიმღები: ველში ავკრიფოთ ჩვენ მიერ არჩეული მიმღების სახელწოდება ან მისი ნებისმიერი ნაწილი და პროგრამა თავად შემოგვთავაზებს არსებულ მიმღებებს. რაც უფრო მეტ ასოს ვკრეფთ, მით უფრო მცირდება მიმღებთა არჩევანი. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არჩეული გვაქვს დოკუმენტის ტიპი, დოკუმენტის მიმღებად გამოჩნდება მხოლოდ ის მიმღები, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ტიპის დოკუმენტი (მაგ., ტიპი–ბრძანებულების არჩევისას მიმღების ველში გამოჩნდება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი).

ძებნის კრიტერიუმები (სიტყვა/ფრაზა მოიძებნოს): მითითებული ველი საშუალებას გვაძლევს პროგრამას მივუთითოთ ძებნის შემდეგი კრიტერიუმები:

მხოლოდ სათაურში – ამ კრიტერიუმის არჩევისას პროგრამა მოიძიებს დოკუმენტს, რომლის სათაურში გამოიყენება ჩვენ მიერ მითითებული სიტყვა/ფრაზა;

დოკუმენტის ტექსტში – ამ კრიტერიუმის არჩევისას პროგრამა მოიძიებს დოკუმენტს, რომლის ტექსტში, მათ შორის, სათაურშიც გამოიყენება ჩვენ მიერ მითითებული სიტყვა/ფრაზა.

გაფართოებული – გაფართოებული ძებნის ველი გვთავაზობს ძიების მოქნილ და მძლავრ მექანიზმს. ამ ველში სპეციალური წესებით შედგენილი საძიებელი სტრიქონი უნდა ჩავწეროთ. თუ ამ ველში რამდენიმე სიტყვას ავკრეფთ, მაშინ მოიძებნება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც თუნდაც ერთ საძიებო სიტყვას მაინც შეიცავს. თუ გვსურს ფრაზის შემცველი ტექსტის მოძიება, ველში უნდა ავკრიფოთ ეს ფრაზა და ჩავსვათ ბრჭყალებში, მაგალითად, "სკოლამდელი ასაკი". ბრჭყალებში რომ არ მოგვეთავსებინა ეს ფრაზა, მაშინ საიტი მოგვიძებნიდა ყველა დოკუმენტს, რომელიც შეიცავს სიტყვა სკოლამდელს ან სიტყვა ასაკს, ახლა კი მხოლოდ ის დოკუმენტები მოიძებნება, რომლებიც შეიცავს მთლიანად ფრაზას „სკოლამდელი ასაკი“.

ძებნა შაბლონით – თუ მოსაძებნ ველში ჩავწერთ კორ?ი და ძებნას დავაჭერთ, საიტი მოგვიძებნის ყველა დოკუმენტს, რომელიც შეიცავს შემდეგი ტიპის სიტყვებს – კორტი, კორპი, კორძი, ... ანუ სიმბოლო „?“ გულისხმობს ნებისმიერ ასოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვის ნიშნის ადგილზე საიტი იგულისხმებს ერთ ნებისმიერ სიმბოლოს. შესაძლებელია ამ სიმბოლოს რამდენჯერმე გამოყენებაც, მაგალითად, კორ?ე?ი შეესაბამება შემდეგი ტიპის სიტყვებს – კორტეჟი, კორვეტი, კორტები, ... აღსანიშნავია, რომ ამ სიმბოლოს გამოყენება სიტყვის პირველი ასოს მაგივარდ დაუშვებელია. ასევე, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს * სიმბოლოს. მის მაგივრად საიტი იგულისხმებს რამდენიმე ნებისმიერ ასოს. მაგალითად, თუ საძიებო ველში ავკრებთ სა*ო -ს, საიტი მოგვიძებნის ყველა დოკუმენტს, რომელიც შეიცავს შემდეგი ტიპის სიტყვებს – საგზაო, სატრანსპორტო, სამელიორაციო, საგამოცდო, საწესდებო, ...

* სიმბოლოს გამოყენება სიტყვის დასაწყისში არ არის დაშვებული.

უპირატესობით ძებნა – ხშირია სიტუაციები, როდესაც გვახსოვს საძებნი დოკუმენტის რამდენიმე სიტყვა, თანაც ზოგიერთი სიტყვის არსებობაში დარწმუნებული ვართ და ზოგიერთის არსებობაში ეჭვი გვეპარება. მაგალითად, ვიცით რომ ვეძებთ დოკუმენტს, რომელშიც, თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ გვხვდება სიტყვა სკოლა და ასევე შეიძლება იყოს სიტყვა მერხი. ძებნისას, ბუნებრივია, რომ ჯერ ისეთი დოკუმენტების განხილვა სჯობს, სადაც სკოლა არის გამოყენებული და თუ იქ ვერ ვიპოვეთ სასურველი კანონი, მაშინ გადავიდეთ მერხის შემცველ დოკუმენტებზე. თუ „უპირატესობით ძებნის“ მეთოდს გამოვიყენებთ, მაშინ საიტი მოძებნილ დოკუმენტებს დაგვილაგებს ისეთნაირად, რომ დასაწყისში იქნება გამოტანილი ის დოკუმენტები, რომლებიც ნამდვილად შეიცავს სიტყვა სკოლას და მხოლოდ შემდგომ – სხვაგვარი დოკუმენტები. ეს, ცხადია, ძებნის პროცესს გაგვიმარტივებს. საამისოდ შეგვიძლია საძიებო ველში შემდეგი სტრიქონი ჩავწეროთ – სკოლა^2მერხი. ამ ჩანაწერში კონსტრუქცია

^2 საიტს მიუთითებს, რომ 2-ჯერ მეტია ჩვენი დაჯერებულობის დონე იმასთან დაკავშირებით, რომ საძიებო დოკუმენტში სკოლა არის გამოყენებული (მერხის არსებობასთან შედარებით). რადგან სიტყვა მერხი-ს ტიპის სიმბოლოები არ აქვს მიწერილი, ავტომატურად იგულისხმება, რომ დამაჯერებლობის ხარისხი 1 -ის ტოლია. დამაჯერებლობის ხარისხი 1-ზე მეტი უნდა იყოს. დამაჯერებლობის ხარისხი ფრაზასაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ, შეგახსენებთ, რომ ფრაზა ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ.

ლოგიკური ოპერატორები – მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, გვახსოვს, რომ საძებნ დოკუმენტში გამოყენებული იყო სიტყვა შეკეთება და ასევე გვახსოვს, რომ ნახსენები იყო ან ავტომობილი ან მანქანა. ასეთი დოკუმენტის მოსაძებნად შეიძლება გამოვიყენოთ ლოგიკური ოპერატორი OR და ლოგიკური ოპერატორი AND. საძიებო ველში უნდა ჩავწეროთ შეკეთება AND (ავტომობილიORმანქანა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, AND ოპერატორი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, თუ დოკუმენტში ერთდროულად გვხვდება ორი საძიებო სიტყვა, ხოლო OR ოპერატორი მაშინ, თუ ერთ-ერთი შედის დოკუმენტში. ლოგიკური კონსტრუქციების შექმნისას ფრჩხილების გამოყენება დასაშვებია და ისევე აღიქმება, როგორც ეს მათემატიკურ ფორმულებშია გამოყენებული. ლოგიკური ოპერატორი + იწერება სიტყვის დასაწყისში და საიტს მიუთითებს, რომ ეძებოს ისეთი დოკუმენტები, რომლებშიც აუცილებლად შედის საძიებელი სიტყვა. მაგალითად, +აქციზიჯარიმა მოგვიძებნის ისეთ დოკუმენტებს, სადაც ნამდვილად არის სიტყვა აქციზი და ასევე შეიძლება გვხვდებოდეს (შეიძლება არც იყოს!) სიტყვა ჯარიმა. ლოგიკური ოპერატორი NOT (იგივე -) შეიძლება დაიწეროს ორ სიტყვას ან ფრაზას შორის და ნიშნავს იმას, რომ საძიებო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს პირველ სიტყვას/ფრაზას და ამავე დროს არ უნდა შეიცავდეს ოპერატორის შემდეგ არსებულ სიტყვას/ფრაზას. მაგალითად, მანიფესტაცია NOT სანქცირებული მოგვიძებნის ისეთ დოკუმენტებს, სადაც გვხვდება სიტყვა მანიფესტაცია და არ გვხვდება სიტყვა სანქცირებული.

ძებნას ასევე აქვს დოკუმენტის ნომრის და მიღების თარიღის მიხედვით ძებნის საშუალება და გაფართოებული ძებნის ველები, სადაც ჩვენ საშუალება გვეძლევა, მოვძებნოთ დოკუმენტი დამატებითი პარამეტრებით: სარეგისტრაციო კოდი, გამოქვეყნების თარიღი და სხვადასხვა სტატუსი.

თავი 2. კონსულტირება საბაჟო საკითხებზე

(მოკლე შინაარსი: გადასახადის გადამხდელის საჭიროებების დადგენა; პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე; გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა და გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვა კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით)

2.1. რისთვის არის საჭირო

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, გადასახადის გადამხდელის (შემდგომში გადამხდელის) კონსულტირების პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად (იხ. დანართი 2.1. კონსულტირების დიაგრამა):

1. გადამხდელის საჭიროების დადგენა;
2. პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე;
3. გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა.

2.1.1. გადასახადის გადამხდელის საჭიროების დადგენა

გადასახადის გადამხდელის საჭიროების დადგენა ხორციელდება კონსულტირების პირველ ეტაპზე და წარმოადგენს აუცილებელ პირობას ხარისხიანი კონსულტაციის გაწევისთვის.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, გადამხდელის საჭიროებაში იგულისხმება გადამხდელის მიერ ზეპირად ან წერილობითი ფორმით გამოხატული, საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვა. ხშირად გადამხდელი არ არის გათვითცნობიერებული საბაჟო საქმის დეტალებში და სვამს ძალიან ზოგად შეკითხვებს - ზოგჯერ ახსენებს ტერმინებს, რომლებიც დღევანდელ კანონმდებლობაში აღარ გვხვდება ან ახსენებს ისეთ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც დღეს ძალაში აღარ არის (ან პირიქით, ჯერ ძალაში არ შესულა მაგრამ ტელევიზორში მოისმინა) და ა.შ.

კონსულტაციის გაწევამდე, თუ ზუსტად არ იქნა დადგენილი გადამხდელის საჭიროება - ანუ კონკრეტულად თუ რა აინტერესებს გადასახდის გადამხდელს, საბაჟო საქმის სპეციალისტს გაუჭირდება კონსულტაციისთვის საჭირო მასალის მოძიება და ხარისხიანი კონსულტაციის გაწევა.

2.1.2. პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე

პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე ხორციელდება კონსულტირების მეორე ეტაპზე (იხ. დანართი 2.1. კონსულტირების დიაგრამა) და შედგება ორი აუცილებელი პროცედურისაგან:

- გაწეული ანალოგიური კონსულტაციის არსებობის გადამოწმება;
- კონსულტირებისთვის საჭირო რეგულაციების მოძიება.

გაწეული ანალოგიური კონსულტაციის არსებობის გადამოწმება გულისხმობს ადრე გაცემული და დადგენილი წესით შენახული, შესაბამისი პასუხის მოძიებას. მისი მიზანია გადამხდელთა საჭიროებებზე პასუხების გაცემის ერთიანი მიდგომის ორგანიზება, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს კონსულტაციისათვის საჭირო დროს და კონსულტირების პროცესს ხდის უფრო ეფექტურს და უფრო ხარისხიანს.

კონსულტირებისთვის საჭირო რეგულაციების მოძიების მიზანი არის ის, რომ გადამხდელისთვის გასაცემი პასუხი ჩამოყალიბებულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.1.3. გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა

გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა ხორციელდება კონსულტირების მესამე ეტაპზე (იხ. დანართი 2.1. კონსულტირების დიაგრამა) და მეორე ეტაპის მსგავსად, შედგება ორი აუცულებელი პროცედურისაგან:

- კონსულტაციის გაწევა;
- გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვა.

კონსულტაციის გაწევა გულისხმობს კონსულტირების პირველი და მეორე ეტაპების შესაბამისად მოძიებული პასუხის გადამხდელისთვის მიწოდებას. კონსულტირების მიზანია გადამხდელს გავცეთ არგუმენტირებული, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი და მისთვის გასაგები პასუხი.

გადამხდელის შეკითხვის სირთულიდან გამომდინარე, დასაშვებია კონსულტირების პროცესში ჩავრთოთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტი, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. შესაბამისად, კონსულტირების მიზნით ექსპერტის მოწვევას საბაჟო სამსახურები იშვიათად მიმართავენ.

გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვა გულისხმობს გადამხდელის შეკითხვაზე გაცემული პასუხის შენახვას დადგენილი წესების დაცვით. პასუხის შენახვის მიზანია მომავალში ანალოგიური კონსულტაციისას, გადამხდელთა საჭიროებებზე პასუხების გაცემის ერთიანი მიდგომის შემუშავება, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს კონსულტაციისათვის საჭირო დროს და კონსულტირების პროცესს ხდის უფრო ეფექტურს და ხარისხიანს.

კონსულტირების პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას, რომლის გახმაურება აკრძალულია საგადასახადო კანონმდებლობით. შესაბამისად, გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვა უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, ამ სახელმძღვანელოს 1.1.1 ქვეთავით განსაზღვრული, კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული წესების გათვალისწინებით.

2.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) გადასახადის გადამხდელის საჭიროებების დადგენის წესი, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

ბ) გადამხდელის შეკითხვაზე პასუხის მოძიების წესი, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით.

გ) გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევისა და გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვის წესი, ხშირ შემთხვევაში რეგულირდება დამსაქმებლის შინაგანაწესით;

გ.ა) საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გ.ბ) კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლით.

2.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) მოქმედ კანონმდებლობასთან ერთად რეკომენდებულია საგადასახადო საქმის სპეციალისტს ჰქონდეს ასევე ზოგადი წარმოდგენა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი იმ ნორმატიული აქტების შესახებ რომლებიც დღეს აღარ არის ძალაში.

მაგალითი: საჯარო სამსახურში დასაქმებულ საბაჟო საქმის სპეციალისტთან მიდის გადასახადის გადამხდელი და ითხოვს „ვტტ“-ს გამოწერას[33]. ასეთ შემთხვევაში, თუ საბაჟო საქმის სპეციალისტი არ იცნობს როგორც ახალ, ისე ძველ (ტერმინების დონეზე მაინც) საგადასახადო კანონმდებლობას, გაუჭირდება გაიგოს რა სჭირდება ამ გადასახადის გადამხდელს და შესაბამისად ვერ გაუწევს მას ხარისხიან კონსულტაციას.

ბ) გადამხდელის საჭიროების დადგენასთან დაკავშირებით:

ბ.ა) გადამხდელის საჭიროების დადგენის (I) ეტაპზე, რეკომენდებულია დავრწმუნდეთ იმაში თუ რამდენად სწორად გავიგეთ გადამხდელის შეკითხვა, რაც საშუალებას გვაძლევს, შემდგომ ეტაპებზე დროის მინიმალური დანაკარგით მივაწოდოთ გადამხდელს არგუმენტირებული, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი და მისთვის მაქსიმალურად გასაგები პასუხი.

ბ.ბ) გადამხდელის საჭიროების დადგენის მიზნით რეკომენდებულია გადამხდელის საჭიროების დადგენის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

ბ.ბ.ა) ზეპირი შეკითხვის შემთხვევაში გავუმეოროთ გადამხდელს თავისი შეკითხვის ჩვენებური ინტერპრეტაცია და ვკითხოთ სწორად გავიგეთ თუ არა მისი შეკითხვა;

ბ.ბ.ბ) წერილობითი შეკითხვის შემთხვევაში, თუ შეკითხვა არ არის ჩვენთვის გასაგები, სასურველია გადამხდელს წერილობით დავაზუსტებინოთ შეკითხვის შინაარსი.

გ) პასუხის მოძიებასთან დაკავშირებით:

გ.ა) პასუხის მოძიების (II) ეტაპზე გადასვლა რეკომენდებულია მას შემდეგ, რაც სრულად დარწმუნდებით გადამხდელის საჭიროებაში.

გ.ბ) პასუხის მოძიების (II) ეტაპზე რეკომენდებულია ჯერ შევამოწმოთ არსებობს თუ არა ადრე გაწეული ანალოგიური კონსულტაცია, ხოლო შემდეგ მოვიძიოთ კონსულტირებისთვის საჭირო რეგულაციები ქვემოთ მოცემული წესების დაცვით:

გ.ბ.ა) პირველ რიგში „გაცემული პასუხების ბაზაში“ შევამოწმოთ ხომ არ არსებობს იგივე შეკითხვაზე ადრე გაცემული პასუხი;

გ.ბ.ბ) თუ ადრე გაცემული პასუხი არსებობს, შევამოწმოთ მისი ვალიდურობა (გაცემის თარიღი და შესაბამისობა დღეისათვის მოქმედ კანონმდებლობასთან);

---

[33] „ვტტ“ არის რუსული ტერმინის (ВТТ, Внутренний Таможенный Транзит) აბრევიატურა რაც ქართულად „შიდა საბაჟო ტრანზიტს“ (შსტ) ნიშნავს. ასე ერქვა დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც საქართველოში, 2007 წლამდე ხორციელდებოდა საბაჟო ზედამხედველობა საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე ქვეყნის შიგნით. დღეს იგივე ფუნქციაც ასრულებს „აღრიცხვის მოწმობა“.

გ.ბ.გ) თუ ადრე გაცემული პასუხი არ არსებობს, მაშინ მოიძიეთ პასუხი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდის ან სხვა სანდო წყაროების გამოყენებით.

დ) გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევასთან დაკავშირებით:

დ.ა) პასუხის გაცემის (III) ეტაპზე რეკომენდებულია გადასახადის გადამხდელს გავცეთ არგუმენტირებული და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, მისთვის გასაგები პასუხი.

დ.ბ) რეკომენდებულია გადამხდელის მიერ დასმული შეკითხვა, ჩვენს მიერ გაცემულ პასუხთან ერთად შევინახოთ ამ მიზნით გამოყოფილ სპეციალურ საქაღალდეში (მათ შორის, ელექტრონულად, კომპიუტერულ საქაღალდეში) „გაცემულის პასუხების ბაზა“, ან იგივე მიზნით შექმნილ სტანდარტულ საოფისე (Word, Excel), ან დამსაქმებლის მიერ შემუშავებულ რომელიმე კომპიუტერულ პროგრამაში.

დ.გ) რეკომენდებულია ინფორმაცია გაწეული კონსულტაციების შესახებ ინახებოდეს ამ 1.3 ქვეთავის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის წესების შესაბამისად.

დ.დ) ინფორმაციის ძებნის გაიოლების მიზნით, რეკომენდებულია გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის კლასიფიცირება განხორციელდეს საბაჟო საქმის კონკრეტული სფეროების მიხედვით, რომელსაც ეხება ეს კონსულტაცია და „გაცემული პასუხების ბაზაში“ თითოეულ შეკითხვასთან დაკავშირებით დაფიქსირდეს შემდეგი ინფორმაცია:

დ.დ.ა) გაწეული კონსულტაციის შინაარსი (გადამხდელის შეკითხვა და გაცემული პასუხი);

დ.დ.ბ) პირის სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება) რომელსაც გაეწია კონსულტაცია;

დ.დ.გ) პასუხის მომზადების სამართლებრივი საფუძველი (ნორმატიული აქტი/მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი);

დ.დ.დ) კონსულტაციის გაწევის თარიღი.

2.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, რა ეტაპებად არის დაყოფილი კონსულტირების პროცესი?

ბ) გადამხდელის საჭიროების დადგენასთან დაკავშირებით:

ბ.ა) კონსულტირების რომელ ეტაპზე ხორციელდება გადამხდელის საჭიროების დადგენასთანა?

ბ.ბ) სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, რა იგულისხმება გადამხდელის საჭიროებაში?

ბ.გ) ხშირ შემთხვევაში რა დოკუმენტით რეგულირდება გადასახადის გადამხდელის საჭიროებების დადგენის წესი?

ბ.დ) გადამხდელის საჭიროების დადგენისას რატომ არის რეკომენდებული საგადასახადო საქმის სპეციალისტს ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი იმ ნორმატიული აქტების შესახებ რომლებიც დღეს აღარ არის ძალაში?

ბ.ე) სხვა რა აუცილებელი რეკომენდაციები არსებობს გადასახადის გადამხდელის საჭიროების დადგენისთან დაკავშირებით?

გ) გადამხდელის შეკითხვაზე პასუხის მოძიებასთან დაკავშირებით:

გ.ა) კონსულტირების რომელ ეტაპზე ხორციელდება პასუხის მოძიება გადამხდელის შეკითხვაზე და რა აუცილებელი პროცედურებისგან შედგება ის?

გ.ბ) რას გულისხმობს გაწეული ანალოგიური კონსულტაციის არსებობის გადამოწმება?

გ.გ) რას გულისხმობს კონსულტირებისთვის საჭირო რეგულაციების მოძიება?

გ.დ) რა აუცილებელი რეკომენდაციები არსებობს გადამხდელის შეკითხვაზე პასუხის მოძიებასთან დაკავშირებით?

დ) გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევასთან დაკავშირებით:

დ.ა) კონსულტირების რომელ ეტაპზე ხორციელდება გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევასთან და რა აუცილებელი პროცედურებისგან შედგება ის?

დ.ბ) რას გულისხმობს კონსულტაციის გაწევა?

დ.გ) რას გულისხმობს გაწეული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის შენახვა?

დ.დ) რა აუცილებელი რეკომენდაციები არსებობს გადამხდელისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევასთან დაკავშირებით?

2.5. სავარჯიშოები

სავარჯიშო №2.1. საბაჟო საკითხებზე კონსულტირებასთან დაკავშირებით (პრაქტიკული სავარჯიშო): დახაზეთ საბაჟო საკითხებზე კონსულტირების პროცესის ამსახვლი დიაგრამა, ე.წ. კონსულტირების დიაგრამა. შესრულებული დავალება შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 2.1. Diagram of Counseling_(Your Name and Surname[34]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

[34] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

დანართი 2.1. კონსულტირების დიაგრამა



თავი 3. ფიზიკური პირების კონტროლი

(მოკლე შინაარსი: პირის იდენტიფიცირება; პირის გამოკითხვა; ფიზიკური პირის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა; ფიზიკური პირების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა; ფიზიკური პირის დათვალიერება; ექსპერტის მოწვევა საჭიროების შემთხვევაში; ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის შედგენა)

3.1. რისთვის არის საჭირო

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ფიზიკური პირების კონტროლის განხორციელება[35] მოიცავს საბაჟო კონტროლის შემდეგ პროცედურებს:

1. პირის იდენტიფიცირება;
2. პირის გამოკითხვა (ინტერვიურება);
3. ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4. ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა;
5. ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა;
6. ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება;
7. ექსპერტის მოწვევა ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით (საჭიროების შემთხვევაში);
8. ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის შედგენა.

3.1.1. პირის იდენტიფიცირება

პირის იდენტიფიცირება გულისხმობს საბაჟო კონტროლის მიზნით პირის შესახებ ინფორმაციის შედარებას ამ პირის სამგზავრო დოკუმენტებთან[36]. პირის იდენტიფიცირება საჭიროა მისი პერსონალური მონაცემების[37] დასადგენად, საქართველოს კანონმდებლობით

---

[35] ფიზიკური პირების საბაჟო კონტროლის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[36] **სამგზავრო დოკუმენტები** - პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბრუნების მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, ვიზა.

[37] **პერსონალური მონაცემი** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ფიზიკური პირებისთვის გათვალისწინებული შეღავათების[38] შესახებ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრულყოფილად განსახორციელებლად.

3.1.2. ფიზიკური პირის გამოკითხვა (ინტერვიურება)

ფიზიკური პირის გამოკითხვა (ინტერვიურება) გულისხმობს პირისათვის მიზანმიმართული შეკითხვების დასმას და მიღებული პასუხების ანალიზს. როგორც წესი, ფიზიკური პირის გამოკითხვა (ინტერვიურება) საჭიროა პირის შესახებ მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად.

3.1.3. ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს პირის (**მგზავრის**[39]) პირადი გასინჯვის შესახებ[40], ხოლო მისი **ბარგი**[41]**/ხელბარგის**[42] დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ბარგის ან/და ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

ასეთი გადაწყვეტილებები შესაძლოა მიღებულ იქნეს ფიზიკური პირის (მგზავრის) სამგზავრო დოკუმენტების, ინტერვიურებისა და მისი ქცევის ანალიზის საფუძველზე, რომლის მიზანია არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება ფიზიკური პირის (მგზავრის) ბარგის/ხელბარგის ან ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების შესახებ.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას, აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება იმ შემთხვევაში თუ საჯარო სამსახურში დასაქმებულ საბაჟო საქმის სპეციალისტს გაუჩნდება **საფუძვლიანი ეჭვი**[43], რომ საზღვრის გადამკვეთი ფიზიკური პირი (მგზავრი) ბარგში ან

---

[38] ფიზიკური პირის შეღავათები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

[39] **მგზავრი** - ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

[40] მგზავრის დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით.

[41] **ბარგი** - მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი.

[42] **ხელბარგი** - მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი.

[43] **საუძვლიანი ეჭვის** ქვეშ იგულისხმება სავარაუდო სამართალდამრღვევისათვის დამახასიათებელი ქცევითი (არაადეკვატური ქცევა, აგრესია, შიში, ზედმეტი ფამილიარობა და სხვ.) და გარეგნული ნიშნები (ნერვიულობა, საეჭვო ვარცხნილობა, არაადეკვატური ჩაცმულობა, საეჭვო მარშრუტი, საეჭვო ქვეყანა და სხვ.).

ხელბარგში, სხეულში ან სხეულზე მალავს აკრძალულ ან არადეკლარირებულ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელს.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ხორციელდება ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება. როგორც წესი, ჯერ ტარდება ფიზიკური პირის (მგზავრის) ბარგისა და ხელბარგის დათვალიერება, ხოლო შემდეგ თვითონ ამ ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერება (პირადი გასინჯვა), თუმცა შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს.

პირადი გასინჯვა შეუძლია აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც გასასინჯი პირის სქესისაა. გასასინჯი პირი უფლებამოსილია მოიწვიოს დამსწრე (არა უმეტეს ორისა), რისთვისაც მას მიეცემა გონივრული ვადა. აღნიშნული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულებათა დაზიანების, განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხე[44].

3.1.4. ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა

ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა ხორციელდება მისი დათვალიერების დაწყებამდე. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, პირს წარუდგინოს თანამდებობრივი მოწმობა, აცნობოს გადაწყვეტილება, გააცნოს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი დათვალიერების დროს (მათ შორის, ისიც რომ მგზავრს შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით) და მისცეს წინადადება დამალული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე[45].

დათვალიერებას დაქვემდებარებულ ფიზიკურ პირს (მგზავრს) უფლება აქვს[46]:

- გაეცნოს საქმის მასალებს;
- მისცეს ახსნა-განმარტებები;
- წარადგინოს მტკიცებულებები;
- განაცხადოს შუამდგომლობები;
- საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით;
- გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

---

[44] პირადი გასინჯვის ჩამტარებელი პირები და ჩატარების წესი განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით.

[45] დათვალიერების დაწყებამდე, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

[46] დათვალიერებას დაქვემდებარებული ფიზიკური პირის (მგზავრს) უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით.

- გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

დათვალიერებას დაქვემდებარებული ფიზიკური პირი (მგზავრი) ვალდებულია:

- წარმოშობილ ეჭვთან დაკავშირებით ზუსტად უპასუხოს დასმულ კითხვებს;
- ხელი არ შეუშალოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ პირადი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებას.

3.1.5. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა გულისხმობს დათვალიერების მეთოდის შერჩევას (სტაციონალური მეტალო დეტექტორის გამოყენება, ფიზიკური დათვალიერება, ექსპერტის მოწვევა) და ეფექტური დათვალიერების უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (ინსტრუმენების სტანდარტული ნაკრები, მათ შორის ხელის მეტალო დეტექტორი) შერჩევას, ასევე წინასწარი გეგმის ელემენტების განსაზღვრას (საჭიროა თუ არა გარე ექსპერტიზის განხორციელება, ასევე საჭიროა თუ არა ფუნქციების განაწილება დამთვალიერებელ პირებს შორის) და ამ გეგმის შემუშავებას.

3.1.6. ფიზიკური პირისა (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება

ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე[47]. ფიზიკური პირის (მგზავრის) ან/და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება საჭიროა კონტროლის შემდგომი პროცედურების დადგენის მიზნით და გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დათვალიერებისა და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ფიზიკური პირის (მგზავრის) ან/და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას.

ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების წესები[48], დათვალიერებაზე დამსწრე პირთა ჩამონათვალი[49], ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას დამთვალიერებელი

---

[47] ფიზიკური პირის დათვალიერების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

[48] მგზავრის დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით.

[49] დათვალიერებაზე დამსწრე პირთა ჩამონათვალი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით.

პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები[50] და მოვალეობები[51], ბარგის/ხელბარგის დათვალიერების წესი[52], ასევე მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები[53] და მოვალეობები[54] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

3.1.7. ექსპერტის მოწვევა ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით

ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევა გულისხმობს ფიზიკური პირის სხეულის იმ ადგილების დათვალიერებას რომელთა დათვალიერებაც შეუძლებელია შეუიარაღებელი თვალით. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ასეთ შემოწმებას შეიძლება ვუწოდოთ სამედიცინო შემოწმება. სამედიცინო შემოწმების საფუძველი შეიძლება გახდეს პირის საეჭვო ქცევა ან ნებისმიერი საეჭვო გარემოება, რომ ის თავისი სხეულის შიგნით მალავს აკრძალულ ან არადეკლარირებულ საქონელს. როგორც წესი, ასეთი შემოწმების საჭიროების აუცილებლობისას პირი გადაჰყვთ სამედიცინო დაწესებულებაში[55].

---

[50] ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით.

[51] ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით.

[52] მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით.

[53] ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

[54] ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით.

[55] ექსპერტის მოწვევის (მგზავრის სამედიცინო შემოწმების) შემთხვევა ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას განსაზღვრულია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

3.1.8. ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისა და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის შედგენა

ფიზიკური პირის (მგზავრის)[56] ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის (ოქმის)[57] შედგენა გულისხმობს ძირითადად დათვალიერების ადგილისა და თარიღის, დამთვალიერებელი და დასათვალიერებელი პირების, ასევე თარჯიმნის ან დათვალიერებაზე დამსწრე სხვა პირების რეკვიზიტების (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა), დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დროისა და დათვალიერების შედეგების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ, წერილობით დაფიქსირებას. დათვალიერების აქტი წარმოადგენს დათვალიერების განხორციელებისა და მისი შედეგების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს[58].

[56] ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტითა და დანართი №III–02-ით.

[57] ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და დანართი №III–03-ით.

[58] დათვალიერების აქტის შედგენის წესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის სანახავად იხილეთ ამ სახელმძღვანელოს 9.3 ქვეთავის „თ“ ქვეპუნქტით მოცემული რეკომენდაციები.

3.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით:

ა.ა) პირის იდენტიფიცირების წესები დადგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით.

ა.ბ) ფიზიკური პირის კონტროლის საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ა.გ) ფიზიკური პირის შეღავათები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

ბ) პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით სამართლებრივი რეგულირების წესები განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული პროცედურული სახელმძღვანელოებით.

გ) ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

გ.ა) პირადი გასინჯვის ჩამტარებელი პირები და ჩატარების წესი განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით.

გ.ბ) მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით.

დ) ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებით;

დ.ა) დათვალიერების დაწყებამდე, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

დ.ბ) დათვალიერებას დაქვემდებარებული ფიზიკური პირის (მგზავრს) უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით.

ე) ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესი, შესაძლოა რეგულირდებოდეს დამსაქმებლის შინაგანაწესით.

ვ) ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ვ.ა) ფიზიკური პირის დათვალიერების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

ვ.ბ) მგზავრის დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით.

ვ.გ) დათვალიერებაზე დამსწრე პირთა ჩამონათვალი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით.

ვ.დ) ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით.

ვ.ე) ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით.

ვ.ვ) ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

ვ.ზ) ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით.

ზ) ექსპერტის მოწვევის (მგზავრის სამედიცინო შემოწმების) შემთხვევა ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას განსაზღვრულია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

თ) ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

თ.ა) ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტითა და დანართი №III–02-ით.

თ.ბ) ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და დანართი №III–03-ით.

3.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, პირის იდენტიფიცირების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ბ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის კონტროლის საფუძველთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.გ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის შეღავათებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ) პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული პროცედურული სახელმძღვანელოთი განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ბ) რეკომენდებულია, პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით გამოიმუშაოთ და დანერგოთ ეფექტური მეთოდები.

გ) ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებული, პირადი გასინჯვის ჩამტარებელი პირებთან და ჩატარების წესთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ბ) რეკომენდებული, მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებით;

დ.ა) რეკომენდებულია, დათვალიერების დაწყებამდე, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ბ) რეკომენდებულია, დათვალიერებას დაქვემდებარებული ფიზიკური პირის (მგზავრს) უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ დამსაქმებლის შინაგანაწესით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას:

ვ) ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის დათვალიერების სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ბ) რეკომენდებულია, მგზავრის დათვალიერების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.გ) რეკომენდებულია, დათვალიერებაზე დამსწრე პირებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.დ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ე) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ვ) რეკომენდებულია, ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) უფლებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ზ) რეკომენდებულია, ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას, დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის) ვალდებულებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ზ) რეკომენდებულია, ექსპერტის მოწვევის (მგზავრის სამედიცინო შემოწმების) შემთხვევასთან დაკავშირებით ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას, გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ) ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

თ.ა) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესთან და ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტითა და დანართი №III–02-ით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ.ბ) რეკომენდებულია, ბარგის/ხელბარგის დათვალიერების აქტის (ოქმის) შედგენის წესთან და ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და დანართი №III–03-ით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ი) დათვალიერების მიმდინარეობისას რეკომენდებულია, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, ჰქონდეს დათვალიერების ჩატარების საფუძველი და დათვალიერება ჩაატაროს მისაღები და პროფესიონალური ფორმით. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ და გამოიყენოს ისინი კეთილგონივრულად და კეთილსინდისიერად.

კ) რეკომენდებულია, ყურადღება მიაქციოთ საფუძვლიანი ეჭვის გამომწვევ ფაქტორებს. კერძოდ, ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს:

კ.ა) ნარკოტიკების მომწოდებელი ქვეყნის საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დამღა პასპორტში;

კ.ბ) თუ მგზავრს არა აქვს, ან აქვს ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

კ.გ) მგზავრის არაადექვატური ქცევა (უჩვეულოდ დადის, რისი ახსნაც შეუძლებელია, შეენიშნება პირის სიმშრალე, უკანკალებს ხელები, სუნთქვა აქვს გახშირებული, დაჭიმული აქვს მკლავები და მტევნები, დაძაბულია, აჩქარებული აქვს გულის ცემა, საძილე არტერიის პულსი, გაწითლებული აქვს სახე, ოფლიანობს, ხმა უკანკალებს, ტუჩებს გამუდმებით ისველებს ენით, თვალს გარიდებთ და სხვ.);

კ.დ) უფლებამოსილი პირის მიერ დასმულ კითხვებზე თავის არიდება;

კ.ე) მგზავრის მხრიდან ფამილიარობა, ბევრი ლაპარაკი, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლისთვის ყურადღების გაფანტვის მცდელობა;

კ.ვ) მგზავრი არ ჯდება სტანდარტულ ტიპაჟში: აცვია იაფი ტანსაცმელი, მაგრამ ზის ძვირიან მანქანაში, აცვია ზედმიწევნით აკურატულად და სხვ.

კ.ზ) მგზავრი ავლენს ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ყოფნის სიმპტომებს: სურდოს ნიშნები, აქვს შევიწროებული ან გაფართოებული გუგები, დაძაბული ხმა, ჩაწითლებული თვალები ან „გაშეშებული“ მზერა, ნანემსარები;

კ.თ) მგზავრი იყენებს ყურადღების გაფანტვის ტაქტიკას - კამათობს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს ან აგინებს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს, აცხადებს, რომ არის ავად, მაგრამ ვიზუალურად არ ეტყობა ავადმყოფობის ნიშნები და ა.შ.

ლ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის შესაბამისად არსებობს შემთხვევები, რომლის დროსაც განსაზღვრული პირები შესაძლებელია გათავისუფლდნენ საბაჟო კონტროლისაგან (ასევე ეს საკითხი დარეგულირებულია 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენციით „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1993 წლის 13 მაისს). თუმცა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებული პირი ან/და მისი პირადი ბარგი/ხელბარგი შეიცავს საგნებს, რომელთა შემოტანა/გატანა აკრძალულია, ან რეგულირდება საქართველოს საკარანტინო წესებით, დათვალიერება უნდა განხორციელდეს დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

მ) ხშირად ტერმინებს „საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება“ და „საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავიუფლება“ ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობენ, თუმცა საბაჟო კონტროლი უფრო ფართე ცნებაა და შეიძლება მოიცავდეს საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავიუფლებასაც. უფრო კონკრეტულად თუ რა სხვაობაა ამ ორ ტერმინს შორის, რეკომენდებულია გაეცნოთ ამ სახელმძღვანელოს 5.2 ქვეთავს - საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება (საბაჟო შეღავათები).

ნ) მგზავრის დათვალიერებისას რეკომენდირებულია გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

ნ.ა) მგზავრის დათვალიერება წარმოებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ან მოწვეული სპეციალისტის მიერ, რომელიც დასათვალიერებელი პირის სქესისაა, ამისათვის ცალკე გამოყოფილ ადგილას, იმავე სქესის პირის (პირების) თანდასწრებით;

ნ.ბ) თავი აარიდეთ ეჭვმიტანილთან ხანგრძლივ საუბარს. მისი გარეგნობის, ჩაცმულობის და ხასიათის შესახებ არ გამოთქვათ კომენტარები. გახსოვდეთ, გასასინჯ პირს მოექეცით მაქსიმალურად თავაზიანად და რაც შეიძლება მოკლე დროში დაასრულეთ პირადი გასინჯვა.

ო) რეკომენდებულია, პირის დათვალიერებისთვის განკუთვნილი ოთახი იყოს:

ო.ა) საკმაო ფართის, რათა მასში დაეტიოს ყველა მონაწილე პირი, გასასინჯი პირის ჩათვლით;

ო.ბ) ეს ოთახი ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას დროებითი შეჩერების ოთახად, სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში.

ო.გ) მყარი (ცემენტის) იატაკით კედლებით და ჭერით, შეღებილი გასარეცხი საღებავით;

ო.დ) უფანჯრო, გარდა კარში ჩასმული, გარედან ჩასაკეტი სარკმლისა;

ო.ე) განათება ნათურით, გარეთა ბადით;

ო.ვ) ოთახში არ უნდა იყოს ელექტრო ჩამრთველები, ხოლო სინათლის გამომრთველი უნდა იყოს ოთახის გარეთ;

ო.ზ) ავეჯი უნდა შეადგენდეს მყარ, ლითონის სკამსა და მაგიდას, რომელიც არ იშლება და მყარადაა დამაგრებული იატაკზე;

ო.თ) ავეჯის კუთხეები უნდა იყოს გლუვი და მომრგვალებული.

ო.ი) ოთახში გამორიცხული უნდა იყოს დაკავებულის მიერ თვითდაზიანების შესაძლებლობა.

ო.კ) ოთახში, სადაც ტარდება პირადი გასინჯვა, არ გააჩეროთ ერთზე მეტი ეჭვმიტანილი.

ლ) მგზავრის დათვალიერების ოქმი აუცილებლად უნდა შედგეს სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში და რეკომენდირებულია შეივსოს შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 1 აგვისტოს 12858 ბრძანების შესაბამისად (დანართი №III–02 შესაბამისად):

ლ.ა) მგზავრის დათვალიერების ჩატარების მონაწილე ნებისმიერი პირის მიერ ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება ან შესწორება დადასტურებული უნდა იყოს მათივე ხელმოწერით. თუ არსებობენ მოწმეები, რომლებსაც შესაძლებელია გააჩნდეთ ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც;

ლ.ბ) მგზავრის დათვალიერების ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. თუ დათვალიერებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ოქმის ასლი საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან და ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს;

ლ.გ) მგზავრის დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი სამართალდარღვევის საგანი/საგნები, ოქმში დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს[59].

[59] შეადგინეთ სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ოქმი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

3.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) საბაჟო კონტროლის რა პროცედურებს მოიცავს ფიზიკური პირების კონტროლის განხორციელება სახელმძღვანელოს მიზნებისთვის?

ბ) პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს პირის იდენტიფიცირება?

ბ.ბ) რისთვის არის საჭირო პირის იდენტიფიცირება?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პროცედურები საქართველოში?

ბ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს პირის გამოკითხვა (ინტერვიურება) და რისთვის არის საჭირო ის?

გ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება პირის გამოკითხვა (ინტერვიურება) საქართველოში?

გ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია პირის გამოკითხვის (ინტერვიურების) მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

დ.ა) რა შემთხვევაში მიიღება ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილება?

დ.ბ) რა შეიძლება იგულისხმებოდეს ტერმინის - „საფუძვლიანი ეჭვის“ ქვეშ?

დ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესები საქართველოში?

დ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ე) ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებით:

ე.ა) როდის ხორციელდება ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა?

ე.ბ) რა უფლება-მოვალეობები აქვს დასათვალიერებელ ფიზიკურ პირს (მგზავრს) საქართველოს კანონმდებლობით?

ე.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებული წესები საქართველოში?

ე.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებული წესების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ვ) ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რას გულისხმობს ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა სახელმძღვანელოს მიზნებისთვის?

ვ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტით შეიძლება რეგულირდებოდეს ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრის წესები საქართველოში?

ვ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ზ) ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ზ.ა) რას გულისხმობს ფიზიკური პირისა (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერება?

ზ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ფიზიკური პირისა (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების წესები საქართველოში?

ზ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირისა (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

თ) ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებით:

თ.ა) რას გულისხმობს ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევა?

თ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევის (ფიზიკური პირის სამედიცინო შემოწმების) წესები საქართველოში?

თ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევის (ფიზიკური პირის სამედიცინო შემოწმების) წესების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ი) ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისა და მისი ბარგის/ხელბარგი დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით.

ი.ა) რას გულისხმობს ფიზიკური პირის (მგზავრის) ან/და მისი ბარგის/ხელბარგი დათვალიერების აქტის შედგენა?

ი.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ფიზიკური პირის (მგზავრის) ან/და მისი ბარგის/ხელბარგი დათვალიერების აქტის შედგენის წესები საქართველოში?

ი.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიზიკური პირის (მგზავრის) ან/და მისი ბარგის/ხელბარგი დათვალიერების აქტის შედგენის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

3.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №3.1. პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგაასახადო კოდექსში იპოვეთ ფიზიკურის პირის შეღავათები. ნაპოვნი ინფორმაცია შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.1. Identification of Person_(Your Name and Surname[60]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №3.2. პირის გამოკითხვასთან (ინტერვიურებასთან) დაკავშირებით (დავალება): პირის უფლებები და მოვალეობები მისი გამოკითხვისას (ინტერვიურებისას) იგივეა, რაც მისი დათვალიერებისას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით იპოვეთ პირის უფლებების ჩამონათვალი მისი გამოკითხვისას. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.2. Individual Surveying_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №3.3. ფიზიკური პირის (მგზავრის) ან მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ მგზავრის, ბარგისა და ხელბარგის განმარტებები, ასევე პირადი გასინჯვის ჩატარების უფლების მქონე ორგანოების ჩამონათვალი. ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტების, მუხლებისა და ნაწილების მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.3. Decision Making_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №3.4. ფიზიკური პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობასთან დაკავშირებით (დავალება): ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით იპოვეთ პირის უფლებების ჩამონათვალი მისი დათვალიერებისას. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.4. Rights and Obligations_(Your Name and Surname)

---

[60] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

- და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №3.5. ფიზიკური პირის დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ დამთვალიერებელი პირის (საგადასახადო ორგანოს უფ;ებამოსილი პირის) უფლებები და მოვალეობები ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისას და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას. ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.5. CO Rights and Obligations_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ზ) სავარჯიშო №3.6. ფიზიკური პირის (მგზავრის) და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების წესები, დათვალიერებაზე დამსწრე პირთა ჩამონათვალი და ბარგის/ხელბარგის დათვალიერების წესები. ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.6. Individual Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თ) სავარჯიშო №3.7. ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ ფიზიკური პირის კონტროლის მიზნით ექსპერტის მოწვევასთან (მგზავრის სამედიცინო შემოწმებასთან) დაკავშირებული წესები. ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.7. Experts Invitation_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ი) სავარჯიშო №3.8. ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერებისა და მისი ბარგის/ხელბარგი დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება). საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ ფიზიკური პირის (მგზავრის) დათვალიერების ოქმისა და მისი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმის შედგენის წესები. ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 3.8. Protocol of Individual Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თავი 4. სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი

(მოკლე შინაარსი: სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის განხორციელება; სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმება; სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრა; სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა; საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება; სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება; საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება; საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება; კონტეინერების დათვალიერება; სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტის მოიწვევა; სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენა)

4.1. რისთვის არის საჭირო

სატრანსპორტო საშუალების კონტროლი გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მიმართ განხორციელებულ საბაჟო კონტროლს, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შემოტანასთან და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მათ გატანასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა. როგორც წესი, სატრანსპორტო საშუალებების კონტოლს ახორციელებს საჯარო სამსახურში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტი.

საბაჟო საქმის სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების საბაჟო დათვალიერებას, ითვლება აკრძალული ან შეზღუდული საქონლის ქვეყანაში შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ბარიერად.

ცნობილია ფაქტია, რომ საბაჟოს თანამშრომელთა მუშაობის მეთოდები ინდივიდუალურია და განსხვავდება ერთმანეთისაგან მძღოლთან (ან მგზავრებთან) გამართული უმნიშვნელო დიალოგიდან დაწყებული, დაწვრილებითი გამოკითხვით, ბარგისა და სატრანსპორტო საშუალებების საფუძვლიანი შემოწმებით დამთავრებული. სახელმძღვანელოში თავმოყრილია ყველა ამ მეთოდთა ძირითადი პრინციპები.

ჩვეულებრივ, პირებს, რომლებიც ცდილობენ შემოიტანონ საზღვარზე კონტრაბანდა, წინასწარ აქვთ შემზადებული სპეციალური „ისტორიები“ ე.წ. „ლეგენდები“, რომლითაც ხსნიან საზღვარზე თავისი გადაადგილების მიზეზს. როგორც წესი, ასეთი „ახსნა-განმარტებები“ წარმოდგენილია დიდი მონდომებითა და ენათუზიაზმით, თუმცა, საკმაოდ ხშირად, ბოლომდე არ არის მოფიქრებელი. საბაჟო საქმის გამოცდილი სპეციალისტის მიერ რამოდენიმე მიზანმიმართული შეკითხვის დასმა, ხშირად საკმარისია ამ „ისტორიების“ ნამდვილობის დასადგენად და დამალული კონტრაბანდის ან ნარკოტიკების გამოსავლენად.

სახელმძღვანელოში მოცემულია სამალავთა ძებნის ძირითადი მეთოდები, იმ სატრანსპორტო საშუალებათა სახეები, რომლებსაც მეტნაკლებად ხშირად შეხვდებით საბაჟო საზღვარზე.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის განხორციელება გულისხმობს:

1. სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმებას;
2. სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრას (არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის არსებობის გამორიცხვა, ზენორმატიული/არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების შემოწმება-კორექტირება);
3. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას (საჭიროების შემთხვევაში);
4. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრას (საჭიროების შემთხვევაში);
5. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას (საჭიროების შემთხვევაში);
6. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას (საჭიროების შემთხვევაში);
7. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას (საჭიროების შემთხვევაში);
8. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას (საჭიროების შემთხვევაში);
9. კონტეინერების დათვალიერებას (საჭიროების შემთხვევაში);
10. ექსპერტის მოწვევას სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში);
11. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენას.

4.1.1. სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმება.

თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მაიდენტფიცირებელი ნიშნების შედარებას მის თანმხლებ დოკუმენტაციაში აღნიშნულ ინფორმაციასთან. ასეთი შემოწმება საჭიროა იმისათვის რათა დავაზუსტოთ, რომ სწორედ იმ სატრანსპორტო საშუალების კონტროლს ვახორციელებთ, რომელიც თანმხლებ დოკუმეტაციაშია აღნიშნული.

საქართველოს კანონმდებლობით[61] განსაზღვრულია ერთი საბაჟო კონტროლის ზონიდან მეორე საბაჟო კონტროლის ზონამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადები, რომელთა დარღვევა ითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად, რისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა[62]. მიტანის ვადების შემოწმება საჭიროა ვადის დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის გამოსარიცხად. მიტანის ვადებთან დაკავშირებით იხილეთ 10.1.2 ქვეთავი.

4.1.2. სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრა

სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრა დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებულ, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე, სხვადასხვა თანხმხლებ დოკუმენტში საქონლის დასახელებასთან, წონასთან, ღირებულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემების არსებობაზე, ასევე სატრანსპორტო საშუალების გარეგნულ ნიშნებსა და მძღოლის ან მგზავრების საეჭვო ქცევაზე. კონტროლის მიზნის განსაზღვრა საჭიროა ამ სატრანსპორტო საშუალების (ან მასში განთავსებული საქონლის) მიმართ გასატარებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განსაზღვრისათვის. სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის მიზანი ყველაზე ხშირად შესაძლოა იყოს:

- სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის აღმოჩენა ან ასეთი საქონლის არსებობის გამორიცხვა;
- ზენორმატიული/არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების შემოწმება ან კორექტირება (საავტომობილო ტრანსპორტის შემთხვევაში).

არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის აღმოსაჩენად ან ასეთი საქონლის არსებობის გამოსარიცხად შეიძლება განხორციელდეს როგორც აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმნტების შემოწმება ისე მისი ფიზიკური დათვალიერება, რაზედაც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

ზენორმატიული/არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების შემოწმება ხორციელდება იმ საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების მიმართ, რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. საქართველოს კანონმდებლობით[63], ზენორმატიულად (მძიმეწონიანად) ითვლება ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალება,

---

[61] საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტენის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლით.

[62] მიტანის ვადის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით - ფულადი ჯარიმა ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 000 ლარისა.

[63] საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების ზენორმატიული დატვირთვის პარამეტრები განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას.

ზენორმატიული დატირთვის პარამეტრების დარღვევით საქონლის გადაზიდვა ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რისთვისაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით[64] გათვალისთინებულია პასუხისმგებლობის ზომა.

საქართველოს კანონმდებლობით[65], სატრანსპორტო საშუალება არაგაბარიტულად (მსხვილგაბარიტიანად) ითვლება, თუ მისი პარამეტრები აღემატება ერთ-ერთს მაინც შემდეგი მაჩვენებლებიდან:

ა) სიმაღლე (სავალი ნაწილის ზედაპირიდან) – ავტომზიდის ან კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში – 4,30 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში – 4 მეტრს;

ბ) სიგანე – რეფრიჟერატორის შემთხვევაში – 2,60 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში – 2,55 მეტრს;

გ) სიგრძე – ავტომატარებლის შემთხვევაში – 20 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში – 12 მეტრს, ან თუ ტვირთი სატრანსპორტო საშუალების უკანა გაბარიტის წერტილიდან 2 მეტრზე მეტადაა გამოშვერილი.

ზენორმატიული და არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების უკეთესად დამახსოვრების მიზნით იხილეთ ამ თავის 4.1 დანართი.

საქართველოს კანონმდებლობით[66], საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი საგაბარიტო პარამეტრების კორექტირება შეუძლებელია ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას. ასეთი ტვირთის გატარება დასაშვებია საპატრულო პოლიციისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი შეთანხმების (რეკომენდაციის) მიღების შემდეგ.

არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვასთან (საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების შესაძლო ნაწილობრივი რეკონსტრუქციის ღონისძიებების და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან)

---

[64] ზენორმატიული დატირთვის პარამეტრების დარღვევით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129(პრიმა) მუხლით - ფულადი ჯარიმა ყოველ ზედმეტ კილოგრამზე 0.5 ლარის ოდენობით.

[65] საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრები განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-8 პუნქტით.

[66] საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისათვის საბაჟო სამსახურისათვის წარსადგენი რეკომენდაციის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით.

დაკავშირებული, ასევე ტვირთის კორექტირებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება დეკლარანტს/გადამზიდველს[67].

4.1.3. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ასევე ტრანსპორტირების მეთოდთან საქონლის შესაბამისობის ანალიზს. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციის (მაგალითად, სხვადასხვა თანხმხლებ დოკუმენტში საქონლის დასახელებასთან, წონასთან, ღირებულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემების არსებობა, მძღოლის/მგზავრების საეჭვო ქცევა ან სხვა საეჭვო გარემოება) ფაქტობრივი გადამოწმების საჭიროების შემთხვევაში.

4.1.4. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა

სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა გულისხმობს დათვალიერების მეთოდის შერჩევას (სრული დათვალიერება; შერჩევითი დათვალიერება; ექსპერტის მოწვევა) და ეფექტური დათვალიერების უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (რენტგენული ინსპექტირების სისტემა - სკანერი, ინსტრუმენების სტანდარტული ნაკრები - სასწორი, სარკე, ბასტერი, სიგრძის საზომი, ფანარი, ბრტყელტუჩა, სახრახნისი) შერჩევას, ასევე წინასწარი გეგმის შემუშავებას (საჭიროა თუ არა დათვალიერების ადგილის შემოსაზღვრა, რადიაციული ფონის შემოწმება, სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის შეფუთვის გახსნა, მისი ხელახალი შეფუთვა, სინჯების და ნიმუშების აღება, გარე ექსპერტიზა, ასევე საჭიროა თუ არა ფუნქციების განაწილება დამთვალიერებელ პირს, დამკვირვებელ პირსა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელს შორის).

4.1.5. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება

საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას და შესაბამისი

[67] არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით.

ჩანაწერების გაკეთებას, ასევე დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას. ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება, აკრძალული ან არადეკლარირებული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყველაზე გავრცელებული სახეებთან დაკავშირებით იხილეთ ამ თავის 4.2.1 დანართი.

როგორც წესი, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში[68]:

ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით ან/და

ბ) ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების (მსუბუქი, სატვირთო, სამგზავრო) საბაჟო დათვალიერების პროცესი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად:

- წინასწრი დათვალიერება;
- პირველადი დათვალიერება;
- დეტალური (მეორადი) დათვალიერება.

წინასწარი დათვალიერების მიზანია, საბაჟო საქმის სპეციალისტის გამოცდილებაზე დაყრდნობით, სატრანსპორტო საშუალებათა მაქსიმალურად მოკლე დროში გაშვება. კერძოდ, საბაჟო საქმის გამოცდილ სპეციალისტს ხშირად აღმოუჩენია კონტრაბანდა მანამ, სანამ დასვამდა პირველ შეკითხვას.

არსებობს ბევრი ნიშანი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოვავლინოთ ნარკოტიკებიანი ავტომანქანა, მოპარული ავტომანქანა ან ავტომანქანა რომლითაც გადააქვთ კონტრაბანდა და საბაჟო სამსახურის კარგი თანამშრომელი შეამჩნევს მათ ჯერ კიდევ მანამ, სანამ ავტომანქანა გაჩერდება პირველადი დათვალიერების ზოლში.

წინასწარი დათვალიერების ეფექტურად განხორციელება ფასდაუდებელ სამსახურს უწევს საბაჟო საქმის სპეციალისტს სატრანსპრტო საშუალების დთვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღებისას რადგან ასეთი დათვალიერებისათვის საჭიროა სულ რამოდენიმე წუთი, თუმცა ამ მოკლე დროში საბაჟო ორგანოს გამოცდილი თანამშრომელი განსაზღვრავს რა შეკითხვები უნდა დაისვას დათვალიერების შემდგომ (პირველადი დათვალიერების) ეტაპზე, ან მიიღებს გადაწყვეტილებას ავტომანქანის პირველადი და

[68] საგადასახადო ორგანოს თანხმობით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს დეკლარანტის (საქონლის მიმღების) მიერ გაცხადებულ ტერიტორიაზე.

დეტალური დათვალიერების გარეშე გაშვების შესახებ (იხ. 4.3. ქვეთავი, წინასწარ დათვალიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები).

პირველადი დათვალიერება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების შესახებ წინასწარი დათვალიერებისას გაჩენილი ყველა საეჭვო გარემოების გადამოწმებას, მძღოლისთვის ან მგზავრებისთვის მიზანმიმართული კითხვების დასმითა და სატრანსპორტო საშუალებების სტანდარტული განყოფილებების დათვალიერებით (იხ. 4.3. ქვეთავი, პირველად დათვალიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები).

წინასწარი დათვალიერების შედეგებიდან გამომდინარე, პირველადი დათვალიერების დასაწყისში დასმული რამოდენიმე მიზანმიმართული შეკითხვა და ყურადღებით დაკვირვება ეხმარება საბაჟო საქმის სპეციალისტს დარწმუნდეს თავისი გადაწყვეტილების სისწორეში - გაუშვას ავტომანქანა თუ მოახდინოს მისი დეტალური დათვალიერება. პირველადი დათვალიერების განხორციელების მიზანიც სწორედ ეს არის - დავრწმუნდეთ გადაწყვეტილების სისწორეში გავუშვათ ავტომანქანა თუ ჩავუტაროთ მას დეტალური დათვალიერება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველადი საბაჟო დათვალიერება უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება მოკლე დროში, ეს ეტაპი არ არის განკუთვნილი დეტალური დათვალიერებისათვის და თუ საჭირო გახდა ერთზე მეტი არასტანდარტული განყოფილების გაღება ან მგზავრთა დაწვრილებითი გამოკითხვა, ავტომანქანა უნდა გაიგზავნოს დეტალურ დათვალიერებაზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამოდენიმე ფაქტორი, რომლებსაც უნდა მიექცეს ყურადღება ტურისტებთან, მგზავრებთან თუ მძღოლებთან საუბრისას, სატრანსპორტო საშუალებათა პირველადი დათვალიერებისას. კერძოდ, თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს მაინც აქვს ადგილი, მაშინ უნდა დადგეს ავტოსატრანსპორტო საშუალების დეტალური დათვალიერების აუცილებლობა:

ა) ეკუთვნის თუ არა ავტომანქანა მძღოლს, აქვს თუ არა მფლობელობის დამადასტურებელი საბუთები;

ბ) შეესაბამება თუ არა ავტომანქანის შემადგენლობა (მგზავრები, ბარგი) იმ „ისტორიას“ რომელიც წარმოგვიდგინა მძღოლმა;

გ) მუშაობს თუ არა საწვავის დონის მაჩვენებელი და სწორია თუ არა მისი ჩვენება;

დ) არის თუ არა წარმოდგენილი ავტომანქანის სარეგისტრაციო საბუთი;

ე) არის თუ არა ავტომანქანა რეგისტრირებული იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობს მძღოლი (ხშირად კონტრაბანდისტები ქირაობენ სხვა პირს თავისი ავტომანქნის საზღვარზე გადასაადგილებლად, რომელთაც ჟარგონზე „მულამი“-ს უწოდებენ);

ვ) ავტომანქანა ახლახანს არის შეძენილი და სარეგისტრაციო საბუთი ოფიციალურად ჯერ არ არის გაფორმებული.

დეტალური დათვალიერება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების შესახებ წინასწარი ან პირველადი დათვალიერებისას გაჩენილი ყველა საეჭვო გარემოების გადამოწმებას, მძღოლისთვის ან მგზავრებისთვის მიზანმიმართული კითხვების დასმითა და

სატრანსპორტო საშუალებების დეტალური დათვალიერებით. დეტალური დათვალიერება ტარდება იმისათვის, რათა შემოწმდეს სატრანსპორტო საშუალების ყველა, როგორც სტანდარტული ისე არასტანდარტული განყოფილება. ამასთან, თუ საფუძვლიანი დათვალიერებისათვის საჭირო გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალების რომელიმე ნაწილის მოხსნა, შესაძლებელია დათვალიერებაში ჩავრთოთ შესაბამისი სპეციალობის ექსპერტები.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დეტალური საბაჟო დათვალიერება უნდა ჩატარდეს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რათა დათვალიერების პროცესმა არ შეაფერხოს საბაჟო სამსახურის მუშაობა (იხ. 4.3 ქვეთავი, დეტალურ დათვალიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები).

4.1.6. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება

სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას, ასევე დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება, არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა ყველაზე გავრცელებულ სახეებთან დაკავშირებით იხილეთ ამ თავის 4.3. დანართი.

4.1.7. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება

საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას, ასევე დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება, არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების ყველაზე მეტად გავრცელებული სახეების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 4.4. დანართით.

4.1.8. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება

საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას, ასევე დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების მიზანი, ისევე როგორც ზემოთ განხილული სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, არის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება, არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

თვითმფრინავი წარმოადგენს კომპლექსურ საფრენ აპარატს, რომელსაც უამრავი სამალავი შეიძლება გააჩნდეს, თუმცა საბაჟო მიზნებისათვის ძირითადად დათვალიერებას ექვემდებარება ისეთი ადგილები, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია თვითმფრინავის ეკიპაჟისა და მომსახურე პერსონალისათვის და არ საჭიროებს სპეციალური კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოწვევას.

4.1.9. კონტეინერების დათვალიერება

კონტეინერების დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, კონტეინერების დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას, ასევე დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას. კონტეინერების დათვალიერების მიზანი, ისევე როგორც, ზემოთ განხილული სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, არის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება, არადეკლარირებული ან აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

კონტეინერი (Container) წარმოადგენს სპეციალურ სათავსს ტვირთების გადასაზიდად. პირველი საკონტეინერო სტანდარტები 1920 წელს იქნა შემოღებული დიდ ბრიტანეთში და ისინი განკუთვნილი იყვნენ რკინიგზით ტვირთების გადასაზიდად. ეს კონტეინერები ხისგან იყო დამზადებული და აბსოლუტურად ვერ პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს კონტეინერების მიმართ (როგორიცაა გამძლეობა, მდგრადობა, უსაფრთხოება, გადაადგილების სიადვილე).

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან საგარეო ვაჭრობის განვითარების კვალდაკვალ საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში ფართოდ გამოყენებადი გახდა მულტიმოდალური (მრავალსახეობრივი ტრანსპორტით განხორციელებული) გადაზიდვები, რამაც გაზარდა კონტეინერების მნიშვნელობა, იმდენად, რომ 1972 წელს ჟენევაში მიღებულ

იქნა სპეციალური საბაჟო კონვენცია კონტეინერების შესახებ. კონტეინერი უკვე მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში ცალკე სატრანსპორტო საშუალებად განიხილება.

მართალია კონტეინერის გამოგონებამ გააიოლა საერთაშორისო გადაზიდვა, მაგრამ, იმავდროულად კონტეინერი კონტრაბანდის გადაადგილებისათვის საკმაოდ პოპულარული საშუალებაც გახდა, რასაც რამოდენიმე მიზეზი განაპირობებს. მათ შორის საკონტეინერო სიმრავლე, რაც ფიზიკურად შეუძლებელს ხდის ყველა მათგანის ფიზიკურ დათვალიერებას საბაჟო სამსახურების მიერ, აგრეთვე მათი დაცულობა, რადგანაც კონტეინერი გამგზავნის ტერიტორიიდან მიმღების ტერიტორიამდე თითქმის არ იხსნება, მათი დიდი მოცულობა, რაც ართულებს მცირე ზომის კონტრაბანდის მიგნებას და სხვა.

საკონტეინერო გადაზიდვებზე მოთხოვნის გაზრდამ განაპირობა მათი მრავალფეროვნება. სახელმძღვანელოში განხილულია საერთაშორისო გადაზიდვებში გამოყენებული კონტეინერების რამოდენიმე ძირითადი სახეობა:

1. 20 ან 40 ფუტიანი სატვირთო კონტეინერები. დამზადებულია გოფრირებული ლითონის ფურცლებისაგან და გამოიყენება თითქმის ყველა სახეობის ტვირთებისთვის, რომელსაც არ სჭირდება გაყინვა ან შენახვა/ტრანსპორტირების სპეციელური პირობები.

2. 20 ან 40 ფუტიანი მაცივარი-კონტეინერები (რეფრეჟერატორი). სამაცივრო აგრეგატი დამაგრებულია ამ კონტეინერების წინა ნაწილზე. შიდა და გარე კედლებს შორის, ასევე იატაკსა და სახურავს შორის მოთავსებულია 100 მმ სისქის საიზოლაციო ფენა. ცივი ჰაერი სამაცივრო აგრეგატიდან ხვდება კონტეინერის უკანა ნაწილში ბრეზენტით დაფარული საჰაერო მილებით. გამოიყენება ძირითადად მალფუჭებადი პროდუქტების გადასაზიდად.

3. ცისტერნა, რაც განკუთვნილია თხევადი ნივთიერებების ან მაღალი წნევის ქვეშ მყოფი აირების (მაგალითად, თხევადი აირის) გადასაზიდად. ცისტერნა შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს.

კონტეინერების ყველაზე მეტად გავრცელებული სახეების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ამავე თავის 4.5. დანართით, ხოლო მათ დათვალიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია ამავე თავის 4.3. ქვეთავის „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით.

4.1.10. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტი მოიწვევა

სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტი მოიწვევა იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისას საჭირო გახდა მისი ისეთი ნაწილის მოხსნა, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, რაც გააჩნიათ ამ სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ექსპერტებს. მაგალითად, თვიმფრინავის დეტალური დათვალიერებისათვის, როცა საჭიროა მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილის მოხსნა, მოწვეულ უნდა იქნეს ატესტირებული საავიაციო მექანიკოსი, რისთვისაც საბაჟო სამსახური მიმართავს ავიაკომპანიას.

4.1.11. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენა

სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენა საჭიროა დათვალიერების შედეგების ოფიციალური დაფიქსირებისთვის. დათვალიერების აქტი წარმოადგენს დათვალიერების განხორციელებისა და მისი შედეგების დამადასტურებელ დოკუმენტს. დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია სახელმძღვანელოს 9.1.4 ქვეთავით.

4.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტენის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლით.

ბ) მიტანის ვადის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გ) საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების ზენორმატიული დატვირთვის პარამეტრები განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

დ) ზენორმატიული დატირთვის პარამეტრების დარღვევით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129(პრიმა) მუხლით.

ე) საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრები განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-8 პუნქტით.

ვ) საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისათვის საბაჟო სამსახურისათვის წარსადგენი რეკომენდაციის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით.

ზ) არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით.

4.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების წინასწარი დათვალიერებისას რეკომენდებულია დააკვირდეთ ავტომანქანას, ხომ არ იქცევს ყურადღებას რაიმე უჩვეულო ფაქტორი, მაგალითად:

ა.ა) თითის შესამჩნევი ანაბეჭდები ან ლაქები წინა ბამპერზე, ფარებსა, ფრთებზე;

ა.ბ) სანომრე ნიშანი სუფთაა, ავტომანქანა ჭუჭყიანი ან პირიქით;

ა.გ) საბურავები დაწეულია დაბლა, ან ძალიან სუფთაა ავტომანქანასთან შედარებით ან ახალი შეცვლილია (შეცვლის კვალი საბურავის სამაგრებზე. ხშირად კონტრაბანდისტები წმენდენ საბურავებს გარეთა მხრიდან რომ გააქრონ ხელის კვალი ან ლაქები, მაგრამ ავიწყდებათ შიგნითა მხარის გაწმენდა. თუ დარწმუნებული არა ხართ არის თუ არა შენაცვლელი საბურავი ან ქონდა თუ არა საბურავის რეზინების გადანაცვლებას ადგილი, შეამოწმეთ იგი შიგნითა მხრიდან).

ა.დ) ავტომანქანის წინა ან უკანა მხარე გამოიყურება ზედმეტად მძიმედ;

ა.ე) შეატყვეთ, რომ რომ მძღოლმა კარგად არ იცის მანქანის მართვა.

ა.ვ) დათვალიერების დაწყების წინ დაუთმეთ რამოდენიმე წამი იმის გარკვევას, შეესაბამება თუ არა მძღოლი/მგზავრი(ები) თავის ავტომანქანას. მღოლის/მგზავრის(ების) სატრანსპორტო საშუალებასთან შეუსაბამობად შესაძლოა მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები:

ა.ვ.ა) ახალგაზრდა ტურისტები მგზავრობენ „ფურგონის“ ტიპის საოჯახო ავტომანქანით;

ა.ვ.ბ) ხნიერი ადამიანი(ან რამოდენიმე ადამიანი), ჩაცმული იაფფასიან, შეუხედავ ტანსაცმელში მგზავრობს ძვირადღირებული სპორტული ან ტურისტული ავტომანქანით;

ა.ვ.გ) უსუფთაო, დაუდევარი ადამიანი მგზავრობს ძალიან სუფთა და აკურატული ავტომანქანით;

ა.ვ.დ) სუფთად, სასიამოვნოდ ჩაცმული ადამიანი მგზავრობს ავტომანქანით, რომელშიც აბსოლუტური უწესრიგობაა, ან ავტომანქანით, რომელიც ძალიან ჭუჭყიანია;

ა.ვ.ე) მგზავრები ნერვიულობენ, იქცევიან ზედმეტად მეგობრულად ან/და თავისუფლად (იგულისხმებაუჩვეულო, სიტუაციისთვის არადამახასიათებელი ნებისმიერი ემოცია).

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პირველადი დათვალიერებისას რეკომენდებულია:

ბ.ა) სთხოვეოთ მძღოლს გამორთოს ძრავი;

ბ.ბ) მიიღეთ მძღოლისაგან სწორად შევსებული საბაჟო დეკლარაცია, იყავით ყურადღებით და მოითხოვეთ მისგან კონკრეტული პასუხები;

ბ.გ) დარწმუნდით რომ მძღოლი სწორად იგებს რას ითხოვთ მისგან;

ბ.დ) გამოართვით მძღოლს და თუ საჭიროა მგზავრსაც(ებსაც) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ.ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების ძირითადი ადგილები პირველადი დათვალიერებისას:

ბ.ე.ა) გარეთა ადგილები - მარჯვენა და მარცხენა გვერდები, წინა და უკანა ადგილები, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ქვემოთა და ზემოთა ადგილები;

ბ.ე.ბ) სალონი;

ბ.ე.გ) ძრავის განყოფილება;

ბ.ე.დ) საბარგული - მსუბუქი ავტომანქანის, ავტობუსის ან მიკროავტობუსის შემთხვევაში;

ბ.ე.ე) სატვირთო განყოფილება - სატვირთო ავტომანქანის შემთხვევაში;

ბ.ე.ვ) საწვავის ავზი - სატვირთო ავტომანქანის ან ავტობუსის შემთხვევაში;

ბ.ვ) პირველადი დათვალიერება, როგორც წესი, ხორციელდება მძღოლის თანდასწრებით. ამასთან, ავტომანქანის განყოფილებები ან მგზავრის(ების) ჩანთები უნდა გახსნას მძღოლმა (ან მგზავრმა, რონლის ჩანთასაც ვათვალიერებთ). საბაჟოს თანამშრომლები თვითონ ხსნიან განყოფილებებსა და ჩანთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მძღოლს/მგზავრს ფიზიკურად არ შეუძლიათ მათი გახსნა.

ბ.ზ). როდესაც მიემართებით საბარგულისაკენ ან ძრავისაკენ, იარეთ არა მძღოლის წინ, არამედ მძღოლის უკან;

ბ.თ) თვალი ადევნეთ მძღოლს როდესაც ის აღებს ავტომანქანის განყოფილებებს ან ბარგს. რეკომენდებულია, დათვალიერებისას ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ გარემოებებზე:

ბ.თ.ა) იცნობს თუ არა მძღოლი ავტომანქანას?

ბ.თ.ბ) ხომ არ ყოყმანობს ან/და ხომ არ ავლენს ნერვიულობას?

ბ.თ.გ) ხომ არ უცახცახებს ხელები როდესაც აღებს განყოფილებას ან ხსნის ჩანთას?

ბ.თ.დ) ხომ არ „აცეცებს“ თვალებს სხვადასხვა მხარეს?

ბ.თ.ე) როდესაც ძრავის სახურავი (ე.წ. „კაპოტი“) ან საბარგულის სახურავი არის ღია, სთხოვეთ მძღოლს გადგეს გვერდზე. არავითარ შემთხვევაში არ შეყოთ ხელი ან თავი როდესაც მძღოლი დგას იქვე (თუ თქვენ ენდობით მძღოლს და ანდობთ საკუთარ სიცოცხლეს, მაშინ რა საჭიროა ავტომანქანის დათვალიერება);

ბ.ი) თუ თქვენ უშვებთ ავტომანქანას დეტალური დათვალიერების გარეშე, მადლობა გადაუხადეთ მძღოლს და თავაზიანად აცნობეთ მას, რომ შეუძლია გაიაროს;

ბ.კ) პირველადი დათვალიერებისას თუ რაიმე მიზეზით ვერ ხერხდება ავტომანქანის რომელიმე სტანდარტული ან არასტანდარტული განყოფილების გაღება, გააგზავნეთ იგი დეტალურ (მეორად) დათვალიერებაზე.

გ) რეკომენდაციები ავტოსატრანსპორტო საშუალების დეტალური დათვალიერებისას:

გ.ა) დეტალური დათვალიერება უნდა ჩატარდეს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რათა დათვალიერების პროცესმა არ შეაფერხოს საბაჟო სამსახურის მუშაობა (საბაჟო გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობა);

გ.ბ) დეტალური დათვალიერების ადგილი აღჭურვილი იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების უსაფრთხოდ და მოკლე დროში განსახორციელებლად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით. კერძოდ:

გ.ბ.ა) მოწყობილი უნდა იყოს სპეციალური ორმო სატრანსპორტო საშუალების ქვემოდან დათვალიერებისათვის;

გ.ბ.ბ) მოწყობილი უნდა იყოს სპეციალური შემაღლებული ადგილი (ე.წ. „კიბე“) სატვირთო სატრანსპორტო საშუალების ან ავტობუსის ზემოდან დათვალიერებისათვის;

გ.ბ.გ) მოწყობილი უნდა იყოს სასწორი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წონის დასაზუსტებლად;

გ.ბ.დ) ხელმისაწვდომი უნდა იყოს დათვალიერებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები (მათ შორის, სპეციალური სარკეები, სიგრძისა და სიმკვრივის საზომები და ა.შ.).

გ.ბ.გ) დათვალიერების შედეგების დასაფიქსირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ფოტო ან/და ვიდეო გადაღება.

გ.გ) დეტალური დათვალიერებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება არ უნდა გაუშვათ მანამ, სანამ საფუძვლიანად არ შემოწმდება ყველა საეჭვო განყოფილება.

დ. რეკომენდაციები სატვირთო კონტეინერების შემოწმებისას:

დ.ა) კონტეინერის შემოწმების დაწყებამდე სასურველია დახედოთ მის სახურავს და დააკვირდეთ რაიმე დაზიანების ან საეჭვო ნიშნებს, შეკეთების კვალს და სხვა. ბრტყელსახურავიანი კონტეინერების სახურავი შეიძლება იყოს ამობურცული. ყოფილა შემთხვევები, როცა კონტეინერის სახურავზე მოთავსებული იყო კონტრაბანდა და შემდეგ ის გადახურული იყო მეორე ლითონის ფურცლით. ასეთი ამობურცვა იწყება კონტეინერის გვერდებიდან მოშორებით, ცენტრისაკენ, რადგანაც ის შეუმჩნეველი გახდეს კონტეინერის გვერდიდან შემოწმებისას;

დ.ბ) შეამოწმეთ კონტეინერის ნომერი. რაიმე საერთაშორისო ნუმერაციის სისტემა არ არსებობს, ამიტომაც ყველა კომპანიას საკუთარი ნუმერაციის სისტემა გააჩნია. ის შედგება ოთხამდე ლათინური ასოსა და 6-8 ციფრისაგან. ლათინური ასოები მისი მფლობელის კოდს წარმოადგენს. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ, რომ ერთიდაიმავე მფლობელის კონტეინერს ერთნაირი კოდი უნდა ჰქონდეს. საეჭვოა ხელით დაწერილი, გადასწორებული ან არაპროფესიონალურად დაწერილი ნომრები. სატვირთო დოკუმენტაციიდან გაარკვევთ კონტეინერი გადამზიდველის საკუთრებაა თუ იჯარითაა აღებული. საკუთარი კონტეინერები უფრო მაღალი რისკის მატარებელია, რადგანაც კონტრაბანდის გადასაზიდად მათი გადაკეთების ალბათობა უფრო მეტია. კონტეინერების „გაქრობის“ ერთ-ერთი მეთოდია ნომერზე თვითწებვადი ლენტით სხვა ნომრის გადაწერა. მანიფსტშიც ეს ყალბი ნომერია მითითებული. საკონტეინერო ტერმინალში ნომრის მოცილებით კონტეინერი ფაქტობრივად იკარგება აღრიცხვიდან;

დ.გ) ცარიელი კონტეინერის შემოწმებისას კარგი მეთოდია მისი აწონვა. კონტეინერზე მოთავსებულია კონტეინერის სუფთა წონა. აწონვის შედეგად ზედმეტი წონის დაფიქსირება შესაძლებელია გახდეს კონტეინერში კონტრაბანდის არსებობაზე საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის მიზეზი;

დ.დ) შეამოწმეთ ლუქების მთლიანობა და მათი ნომრების შესაბამისობა სატვირთო დოკუმენტაციაში მითითებულ ნომრებთან (იხ. საიდენტიფიკაციო საშუალებები). ეცადეთ დაიმახსოვროთ ლუქების ის ტიპები, რასაც იყენებენ თქვენს რეგიონში მოქმედი სატრანსპორტო საშუალებები;

დ.ე) გარედან ვიზუალური დათვალიერებით შეგიძლიათ დააფიქსიროთ რაიმე დაზიანების ან ახალი შეკეთების კვალი, მიკრული პაკეტი და სხვა. ასეთი კონტეინერის კედლები, როგორც წესი გოფრირებული მეტალისაა, რომელიც ვერტიკალურადაა დაგოფრილი. გოფრების სიგანე 75-100 მილიმეტრია. კონტეინერის წინა ნაწილში, წინა კედლიდან 460 მმ-ის მოშორებით გოფრის ნაცვლად განთავსებულია ბრტყელი 460 მილიმეტრიანი კედლის ნაწილი, რომლის ზემო ნაწილში მოწყობილია სავენტილაციო ხვრელები. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ბრტყელი ნაწილი უშუალოდ არ ემიჯნებოდეს წინა კედელს. სხვა შემთხვევაში კარგად შეამოწმეთ წინა კედელი, ყალბი კედლის არსებობის გამოსარიცხად;

დ.ზ) კონტეინერის სახურავზე, ოთხივე კუთხეში დამაგრებულია ფოლადის ბლოკები, რაც განკუთვნილია ბაგირების მოსადებად ან ამწე მოწყობილობის მოსაჭიდებლად. ეს ბლოკები კუთხეებიდან დაახლოებით 100 მილიმეტრითაა გადმოშვერილი კონტეინერის ყველა მხარეზე. სხვა შემთხვევაში ისინი კარგად უნდა შემოწმდეს;

დ.თ) ხანგრძლივი გადაადგილებისას კონტეინერის ჰაერი იჟღინთება მასში მოთავსებული ტვირთის სუნით. იმავდროულად შესაძლებელია შეამჩნიოთ სხვა საეჭვო სუნიც. ამავე ეტაპზე შესაძლებლობის შემთხვევაში მოსახერხებელია სამსახურეობრივი გაწვრთნილი ძაღლების გამოყენება;

დ.ი) გახსნის შემდეგ დადექით ღია კართან და თვალით შეამოწმეთ კონტეინერის შიდა და გარე სიგრძე. ყალბი შიდა კედლის გაკეთება კონტეინერში- ერთ-ერთი კარგად გავრცელებული სამალავია. კონტრაბანდა იმალება ნამდვილსა და ყალბ კედელს შორის. ასეთი კედელი როგორც წესი კონტეინერის წინა ნაწილში კეთდება, რადგანაც გვერდზე, ჭერსა და იატაკზე ის ადვილად შესამჩნევია ღია კარიდან.

დ.კ) თუ ეჭვი გეპარებათ, რომ სიგრძეები განსხვავებულია, შეგიძლიათ შიგნიდან და გარედან გადათვალოთ გოფრირებული ლითონის ზოლები, თუმცა ამ დროს საუკეთესო ტექნიკური საშუალებაა ელექტრომზომი ხელსაწყო ან მარტივი საზომი ლენტი. 40 ფუტიანო კონტეინერის სიგრძე უნდა იყოს 12,20 მეტრი, ხოლო 20 ფუტიანისა, შესაბამისად 6,10 მეტრი. ერთი შეხედვით უმნიშვნელო განსხვავებამ სიგრძეებს შორის შესაძლებელია საკმაო სათავსი შექმნას. მაგალითად, 20 სანტიმეტრიან სამალავში დაახლოებით 500 კგ მარიხუანა იპოვეს.

დ.ლ) ზოგიერთ კონტეინერში ლითონის კედლების გასწვრივ დამაგრებულია ხის დამცავი პანელები, რომელთა დანიშნულებაცაა კონტეინერის დაცვა ტვირთის მექანიკური დაზიანებებისაგან. ასეთი კმონტეინერების დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ხის პანელების დამონტაჟების ნიშნებს, აგრეთვე პანელების პერიმეტრზე წებოს არსებობის კვალს, რაც შესაძლოა გამიზნული იყოს პანელსა და კონტეინერის კედელს შორის

მოთავსებული კონტრაბანდის სუნის შესაკავებლად. ასეთი ადგილები უნდა გაიბურღოს. ყურადღება უნდა მიაქციოთ პანელების პერიმეტრზე სამაგრი კონსტრუქციების არსებობას. მათი არარსებობის შემთხვევაში პანელი შესაძლებელია მთლიანად მოიხსნას დამატებითი კონტროლის მიზნით.

დ.მ) ამრიგად, სატვირთო კონტეინერის შემოწმება ხდება შემდეგი რიგითობით:

დ.მ.ა) გარე შემოწმება (სახურავის მთლიანობა; კონტეინერის ნომერი; ლუქების მთლიანობა; წონა);

დ.მ.ბ) შიგა შემოწმება (სუნი; შიდა და გარე სიგრძის გაზომვა; ხის პანელები (არსებობის შემთხვევაში).

ე. რეკომენდაციები მაცივარ-კონტეინერების (რეფრეჟერატორების) შემოწმებისას:

ე.ა) ასეთი კონტეინერების გარე შემოწმების პროცედურა იგივეა რაც ჩვეულებრივი სატვირთო კონტეინერებისა, სამი დეტალის დამატებით: რეფრიჟერატორებს გარედან აქვთ საწვავის ავზი სამაცივრო აგრეგატის მუშაობისათვის, თვით სამაცივრო აგრეგატი და იზოლირებული სახურავი. კონტრაბანდის დამალვის მიზნით შესაძლოა სახურავზე მოიხსნას ლითონის საფარი და საიზოლაციო მასალა შეიცვალოს კონტრაბანდით.

ე.ბ) სახურავის შემოწმებისას ყურადღება მიაქციეთ ლითონის ახალი საფარის არსებობას, ასევე მისი დამაგრების მეთოდს. სახურავზე დგომისას ის უნდა იყოს მყარი და არა ამოზნექილი ან ჩაზნექილი. როგორც წესი სახურავის ლითონის საფარი მყარად მაგრდება კონტეინერის ჩარჩოზე. ახლადშეკეთებული სახურავის არსებობისას შემოწმების მიღებული მეთოდია ლითონის საფარის გაბურღვა. გაბურღვის დროს ეცადეთ ერთდროულად არ გახვრიტოთ გარე და შიდა კედელი, რადგანაც ეს გამოიწვევს ცივი ჰაერის დაკარგვას ან ტვირთის დასველებას, ამრიგად უფრო მისაღებია შიდა კედლის გაბურღვა გარე საფარის დაუზიანებლად შენარჩუნების მიზნით. გაბურღვის შემდგომ, არსებობის შემთხვევაში ბურღზე დარჩება კონტრაბანდული საქონლის ნარჩები ან აღენიშნება სპეციფიკური სუნი.

ე.გ) შიდა სივრცის დათვალიერებისას მიაქციეთ ყურადღება შიდა პანელის მოხსნის ან ახლით შეცვლის ნიშნებს. ეს ყოველთვის არ მიუთითებს მასში კონტრაბანდის არსებობაზე, რადგანაც ტექნიკური მომსახურეობის დროს ხშირია დაზიანებული შიდა პანელების შეცვლის შემთხვევები, თუმცა წარმოადგენს ეჭვის წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს. კონტრაბანდის დამალვის ხშირად გამოყენებადი ადგილია კონტეინერის წინა კედელი. რეფრეჟერატორების უმეტესობაში წინა კედლიდან 460 მმ-ს დაშორებით კეთდება ხის ან სხვა საიზოლაციო მასალისგან დამზადებული ტიხარი. დარჩენილი სივრცე უზრუნველყოფს კონტეინერის ძირიდან ჰაერის მიწოდებას სამაცივრო აგრეგატზე. სწორედ ეს სიცარიელე წარმოადგენს კონტრაბნდის დამალვის ადგილს. ზოგ შემთხვევაში მეტი სივრცის მისაღებად აღნიშნული ტიხარი უკან გადმოაქვთ, რაც იწვევს სამაცივრო აგრეგატის ნაწილობრივ ან სრულ დამალვას, რაც თავის მხრივ საეჭვო ნიშანია;

ე.დ) სამაცივრო აგრეგატიდან კონტეინერის მთელ სიგრძეზე გამოდის ბრეზენტის ან პლასტმასის საჰაერო მილები, რომელთა დანიშნულებაცაა ცივი ჰაერის თანაბარი მიწოდება

კონტეინერის მთელ შიდა პერიმეტრზე. დეტალური დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ მილებში უცხო სხეულების არსებობას. თუ ვიზუალურად ვერ ხერხდება აღნიშნული სხეულების არსებობის დადგენა, მოსახერხებელია სიმკვრივის საზომი ხელსაწყოს გამოყენება;

ე.ე) კონტეინერის შიდა ტიხარი იატაკიდან დაახლოვებით 20 სმ-ზეა აწეული სამაცივრო აგრეგატისაკენ მიმავალი ჰაერის გასატარებლად. სწორედ ამ დაშორებიდან არის შესაძლებელი ტიხარის უკანა სიცარიელის დათვალიერება ფანრისა და დათვალიერების სარკის მეშვეობით;

ე.ვ) რეფრეჟერატორი კონტეინერების შემოწმება ხდება შემდეგი რიგითობით:

ე.ვ.ა) გარე შემოწმება (სახურავის მთლიანობა; კონტეინერის ნომერი; ლუქების მთლიანობა; წონა; სამაცივრო აგრეგატი და საწვავის ავზი);

ე.ვ.ბ) შიგა შემოწმება (სუნი; შიდა და გარე სიგრძის გაზომვა; ლითონის პანელები; სავენტილაციო ტიხარი; სავენტილაციო მილები).

ვ. რეკომენდაციები ცისტერნა-კონტეინერების შემოწმებისას:

ვ.ა) არსებობს ცისტერნების ორი სახეობა: თხევადი ნივთიერებებისათვის განკუთვნილი და მაღალი წნევის ქვეშ მყოფი აირებისათვის განკუთვნილი რომლებიც უნდა დაათვალიეროთ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;

ვ.ბ) სითხისათვის განკუთვნილი ცისტერნების შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს შედუღების ადგილებს და საპოხი მასალის ან ჭუჭყის დიდ ოდენობას, რაც შეიძლება მალავდეს შედუღების ადგილებს.

ვ.გ) ზედა ლუქის გახსნამდე აუცილებლად შეამოწმეთ კონტეინერის თანმხლებ დოკუმენტაციაში რა სახის სითხე გადაიზიდება ამ ცისტერნით. თუ ნივთიერება სახიფათოა მიიღეთ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, ან საერთოდ ნუ გახსნით მას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემოწმება შესაძლებელია მოხდეს დანიშნულების ადგილზე ცისტერნის გახსნისას.

ვ.დ) ლუქის გახსნისას იყავით ფრთხილად, რადგან დამჭერის მოშვებისთანავე ის შესაძლებელია ამოვარდეს ცისტერნაში არსებული წნევის გამო.

ვ.ე) არავითარ შემთხვევაში არ ჩაყოთ ხელი სითხეში. ის ამოიღეთ სინჯების ასაღები სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით.

ვ.ვ) ცარიელი ცისტერნის დათვალიერება განახორციელეთ სარკისა და ფანრის მეშვეობით. ეცადეთ თავი აარიდოთ ცისტერნაში მოწყობილობის გარეშე ჩახედვას რათა თავიან აიცილოთ ნარჩენი გაზებით მოწამვლა;

ვ.ზ) ცარიელ ცისტერნაში ყურადღება მიაქციეთ გარე და შიდა ნაკერების თანადამთხვევას, აგრეთვე ფეხსაცმლის კვალს რაც ახლადშესრულებულ სამუშაოებზე მიუთითებს. შეძლებისდაგვარად დარწმუნდით, რომ ცისტერნის შიდა და გარე ზომები ერთნაერია.

ვ.თ) აირების გადასაზიდი ცისტერნების შიდა დათვალიერება, როგორც წესი არ შედის საბაჟო მოხელეთა ვალდებულებებში, გამონაკლისს წარმოადგენს არატოქსიკური აირების გადასაზიდი ცარიელი ცისტერნების გამოსაშვები ვენტილის ნაწილობრივი გახსნა სუნის შემოწმების მიზნით. ასეთი ცისტერნების უმეტესობა შიდა რეზერვუარსა და გარე საფარს შორის შეიცავს საიზოლაციო ფენას. ამ ცისტერნების სახურავი, როგორც წესი არ იხსნება. მასში აირის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა ხდება სპეციალური მილების საშუალებით. ამრიგად სახურავის გახსნის ნიშნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია გაჩნდეს ეჭვი საიზოლაციო საფარის კონტრაბანდით ჩანაცვლებაზე.

ვ.ი) ეჭვის არსებობისას არავითარ შემთხვევაში დამოუკიდებლად არ გახსნათ ასეთი ცისტერნის ლუქები. სთხოვეთ საქონლის მფლობელს თვითონვე უზრუნველყოს ცისტერნის სახურავის გახსნა.

ვ.კ) სითხის ცისტერნების შემოწმება ხდება შემდეგი რიგითობით:

ვ.კ.ა) ახალი შედუღების კვალის ან საპოხი მასალისა და ჭუჭყის დიდი ოდენობა;

ვ.კ.ბ) ზედა ლუქების გახსნა და სითხის ამოღება სპეციალური მოწყობილობით;

ვ.კ.გ) ცარიელი ცისტერნის შიდა დათვალიერება სარკისა და ფანრის მეშვეობით.

ვ.ლ) აირის ცისტერნების შემოწმება ხდება შემდეგი რიგითობით:

ვ.ლ.ა) ცისტერნის გარსის ახალი შეკეთების კვალის არსებობა;

ვ.ლ.ბ) ლუქების მოხსნის კვალის არსებობა;

ვ.ლ.გ) აირის გამოსაშვები ვენტილების ნაწილობრივი გახსნა (არატოქსიკური აირების შემთხვევაში).

ზ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტენის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლით.

თ) რეკომენდებულია, მიტანის ვადის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ი) რეკომენდებულია, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების ზენორმატიული დატვირთვის პარამეტრებთან დაკავშირებით გაეცნოთ საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

კ) რეკომენდებულია, ზენორმატიული დატირთვის პარამეტრების დარღვევით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129(პრიმა) მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ლ) რეკომენდებულია, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრებთან დაკავშირებით გაეცნოთ საგზაო მოძრაობის შესახებ

საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

მ) რეკომენდებულია, საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისათვის საბაჟო სამსახურისათვის წარსადგენი რეკომენდაციის გაცემის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ნ) რეკომენდებულია, არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადაზიდვისას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

4.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმება და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) რისთვის არის საჭირო მიტანის ვადების შემოწმება?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადები?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრა?

ბ.ბ) ყველაზე ხშირად, რა შეიძლება იყოს სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის მიზანი?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ბ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რა არის მისი მიზანი?

დ) სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა?

ე) საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ე.ა) რას გულისხმობს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და რა არის მისი მიზანი?

ე.ბ) რა არის წინასწარი დათვალიერების მიზანი?

ე.გ) რას გულისხმობს პირველადი დათვალიერება?

ე.დ) რას გულისხმობს დეტალური დათვალიერება?

ვ) სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რას გულისხმობს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და რა არის მიზი მიზანი?

ზ) საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ზ.ა) რას გულისხმობს საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და რა არის მიზი მიზანი?

თ) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით:

თ.ა) რას გულისხმობს საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და რა არის მიზი მიზანი?

ი) კონტეინერების დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ი.ა) რას გულისხმობს კონტეინერების დათვალიერება და რა არის მისი მიზანი?

ი.ბ) ძირითადად, საერთაშორისო გადაზიდვებში გამოყენებული კონტეინერების რა სახეობები არსებობს? ჩამოთვალეთ ისინი.

კ) სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტი მოიწვევასთან დაკავშირებით:

კ.ა) სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით, ყოველთვის ხდება თუ არა ექსპერტის მოწვევა?

ლ) სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

ლ.ა) რისთვის არის საჭირო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენა?

4.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №4.1. სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და მიტანის ვადების შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, მიუხედავად გადაზიდვის მანძილისა, რამდენ კალენდარულ დღეს შეადგენს, სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.1. Delivery period_(Your Name and Surname[69]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №4.2. სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა შემთხვევაში ითვლება სატრანსპორტო საშუალება არაგაბარიტულად (მსხვილგაბარიტიანად)?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.2. Oversized vehicles_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №4.3. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- როგორც წესი, რა შემთხვევაში მიიღება სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილება?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.3. Vehicle inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული

[69] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №4.4. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): დაასახელეთ ეფექტური დათვალიერების უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებები - ჩამოწერეთ Word-ის ცალკე დოკუმენტში. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.4. Inspection methods_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №4.5. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- სად და როგორ ხორციელდება საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.5. Ground vehicles inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №4.6. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- გულისხმობს თუ არა, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების ფოტო/ვიდეო გადაღებას?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.6. Railway vehicles inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ზ) სავარჯიშო №4.7. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- ხორციელდება თუ არა საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.7. Sea vehicles inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თ) სავარჯიშო №4.8. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- ხორციელდება თუ არა საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.8. Air vehicles inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული

ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ი) სავარჯიშო №4.9. კონტეინერების დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა სახის საქონლის გადასაზიდად გამოიყენება ცისტერნის ტიპის კონტეინერი?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.9. Container inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

კ) სავარჯიშო №4.10. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით ექსპერტი მოიწვევა (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით, რა შემთხვევაში ხდება ექსპერტის მოწვევა?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.10. Experts Invitation_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ლ) სავარჯიშო №4.11. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა ინფორმაციის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს დათვალიერების აქტი?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 4.1.1. Inspection Act_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 4.1. ზენორმატიული და არაგაბარიტული დატვირთვის პარამეტრების სამახსოვრო

ავტომანქანა ითვლება ზენორმატიულად დატვირთულად, თუ დარღვეულია ერთ-ერთი პარამეტრი:

თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას.



ერთწამყვანღერძიანის შემთხვევაში წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 11,5 ტონას.

ავტომანქანა ითვლება არაგაბარიტულად დატვირთულად, თუ დარღვეულია ერთ-ერთი პარამეტრი:



სიმაღლე (სავალი ნაწილის ზედაპირიდან) ავტომზიდის ან კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში აღემატება – 4,30 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში – 4 მეტრს



სიგანე, რეფრიჟერატორის შემთხვევაში, აღემატება– 2,60 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში – 2,55 მეტრს



სიგრძე აღემატება – 12 მეტრს



ტვირთი სატრანსპორტო საშუალების უკანა გაბარიტის წერტილიდან 2 მეტრზე მეტადაა გამოშვერილი



სიგრძე – ავტომატარებლის შემთხვევაში – 20 მეტრს

დანართი 4.2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები

დანართი 4.2.1. მსუბუქი ავტომობილები



დანართი 4.2.2. მიკროავტობუსები და ავტობუსები

მიკროავტობუსები და მინიბუსები მგზავრების დასაჯდომი ადგილების მიხედვით

8-10 ადგილიანი

12-14 ადგილიანი

16-18 ადგილიანი

20-22 ადგილიანი

30-32 ადგილიანი

35-40 ადგილიანი

ავტობუსები



50-60 ადგილიანი ავტობუსი

ავტობუსი მისაბმელით

დანართი 4.2.3. სატვირთო ავტომობილები

ნახევარმისაბმელი ტენტით

ავტომატარებელი

კონტეინერმზიდი

ავტომზიდი

რეფრეჟერატორი

ცისტერნა

ე.წ. მცირე სატვირთო

სატვირთო მიკროავტობუსი

დანართი 4.3. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები

სამგზავრო ვაგონი

საბარგო ვაგონი

დახურული სატვირთო ვაგონი

დახურული ვაგონი ავტომანქანების გადასაზიდად

ვაგონი-თერმოსი

ვაგონი-ცისტერნა თხევადი ტვირთებისთვის

ვაგონი ნაყარი ტვირთებისთვის

ვაგონი-პლატფორმა (კონტეინერით)

დანართი 4.4. საზღვაო/სამდინარო სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებული სახეები

№	გემი	სახე	დანიშნულება
1		სამგზავრო გემები	გამოიყენება მგზავრთა და მათი ბარგისა და ხელბარგის გადასაზიდად.უმეტესწილად ემსახურებიან საზღვაო კრუიზებს.
2		კონტეინერმზიდი გემები	კონტეინერმზიდი გემები გამოიყენებიან კონტეინერების გადასაზიდად და სპეციალურად დაპროექტებულია ამ მიზნებისათვის. მათი ზომის ერთეულებად იყენებენ პირობით ერთეულებს TEU – Twenty-foot equivalent unit, ანუ 20 ფუტის შესაბამისი ერთეული და FEU – Forty-foot equivalent unit, ანუ 40 ფუტის შესაბამისი ერთეული. მაგალითად თუ გემი იტევს 1000 ცალ 40 ფუტიან კონტეინერს ან 2000 ცალ 20 ფუტიან კონტეინერს მისი ზომის ერთეულია 2000 TEU. დღეისათვის ცნობილი უდიდესი კონტეინერმზიდის ზომაა 8000 TEU. მათი დიდი ზომების გამო ზოგიერთ კონტეინერმზიდს შეზღუდული აქვს ცალკეულ მარშრუტებზე გადაადგილება.
3		გენერალური კარგო გემები	ისინი დიდი ზომის საზღვაო ხომალდებია, რომელთაც გადააქვთ ისეთი ტვირთები, რომელთა მოთავსებაც კონტეინერში შეუძლებელია, როგორიცაა, ფოლადი, მავთულის ბარაბნები, მანქანა-მოწყობილობები და სხვა. ამ გემებს ასევე გადააქვთ ყუთებში მოთავსებული საქონელი, რომელთა ჩადება კონტეინერში არარენტაბელურია. მათ ჩატვირთვა გადმოტვირთვას შედარებით დიდი დრო სჭირდება არასტანდარტული ტვირთის გამოდა შესაბამისად პორტებში დიდი დროით დგებიან.

4		ნაყარი ტვირთების გემი	ეს გემები გამოიყენება ქვანახშირის, ხორბლის, ფოსფატების და სხვა ნაყარი ტვირთების გადასაზიდად. გადასაზიდი ტვირთის სახეობისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესაბამისად მათი დიზაინი და კონსტრუქცია განსხვავებულია. როგორც წესი ამ გემებს კონკრეტული სტანდარტული მარშრუტი არ გააჩნიათ და ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებენ გადაზიდვებს ანუ მიაქვთ ტვირთი იქ, საითაც კონკრეტულ შემთხვევაში მიუთითებენ.
5		საკაბოტაჟო გემი	საკაბოტაჟო გემები გადაადგილებენ საქონელს პატარა პორტებიდან დიდ პორტებში და პირიქით. ისინი შედარებით მცირე ზომის არიან, მოძრაობენ სანაპიროს გასწვრივ და დროის მოკლე შუალედში ბევრ გაჩერებებს აკეთებენ.
6		რო-რო ტიპის გემი	მათ არა აქვთ ტიპიური გემის ფორმა და განკუთვნილი არიან სახმელეთო ტრანსპორტის (ავტოტრანსპორტი და სარკინიგზო ვაგონები) გადასაზიდად. სატრანსპორტო საშუალებები გემში ხვდებიან სპეციალური გასაშლელი რამპის მეშვეობით, შესაბამისად მათი დატვირთვა და გადმოტვირთვა დიდ დროს არ საჭიროებს.
7		რეფერი	რეფერები განკუთვნილია გაყინული საქონლის გადსაზიდად. ძირითადად ის კონტეინერმზიდის ნაირსახეობაა და განკუთვნილია მხოლოდ რეფრეჟერატორი კონტეინერების გადასაზიდად. ეს კონტეინერები გადაზიდვის პროცესში ჩართული არიან გემის ელექტრო სისტემაში.
8		ტანკერი	ტანკერი გამოიყენება თხევადი ტვირთის, უმეტეს შემთხვევაში ნავთობის გადასაზიდად.

დანართი 4.5. კონტეინერების გავრცელებული სახეები

№	კონტეინერი	სახე	დანიშნულება
1		სატვირთო კონტეინერი	გამოიყენება ყველაზე ხშირად. დამზადებულია გოფრირებული ლითონის ფურცლებისაგან და გამოიყენება თითქმის ყველა სახეობის არათხევადი ტვირთებისთვის, რომელსაც არ სჭირდება გაყინვა ან შენახვა/ტრანსპორტირების სპეციელური პირობები.
2		კონტეინერი რეფრეჟერატორი	სამაცივრო აგრეგატი დამაგრებულია ამ კონტეინერების წინა ნაწილზე. შიდა და გარე კედლებს შორის, ასევე იატაკსა და სახურავს შორის მოთავსებულია 100 მმ სისქის საიზოლაციო ფენა. ცივი ჰაერი სამაცივრო აგრეგატიდან ხვდება კონტეინერის უკანა ნაწილში ბრეზენტით დაფარული საჰაერო მილებით. გამოიყენება ძირითადად მალფუჭებადი პროდუქტების გადასაზიდად.
3		კონტეინერ-ცისტერნა (სითხეების გადასაზიდად)	გამოიყენება ნავთობის ან სხვა თხევადი ტვირთების გადასაზიდად.
4		კონტეინერ-ცისტერნა (აირების გადასაზიდად)	მაღალი წნევის ქვეშ მყოფი აირების (მაგალითად, თხევადი აირის) გადასაზიდად.

თავი 5. საქონლის კონტროლი

(მოკლე შინაარსი: საბაჟო კონტროლის ზონები, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა; საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება (საბაჟო შეღავათები)ზოგადი დეკლარირება; საქონლის რაობის დადგენა; საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა; სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება; საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა; საქონლის დათვალიერება; საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა; საიდენტიფიკაციო საშუალების დადება; საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება და ექსპერტიზა)

5.1. საბაჟო კონტროლის ზონები, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა

ზოგადად, საქონლის კონტროლი გულისხმობს საქონლის მიმართ განხორციელებულ კონტროლს, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

როგორც წესი, საქონლის კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში. საბაჟო კონტროლის ზონა არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები საქონლის/სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ.

საქონლის კონტროლი გულისხმობს ასევე საქონლის დროებით შენახვას სასაქონლო ოპერაციის შერჩევამდე ან შერჩეული სასაქონლო ოპერაციის გამოყენების შემდეგ[70].

საბაჟო კონტროლის ზონები[71], ვინ ან რა ექვემდებარება საბაჟო კონტროლს[72], საბაჟო კონტროლის ფორმები[73] და სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა[74] დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

---

[70] საქონლის დროებითი შენახვის არსი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 216-ე მუხლი.

[71] საბაჟო კონტროლის ზონები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით.

[72] საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული პირები, ტერიტორიები, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

[73] საბაჟო კონტროლის ფორმები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

[74] სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექის 217-ე მუხლით.

საქონლის კონტროლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია დავადგინოთ ხომ არ არის მოცემული საქონელი ან მისი შემომტანი პირი გათავისულებული საბაჟო კონტროლისაგან (5.2 ქვეთავი). მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ საქონელი და მისი შემომტანი არ არის გათავისუფლებული საბაჟო კონტროლისაგან, უნდა განვსაზღვროთ საქონლის კონტროლის მიზანი.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საქონლის დასახელებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, საქონლის კონტროლის მიზანი შეიძლება იყოს:

1. **სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი** – ხორციელდება ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარულ ან სანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ (იხ. თავი 6);

2. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის **კონტროლი** – ხორციელდება ისეთი საქონლის მიმართ (მათ შორის, კომპიუტერული პროგრამა ან/და ტექნოლოგია), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ბიოლოგიური ან/და ქიმიური იარაღის, ბირთვული იარაღის ან ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად, ისე არაფეთქებადი მიზნებისათვის (იხ. თავი 7).

3. **სპეციალური კონტროლი** – ხორციელდება ვალუტის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის, კულტურული ფასეულობების, ქიმიური ნარჩენების, სამკურნალო საშუალებების/პრეკურსორებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მიმართ (იხ. თავი 8).

5.2. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება
(საბაჟო შეღავათები)

საბაჟო შეღავათებს ისეთივე ისტორია აქვთ, როგორც საბაჟოსა და გადასახადებს. ისტორიულად ყოველთვის არსებობდნენ პირები რომლებიც ასეთი შეღავათებით სარგებლობდნენ. საბაჟო შეღავათების გავრცელება-არგავრცელების საკითხი, ასევე ამ შეღავათების სახეებისა და ოდენობის დადგენის საკითხი ისტორიულ წარსულში, საბაჟოსა და გადასახადების მარეგულირებელი ერთიანი აქტების შემოღებამდე (რაც ორგანიზებული სახით ძველ რომში მოხდა), თვით კონტროლის განმახორციელებლისა და გადასახადების ამკრეფის სუბიექტურ შეხედულებებს ეფუძნებოდა.

დღეისათვის საბაჟო შეღავათების გავრცელების საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებითაა დარეგულირებული.

საბაჟო შეღავათების დადგენა შესაძლებელია შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით მოხდეს:

- საქონლის გადამაადგილებელი პირის სტატუსი;
- საქონლის გადამაადგილებელი პირის რეზიდენტობა;
- საქონლის გადამაადგილებელი პირის საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა;
- საქონლის წარმოშობა;
- საქონლის სახეობა;
- სეზონურობა;
- საქონლის რაოდენობა;
- საქონლის გადაადგილების წესის;
- საქონლის გამოყენების მიზნობრიობა
- და სხვა.

საქონლის გადამაადგილებელი პირის სტატუსის პრინციპის მიხედვით შეღავათები შესაძლებელია გავრცელდეს დიპლომატიური სტატუსის მქონე პირებზე, სამთავრობო დელეგაციების წარმომადგენლებზე, ქვეყნის საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, ჰუმანიტარული, სადამკვირვებლო ან სხვა სპეციალური მისიების წარმომადგენლებზე, სასულიერო პირებზე და სხვა.

განსხვავებულია შეღავათები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებისათვის ან პიორებისათვის, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებისათვის მისაწოდებლად გადაადგილებენ საქონელს საზღვარზე.

საქონლის გადამაადგილებელი პირის რეზიდენტობის პრინციპის მიხედვით საბაჟო შეღავთები შესაძლებელია გავრცელდეს ან სხვადასხვაგვარი სახის შეღავათები დაწესდეს ამათუიმ ქვეყნის რეზიდენტებზე. ძირითადად გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით განსხვავებული სახის შეღავათები წესდება საკუთარი ქვეყნის რეზიდენტებისათვის და არარეზიდენტებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა კავშირებში ან გაერთიანებებში შემავალი

ქვეყნების (მაგალითად ევროკავშირი), ან ქვეყნის რომელიმე ტერიტორიული ერთეულის რეზიდენტებისათვის.

იშვიათ შემთხვევებში რეზიდენტობის ნაცვლად ყურადღება ექცევა საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ პირთა მოქალაქეობას, რაც ჩვენის აზრით ნაკლებად სამართლიანია, რადგანაც პირი ასეთის არსებობის შემთხვევაში, საბაჟო შეღავათებით უნდა სარგებლობდეს იმ ქვეყანაში სადაც მუშაობს, ცხოვრობს და კალენდარული წლის უმეტეს ნაწილს ატარებს, ანუ რომელი ქვეყნის რეზიდენტიცაა, მიუხედავად იმისა რომ ის იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქე შეიძლება იყოს. ამასთან ხშირად დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა, რაც ორმაგ მოქალაქეს სხვებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს, მაშინ, როცა ორმაგი რეზიდენტობა პრაქტიკულად გამორიცხულია და რეზიდენტობის პრინციპის გამოყენება ავტომატურად ხსნის ასეთ უხერხულობას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა ექსპერტი თანხმდება, მოქალაქეობის პრინციპის გამოყენება მაინც გავრცელებულია რაც გამოწვეულია პირის მოქალაქეობის დადგენის პროცედურის სიმარტივით (პასპორტის წარდგენა) და რეზიდენტობის დადგენის პროცედურის შედარებითი სირთულით.

საქონლის გადამაადგილებელი პირის საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობის პრინციპის მიხედვით შეღავათების ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დაჰყო პირმა საზღვარგარეთ. ძირითადად ამ პრინციპს ფიზიკური პირების შეღავათების განსაზღვრისათვის იყენებენ. ის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრინციპია და როგორც წესი, შეღავათების გავრცელება პირზე იწყება მას შემდეგ, რაც ის საზღვარგარეთ 24 საათზე მეტს დაჰყოფს.

საქონლის წარმოშობის პრინციპის მიხედვით შეღავათები წესდება იმ საქონელზე, რომელიც ამათუიმ ქვეყანაში, ქვეყნის რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში, სხვადასხვა კავშირებში ან გაერთიანებებში შემავალ ქვეყნებშია წარმოშობილი. ამ პრინციპს ხშირად იყენებენ საქონლის გადამაადფილებელი პირის რეზიდენტობის პრინციპთან ერთად, ანუ შეღავათებით სარგებლობენ კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტები, რომელებიც ამავე ქვეყანაში წარმოშობილ საქონელს გადაადგილებენ საზღვარზე.

აღნიშნული პრინციპით დაწესებულ შეღავათად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი სპეციალური სტსტუსი- დაბრუნებული საქონელი, რაც საშუალებას იძლევა საქართველოში წარმოშობილი და ექსპორტირებული საქონელი უკან იქნას დაბრუნებული სამი წლის ვადაში და ამ დროს ეს არ განიხილება იმპორტად. შესაბამისად, დაბრუნებული საქონლის შემომტანი პირი თავისუფლდება საბაჟო გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან.

საქონლის სახეობის პრინციპის მიხედვით შეაღვათების დაწესებისას ყურადღება ექცევა, თუ საგარეო-ეკონომიკური საქომიანობის ნომენკლატურის მიხედვით რომელი კოდით კლასიფიცირდება საქონელი. ძირითადად საბაჟო შეღავათების წესდება ისეთ საქონელზე, რისი შემოტანაც ქვეყნის ინტერესებშია. ეს შესაძლებელია იყოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონელი, ნედლეული და მასალები და სხვა.

სეზონურობის პრინციპის მიხედვით შეაღვათები შესაძლებელია საქონელზე ვრცელდებოდეს წლის გარკვეულ პერიოდში.

საქონლის რაოდენობის პრინციპი ძირითადად ფიზიკურ პირებთან მიმართებაში გამოიყენება. ამ დროს წესდება საქონლის ზღვრული ოდენობა, რომლის ზემოთაც მისი შემოტანა განიხილება არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ კომერციული დანიშნულებით საქონლის შემოტანად და მასზე შეღავათები აღარ ვრცელდება. თუმცა მსოფლიოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა შეღავათები წესდება საქონლის შემოტანაზე არა რაიმე ზღვრამდე, არამედ ამ ზღვარს ზემოთ. ამით იქმნება გარკვეული მოტივაცია დეფიციტური ან მნიშვნელოვანი საქონლის დიდი სასაქონლო პარტიებით შემოტანისათვის.

საქონლის გადაადგილების წესის პრინციპი იშვიათად გამოყენებადია, რაც გულისხმობს შეღავათების გამოყენებას მხოლოდ კონკრეტული დასახელების სატრანსპორტო საშუალებით საქონლის გადაადგილებისას ან განსხვავებულ შეღავათებს ტრანსპორტის სახეობების მიხედვით. ეს პრინციპი როგორც წესი, ამათუიმ სატრანსპორტო სახეობის განვითარების ხელშეწყობას ან საერთაშორისო გადაზიდვების მონოპოლიზაციას ისახავს მიზნად.

ამ პრინციპის გამოყენების მაგალითია საქართველოში 2007 წლიდან მოქმედი შეღავათები ფიზიკური პირების მიერ საქონლის გადაადგილებაზე, როცა საავიაციო ტრანსპორტით გადაადგილებისას შეღავათის ოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე სხვა გზით საქონლის შემოტანისას, თუმცა ვერ ვიტყოდით, რომ ამან საავიაციო ტრანსპორტის ინდუსტრიის განვითარებას ან მგზავრების გადაყვანაზე მის მონოპოლიზაციას შეუწყო ხელი. თუმცა სტატისტიკური მონაცემებით იმატა ფიზიკური პირების მგზავრობამ ავიარეისებით საქართველოსაკენ (იმავდროულად, იგივე მგზავრები საქართველოდან უფრო იაფ ტრანსპორტს ირჩევენ) იმ რეისებზე, საიდანაც საქონელი ადრე ისევ ფიზიკური პირების მიერ შეღავათების გამოყენებით არაორგანიზებული წესით და მცირედი პარტიებით შემოედინებოდა (მაგალითად ბაქო-თბილისი). როგორც სჩანს ავიამგზავრებისათვის გაზრდილი საბაჟო შეღავათების გამოყენებით მიღებული სარგებელი ბევრად მეტი იყო, ვიდრე სხვაობა მგზავრობის საფასურს შორის თვითმფრინავით და სახმელეთო ტრანსპორტით მგზავრობისას.

საქონლის გამოყენების მიზნობრიობის პრინციპის მიხედვით შეღავათები ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელიც სპეციალური მიზნებისათვის შედის ქვეყანაში, მიუხედავად საქონლის შემტანი პირისა და საქონლის სახეობისა (ვგულისხმობთ ისეთ საქონელს, რომელიც არაა აკრძალული ან შეზღუდული ქვეყანაში შესატანად). ეს შეიძლება იყოს საქონლის შეტანა ჰუმანიტარული დახმარების, ავარიის ან კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის, დიპლომატიური მიზნებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის განკუთვნილი საქონელი, გრანტით შეძენილი საქონელი, მოსახლეობის ზოგიერთი ფენისათვის (დიაბეტით დაავადებული ადამიანები, მცირეწლოვანი ბავშვები, დევნილები) ან რელიგიური მიზნებისათვის განკუთვნილი საქონელი და სხვა.

შესაძლებელია ამათუიმ პირზე ან მის მიერ საზღვარზე გადაადგილებული დასახელების საქონელზე შეღავათის გავრცელებისათვის ზემოთ აღნიშული რამოდენიმე პრინციპის მოთხოვნათა ერთდროულად დაკმაყოფილება იყოს საჭირო.

მსოფლიოს პრაქტიკაში გამოყენებულ შეღავათებს იმდენად მრავალფეროვანი პრინციპები უდევს საფუძვლად, რომ მათი განხილვა შორს წაგვიყვანს. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ყველაზე უფრო გარცელებულ პრინციპზე შევაჩერეთ ყურადღება.

ყველა ქვეყანა საბაჟო შეღავათებს მათი სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა პრინციპზე აგებს, თუმცა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ პრინციპების გამოყენებამ არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის ნორმები და არ უნდა გამოიწვიოს საგარეო ვაჭრობის სუბიექტთა დისკრიმინაცია, რადგანაც შეღავათების გამოყენება შესაძლებელია ცალსახად გახდეს საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის „ეფექტური“ ადმინისტრაციული მექანიზმი. ასეთი დისკრიმინაციული შეზღუდვების დაწესებას კი არეგულირებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებათა პაკეტი.

იმდენად, რამდენადაც საბაჟო ორგნოების ფუნქციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კონტროლის განხორციელებისა და გადასახადების ამოღების (ფისკალური) ფუნქციებია, საბაჟო შეღავათები ძირითადად ორი სახისაა:

1. კონტროლისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება;
2. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება.

დღეისათვის ზოგიერთი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი საბაჟო შეღავათების სახეებს არ მიჯნავს და მათ ერთობლიობაში განიხილავს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ საბაჟო კლონტროლისაგან განთავისუფლება გულისხმობს გადასახდელებისაგან განთავისუფლებასაც, ხოლო პირიქით, გადასახდელებისაგან განთავისუფლება შესაძლოა არ ათავისუფლებდეს პირსა და მის მიერ გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს კონტროლისაგან.

განსხვავებას საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლებასა და საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავისუფლებას შორის კარგად დავინახავთ თუ გავიხსენებთ საბაჟო კონტროლის არსს. კერძოდ, სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაზე დაყრდნობით ტერმინ „საბაჟო კონტროლში“ შეიძლება ვიგულისხმოთ შემდეგი საბაჟო პროცედურების განხორციელება: საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა და დათვალიერება; სათანადო დოკუმენტების არსებობის დადგენა; ზოგადი დეკლარირება; საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია; საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციის შემოწმება; საბაჟო გადასახდელების გადახდა; საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და მგზავრის პირადი ნივთების შემოწმება; აგრეთვე საბაჟო ორგანოების ან მათი უფლებამოსილი პირების ოფიციალური მოთხოვნა ან/და ქმედება, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლება გულისხმობს** საბაჟო პროცედურებისაგან გათავისუფლებას, ანუ პირი თავისუფალია:

1. საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის ვალდებულებისაგან;
2. საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან;
3. ზოგადი დეკლარირების განხორციელების ვალდებულებისაგან;
4. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან;
5. საბღალტრო ან სხვა დოკუმენტების შემოწმებისაგან;
6. <u>საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან;</u>
7. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და პირადი ნივთების შემოწმებისაგან;

8. მათ მიმართ არ შეიძლება იქნას განხორციელებული რაიმე ოფიციალური მოთხოვნა საბაჟო ორგანოების უფლებამოსილი პირებისაგან ან/და არ შეიძლება განხორციელდეს რაიმე ქმედება საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად.

როგორც ვხედავთ, **საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავისუფლება** უფრო პატარა ცნებაა (ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის მხოლოდ მე-6 პუნქტი) და შედის საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლებაში. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავისუფლება განხილულია სახელმძღვანელოს 14.1.2 ქვეთავში საგადასახადო (საბაჟო) შეღავათების დადგენა.

საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლების საკითხი სამართლებრივად დარეგულირებულია ვენის 1961 წლის კონვენციით დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, ვენის 1963 წლის კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონმდებლობით[75], საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება (ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას):

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური;

გ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ე) საქართველოს პარლამენტის წევრი;

ვ) საქართველოს მთავრობის წევრი;

ზ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

თ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

ი) გენერალური აუდიტორი;

კ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ლ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი;

მ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და დიპლომატიური რანგის მქონე პირი, მათი თანმხლები ოჯახის წევრი და პირადი ნივთები;

ნ) საქართველოში სხვა სახელმწიფოს დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (გარდა საქართველოს მოქალაქეებისა), მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით, და მათი პირადი ნივთები.

[75] საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლების შემთხვევები განსაზღვრულია სქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლით.

ო) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას გახსნა[76] ან დაკავება. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს საკონსულო ვალიზას დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილ პირთა თანდასწრებით გახსნა. საკონსულო ვალიზას გახსნაზე უარის მიღების შემთხვევაში იგი ბრუნდება უკან.

[76] დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული განმასხვავებელი ნიშანი.

5.3. რისთვის არის საჭირო საქონლის კონტროლის საერთო პროცედურები

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საერთო პროცედურებში იგულისხმება პროცედურები, რომლებიც ხორციელდება ნებისმიერი მიზნით საქონლის კონტროლის დროს. ასეთი პროცედურები შეიძლება იყოს:

1. ზოგადი დეკლალირება;
2. საქონლის რაობის დადგენა;
3. საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა;
4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის[77] შემოწმება;
5. საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
6. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა;
7. საქონლის დათვალიერება (საჭიროების შემთხვევაში);
8. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);
9. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (საჭიროების შემთხვევაში);
10. საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება და ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში).

5.3.1. ზოგადი დეკლარირება

ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის. ზოგად დეკლარირებას ახორციელებს **დეკლარანტი**. ზოგადი დეკლარირება საჭიროა საქონლის რაობის დასადგენად, საქონლის კონტროლის მიზნის განსასაზღვრად და სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შესამოწმებლად (იხ. 10.1.1 ქვეთავი).

5.3.2. საქონლის რაობის დადგენა

საქონლის რაობის დადგენა გულისხმობს საქონლის სახეობის დადგენას თანმხლებ დოკუმენტებში მითითებული, დეკლარანტის მიერ ზეპირად მიწოდებული თუ ფაქტობრივი ინფორმაციის ურთიერთშედარებით. საქონლის რაობის დადგენა საჭიროა საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრისთვის.

---

[77] **ავთენტური** – ნამდვილი, უეჭველი, უტყუარი, სინამდვილის შესაბამისი (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

5.3.3. საქონლის კონტროლის მიზნის განისაზღვრა

საქონლის კონტროლის მიზანი განისაზღვრება საქონლის რაობის მიხედვით. საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა საჭიროა ამ საქონლის მიმართ გასატარებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განსაზღვრისათვის - სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებაა საჭირო, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის განხორციელება თუ სპეციალური კონტროლის განხოციელება.

5.3.4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობის შემოწმება

სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა მოწმდება საქონლის კონტროლის მიზნის (სასაზღვრო-საკარანტინო, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის თუ სპეციალური კონტროლის) შესაბამისად. ასეთი შემოწმება საჭიროა ამ საქონელთან დაკავშირებით წარსადგენი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არსებობისა და მათი ნამდვილობის (ხომ არ არის გაყალბებული) დასადგენად (იხ. 9.1.1. ქვეთავი).

5.3.5. საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს საქონლის თანმხლები დოკუმენტებიდან, შეფუთვიდან და მარკირებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ასევე ტრანსპორტირების მეთოდთან საქონლის შესაბამისობის ანალიზს. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციის (მაგალითად, სხვადასხვა თანხმხლებ დოკუმენტში საქონლის დასახელებასთან, წონასთან, ღირებულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემების არსებობა, დეკლარანტის საეჭვო ქცევა ან სხვა საეჭვო გარემოება) ფაქტობრივი გადამოწმების საჭიროების შემთხვევაში.

5.3.6. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა

დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა გულისხმობს დათვალიერების მეთოდის შერჩევას (სრული დათვალიერება; შერჩევითი დათვალიერება; ექსპერტის მოწვევა) და ეფექტური დათვალიერების უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (რენტგენული ინსპექტირების სისტემა - სკანერი, ინსტრუმენების სტანდარტული ნაკრები - სასწორი, სარკე, ბასტერი, სიგრძის საზომი, ფანარი, ბრტყელტუჩა, სახრახნისი) შერჩევას, ასევე წინასწარი გეგმის ელემენტების განსაზღვრას

(საჭიროა თუ არა დათვალიერების ადგილის შემოსაზღვრა, რადიაციული ფონის შემოწმება, შეფუთვის გახსნა, ვიზუალური დათვალიერება, ხელახალი შეფუთვა, სინჯების და ნიმუშების აღება, გარე ექსპერტიზა, ასევე საჭიროა თუ არა ფუნქციების განაწილება დამთვალიერებელ პირს, დამკვირვებელ პირს და საქონლის მფლობელს შორის) და ამ გეგმის შემუშავებას.

5.3.7. საქონლის დათვალიერება

საქონლის დათვალიერება საჭიროა კონტროლის შემდგომი პროცედურების დადგენის მიზნით. საქონლის დათვალიერება გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, საქონლის დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას. საქონლის დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და მისი მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარება, ასევე დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნ-ის კოდის სისწორის განსაზღვრა..

საქონლის დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში[78]:

ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით ან/და

ბ) ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით.

5.3.8. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა

საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა საჭიროა დათვალიერების შედეგების ოფიციალური დაფიქსირებისთვის. დათვალიერების აქტი წარმოადგენს დათვალიერების განხორციელებისა და მისი შედეგების დამადასტურებელ დოკუმენტს. დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია სახელმძღვანელოს 9.1.3 ქვეთავის „ი“ ქვეპუნქტით გათვალიწინებული რეკომენდაციები.

[78] საგადასახადო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს დეკლარანტის (საქონლის მიმღების) მიერ გაცხადებულ ტერიტორიაზე.

5.3.9. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება)

საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება) გულისხმობს საქონლის დალუქვას (ან იდენტიფიცირებას) რაიმე სათავსოში ისე, რომ საიდენტიფიკაციო საშუალების დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ამ საქონელთან შეღწევა. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება საჭიროა იმისათვის, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ხერხით საქონლის უკანონო განკარგვის [79] მცდელობა.

5.3.10. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა

საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება საქონლის სახეობის, რაოდენობის ან ღირებულების ზუსტი იდენტიფიცირება.

[79] უკანონო განკარგვა - საქონლის რეალიზაცია საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე.

5.4. სამართლებრივი რეგულირება

ა) საქონლის დროებითი შენახვის არსი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 216-ე მუხლი.

ბ) საბაჟო კონტროლის ზონები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით.

გ) საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული პირები, ტერიტორიები, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დ) საბაჟო კონტროლის ფორმები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ე) სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექის 217-ე მუხლით.

ვ) საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლების შემთხვევები განსაზღვრულია სქრთველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლით.

ზ) ზოგადი დეკლარირების წესი, მისი განხორციელების ვადები და მისი განმახორციელებელი პირები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლით.

თ) ზოგადი დეკლარირების ფორმები და ზოგადი დეკლარირების მიზნით წარსადგენი დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლით.

ი) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებული საქონლის დათვალიერებია წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით.

კ) საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების წესი, რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სამსახურში, განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით.

ლ) საქონლის დათვალიერებაზე პირების დასწრების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლით.

მ) საქონლის დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-16 მუხლით.

ნ) საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლით.

ო) დათვალიერების შეტყობინების წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლით.

პ) განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-19 მუხლით.

ჟ) დათვალიერების მოცულობისა და ფორმის განსაზღვრის წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-20 მუხლით.

რ) საქონლის წონისა და რაოდენობის დადგენის წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლით.

ს) **საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების, ასევე საქონლის გამოკვლევა/ექსპერტიზის** წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლით.

ტ) **საქონლის დათვალიერების აქტის შედგენის წესი განსაზღვრულია** შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლით.

5.5. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, საქონლის დროებითი შენახვის არსთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექის 216-ე მუხლითგანსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ) რეკომენდებულია, საბაჟო კონტროლის ზონებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ) რეკომენდებულია, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან, ტერიტორიებთან, საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) რეკომენდებულია, საბაჟო კონტროლის ფორმებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე) რეკომენდებულია, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექის 217-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ) რეკომენდებულია, საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლების შემთხვევებთან დაკავშირებით გაეცნოთ სქრთველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ზ) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირების წესთან, მისი განხორციელების ვადებთან და მის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირების ფორმებთან და ზოგადი დეკლარირების მიზნით წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლით დადგენილი რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ი) ზოგადი დეკლარირების შემდეგ, საქონლის კონტროლის პროცესის ეფექტურად და ხარისხიანად წარმართვისთვის რეკომენდებულია, საერთო პროცედურები განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

ი.ა) საქონლის რაობის დადგენა;

ი.ბ) საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრა;

ი.გ) სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება;

ი.დ) საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ი.ე) საქონლის დათვალიერება (საჭიროების შემთხვევაში);

ი.ვ) სინჯისა და ნიმუშის აღება (საჭიროების შემთხვევაში);

ი.ზ) საქონლის ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში).

კ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებული საქონლის დათვალიერებასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი 1-ის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ლ) რეკომენდებულია, საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებასთან დაკავშირებით, რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სამსახური, გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

მ) რეკომენდებულია, საქონლის დათვალიერებაზე პირების დასწრების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ნ) რეკომენდებულია, საქონლის დათვალიერების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-16 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ო) რეკომენდებულია, საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

პ) რეკომენდებულია, დათვალიერების შეტყობინების წესთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ჟ) რეკომენდებულია, განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-19 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

რ) რეკომენდებულია, დათვალიერების მოცულობისა და ფორმის განსაზღვრის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-20 მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ს) რეკომენდებულია, საქონლის წონისა და რაოდენობის დადგენის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ტ) რეკომენდებულია, **საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების, ასევე საქონლის გამოკვლევა/ექსპერტიზის** წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

უ) რეკომენდებულია, **საქონლის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით** გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ფ) რეკომენდებულია, **საქონლის ნიშანდებასთან (საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან)** დაკავშირებით გაეცნოთ ამ სახელმძღვანელოს 10.3 ქვეთავით განსაზღვრულ, საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადების ძირითად პრინციპებს.

5.6. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) საბაჟო კონტროლის ზონებთან, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადასთან და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს საქონლის კონტროლი?

ა.ბ) რა არის საბაჟო კონტროლის ზონა?

ა.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო კონტროლის ზონებთან, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადასთან და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით (საბაჟო შეღავათები):

ბ.ა) რომელი ძირითადი პრინციპების მიხედვით შიძლება მოხდეს საბაჟო შეღავათების დადგენა?

ბ.ბ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო შეღავათები მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) ზოგადი დეკლარირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს ზოგადი დეკლარირება?

დ) საქონლის რაობის დადგენასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს საქონლის რაობის დადგენა?

ე) საქონლის კონტროლის მიზნის განისაზღვრასთან დაკავშირებით:

ე.ა) რის მიხედვით განისაზღვრება საქონლის კონტროლის მიზანი?

ვ) სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობასთან და ავთენტურობის შემოწმებასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რის შესაბამისად მოწმდება სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა?

ზ) საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

ზ.ა) რას გულისხმობს საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება?

თ) დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით:

თ.ა) რას გულისხმობს დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა?

ი) საქონლის დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ი.ა) რა მიზნით არის საჭირო საქონლის დათვალიერება?

კ) საქონლის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

კ.ა) რისთვის არის საჭირო საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა?

ლ) საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან (ნიშანდება) დაკავშირებით:

ლ.ა) რას გულისხმობს ნიშანდება?

მ) საქონლის სინჯის/ნიმუშის აღებასთან ან/და ექსპერტიზასთან დაკავშირებით:

მ.ა) რა შემთხვევაში არის საჭირო საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზ?

5.7. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №5.1. საბაჟო კონტროლის ზონებთნ, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადასთან და საქონლის კონტროლის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა მიზნით შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლი?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.1. Custom Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №5.2. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით (საბაჟო შეღავათები) (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს საბაჟო შეღავთები, საქონლის გადამაადგილებელი პირის რეზიდენტობის პრინციპის მიხედვით?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.2. Preferences for resident_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №5.3. ზოგადი დეკლარირებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რისთვის არის საჭირო საქონლის ზოგადი დეკლარირება?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.3. Summary declaration_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №5.4 საქონლის რაობის დადგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რისთვის არის საჭირო საქონლის რაობის დადგენა?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.4. Determination for goods_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №5.5 საქონლის კონტროლის მიზნის განისაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რისთვის არის საჭირო საქონლის კონტროლის მიზნის განისაზღვრა?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.5. Control aim _(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №5.6 სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობასთან და ავთენტურობის შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რისთვის არის საჭირო სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.6. Documentation review _(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ზ) სავარჯიშო №5.7 საქონლის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება საქონლის დათვალიერების შესახებ?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.7. Inspection decision_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თ) სავარჯიშო №5.8 დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- დათვალიერების რა მეთოდები არსებობს?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.8. Methods of inspection_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ი) სავარჯიშო №5.9 საქონლის დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- სად ხორციელდება საქონლის დათვალიერება და რა ხერხების გამოყენებით?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.9. Inspection place_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

კ) სავარჯიშო №5.10 საქონლის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს წარმოადგენს დათვალიერების აქტი?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.10. Create inspection act_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული

ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ლ) სავარჯიშო №5.11 საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან (ნიშანდება) დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რისთვის არის საჭირო ნიშანდება?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.11. Sealing_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

მ) სავარჯიშო №5.12 საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- შესაძლებელია თუ არა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის მოწვეულ იქნეს ექსპერტი?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 5.12. Expertise_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თავი 6. სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი

(მოკლე შინაარსი: სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი; ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი; ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი; სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება)

6.1. რისთვის არის საჭირო

სასაზღვრო - საკარანტინო[80] კონტროლი ხორციელდება საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული მგზავრების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ და გულისხმობს შემდეგი სახის კონტროლის პროცედურებს:

1. სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
2. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
3. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება.

6.1.1. სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ქვეშ იგულისხმება კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ქვეყანაში საკარანტინო და საერთაშორისო გავრცელების რისკის მქონე სხვა დაავადებების შემოტანის, აღმოცენებისა და გავრცელების თავიდან აცილებისთვის. იგი ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოების[81] მიერ, ქვეყნის სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში.

6.1.2. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის ქვეშ იგულისხმება ფიტოსანიტარიული პროცედურები, რომლებიც საჭიროა ფიტოსანიტარიულ კონტროლს

[80] **კარანტინი** (Fr. Quarantaine) - 1. გადამდები სნეულებით დაავადებულთა და მათთან ახლო მყოფ პირთა დროებითი იზოლაცია ეპიდემიური დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად; 2. სანიტარული პუნქტი, სადაც სინჯავენ ეპიდემიით მოცული ადგილიდან ჩამოსულ პირებს, გემებს, საქონელს (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

[81] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 1-ით დამტკიცებული ტექნოლოგიური სქემის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედი რედაქციით, საქართველოში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

დაქვემდებარებულ საქონელთან[82] დაკავშირებული დაავადებების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ვრცელდება ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტზე, რეექსპორტზე, ექსპორტსა და ტრანზიტზე, ასევე შესაძლებელია გავრცელდეს დასაწყობების ადგილებზე, ტარაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, კონტეინერებსა და რაიმე სხვა ორგანიზმებზე, ობიექტზე ან მასალაზე, რომლებშიც შესაძლებელია არსებობდეს მავნე ორგანიზმები, ან რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდნენ მათ სამალავებს.

6.1.3. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის ქვეშ იგულისხმება ვეტერინარული პროცედურები, რომლებიც საჭიროა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელთან[83] დაკავშირებული დაავადებების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ვრცელდება ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე[84], ასევე ასეთი საქონლის გადამაადგილებელ სატრანსპორტო საშუალებებზე.

6.1.4. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა

სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა მოწმდება საქონლის სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის (სანიტარიული, ფიტოსანიტარიული თუ ვეტერინარული) მიზნის შესაბამისად. ასეთი შემოწმება საჭიროა ამ საქონელთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არსებობისა და მათი ნამდვილობის (ხომ არ არის გაყალბებული) დადგენის მიზნით.

---

[82] „ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალისა და ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 18 იანვრის №29 ბრძანებით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედი რედაქციით განსაზღვრული საქონელი.

[83] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დანართი 1-ით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედი რედაქციით განსაზღვრული საქონელი.

[84] იხ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ დანართი 1-ით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედი რედაქცია.

6.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) სანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი რეგულირდება „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებით.

ბ) ფიტოსანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესით“.

გ) ვეტერინარული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესით“.

6.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) სანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის ზოგად დებულებებთან, კომპეტენტურ ორგანოებთან და მათ მოვალეობებთან, სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებებთან და სპეციალურ მოთხოვნებთან, ასევე სამედიცინო-სანიტარიული დოკუმენტებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 1-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ბ) რეკომენდებულია, სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის ზოგად დებულებებთან, გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის შევსების წესთან, საჰაერო ხომალდების, სატვირთო ავტომობილების, სატვირთო და სამგზავრო მატარებლებისა და ავტობუსების შემოსვლასთან, საკარანტინო და სხვა საშიშ დაავადებებზე დაინფიცირებულ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრებისას ჩასატარებელ სპეციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.გ) რეკომენდებულია საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხასთან დაკავშირებით, სადაც ხორციელდება სანიტარიულ - საკარანტინო კონტროლი, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 3-ით დამტკიცებული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ა.დ) რეკომენდებულია, გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 4-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ე) რეკომენდებულია, „საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაციის“ ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 5-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ვ) რეკომენდებულია, შტამპის - „სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ჩატარებულია“ ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 6-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ზ) რეკომენდებულია, „საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიული ნაწილის“ ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31

დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 7-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.თ) რეკომენდებულია, „ვაქცინაციის ან პროფილაქტიკის ჩატარების შესახებ“ მოწმობის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 8-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ი) რეკომენდებულია, „დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსული მგზავრის სააღრიცხვო ბარათის“ ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილების დანართი 9-ით დამტკიცებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ) ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესით“ გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ბ) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოსთან და პერსონალთან, დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.გ) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემასა და წარდგენის შემთხვევებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.დ) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიულ-სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის მიზნით წარსადგენ წინასწარ შეტყობინებასათან, ფიტოსანიტარიულ პროცედურებთან, დოკუმენტურ შემოწმებასთან, იდენტურობის შემოწმებასთან, მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლთან და ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ 5-10 მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.ე) რეკომენდებულია, ტრანზიტული საქონლის ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-11 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ვ) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ 12-13 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ზ) რეკომენდებულია, საფოსტო გზავნილით ან მგზავრის მიერ ბარგით და/ან ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-14 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ) ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესით“ გათვალისწინებული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

გ.ბ) რეკომენდებულია, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან და პერსონალთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.გ) რეკომენდებულია, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვისა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვის გაცემასთან და წარდგენასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.დ) რეკომენდებულია, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვისა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვის გაცემასთან და წარდგენასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ე) რეკომენდებულია, ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემასთან დკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ვ) რეკომენდებულია, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, პირობებს ვეტერინარული კონტროლისას, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის მიზნით წარსადგენ წინასწარ შეტყობინებასთან, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებთან, იდენტურობის შემოწმებასთან, ფიზიკურ შემოწმებასთან, ცოცხალი ცხოველების კლინიკური შემოწმებასთან, ტრანზიტული საქონლის ვეტერინარული კონტროლის პროცედურებთან და ვეტერინარული კონტროლის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ 6-15 მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

გ.ზ) რეკომენდებულია, საფოსტო გზავნილით ან მგზავრის მიერ ბარგით და/ან ხელბარგით შემოტანილი, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განადგურებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-18 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) რეკომენდებულია, სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა შემოწმდეს სასაზღვრო-საკარნტინო კონტროლის დასაწყისში.

6.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი და რისთვის არის საჭირო?

ა.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი?

ა.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი და რისთვის არის საჭირო?

ბ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი?

ბ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი და რისთვის არის საჭირო?

გ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი?

გ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმებასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება და რისთვის არის საჭირო?

დ.ბ) რა აუცილებელი რეკომენდაცია არსებობს დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმებასთან დაკავშირებით?

6.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №6.1. სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ სანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ზოგადი დებულებები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 6.1. Sanitary Control_(Your Name and Surname[85]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №6.2. ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატსა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 6.2. Phytosanitary Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №6.3. ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ ვეტერინარულ სერტიფიკატსა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 6.3. Veterinary inspection Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

---

[85] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

თავი 7. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი

(მოკლე შინაარსი: ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა; ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით შესაბამისი დოკუმენტების ავთენტურობის დადგენა; გადაწყვეტილების მიღება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ; დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა; ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება; საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა; საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება); საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა)

7.1. რისთვის არის საჭირო

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი გულისხმობს კონტროლის პროცედურების განხორციელებას ისეთი საქონლის მიმართ (მათ შორის, კომპიუტერული პროგრამა ან/და ტექნოლოგია), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ბიოლოგიური ან/და ქიმიური იარაღის, ბირთვული იარაღის ან ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად, ისე არაფეთქებადი მიზნებისათვის.

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი საჭიროა შემდეგი მიზნების უზრუნველსაყოფად:

ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა;

ბ) საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო-ს) ფარგლებში არსებული ვალდებულებებისა და პრინციპების შესაბამისად;

გ) საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება საქართველოს, როგორც გაეროს, აგრეთვე გაუვრცელებლობისა და უსაფრთხოების შესაბამისი რეჟიმების წევრი სახელმწიფოს, მიერ.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი მოიცავს შემდეგ ძირითად პროცედურებს:

1. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა;
2. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით შესაბამისი დოკუმენტების ავთენტურობის დადგენა;
3. გადაწყვეტილების მიღება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ;
4. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა;
5. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება (საჭიროების შემთხვევაში);
6. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);
7. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება) (საჭიროების შემთხვევაში);
8. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში).

7.1.1. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა საჭიროა იმის გასარკვევად, თუ რა ტიპიური გამოყენება აქვს მოცემულ პროდუქციას და ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ძირითად ჯგუფს მიეკუთვნება ის:

- სამრეწველო აღჭურვილობა;
- სამრეწველო მასალები;
- ურანის იზოტოპების განსაცალკევებლად საჭირო მოწყობილობები და ნაწილები;
- მძიმე წყლის საწარმოებელი მოწყობილობები;
- ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის კომპონენტები.

7.1.2. სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება

სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა მოწმდება საქონლის კონტროლის მიზნის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესაბამისად. ასეთი შემოწმება საჭიროა ამ საქონელთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არსებობისა და მათი ნამდვილობის (ხომ არ არის გაყალბებული) დადგენის მიზნით.

7.1.3. გადაწყვეტილების მიღება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ

გადაწყვეტილების მიღება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ გულისხმობს პროდუქციის თანმხლები დოკუმენტებიდან, შეფუთვიდან და მარკირებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ასევე ტრანსპორტირების მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზს. მისი მიზანია შესაძლო საფრთხეების შეფასების საფუძველზე ამ საქონლის დათვალიერების საჭიროების დასაბუთება.

7.1.4. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა

დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევა გულისხმობს დათვალიერების მეთოდის შერჩევას (სრული დათვალიერება; შერჩევითი დათვალიერება; ექსპერტის მოწვევა), უსაფრთხოების ხარისხის დადგენას (ბუნებრივი ფონი, ალფა, ბეტა და გამა გამოსხივება) და დათვალიერებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალების (ინსტრუმენების სტანდარტული ნაკრები რადიაციულ პეიჯერისა და რადიაციული დეტექტორის ჩათვლით; უსაფრთხოების ტექნიკა: პირბადე, ჩაფხუტი, კომბინიზონი; ამკრძალავი ნიშნები - შესვლა აკრძალულია, რადიაციული ფონი და

სხვ.) შერჩევას, ასევე წინასწარი გეგმის ელემენტების განსაზღვრას (საჭიროა თუ არა დათვალიერების ადგილის შემოსაზღვრა, რადიაციული ფონის შემოწმება, შეფუთვის გახსნა, ვიზუალური დათვალიერება, ხელახალი შეფუთვა, სინჯების და ნიმუშების აღება, გარე ექსპერტიზა, ასევე საჭიროა თუ არა ფუნქციების განაწილება დამთვალიერებელ პირს, დამკვირვებელ პირს და საქონლის მფლობელს შორის) და ამ გეგმის შემუშავებას.

7.1.5. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება საჭიროა კონტროლის შემდგომი პროცედურების დადგენის მიზნით და გულისხმობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, დათვალიერებისა და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ორმაგი დანიშნულების დანიშნულების პროდუქციის დათვალიერებას და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად[86].

7.1.6. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა

საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა საჭიროა დათვალიერების შედეგების ოფიციალური დაფიქსირებისთვის. დათვალიერების აქტი წარმოადგენს დათვალიერების განხორციელებისა და მისი შედეგების დამადასტურებელ დოკუმენტს. დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია სახელმძღვანელოს 9.3 ქვეთავით.

7.1.7. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება)

საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (ნიშანდება) გულისხმობს საქონლის დალუქვას (ან იდენტიფიცირებას) რაიმე სათავსოში ისე, რომ საიდენტიფიკაციო საშუალების დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ამ საქონელთან შეღწევა. საიდენტიფიკაციო საშუალების დადება საჭიროა იმისათვის, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ხერხით საქონლის უკანონო განკარგვის[87] მცდელობა. საიდენტიფიკაციო საშუალების დადების (ნიშანდება) წესები მოცემულია 10.1.3 ქვეთავით.

[86] ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები განსაზღვრულია „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით.

[87] უკანონო განკარგვა - საქონლის რეალიზაცია საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე.

7.1.8. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა

საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება საქონლის სახეობის, რაოდენობის ან ღირებულების ზუსტი იდენტიფიცირება. დათვალიერება უნდა ჩაატარდეს გარე ექსპერტების[88] დახმარებით.

[88] გარემოს დაცვის სამინისტროს რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის, ფიზიკის ინსტიტუტის, შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

7.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნები განსაზღვრულია „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ბ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები განსაზღვრულია „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით.

გ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გამოყენების შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის №394 დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხით“.

დ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანებით დამტკიცებული წესით (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კოროლაციის ცხრილი).

7.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის დოკუმენეტების ავთენტურობის დადგენის მზნით რეკომენდებულია ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო ნებართვის დამცავი ნიშნების (ნებართვის ფორმა, ბეჭდის ნიმუში, უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში, ნებართვის ეგზემპლარები) შემოწმება. კერძოდ, ნებართვაზე არსებული ბეჭდის შესაბამისობის შედარება გამცემი უწყების ბეჭდის ნიმუშთან, ნებართვაზე გამცემი პირის ხელმოწერის შესაბამისობის შედარება ხელმოწერის ნიმუშთან, ნებართვის ვალიდურობის ვადის დადგენა, ნებართვის ეგზემპლარების არსებობის დადგენა, მარეგულირებელი უწყების იდენტიფიცირება, ვისთანაც შესაძლებელია გაცემული ნებართვის ავთენტურობის დამატებითი გადამოწმება (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თუ გარემოს დაცვის სამინისტრო).

ბ) რეკომენდებულია, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნებთან დაკავშირებით გაეცნოთ „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

გ) რეკომენდებულია, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით გაეცნოთ „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით დადგენილი რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

დ) რეკომენდებულია, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის №394 დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის“ მოქმედ რედაქციას.

ე) რეკომენდებულია, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანებით დამტკიცებული წესის (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კოროლაციის ცხრილი) მოქმედ რედაქციას.

ვ) რეკომენდებულია, სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობა და ავთენტურობა შემოწმდეს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის დასაწყისში.

7.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენასთან დაკავშირებით:

ა.ა) რისთვის არის საჭირო ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა?

ა.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენის წესები?

ა.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით შესაბამისი დოკუმენეტების ავთენტურობის დადგენასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმება და რისთვის არის საჭირო?

ბ.ბ) რა აუცილებელი რეკომენდაცია არსებობს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით დოკუმენტაციის არსებობისა და ავთენტურობის შემოწმებასთან დაკავშირებით?

გ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რა არის მისი მიზანი?

დ) დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა?

ე) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერებასთან დაკავშირებით:

ე.ა) რას გულისხმობს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება და რისთვის არის საჭირო?

ე.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების წესები?

ე.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ვ) საქონლის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რისთვის არის საჭირო საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა?

ზ) საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან (ნიშანდებასთან) დაკავშირებით:

ზ.ა) რისთვის არის საჭირო საიდენტიფიკაციო საშუალების დადება?

თ) საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზასთან დაკავშირებით:

თ.ა) რისთვის არის საჭირო საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა?

7.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №7.1. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რისთვის არის საჭირო ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სახეობის დადგენა? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.1. Dual-use Goods_(Your Name and Surname[89]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №7.2. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნით შესაბამისი დოკუმენეტების ავთენტურობის დადგენასთან დაკავშირებით (დავალება): სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონში იპოვეთ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის მიზნები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.2. Dual-use Goods Doc_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №7.3. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რა არის მისი მიზანი? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.3. Dual-use Goods Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №7.4. დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რას გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.4. Equipment of Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული

[89] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №7.5. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერებასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რას გულისხმობს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დათვალიერება და რისთვის არის საჭირო? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.5. Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №7.6. საქონლის დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რისთვის არის საჭირო საქონლის დათვალიერების აქტის შედგენა? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.6. Act of Check_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ზ) სავარჯიშო №7.7. საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან (ნიშანდებასთან) დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რისთვის არის საჭირო საიდენტიფიკაციო საშუალების დადება? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.7. Identification_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თ) სავარჯიშო №7.8. საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზასთან დაკავშირებით: უპასუხეთ შეკითხვას - რისთვის არის საჭირო საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება ან/და ექსპერტიზა? პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 7.8. Expertise_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თავი 8. სპეციალური კონტროლი

(მოკლე შინაარსი: სავალუტო კონტროლი; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის კონტროლი; კულტურულ ფასეულობათა კონტროლი; ქიმიური ნარჩენების კონტროლი; სამკურნალო საშუალებების და პრეკურსორების კონტროლი; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი)

8.1. რისთვის არის საჭირო

სპეციალური კონტროლი ხორციელდება საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ. საქართველოს კანონმდებლობით სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება:

1. ვალუტა და ფასიანი ქაღალდები;
2. იარაღი და სამხედრო ტექნიკა;
3. კულტურული ფასეულობები;
4. ქიმიური ნარჩენები;
5. სამკურნალო საშუალებები და პრეკურსორები;
6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები.

8.1.1. სავალუტო კონტროლი

სავალუტო კონტროლი გულისხმობს ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს, რომლის მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ე.წ. „ფულის გათეთრების“) ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

საქართველოს კანონმდებლობით[90], ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა არ იბეგრება, თუმცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 30 000 ლარაზე მეტი ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოტანა/გატანა ექვემდებარება სავალდებულო წესით დეკლარირებას. აღნიშნულ ოდენობაზე მეტი, არადეკლარირებული ვალუტის ქვეყანაში შემოტანა ან ქვეყნიდან გატანა განიხილება როგორც საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად

[90] ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირების გარეშე დასაშვები ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

გადატანა/გადმოტანა და ითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად, რისთვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები[91].

სავალუტო კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას, სისტემატიზაციას, დამუშავებას და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მიწოდებას საბაჟო სამსახური (შემოსავლების სამსახური) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის[92] შესაბამისად.

8.1.2. შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლი

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლი გულისხმობს იარაღისა[93] და სამხედრო ტექნიკის[94] საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს, რომელიც საჭიროა შემდეგი მიზნების უზრუნველსაყოფად:

ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა;

ბ) საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო-ს) ფარგლებში არსებული ვალდებულებებისა და პრინციპების შესაბამისად;

გ) საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება საქართველოს, როგორც გაეროს, აგრეთვე გაუვრცელებლობისა და უსაფრთხოების შესაბამისი რეჟიმების წევრი სახელმწიფოს, მიერ.

საქართველოს კანონმდებლობით[95] განსაზღვრულია იარაღის შემდეგი ძირითადი სახეები:

ა) სამოქალაქო იარაღი;

ბ) სამსახურებრივ-საშტატო იარაღი;

გ) სამხედრო-საბრძოლო იარაღი.

---

[91] საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვალუტის დადგენილი წესების დარღვევით გადაადგილებისათვის პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 289-ე მუხლის მე-12 და მე-13 ნაწილებით.

[92] სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესი განსაზრვრულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2011 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით.

[93] იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით.

[94] სამხედრო დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით.

[95] იარაღის სახეები განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით.

სამოქალაქო იარაღი, რომელიც განკუთვნილია ფიზიკურ პირთა მიერ თავდაცვის, სპორტული, სანადირო, საკოლექციო და სასიგნალო მიზნებით გამოყენებისათვის[96].

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, რომლის ტარების უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით[97] განსაზღვრულ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

სამხედრო-საბრძოლო იარაღი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სამხედრო და მათთან გათანაბრებული მოსამსახურეების მიერ სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, საბრძოლო და ოპერატიულ-სამსახურებრივი მიზნების განხორციელებისათვის[98].

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესი[99], საქართველოში იარაღის შემოტანასთან დაკავშირებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესები[100], უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი[101], ასევე უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი[102] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

---

[96] სამოქალაქო იარაღის ცნება და სახეები განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-8 მუხლებით.

[97] სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ცნება და მისი ტარების უფლების მქონე პირები განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9-10 მუხლით.

[98] საბრძოლო-სამხედრო იარაღის ცნება განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით.

[99] სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანებით დამტკიცებული წესით (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კორელაციის ცხრილით).

[100] საქართველოში იარაღის შემოტანასთან დაკავშირებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესები და დამატებითი სანებართვო პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილებით.

[101] უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის №151 ბრძანებით.

[102] უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №239 დადგენილებით.

8.1.3. კულტურული ფასეულობების კონტროლი

კულტურული ფასეულობების კონტროლი გულისხმობს კულტურული ფასეულობების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს, რომლის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების დაცვა ქვეყნიდან მათი უკანონო გატანისაგან[103]. საქართველოს კანონმდებლობით, კულტურულ ფასეულობად ითვლება[104]:

- ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიისა და პალეონტოლოგიისათვის საინტერესო იშვიათი კოლექციები და ნიმუშები;
- ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებისა და საზოგადოების ისტორიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ფაქტებთან;
- არქეოლოგიური აღმოჩენა;
- მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტები;
- 100 წელზე მეტი ხნის წარწერა, მონეტა და ბეჭედი;
- ეთნოგრაფიული მასალა;
- ნებისმიერი მასალით ხელით შესრულებული ტილო, სურათი, ნახატი (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში;
- ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალური ნაწარმოები;
- ორიგინალური გრავიურა, ესტამპი და ლითოგრაფია;
- ნებისმიერი მასალისაგან დამზადებული ორიგინალური მხატვრული შენარჩევი და მონტაჟი;

---

[103] საქართველოში კულტურული ფასეულობების კონტროლის წესები (რომელი ნივთები ითვლება კულტურულ ფასეულობად, რომელი კულტურული ფასეულობები არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, რომელი კულტურული ფასეულობების საქართველოში შემოტანა არის აკრძალული, ასევე კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გატანის/საქართველოში შემოტანის წესები და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი) განსზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 4-10 მუხლებით.

[104] კულტურულ ფასეულობას მიკუთვნებული ნივთები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით. პირველი პუნქტით. **შენიშვნა** - „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, კულტურულ ფასეულობას არ წარმოადგენს თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობა, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთი.

- იშვიათი ხელნაწერი და ინკუნაბული, ძველი წიგნი, გუჯარი და გამოცემა, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა) იწვევენ ცალ-ცალკე და კოლექციად;
- მიმოქცევიდან ამოღებული საფოსტო მარკა, საგადასახადო და ანალოგიური მარკა ცალ-ცალკე ან კოლექციად;
- არქივი, მათ შორის ფონო, ფოტო და კინოარქივი;
- 100 წელზე მეტი ხნის ავეჯი და ძველებური მუსიკალური საკრავი.

კულტურული ფასეულობების შემოტანა/გატანის მარეგულირებელი ორგანოები[105], კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა და დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, ასევე საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობების მარეგისტრირებელი ორგანო[106], კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირების წესები[107], ასევე კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გამცემი ორგანო[108] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

8.1.4. ქიმიური ნარჩენების კონტროლი

ქიმიური ნარჩენების კონტროლი გულისხმობს ქიმიური ნარჩენების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს, რომელთა მიზანია საქონლის წარმოების მასშტაბების ზრდით გამოწვეული სახიფათო ნარჩენების მავნე (ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში) ზემოქმედებისაგან მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა. ქიმიური ნარჩენების კონტროლის მარეგულირებელი, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა მომზადებულია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო

[105] კულტურული ფასეულობების შემოტანა/გატანის მარეგულირებელი ორგანოები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით.

[106] კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა და დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, ასევე საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობების მარეგისტრირებელი ორგანო განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით.

[107] კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირების წესები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 15-17 მუხლებით.

[108] კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გამცემი ორგანო განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-32 მუხლებით.

გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენციისა[109] და „ევროგაერთიანების ფარგლებში, ევროგაერთიანებაში და ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ ნარჩენების გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ“ ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის 259/93/EEG დებულების შესაბამისად.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ქიმიურ ნარჩენებად ითვლება ყველა სახის ნარჩენი რომელიც სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და აზიანებს გარემოს. ბაზელის კონვენციის თანახმად ასეთ ნარჩენებად ითვლება მაგალითად ჰოსპიტალების, სამედიცინო ცენტრებისა და კლინიკების კლინიკური ნარჩენები; ფარმაცევტული პროდუქციის მომზადებისა და წარმოების ნარჩენები; ფარმაცევტული საქონლის, წამლებისა და პრეპარატების ნარჩენები; ბიოციდებისა და ფიტოფარმაცევტული პრეპარატების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები; ხის მასალების კონსერვანტების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები და სხვა მსგავსი სახიფათო ნარჩენები[110].

ნარჩენებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ნარჩენების ჩამონათვალი (კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები), რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია[111]; ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია, ასევე სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაციის წესი[112]; დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს, ასევე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების წესი[113]; შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის

[109] ბაზელის კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 მაისის №232 ბრძანებულებით.

[110] კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები, კატეგორიები ნარჩენებისა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას, სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალი, ნარჩენების განთავსების წესები, შემტანა/გატანისას იფლებამოსილი ორგანოებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, ნარჩენის ბრუნვის დოკუმენტთან დაკავშირებით მისაწოდებელი ინფორმაცია და ასევე ნარჩენების შესახებ წარმოშობილი დავების არბიტრაჟი განსაზღვრულია ბაზელის კონვენციის I,II,III,IV,VA,VB და VI დანართებით.

[111] ნარჩენებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ნარჩენების ჩამონათვალი, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია, განსაზღვრულია „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-2 მუხლებით.

[112] ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია, ასევე სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაციის წესი განსაზღვრულია „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-4 მუხლებით.

[113] დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს, ასევე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების წესი განსაზღვრულია „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-6 მუხლებით.

წესი და გამცემი ორგანო[114]; შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია[115] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

ხშირად საქონელზე ან მის შეფუთვაზე დატანილია გამაფრთხილებელი ნიშნები თუ რა სახის სახიფათო ნარჩენს წარმოადგენს. 8.2. დანართით მოცემულია ძირითადი გამაფრთხილებელი ნიშნები. სასურველია საბაჟო საქმის სპეციალისტს შეეძლოს მათი წაკითხვა რათა გაუადვილდეს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სახიფათო პროდუქციის ამოცნობა.

8.1.5. სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლი

სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლი გულისხმობს **სამკურნალო საშუალებებისა** და **პრეკურსორების** საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს, რომლის მიზანია მოსახლეობის ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური წამლებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ტერმინში „სამკურნალო საშუალება“ იგულისხმება წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული სამკურნალო ნივთიერებები ან მათი ნარევები, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის[116], ხოლო ტერმინი „პრეკურსორი“გულისხმობს ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერებას, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა IV სიის №1 და №2 ცხრილებში[117].

საქართველოს კანონმდებლობით[118], სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების მაკონტროლებელი ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

---

[114] შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესი და გამცემი ორგანო განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების 3-12 მუხლებით.

[115] შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების დანართი 1-ით.

[116] **სამკურნალო საშუალების** (ფარმაცევტული პროდუქტის) განმარტება მოცემულია „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის მე-13 პუნქტით.

[117] **პრეკურსორის** განმარტება და ჩამონათვალი მოცემულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტითა და ამავე კანონის დანართი №1-ით განსაზღვრული IV სიის №1 და №2 ცხრილებით.

[118] სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების მაკონტროლებელი ორგანო, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის 24-ე პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართველობის სფეროში შემავალი კომპეტენტური სამსახური (სააგენტო).

დაცვის სამინისტროს მართველობის სფეროში შემავალი კომპეტენტური სამსახური (სააგენტო).

ტერმინების - „ნარკოტიკული საშუალება“ და „ფსიქოტროპული ნივთიერება“ განმარტება[119], ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობები[120], ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი[121] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

8.1.6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლის სპეციალურ წესებს (სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესებს), რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის დაცვა მის მიერ გამოგონილი, მატერიალური თუ არამატერიალური, ობიექტების უკანონო გამოყენებისაგან. საქართველოს კანონმდებლობით[122] ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს შემდეგი სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლება:

- საავტორო ან მომიჯნავე უფლება;
- მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება;
- დიზაინზე განსაკუთრებული უფლება;

---

[119] ტერმინები - „ნარკოტიკული საშუალება“ და „ფსიქოტროპული ნივთიერება“ განმარტებულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, ქვეპუნქტებით.

[120] ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-31/ნ ბრძანებით.

[121] ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებით.

[122] ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.

- რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;
- სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება.

აღნიშნული წესები გამოიყენება კონტრაფაქციული პროდუქციის ან/და ინტელექტუალური საკუთრების ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის იმპორტში ან ექსპორტში მოქცევისას, ასევე საბაჟო საწყობში, საბაჟო ტერმინალში ან შენახვის სხვა ადგილში შესანახად განთავსებისას.

კონტრაფაქციულ პროდუქციაში იგულისხმება ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს[123].

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევით წარმოებულ პროდუქციაში იგულისხმება:

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია (ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოებულია უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე და რომელიც, საქართველოში წარმოშობის შემთხვევაში, წარმოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით[124]);
- მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია (ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოებულია მონაცემთა ბაზის დამამზადებლის ქონებრივი ან/და პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევით, რომელიც დაკავშირებულია და გამომდინარეობს საავტორო უფლებებიდან[125]);
- დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია (საქართველოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული დიზაინის მფლობელის ნებართვის გარეშე დამზადებული პროდუქტი, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც გამოიყენება ის და რომელიც, შესაბამისად, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დიზაინის მფლობელის უფლებებს[126]);

---

[123] კონტრაფაქციული პროდუქციის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

[124] საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით.

[125] მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ვებ-გვერდზე - www.gca.ge.

[126] დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ(პრიმა)“ ქვეპუნქტით.

- საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია (ნებისმიერი საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა[127]).
- სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაღვევით წარმოებული პროდუქცია (სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან[128]. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაღღვევით პროდუციის წარმოება გულისხმობს პირის მიერ, როგორც წესი ნაკლები ხარისხის პროდუქციაზე სხვა პირის მიერ გამოგონილი სასაქონლო ნიშნის გამოყენებას ამ უკანასკნელთან შეთანხმების გარეშე).

თუ საქონლის იმპორტში მოქცევისას, საბაჟო საწყობში/საბაჟო ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილში შესანახად განთავსებისას ან საქართველოდან ექსპორტირებისას საბაჟო სამსახურს (შემოსავლების სამსახურს) ექნება საფუძველი ივარაუდოს, რომ საქონელი წარმოებულია საქართველოში დაცულ ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრირებულ ობიექტზე უფლებების (ინტელექტუალური საკუთრების ზემოაღნიშნული უფლებების) დარღვევით, საბაჟო სამსახური (შემოსავლების სამსახური) იღებს გადაწყვეტილებას ასეთი საქონლის გადაადგილების ან/და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შეჩერების (საქონლის შეჩერების) შესახებ. საქართველოს კანონმდებლობით, აღნიშნულ პროცედურას საქონლის შეჩერება ეწოდება[129].

---

[127] საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით.

[128] სასაქონლო ნიშნის არსი განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით.

[129] საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა და წესი განსაზღვრულია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონის 5-8 მუხლებით.

8.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით:

ა.ა) ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირების გარეშე დასაშვები ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

ა.ბ)იბეგრება თუ არა უცხოური ვალუტის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა?

ა.გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-12 და მე-13 ნაწილებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომები ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების საბაჟო საზღვარზე პროცედურების დარღვევით გადატანა/გადმოტანისთვის.

ა.დ) საბაჟო სამსახურის (შემოსავლების სამსახურის) მიერ სავალუტო კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესი განსაზრვრულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2011 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით.

ბ) შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით;

ბ.ბ) იარაღის სახეები (მათ შორის, სამოქალაქო იარაღი, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და მისი ტარების უფლების მქონე პირები, ასევე სამხედრო-საბრძოლო იარაღი) განსაზღვრულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-11 მუხლებით.

ბ.გ) სამხედრო დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით.

ბ.დ) სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანებით დამტკიცებული წესით (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კორელაციის ცხრილით).

ბ.ე) საქართველოში იარაღის შემოტანასთან დაკავშირებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესები და დამატებითი სანებართვო პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილებით.

ბ.ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის №151 ბრძანებით.

ბ.ზ) უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ

იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №239 დადგენილებით.

გ) კულტურული ფასეულობების კონტროლთან დაკავშირებით:

გ.ა) საქართველოში კულტურული ფასეულობების კონტროლის წესები (რომელი ნივთები ითვლება კულტურულ ფასეულობად, რომელი კულტურული ფასეულობები არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, რომელი კულტურული ფასეულობების საქართველოში შემოტანა არის აკრძალული, ასევე კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გატანის/საქართველოში შემოტანის წესები და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი) განსზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 4-10 მუხლებით.

გ.ბ) კულტურულ ფასეულობას მიკუთვნებული ნივთები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით.

გ.გ) კულტურული ფასეულობების შემოტანა/გატანის მარეგულირებელი ორგანოები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით.

გ.დ) კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა და დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, ასევე საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობების მარეგისტრირებელი ორგანო განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით.

გ.ე) კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირების წესები განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 15-17 მუხლებით.

გ.ვ) კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გამცემი ორგანო განსაზღვრულია „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-32 მუხლებით.

დ) ქიმიური ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით:

დ.ა) ბაზელის კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 მაისის №232 ბრძანებულებით.

გ.ბ) კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები, კატეგორიები ნარჩენებისა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას, სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალი, ნარჩენების განთავსების წესები, შემტანა/გატანისას იფლებამოსილი ორგანოებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, ნარჩენის ბრუნვის დოკუმენტთან დაკავშირებით მისაწოდებელი ინფორმაცია და ასევე ნარჩენების შესახებ წარმოშობილი დავების არბიტრაჟი განსაზღვრულია ბაზელის კონვენციის I,II,III,IV,VA,VB და VI დანართებით.

დ.გ) ნარჩენებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ნარჩენების ჩამონათვალი, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია, განსაზღვრულია „საქართველოს

ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-2 მუხლებით.

დ.დ) ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია, ასევე სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაციის წესი განსაზღვრულია „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-4 მუხლებით.

დ.ე) დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს, ასევე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების წესი განსაზღვრულია „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-6 მუხლებით.

დ.ვ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესი და გამცემი ორგანო განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების 3-12 მუხლებით.

დ.ზ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების დანართი 1-ით.

ე) სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლთან დაკავშირებით:

ე.ა) სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტი) განმარტება მოცემულია წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის მე-13 პუნქტით.

ე.ბ) პრეკურსორების განმარტება და ჩამონათვალი მოცემულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტითა და ამავე კანონის დანართი №1-ით განსაზღვრული IV სიის №1 და №2 ცხრილებით.

ე.გ) სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების მაკონტროლებელი ორგანო, განსაზღვრულია წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის 24-ე პუნქტითა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

ე.დ) ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების განმარტება მოცემულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“და „ბ“ ქვეპუნქტებით.

ე.ვ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-31/ნ ბრძანებით.

ე.ზ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და

საქართველოდან გატანის წესი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებით.

ვ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლთან დაკავშირებით:

ვ.ა) ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.

ვ.ბ) კონტრაფაქციული პროდუქციის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

ვ.გ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება განსაზღვრულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით.

ვ.დ) მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ვებ-გვერდზე - www.gca.ge.

ვ.ე) დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ(პრიმა)“ ქვეპუნქტით.

ვ.ვ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტება მოცემულია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით.

ვ.ზ) სასაქონლო ნიშნის არსი განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით.

ვ.თ) საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა და წესი განსაზღვრულია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონის 5-8 მუხლებით.

8.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირების გარეშე დასაშვები ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ოდენობასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას[130].

ა.ბ) რეკომენდებულია, საბაჟო საზღვარზე საბაჟო პროცედურების დარღვევით (დეკლარირების გარეშე) ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა/გადმოტანისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-12 და მე-13 ნაწილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ა.გ) რეკომენდებულია, შემოსავლების სამსახურის მიერ სავალუტო კონტროლის შესახებ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2011 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ) შეიარაღისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, იარაღის ბრუნვასთან, მასზე კონტროლის განხორციელებასთან, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გაეცნოთ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.ბ) რეკომენდებულია, იარაღის სახეებთან (მათ შორის, სამოქალაქო იარაღი, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და მისი ტარების უფლების მქონე პირები, ასევე სამხედრო-საბრძოლო იარაღი) დაკავშირებით გაეცნოთ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-11 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.გ) რეკომენდებულია, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.დ) რეკომენდებულია, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანებით დამტკიცებული წესით (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კორელაციის ცხრილით) განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

---

[130] მოქმედი რედაქციით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირების გარეშე დასაშვებია 30 000 ლარამდე ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოტანა/გატანა.

ბ.ე) რეკომენდებულია, საქართველოში იარაღის შემოტანასთან დაკავშირებულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესებთან და დამატებით სანებართვო პირობებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.ვ) რეკომენდებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის №151 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ.ზ) რეკომენდებულია, უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №239 დადგენილებით.

გ) კულტურული ფასეულობების კონტროლთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, საქართველოში კულტურული ფასეულობების კონტროლის წესებთან (რომელი ნივთები ითვლება კულტურულ ფასეულობად, რომელი კულტურული ფასეულობები არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, რომელი კულტურული ფასეულობების საქართველოში შემოტანა არის აკრძალული, ასევე კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გატანის/საქართველოში შემოტანის წესები და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი) დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 4-10 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

გ.ბ) რეკომენდებულია, კულტურულ ფასეულობას მიკუთვნებული ნივთებთან დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.გ) რეკომენდებულია, კულტურული ფასეულობების შემოტანა/გატანის მარეგულირებელი ორგანოებთან დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.დ) რეკომენდებულია, კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა და დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ და საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობების მარეგისტრირებელი ორგანოსთან დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ე) რეკომენდებულია, კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 15-17 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ვ) რეკომენდებულია, კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გამცემ ორგანოსთან დაკავშირებით გაეცნოთ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-32 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) ქიმიური ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით:

დ.ა) რეკომენდებულია, კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიებთან, ნარჩენების კატეგორიებთან, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას, სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალთან, ნარჩენების განთავსების წესებთან, შემტანა/გატანისას უფლებამოსილი ორგანოებისთვის მისაწოდებელ ინფორმაციასთან, ნარჩენის ბრუნვის დოკუმენტთან დაკავშირებით მისაწოდებელ ინფორმაციასთან და ასევე ნარჩენების შესახებ წარმოშობილ დავების არბიტრაჟთან დაკავშირებით გაეცნოთ ბაზელის კონვენციის I,II,III,IV,VA,VB და VI დანართებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

დ.ბ) რეკომენდებულია, ნარჩენებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასთან, ასევე ნარჩენების ჩამონათვალთან, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია, დაკავშირებით გაეცნოთ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-2 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.გ) რეკომენდებულია, იმპორტისთვის დაშვებულ ნარჩენებთან, ასევე სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაციის წესთან დაკავშირებით გაეცნოთ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-4 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.დ) რეკომენდებულია, ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტისთვის დასართავ დოკუმენტაციასთან, ასევე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების წესთან დაკავშირებით გაეცნოთ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-6 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ე) რეკომენდებულია, შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესთან და გამცემ ორგანოსთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების 3-12 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ვ) რეკომენდებულია, შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების დანართი 1-ით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე) სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლთან დაკავშირებით:

ე.ა) რეკომენდებულია, სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.ბ) რეკომენდებულია, პრეკურსორების განმარტებასთან და ჩამონათვალთან დაკავშირებით გაეცნოთ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტითა და ამავე კანონის დანართი №1-ით განსაზღვრული IV სიის №1 და №2 ცხრილებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ე.გ) რეკომენდებულია, სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემ და სანებართვო პირობების მაკონტროლებელ ორგანოსთან დაკავშირებით გაეცნოთ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის 24-ე პუნქტითა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ე.დ) რეკომენდებულია, ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების განმარტებას გაეცნოთ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.ვ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-31/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.ზ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლთან დაკავშირებით:

ვ.ა) რეკომენდებულია, ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის განმარტებასთან დაკავშირებით „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ბ) რეკომენდებულია, კონტრაფაქციული პროდუქციის განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.გ) რეკომენდებულია, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.დ) რეკომენდებულია, დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ(პრიმა)“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ე) რეკომენდებულია, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ვ) რეკომენდებულია, საქონლის შეჩერების ხანგრძლივობასთან და წესთან დაკავშირებით გაეცნოთ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 5-8 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ზ) რეკომენდებულია, სასაქონლო ნიშანის არსთან დაკავშირებით გაეცნოთ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

8.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს სავალუტო კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რამდენი ლარის ნაღდი ფულის გადაადგილება შეიძლება დეკლარირების გარეშე?

ა.გ) დადგენილ ოდენობაზე მეტი ნაღდი ფულის დეკლარირების გარეშე გადაადგილება ითვლება თუ არა სამართალდარღვევად?

ა.დ) რომელ ორგანოს ეგზავნება სავალუტო კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაცია საბაჟო სამსახურის მიერ?

ა.ე) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სავალუტო კონტროლი საქართველოში?

ა.ვ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სავალუტო კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს შეიარაღისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) იარაღის რა ძირითადი სახეები იცით?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება იარაღისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლი საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია იარაღისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) კულტურული ფასეულობების კონტროლთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს კულტურული ფასეულობების კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით, რომელი საქონელი ითვლება კულტურულ ფასეულობად (დაასახელეთ მინიმუმ ხუთი მათგანი)?

ბ.გ) საქართველოს კანონმდებლობით, რომელი საქონელი არ წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება კულტურული ფასეულობების კონტროლი საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია კულტურული ფასეულობების კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) ქიმიური ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს ქიმიური ნარჩენების კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

დ.ბ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ქიმიური ნარჩენების კონტროლი საქართველოში?

დ.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ქიმიური ნარჩენების კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ე) სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლთან დაკავშირებით:

ე.ა) რას გულისხმობს სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

ე.ბ) რას ნიშნავს ტერმინი „სამკურნალო საშუალება“?

ე.გ) რას ნიშნავს ტერმინი „პრეკურსორი“?

ე.დ) საქართველოს კანონმდებლობით, რომელი ორგანო გასცემს სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვას?

ე.ე) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლი საქართველოში?

ე.ვ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ვ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლთან დაკავშირებით:

ვ.ა) რას გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი და რა არის მისი მიზანი?

ვ.ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლების რა სახეები იცით?

ვ.გ) ვინ შეიძლება იყოს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი?

ვ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლი საქართველოში?

ვ.ვ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

8.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №8.1. სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ რამდენია ჯარიმის ოდენობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარზე მეტი, მაგრამ 50 000 ლარზე ნაკლები ვალუტის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანისათვის? 50 000 ლარზე მეტი ვალუტის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანისათვის?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.1. Currency Control_(Your Name and Surname[131]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №8.2. შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): იარაღის შესახებ საქართველოს კანონში იპოვეთ მუხლები რომლებითაც განმარტებულია სამოქალაქო იარაღის სახეები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.2. Military Equipment Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №8.3. კულტურული ფასეულობების კონტროლთან დაკავშირებით (დავალება): „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით იპოვეთ:

გ.ა) კულტურულ ფასეულობებად მიჩნეული ნივთები;

გ.ბ) ნივთები, რომლებზედაც არ ვრცელდება სავალუტო კონტროლი.

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.3. Control of Cultural Values_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

---

[131] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

დ) სავარჯიშო №8.4. ქიმიური ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით (დავალება):

დ.ა) ბაზელის კონვენციაში იპოვეთ ნარჩენების ჩამონათვალი (კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები).

დ.ბ) „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში იპოვეთ ნარჩენების ჩამონათვალი, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია, ასევე ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია.

ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.4. Chemical Waste Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №8.5. სამკურნალო საშუალებებისა და პრეკურსორების კონტროლთან დაკავშირებით:

კანონმდებლობაში იპოვეთ:

ე.ა) სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) განმარტება;

ე.ბ) პრეკურსორების ჩამონათვალი.

ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.5. Drugs and Precursors Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №8.6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კონტროლთან დაკავშირებით (დავალება):

ვ.ა) საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ რამდენია საქონლის (მათ შორის მალფუჭებადი საქონლის) შეჩერების ხანგრძლივობა;

ვ.ბ) საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ რა პროცედურები ხორციელდება საბაჟო სამსახურის (შემოსავლების სამსახურის) მიერ საქონლის შეჩერების შემთხვევაში.

ნაპოვნი ინფორმაცია, შესაბამისი ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 8.6. Intellectual Property Assets Control_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 8.1. სპეციალური კონტროლის გზამკვლევი კანონმდებლობაში

№	სპეციალურ კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაცია	მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი																		
		საგადასახადო კოდექსი	№290 ბრძანება[132]	№1 ბრძანება[133]	კანონი[134]	№372 დადგენილება[135]	№292 ბრძანება[136]	№162 დადგენილება[137]	№151 ბრძანება[138]	№239 დადგენილება[139]	კანონი[140]	ბაზელის კონვენცია	კანონი[141]	№184 დადგენილება[142]	კანონი[143]	კანონი[144]	№01-31/ნ ბრძანება[145]	№01-32/ნ ბრძანება[146]	კანონი[147]	კანონი[148]
1	ვალუტა და ფასიანი ქაღალდები																			
1.1	საბაჟო საზღვარზე საბაჟო	289/ 12,13																		

[132] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.
[133] საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2011 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული წესი.
[134] საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“.
[135] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილება „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“.
[136] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანება სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესის დამტკიცების თაობაზე (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კორელაციის ცხრილი).
[137] საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ“.
[138] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის №151 ბრძანება „უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების თაობაზე“.
[139] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №239 დადგენილება „უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“.
[140] საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“.
[141] საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“.
[142] საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“.
[143] საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.
[144] საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“.
[145] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-31/ნ ბრძანება „ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“.
[146] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანება „ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“.
[147] საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.
[148] საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“.

	პროცედურების დარღვევით (დეკლარირების გარეშე) ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა/გადმოტანისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობის ზომები.																			
1.2	ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირების გარეშე დასაშვები ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ოდენობა.		21/7/დ																	
1.2	სავალუტო კონტროლთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესი			მთლიანად																
2	**შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა**																			
2.1	იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის განხორციელებასთა				მთლიანად															

	ნ დაკავშირებული ურთიერთობები, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები																			
2.2	იარაღის სახეები (მათ შორის, სამოქალაქო იარაღი, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და მისი ტარების უფლების მქონე პირები, ასევე სამხედრო-საბრძოლო იარაღი)				3-11															
2.2	სამხედრო დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები					მთლიანად														
2.3	სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სასაქონლო კოდებთან შესაბამისობის წესები						მთლიანად													
	საქართველოში იარაღის შემოტანასთან დაკავშირებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესი და დამატებითი სანებართვო პირობები							მთლიანად												

	უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი								მთლიანად											
	უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი									მთლიანად										
3	**კულტურული ფასეულობები**																			
3.1	რომელი ნივთები ითვლება კულტურულ ფასეულობად; ზოგადი ინფორმაცია[149]										4-10									
3.2	კულტურული ფასეულობების შემოტანა/გატანის მარეგულირებელი ორგანოები										11									

[149] **კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია** – კულტურული ფასეულობების კონტროლის მიზანი, რომელი კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანა/საქართველოში შემოტანა არის აკრძალული, კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გატანის/საქართველოში შემოტანის წესები და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი.

3.3	კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა და დროებითი გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, ასევე საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობების მარეგისტრირებელი ორგანო.										12									
3.4	კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირება.										15-27									
3.5	კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გამცემი ორგანო.										28-32									
4	ქიმიური ნარჩენები																			
4.1	კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები, კატეგორიები ნარჩენებისა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას,											I,II,III,IV, VA,VB და VI დანართები								

	სახიფათო ნარჩენების ჩამონათვალი, ნარჩენების განთავსების წესები, შემტანა/გატანისას იფლებამოსილი ორგანოებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, ნარჩენის ბრუნვის დოკუმენტთან დაკავშირებით მისაწოდებელი ინფორმაცია და ასევე ნარჩენების შესახებ წარმოშობილი დავების არბიტრაჟი																		
4.2	ტერმინოლოგია, და ნარჩენები, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია											1-2							
4.3	ნარჩენები, რომელთა იმპორტი დაშვებულია, სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაცია											3-4							
4.4	დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს, ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირება											5-6							

4.5	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესი და გამცემი ორგანო													3-12						
4.6	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია													დანართი №1						
5	**სამკურნალო საშუალებები და პრეკურსორები**																			
5.1	ტერმინოლოგია (მათ შორის, სამკურნალო საშუალება)														1(პრიმა)/13					
5.2	სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების მაკონტროლებელი ორგანო[150]														1(პრიმა) / 24; 3/3/დ					
5.3	ტერმინოლოგია (მათ შორის, ნარკოტიკული															3/ა,ბ, გ; დანართი				

[150] სამკურნალო საშუალებების (ფარმაცევტული პროდუქტის) ექსპორტის ან იმპორტის ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების მაკონტროლებელი ორგანო, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობისშესახებ საქართველოს კანონის 1(პრიმა) მუხლის 24-ე პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართველობის სფეროში შემავალი კომპეტენტური სამსახური (სააგენტო).

	საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება, პრეკურსორი), პრეკურსორების ჩამონათვალი															№1/ სიაIV / ცხრილები №1, №2				
5.4	ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და საქართველოს ტერიტორიიდან გასატანი სამკურნალო საშუალებების ოდენობები																მთლიანად			
5.5	ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი																	მთლიანად		
6	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები																			
6.1	ტემინოლოგია (მათ შორის, საკუთრების უფლების სახეები, კონტრაფაქციული პროდუქცია; „დე-მინიმის“ იმპორტი).																		2	
6.2	ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის																		3-4	

	უფლებების დამცავი ორგანო, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის წესი და პირობები																			
6.3	საბაჟო სამსახურის (შემოსავლების სამსახურის) მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევით შემოტანილი საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა და წესი																		5-8	
6.4	რას ნიშნავს სასაქონლო ნიშანი																			3

დანართი 8.2. გამაფრთხილებელი ნიშნები

სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირებისას, ტვირთის შეფუთვაზე, სათავსზე, კონტეინერზე ან თვით სატრანსპორტო საშუალებაზეც კი მოთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები (Warning Symbols) რომლებიც საერთაშორისო სტანდარტითაა დამტკიცებული და მხოლოდ ფონური ფერით შეიძლება განსხვავდებიდნენ. ნიშნის ფონი შეიძლება იყოს წითელი ან სტაფილოსფერი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სახიფათო ტვირთებზე ყვითელი ფერია გამოყენებული. ქვემოთ მოცემულია გამაფრთხილებელი ნიშნების მნიშვნელობები რომელთათა ცოდნაც საბაჟო საქმის სპეციალისტს, აგრეთვე საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფ ნებისმიერ პირს, დაეხმარება თავიდან აიცილოს ასეთ ტვირთებთან დაკავშირებული სართხეები. გარდა ნიშნისა (რომელიც როგორც წესი, რამდენიმე თვალსაჩინო ადგილზეა დამაგრებული), ხშირად მიეთითება წარწერა ნივთიერების ზუსტი დასახელებით, მწარმოებლის მისამართით საკონტაქტო ინფორმაციით და რისკის კატეგორიით თუ ასეთი წარწერის არსებობა მოეთხოვება ტვირთს.

№	ნიშანი	განმარტება
1		**კოროზიული ნივთიერება:** ეს ნივთიერებები მათთან შეხებისას ქიმიური რექციის შედეგად იწვევენ ცოცხალი ქსოვილების მძიმე დაზიანებებს ან განადგურებას, ხოლო სხვა საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების მატერიალურ ზარალს, გაჟონვის შემთხვევაში.
2		**სხვა სახიფათო ნივთიერება:** ეს ნივთიერებები შესულია სახიფათო ნივთიერებათა საერთაშორისო ჩამონათვალში. მასთან კონტაქტი შესაძლოა წარმოადგენდეს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
3		**რადიოაქტიური ნივთიერება:** არსებობს რისკის სამი კატეგორია, რაც მითითებულია ნიშანზე რომაული ციფრებით. მათ შორის III ყველაზე სახიფათოა. იმის მიხედვით თუ რა გამოსხივების წყაროა მასში მოთავსებული, პირდაპირი კონტაქტისას შეიძლება გამოიწვიოს დაუყოვნებლივი დამწვრობა ან ონკოლოგიური დაავადებები გრძელვადიან პერიოდში.

4		**ფეთქებადი ნივთიერება:** ეს ნივთიერებები შეიძლება აფეთქდეს ცეცხლთან კონტაქტისას ან რაც უფრო სახიფათოა შესაძლოა აფეთქება გამოიწვიოს მკვეთრმა რყევამ ან შეჯახებამ.
5		**მჟანგავი აგენტი:** ეს ნივთიერებები იძლევიან მკვეთრ ეგზოთერმულ რეაქციას სხვა (განსაკუთრებით აალებად ნივთიერებებთან) შეხებისას.
6		**აალებადი ნივთიერება:** არსებობს ასეთი ნივთიერებების სამი კატეგორია: 1. **აალებადი**. ეს არის სითხეები, რომელთა აალების ტემპერატურა 21-დან 55 გრადუს ცელსიუსამდე მერყეობს. 2. **ძლიერ აალებადი**. ეს არის სითხე, რომლის აალების ტემპერატურა 21 გრადუსზე დაბალია, ან აირი ან მყარი ნივთიერება, რომელიც აალდება ჰაერთან შეხებისას დამატებითი სტიმულატორის გარეშე. 3. **უკიდურესად აალებადი**. სითხე, რომლის დუღილის ტემპერატურა 35 გრადუსზე დაბალია და აალების ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბალია.
7		**მომწამლავი ნივთიერება:** ნივთიერება, რომლის შესუნთქვა ან ადამიანის სხეულში შეღწევა გამოიწვევს სერიოზულ დაზიანებებს, ქრონიკულ დაავადებებს და ზოგ შემთხვევაში სიკვდილს.
8		**სახიფათო ნივთიერება:** ნივთიერება, რომელიც მასთან უეცარი, გრძელვადიანი ან პერიოდული კონტაქტისას იწვევს კანისა და ლორწოვანი გარსის ანთებას, ხოლო ჩასუნთქვის ან სხეულში მოხვედრის შემთხვევაში იწვევს მცირედ დაზიანებებს.

თავი 9. საბაჟო დოკუმენტაციის წარმოება

(მოკლე შინაარსი: საბაჟო დოკუმენტების შემოწმება; საბაჟო პროცედურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნა; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება; დათვალიერების აქტის შედგენა)

9.1. რისთვის არის საჭირო საბაჟო დოკუმენტაციის წარმოება

საბაჟო დოკუმენტაცია მოიცავს დოკუმენტებს, რომლებიც თან ახლავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელს და რომლებშიც ძირითადად ასახულია ინფორმაცია ამ საქონლის დასახელების, საბაჟო ღირებულების, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის, სასაქონლო კოდის, შეფუთვის, ექსპორტიორის/მისი წარმომადგენლის, იმპორტიორის/მისი წამომადგენლის, გადამზიდავის შესახებ. საბაჟო დოკუმენტაციის წარდგენა საჭიროა საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ზედამხედველობის განსახორციელებლად. საბაჟო დოკუმენტაციაში აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ივსება აღრიცხვის მოწმობა ან/და საბაჟო დეკლარაცია. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საბაჟო დოკუმენტაციის წარმოება გულისხმობს:

1. საბაჟო დოკუმენტების შემოწმებას;
2. საბაჟო პროცედურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნას;
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებას;
4. დათვალიერების აქტის შედგენას.

9.1.1. საბაჟო დოკუმენტების შემოწმება

დოკუმენტაციის სახეები და რაოდენობა დამოკიდებულია როგორც საქონლის სახეობაზე, ისე იმპორტიორი ქვეყნის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებზე. დოკუმენტების შეგროვება შრომატევადი პროცესია და სავალდებულო დოკუმენტების არქონა შეიძლება გახდეს საქონლის ექსპორტირების პროცესის შეფერხების ან ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის შეჩერების საფუძველი. საბაჟო დოკუმენტების მომზადებას, როგორც წესი უზრუნველყოფენ საბაჟო ბროკერები (წარმომადგენლები) ან გადამზიდავები, თუმცა მათ სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა დეკლარანტს ეკისრება. არსებობს არასავალდებულო დოკუმენტებიც, მაგალითად საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი, რომლის წარდგენაც დეკლარანტის ინტერესებში შედის რათა ისარგებლოს საბაჟო (იმპორტის) გადასახადთან დაკავშირებული შეღავათით[151].

[151] წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახურს უნდა დაუმტკიცოთ, რომ საქონლის წარმოშობის ქვეყანა არ არის ის ქვეყნიდან, სადაც გავრცელებულია ეპიდემია.

საბაჟო დოკუმენტების შემოწმება გულისხმობს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის ზოგადი დეკლარირებისთვის[152] ან მისი სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისთვის[153] საჭირო საბაჟო დოკუმენტების არსებობის დადგენას. აღნიშნული შემოწმება საჭიროა საბაჟო საზღვარზე გადაადგლებულ საქონელზე საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებისათვის.

როგორც ზოგადი დეკლარირებისთვის, ისე სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენი ძირითადი დოკუმენტებია:

- საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი;
- სატრანსპორტო დოკუმენტი.

ამასთან, ზოგადი დეკლარირებისთვის საკმარისია ჩამოვლილთაგან ერთ-ერთი დოკუმენტის არსებობა, ხოლო სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის სასურველია ორივე დოკუმენტის არსებობა.

საქართველოს კანონმდებლობით[154] განსაზღვრულია, თუ რა დოკუმენტები იგულისმება ნასყიდობისა და სატრანსპორტო დოკუმენტებში. კერძოდ:

ნასყიდობის (კომერციული) დოკუმენტებია:

1. საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება (დედანი ან ასლი);
2. ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი, დედანი ან ასლი);
3. სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი (დედანი ან ასლი).

სატრანსპორტო დოკუმენტებია:

1. საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები (ე.წ. CMR[155]) ან TIR-წიგნაკი[156];

---

[152] **ზოგადი დეკლარირებისთვის საჭირო დოკუმენტების** ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლით.

[153] **სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის საჭირო დოკუმენტების** ჩამონათვალი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლით.

[154] ზოგადი დეკლარირებისთვის ან სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენი ძირითადი დოკუმენტები განსაზღვრულია შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტით.

[155] **CMR** (**C**onvention relative au contrat de transport international de **M**archandises par **R**oute (French), Convention on the contract for the international carriage of goods by road (Eng), Конвенция о договоре международной дорожной перевозки грузов (Rus)) – კონვენცია საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ. შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ, ჟენევაში, 1956 წლის 19 მაისს (ძალაში შევიდა 1961 წლის 2 ივლისს). წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/CMR_Convention.

[156] **TIR** (**T**ransports **I**nternational **R**outiers (Eng), Международные дорожные перевозки (Rus)) – საერთაშორისო საგზაო გადაზიდვები. შემუშავებულია გეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ,

2. საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები (Air waybill);
3. სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები (Railwaybill);
4. საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი (Bill of lading).

საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება (საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტი) წარმოადგენს ხელშეკრულებას საქონლის ექსპორტიორსა (როგორც წესი, გამყიდველს ან მის წარმომადგენელსა) და იმპორტიორს (როგორც წესი, მყიდველს ან მის წარმომადგენელს) შორის და მთლიანად განსაზღვრავს ფინანსურ, ტექნიკურ და სამართლებრივ საკითხებს კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებით. ნასყიდობის ხელშეკრულების შევსებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია ამავე თავის 9.1.3 ქვეთავის „ე“ ქვეპუნქტით.

სავაჭრო ინვოისი (Commercial invoice) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი წარმოადგენს საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიცემულ დოკუმენტს. ეს დოკუმენტი არის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტი იმპორტის ქვეყანაში საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, რაზედაცა დამოკიდებულია საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების ოდენობა. ქვეყნები, რომლებიც ასეთ ინვოისს იყენებენ იმპორტის კონტროლის მიზნით, იშვიათ შემთხვევაში ადგენენ მის ფორმას, შინაარსს, ეგზემპლარების რაოდენობას, შევსების ენას და სხვა მონაცემებს. ზოგადად, ინვოისში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების ან საქონლის ერთეულის ფასი, რაოდენობა და საერთო ღირებულება, გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები, ბეჭედი და მხარეების ხელმოწერები. ინვოისის საფუძველზე ხდება ანგარიშსწორება, ანუ მყიდველის (იმპორტიორის) მიერ თანხის გადახდა გამყიდველისათვის (ექსპორტიორისთვის).

საავტომობილო ზედდებული (CMR), ავიაზედდებული (Air waybill) ან სარკინიგზო ზედდებული (Railwaybill) გამოიყენება, შესაბამისად ტვირთის საავტომობილო, საჰაერო, ან სარკინიგზო გადაზიდვებისას. როგორც წესი, მათი ფორმა, მკაცრად არის განსაზღვრული და გადაზიდვის ტარიფებიც იშვიათად წარმოადგენს დავის საგანს.

კონოსამენტი (Bill of lading) წარმოადგენს კონტრაქტს საქონლის მფლობელსა და გადამზიდველს შორის. კონოსამენტი შეიძლება იყოს პირდაპირი და ორდერული. პირდაპირი კონოსამენტი არ შეიძლება წარმოადგენდეს ყიდვა-გაყიდვის საგანს, ხოლო ორდერული კონოსამენტი შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი სანამ ტვირთი გზაშია. ორდერული კონოსამენტის ორიგინალის მფლობელი იმავდროულად ფლობს საკუთრების უფლებას ამ საქონელზე.

საბაჟო კონტროლის მიზნიდან (სასაზღვრო-საკარანტინო, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის თუ სპეციალური კონტროლის განხოციელება) და საზღვარზე გადაადგილების ფორმიდან (საფოსტო გზავნილით, ბარგით/ხელბარგით, სატრანსპორტო საშუალებით, დეკლარანტის მიერ თუ წარმომადგენლის მეშვეობით) გამომდინარე, ზემოაღნიშნულ

ჟენევაში, 1975 წლის 14 ნოემბერს. დოკუმენტს, რომელიც ამ კონვენციის საფუძველზე გაიცემა, უწოდებენ TIR-წიგნაკს (TIR-Carnet). წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/TIR_Convention.

დოკუმენტებს უნდა დაერთოს კანონმდებლობით[157] გათვალისწინებული ნებართვა, სერტიფიკატი, მინდობილობა თუ სხვა სახის დოკუმენტი. სახელმზღვანელოში განხილულია ძირითადი დამტებითი დოკუმენტები:

- ლიცენზიები, სერტიფიკატები და ნებართვები (Export licences or permits);
- წარმოშობის სერთიფიკატი (Certificate of origin);
- შეფუთვის ფურცელი (Packing list);
- დაზღვევის სერტიფიკატი (Insurance certificate);
- ექსპორტის დეკლარაცია (Export declaration).

ლიცენზიები, სერტიფიკატები და ნებართვები (Export licences or permits) მოითხოვება საქართველოს საბაჟოს მიერ მხოლოდ რეგულირებად ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში მათი წარდგენა არ არის სავალდებულო. ეს დოკუმენტი იძლევა კონკრეტული საქონლის კონკრეტული რაოდენოთ, კონკრეტულ ქვეყანაში ექსპორტის/იმპორტის განხორციელების უფლებას.

წარმოშობის სერთიფიკატი (Certificate of origin) არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი წარმოშობილია ამათუიმ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ან სავაჭო ინვიოსი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას საქონლის წარმოშობის შესახებ, ამ ფაქტს მხოლოდ წარმოშობის სერტიფიკატი ადასტურებს. წარმოშობის სერტიფიკატი იმპორტიორი ქვეყნების უმეტესობაში ნებაყოფლობით წარსადგენი დოკუმენტია, გარდა არაპრეფერენციული სერტიფიკატისა, რომელიც გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის არასატარიფო ღონისძიებების გასატარებლად. რაც შეეხება პრეფერენციულ წარმოშობის სერტიფიკატს, ის განკუთვნილია იმპორტის ქვეყანაში საბაჟო შეღავათების მისაღებად. დსთ ქვეყნებში ექსპორტირებულ საქონელზე გაიცემა წარმოშობის სერტიფიკატი CT-1. საქართველოდან ექსპორტისას წარმოშობის სერთიფიკატის წარდგენა საბაჟო ორგანოში სავალდებულო არაა.

შეფუთვის ფურცელი (Packing list) არის ყველზე უფრო ინფორმაციული დოკუმენტი საქონლის შესახებ. მასში აღნიშნულია თითოეული შეფუთვის ნეტო და ბრუტო წონა, შეფუთვის სახეობა (მაგალითად ყუთი, კასრი და სხვა), მასში არსებული საქონლის სახეობა და რაოდენობა და სხვა მონაცემები. ის გამოიყენება გადამზიდველი აგენტის მიერ გადასაზიდი საქონლის წონის, რაოდენობისა და სახეობის განსაზღვრის მიზნით, ასევე გამოიყენება საბაჟო სამსახურების მიერ საქონლის ფიზიკური დათვალიერების განხორციელების პროცესში.

დაზღვევის სერტიფიკატი (Insurance certificate) ადასტურებს რომ საქონელი დაზღვეულია გადაზიდვების პერიოდში დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისაგან.

ექსპორტის დეკლარაცია (Export declaration) საქართველოში იმპორტის მიზნით შემოსატან საქონელზე წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რაც ადასტურებს, რომ საქონელი ნამდვილად მოექცა ექსპორტში. ის შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საქონლის,

[157] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ექსპორტიორის და იმპორტიორის შესახებ და წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ძირითად წყაროს.

9.1.2. საბაჟო პროცედურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნა

საბაჟო დოკუმენტების მომზადებას, როგორც წესი, უზრუნველყოფენ საბაჟო ბროკერები (წარმომადგენლები) ან გადამზიდავები, თუმცა მათ სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა დეკლარანტს ეკისრება.

9.1.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება, როგორც წესი, ხორციელდება კერძო სექტორში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტის მიერ, რომელიც არის საქონლის ექსპორტიორის, იმპორტიორის ან გადამზიდავის წარმომადგენელი. საქართველოს კანონმდებლობით[158], საბაჟო დეკლარირების განხორციელების, საჩივრის ან განცხადების წარდგენის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს. კერძოდ, საბაჟო მიზნებისთვის, თუ პირს არ აქვს საქონლის გადასახადის გადამხდელის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, ის ვერ განახორციელებს სჭირო საბაჟო პროცედურებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ მინდობილობას გასცემს იურიდიული პირი, საკმარისია ამ იურიდიული პირის ხელმოწერა, ხოლო თუ მინდობილობას გასცემს ფიზიკური პირი, მაშინ მინდობილობა უნდა დამოწმდეს ნოტარიულად.

წარმომადგენლობით უფლებამოსილებას საფუძვლად უდევს სამართლებრივი ურთიერთობა უფლებამოსილების მიმცემსა და მის მიმღებს შორის, უმეტესწილად ესაა დავალების ხელშეკრულება - მინდობილობა, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება - ამხანაგობა და სხვ.

უფლებამოსილების ფარგლებს უფლებამოსილების მიმცემი განსაზღვრავს. მას შეუძლია გასცეს სპეციალური, გვარეობითი და გენერალური უფლებამოსილებები (მინდობილობანი). სპეციალური უფლებამოსილება ეხება მხოლოდ ერთ განსაზღვრულ გარიგებას, გვარეობითი უფლებამოსილება კი - განსაზღვრული სახის გარიგებებს, გენერალური უფლებამოსილება შეუზღუდავია და შეიძლება ქონებრივი ხასიათის ყველა სახის გარიგების დადების უფლებამოსილებას იძლეოდეს.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება:

ა. იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;

[158] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურების წესი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლით.

ბ. უფლებამოსილი პირის უარით;

გ. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;

დ. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე. დავალების შესრულებით.

უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

9.1.4. დათვალიერების აქტის შედგენა

დათვალიერების აქტის შედგენა საჭიროა საბაჟო დათვალიერების შედეგების ოფიციალური დაფიქსირებისთვის. კერძოდ, დათვალიერების აქტი წარმოადგენს ფიზიკური პირის[159], მისი ბარგის/ხელბარგის, საქონლის/სატრანსპორტო საშუალების ან საბაჟო კონტროლის ზონის დათვალიერების განხორციელებისა და დათვალიერების შედეგების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს. დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით იხილეთ ამავე თავის 9.3 ქვეთავის „ზ“, „თ“, და „ი“ ქვეპუნქტები.

[159] ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის (მგზავრის დათვალიერების ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით.

9.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) ზოგადი დეკლარირებისთვის წარსადგენი დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლით;

ა.ბ) სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენი დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 32-ე მუხლით;

ა.გ) ზოგადი დეკლარირებისთვის ან სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენი ძირითადი დოკუმენტები განსაზღვრულია შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტით;

ბ)წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურების წესი, როგორც ფიზიკური პირის, ისე იურიდიული პირის შემთხვევაში, განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლით.

გ) დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის (მგზავრის დათვალიერების ოქმის) შედგენის წესი განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით.

დ) ფიტოსანიტარიულ კონტროლისთვის საჭირო ნებართვისა და სერტიფიკატის წარდგენის წესები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4 და მე-7 მუხლებით.

ე) რეკომენდებულია, ვეტერინარულ კონტროლისთვის საჭირო ნებართვისა და სერტიფიკატის წარდგენის წესები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით.

ვ) წარმოშობის სერთიფიკატის სახეები და წარდგენის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით.

ზ) სეს ესნ - ის კოდების მიხედვით, თითოეული დასახელების საქონლზე წარსადგენი საბაჟო დოკუმენტები და მათი გამცემი ორგანოები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №351 ბრძანებით (საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი).

9.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირებისთვის წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.ბ) რეკომენდებულია, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 32-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.გ) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირებისთვის ან სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენ ძირითად დოკუმენტებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის შემთხვევაში, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ) დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის დათვალიერების აქტის (მგზავრის დათვალიერების ოქმის) შედგენასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) რეკომენდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულება (საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტი) შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შესავალი და მხარეთა განსაზღვრა;
- ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
- ფასები და კონტრაქტის საერთო ღირებულება;
- საქონლის მიწოდების პირობები;
- კონტრაქტის შესრულების ვადები, ადგილი, გადახდის პირობები;
- მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და ხარისხი;
- საქონლის შეფუთვა და მარკირება;
- პრეტენზიების წაყენებისა და დავების განხილვის წესი, საჯარიმო სანქციების გამოყენება;
- დაუძლეველი ძალის პირობები- ფორსმაჟორი;

- ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი შეცვლისა და გაუქმების პირობები, მხარეთა ხელმოწერები.

ე) ხშირ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა გაიცემა გარკვეული ვადით. შესაბამისად, რეკომენდებულია, მინდობილობის წარდგენამდე[160] ან საბაჟო კონტროლის ან საბაჟო ზედამხედველობის პროცედურების დაწყებამდე, შევამოწმოთ მისი მოქმედების ვადა.

ვ) რეკომენდებულია, მინდობილობა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ვ.ა) მინდობილობის გამცემი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის დირექტორის შემთხვევაში მისი პირადი ნომერი არ არის სავალდებულო, მაგრამ აუცილებლად უნდა მიეთითოს იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი. ამასთან, სასურველია მინდობილობას დაერთოს ამ იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ, მიმდინარე თარიღით დათარიღებული, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

ვ.ბ) მინდობილობის მიმღები პირის (წარმომადგენლის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ამასთან, სასურველია მინდობილობას დაერთოს წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);

ვ.გ) უფლებამსილების დეტალური ჩამონათვალი, რის უფლებასაც ანიჭებს ამ მინდობილობის გამცემი თავის წარმომადგენელს;

ვ.დ) მინდობილობის მოქმედების ვადა.

ზ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის დათვალიერების აქტი (მგზავრის დათვალიერების ოქმი) შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ზ.ა) შედგენის ადგილი და თარიღი;

ზ.ბ) დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის თანამდებობა, სახელი და გვარი;

ზ.გ) დათვალიერების ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა;

ზ.დ) დასათვალიერებელი პირის მოქალაქეობა, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამგზავრო დოკუმენტის რეკვიზიტები, მისამართი;

ზ.ე) დათვალიერებაზე დამსწრე პირების სახელი გვარი, თანამდებობა;

ზ.ვ) შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: „ფიზიკურ პირს ეცნობა მისი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება, განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები და მიეცა წინადადება დამალული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე“;

ზ.ზ) რა ენაზე მიმდინარეობდა საუბარი (საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი)

ზ.თ) დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო;

[160] კერძო სექტორში დასაქმებული საბაჟო საქმის სპეციალისტის შემთხვევაში.

ზ.ი) აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებების დასახელება, რაოდენობა, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები და სხვა მახასიათებლები);

ზ.კ) ლუქის ნომერი, რომლითაც დაილუქა აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები;

ზ.ლ) დალუქული ნივთმტკიცებულებების განთავსების ან გაგზავნის ადგილი;

ზ.მ) ხელმოწერები: დათვალიერების ჩამტარებელი პირის; დასათვალიერებელი პირის; თარჯიმნის (არსებობის შემთხვევაში); დამსწრე პირების (არსებობის შემთხვევაში); მოწვეული სპეციალისტის (არსებობის შემთხვევაში); მოწმეების (არსებობის შემთხვევაში). ამასთან, დასათვალიერებელი პირის ხელმოწერის ადგილზე უნდა მიეთითოს შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: ჩამიტარდა დათვალიერების პროცედურა, რის შემდეგაც გავეცანი წინამდებარე ოქმს და მივიღე ოქმის მეორე ეგზემპლარი, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

თ) რეკომენდებულია, საქონლის დათვალიერების აქტი შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

თ.ა) შედგენის ადგილი და თარიღი;

თ.ბ) დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის თანამდებობა, სახელი და გვარი;

თ.გ) დათვალიერების ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა;

თ.დ) დეკლარანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამგზავრო დოკუმენტის რეკვიზიტები, მისამართი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი);

თ.ე) თუ დათვალიერებას ესწრება დეკლარანტის წარმომადგენელი, მისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

თ.ვ) დათვალიერებაზე დამსწრე პირების სახელი გვარი, თანამდებობა;

თ.ზ) დათვალიერების შედეგად გამოვლენილი საქონლის დეტალური აღწერილობა (დასახელება, რაოდენობა და სხვა მახასიათებლები);

თ.თ) რა ენაზე მიმდინარეობდა საუბარი (საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი);

თ.ი) დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო;

თ.კ) ლუქის ნომერი, რომლითაც დაილუქა აღმოჩენილი საქონელი;

თ.ლ) აღმოჩენილი საქონლის განთავსების ადგილი;

თ.მ) თუ აღმოჩენილი საქონელი გადაეცა საგამოძიებო ორგანოს:

თ.მ.ა) საგამოძიებო ორგანოს დასახელება;

თ.მ.ბ) საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი, თანამდებობა, რომელსაც უშუალოდ გადაეცა საქონელი.

თ.ნ) ხელმოწერები: დათვალიერების ჩამტარებელი პირის; დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის; დამსწრე პირების (არსებობის შემთხვევაში); თარჯიმნის (არსებობის შემთხვევაში); მოწვეული სპეციალისტის (არსებობის შემთხვევაში); მოწმეების (არსებობის შემთხვევაში).

ი) რეკომენდებულია, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტი შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ი.ა) შედგენის ადგილი და თარიღი;

ი.ბ) დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის თანამდებობა, სახელი და გვარი;

ი.გ) დათვალიერების ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა;

ი.დ) დეკლარანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამგზავრო დოკუმენტის რეკვიზიტები, მისამართი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი);

ი.ე) თუ დათვალიერებას ესწრება დეკლარანტის წარმომადგენელი, მისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ი.ვ) დათვალიერებაზე დამსწრე პირების სახელი გვარი, თანამდებობა;

ი.ზ) დასათვალიერებელი სატრანსპორტო საშუალების რეკვიზიტები (ავტომანქანის შემთხვევაში - მისი მარკა, შასის ნომერი და სახელმწიფო ნომერი; საჰაერო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - რეისის და ბორტის ნომერი; საზღვაო საშუალების შემთხვევაში - რეისის ნომერი და გემის დასახელაბა, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - ვაგონის ნომერი);

ი.თ) დამალული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში:

ი.თ.ა) ამ საქონლის განთავსების ადგილების ან/და სამალავების დეტალური აღწერილობა;

ი.თ.ბ) დათვალიერების შედეგად გამოვლენილი საქონლის დეტალური აღწერილობა (დასახელება, რაოდენობა და სხვა მახასიათებლები).

ი.ი) რა ენაზე მიმდინარეობდა საუბარი (საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი);

ი.კ) დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო;

ი.ლ) ლუქის ნომერი, რომლითაც დაილუქა აღმოჩენილი საქონელი;

ი.მ) აღმოჩენილი საქონლის განთავსების ადგილი;

ი.ნ) თუ აღმოჩენილი საქონელი გადაეცა საგამოძიებო ორგანოს:

ი.ნ.ა) საგამოძიებო ორგანოს დასახელება;

ი.ნ.ბ) საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი, თანამდებობა, რომელსაც უშუალოდ გადაეცა საქონელი;

ი.ო) ხელმოწერები: დათვალიერების ჩამტარებელი პირის; დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის; დამსწრე პირების (არსებობის შემთხვევაში); თარჯიმნის (არსებობის შემთხვევაში); მოწვეული სპეციალისტის (არსებობის შემთხვევაში); მოწმეების (არსებობის შემთხვევაში).

ე) რეკომენდებულია, ფიტოსანიტარიულ კონტროლისთვის საჭირო ნებართვასთან და სერთიფიკატთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის

№429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზრვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ვ) რეკომენდებულია, ვეტერინარულ კონტროლისთვის საჭირო ნებართვასთან და სერთიფიკატთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზრვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ზ) რეკომენდებულია, წარმოშობის სერთიფიკატის სახეებთან წარდგენის წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით განსაზრვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ) რეკომენდებულია, სეს ესნ - ის კოდების მიხედვით, თითოეული დასახელების საქონლზე წარსადგენ საბაჟო დოკუმენტებთან და მათ გამცემ ორგანოებ თან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №351 ბრძანებით (საქართველოს ინტეგრირებული ტარიფით) განსაზრვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

9.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს საბაჟო დოკუმენტების შემოწმება და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) რომელია სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისთვის წარსადგენი ძირითადი დოკუმენტები?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) საბაჟო პროცედურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნასთან დაკავშირებით:

ბ.ა) ვინ უზრუნველყოფ საბაჟო დოკუმენტების მომზადებას?

გ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება და რა არის მისი მიზანი?

გ.ბ) რა უდევს საფუძვლად წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და რა არის დავალების ხელშეკრულება?

გ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

გ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით:

დ.ა) რისთვის არის საჭირო, დათვალიერების აქტის შედგენა?

9.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №9.1. საბაჟო დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა დოკუმენტები იგულისმება ნასყიდობისა და სატრანსპორტო დოკუმენტებში.

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 9.1. Verification of documents_(Your Name and Surname[161]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №9.2. საბაჟო პროცედურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- ეკისრებათ თუ არა გადამზიდავებს პასუხისმგებლობა საბაჟო დოკუმენტების სისწორესა და ნამდვილობაზე?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 9.2. Create documents_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №9.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით (დავალება):უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა შემთხვევაში ქარწყლდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 9.3. Representation_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №9.4. დათვალიერების აქტის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- რა სახის დოკუმენტს წაროადგენს დათვალიერების აქტი?

[161] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 9.4. Create inspection act_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

თავი 10. საბაჟო ზედამხედველობა

(მოკლე შინაარსი: ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება; გადაწყვეტილების მიღება ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ და მიტანის ვადების შემოწმება; საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადება; საბაჟო ზედამხედველობის დაწყება - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლზე აყვანა; საბაჟო ზედამხედველობის დასრულება - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლიდან მოხსნა)

10.1. რისთვის არის საჭირო

საბაჟო ზედამხედველობა გულისხმობს შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ პროცედურათა ერთობლიობას, რომელიც საჭიროა საქართველოში შემოსატანი ან საქართველოდან გასატანი საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დასაცავად[162].

საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან გაფორმების დასრულებამდე, ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით გაფორმებისას – საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მიზნობრივი დანიშნულების დასრულებამდე[163].

საქართველოს კანონმდებლობის[164] მიხედვით, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები. ამასთან, თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უახლოეს საგადასახადო ორგანოს და წარუდგინოს მას საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევაში, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საბაჟო ზედამხედველობის ძირითადი პროცედურებია:

1. ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება;

---

[162] საბაჟო ზედამხედველობის მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 214-222 მუხლები.

[163] საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისა და დამთავრების წესები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

[164] საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 5-12-ე მუხლებით.

2. გადაწყვეტილების მიღება ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელებისა შესახებ და მიტანის ვადები;

3. საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადება;

4. საბაჟო ზედამხედველობის დაწყება - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლზე აყვანა;

5. საბაჟო ზედამხედველობის დასრულება - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლიდან მოხსნა.

10.1.1. ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება

1. ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება გულისხმობს საქონლის შესახებ იმ ზოგადი მონაცემების (საქონლის დასახელება; ზომის ერთეული; რაოდენობა; სატრანსპორტო საშუალების სახე; საიდენტიფიკაციო საშუალება; გამომგზავნი ქვეყანა; საქონლის გამომგზავნი/მიმღები/გადამზიდავი, თანმხლები დოკუმენტები) შემოწმებას, რაც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის[165].

10.1.2. ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მიტანის ვადები

ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმების საფუძველზე. ზოგადი დეკლარირების განხორციელების შემდეგ შესაძლოა მიღებულ იქნას ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ✓ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის დაწყების შესახებ;
- ✓ ხარვეზის (ზოგადი დეკლარირებისთვის საჭირო, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტები[166]) აღმოფხვრის შესახებ;
- ✓ დამატებითი კონტროლის ღონისიებების (ფიზიკური პირის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, საქონლის/სატრანსპორტო საშუალების აწონვა) განხორციელება;
- ✓ საქონლის უკან გაბრუნების შესახებ.

[165] ზოგადი დეკლარირების მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით.

[166] ზოგადი დეკლარირებისთვის საჭირო, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით.

საქართველოს კანონმდებლობით[167] განსაზღვრულია ერთი საბაჟო კონტროლის ზონიდან მეორე საბაჟო კონტროლის ზონამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების **მიტანის ვადები,** რომელთა დარღვევა ითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად, რისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა[168]. მიტანის ვადების შემოწმება საჭიროა ვადის დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის გამოსარიცხად.

10.1.3. საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადება

საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადება ხორციელდება საბაჟო საქმის სპეციალისტის მიერ, საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც არსებობს საქონლის ნიშანდების აუცილებლობა მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით[169].

საბაჟო იდენტიკიკაციის საშუალებების გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რაც განპირობებულია საბაჟო ორგანოების მიერ ტრადიციული ფუნქციების შესრულების აუცილებლობით და მისი გაადვილებით.

დღეისათვის საბაჟო ორგანოები მთელს მსოფლიოში იდენტიფიკაციის მრავალი სახის საშუალებას იყენებენ, დაწყებული ტრადიციული ლუქებით, ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებით დამთავრებული. იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება საკმაო საბიუჯეტო დანახარჯებს უკავშირდება და ხშირ შემთხვევაში მათზე გაწეული დანახარჯები თვით იდენტიფიკაციას დაქვემდებარებული ობიექტის ღირებულებასაც კი აჭარბებს.

იდენტიფიკაციის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ან შენობა-ნაგებობების დაცულობა და მოხდეს მომავალში მათი ამოცნობა.

გამომდინარე იქედან, რომ იდენტიფიკაციას დაქვემდებარებული ობიექტის და თვით იდენტიფიკაციის საშუალებების მრავალი სახეობა არსებობს, საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენება არ არის მხოლოდ ტექნიკური პროცედურა. ის მოხელისაგან გარკვეულ შემოქმედებით მიდგომასაც მოითხოვს. აქვე უნდა გავითავალისწინოთ ის

---

[167] საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტენის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლით.

[168] მიტანის ვადის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით - ფულადი ჯარიმა ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 000 ლარისა.

[169] საქონლის ნიშანდების წესები და იდენტიფიკაციის საშუალებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-35-ე მუხლებით.

ძირითადი მოთხოვნები, რაც საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე წაყენებულია საიდენტიფიკაციო საშუალებებისადმი:

1. უნდა იყოს საკმაოდ გამძლე, გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე;
2. შესაძლებელი უნდა იყოს მისი იდენტიფიცირება;
3. შეუძლებელი უნდა იყოს მისი გაყალდება, ასლის გაკეთება;
4. შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოხსნა ან დაცულ სათავსში შეღწევა ისე, რომ იდენტიფიკაციის საშუალება არ დაზიანდეს;
5. სასრურველია მისი გამოყენება იყოს მარტივი და სწრაფი;
6. არ უნდა იწვევდეს დაცული ობიექტის დაზიანებას, აგრეთვე მისი ფიზიკური მახასიათებლების შეცვლას იმგვარად, რომ კომერციული მიზნით ან მოხმარებისათვის მისი ფასეულობა შეიცვალოს.
7. საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ადამიანებსა და გარემოს.

საიდენტიფიკაციო საშუალებები უმეტესწილად ერთჯერადი გამოყენებისაა, თუმცა არსებობენ მრავალჯერადი გამოყენების საიდენტიფიკაციო საშუალებებიც. ისინი მკაცრი აღრიცხვის ქვეშ იმყოფებიან და თუკი საიდენტიფიკაციო საშუალება ერთჯერადი გამოყენებისაა და გააჩნია უნიკალური სერიული ნომრები, მრავალჯერადი გამოყენების საიდენტიფიკაციო საშუალებების გაცემა და გამოყენების აღრიცხვა, როგორც წესი, მკაცრი კონტროლის ქვეშ ხდება.

საიდენტიფიკაციო საშუალებების ძირითადი სახეობებია:

1. პლომბის დადება;
2. ლუქის დადება;
3. მარკირება;
4. დეტალური აღწერა;
5. ფოტოგადაღება;
6. მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები;
7. საქონლის სინჯის ან ნიმუშის გამოკვლევის ანალიზის შედეგების შედარება;
8. თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება;
9. სატელიტური თვალთვალის სისტემის გამოყენება;
10. ესკორტი.

რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი. საბაჟო მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა მრავალი საშუალებაც, როგორიცაა წებოვანი ლენტი, ტომრები ან შეფუთვის სხვა საშუალებები. საბაჟო საქმის სპეციალისტმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თუ რა შემთხვევაში იდენტიფიკაციის რა საშუალებას გამოიყენებს. შესაძლებელია ერთსადაიმავე ობიექტზე იდენტიფიკაციის რამოდენიმე საშუალების გამოყენება.

საბაჟო ორგანოს მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების უნებართვო მოხსნა, მოცილება ან დაზიანება როგორც წესი, დასჯადი ქმედებაა და პირის ადმინისტრაციულ

პასუხისმგებვლობას იწვევს, თუკი ამისი აუცილებლობა გამოწვეული არ იყო ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომით. საერთოდ კი ზოგადად მიდგომა საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენების, მისი დადებისა და მოხსნა-მოცილების მიმართ დამოკიდებულია თვით საზოგადოების მენტალიტეტსა და მიდრეკილებაზე ასეთი სახის დარღვევების ჩადენის მიმართ. საერთო ტენდენციის მიხედვით, რაც უფრო მაღალია საზოგადოების ცხოვრების დონე, მით მეტია ნდობა ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის და საბაჟო ინდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების საკითხი სიმბოლურ ხასიათსაც კი ატარებს. მეტიც, ასეთ ქვეყნებში საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება თვით ბიზნესის ინტერესებში უფრო შედის და ისინი ახორციელებენ ასეთ ნიშანდებას და მოხსნასაც კი. საბაჟო ორგანოები კი მხოლოდ აღიარებენ ამ ნიშნებს.

განვიხილოთ იდენტიფიკაციის ზოგიერთი საშუალება უფრო დეტალურად:

<u>1. პლომბი</u>[170] ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული იდენტიფიკაციის საშუალებაა. პლომბი წარმოადგენს რბილი მეტალის, როგორც წესი ტყვიის მრგვალ ან კუთხოვან სხმულს ნებისმიერი ნიშანდების გარეშე, რომელშიც დატოვებულია ხვრელები ზონარის გასაყრელად. ზონარის გაყრის შემდეგ წნეხის საშუალებით ხდება სხმულის დეფორმირება და იმავდროულად ის კრავს ზონარს. წნეხის პირებზე, როგორც წესი ამოტვიფრულია გარკვეული სიმბოლიკა და საიდენტიფიკაციო ნომრები, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია გაირკვეს, თუ რომელი ორგანოს და რომელი მოხელის მიერაა პლომბი დადებული. ეს საიდენტიფიკაციო მახასიათებლები ავტომატურად, წნეხის საშუალებით, გადადის უკვე დეფორმირებულ პლომბზე.

მიუხედავად იმისა, რომ პლომბი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იდენტიფიკაციის საშუალებაა, ის იმავდროულად გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება. პირველი, პლომბის სხმულები შეუზღუდავად იყიდება, მეორეც, თუკი პლომბი საიმედოდ არაა დადებული ან გასაყრელად გამოყენებულია გლუვი ზედაპირის მქონე მავთული, ზოგჯერ ახერხებენ მის მოხსნას და ხელთავიდან დადებას თვით პლომბის დაუზიანებად. ამიტომაც ბოლო დროს გამოყენებაშია ორმაგი, ერთმანეთზე გადახლართული მავთული, აგრეთვე

[170] **პლომბი** (L. plumbum ტყვია) – სპეციალური ბეჭდით ჩაჭყლეტილი ტყვიის ან სხვა პლასტიკური მასალის პატარა ნაჭერი, რომელსაც ნიშნად ადებენ დაკეტილ კარს, შეფუთულ საქონელს და სხვ. (რათა შეუძლებელი იყოს მის დაუზიანებლად კარის, საქონლის და მისთ. გახსნა). წყარო: <u>უცხო სიტყვათა ლექსიკონი</u>.

ხშირად ამ მავთულებს ერთმანეთზე გადაგრეხენ ან განასკვავენ და ნასკვს მოაქცევენ პლომბის შიგნით, მანამ, სანამ მოხდება მისი დაწნეხვა. თანამედროვე პლომბებში გასაყრელი მავთულის ერთი ბოლო უკვე ჩამაგრებულია სხმულშივე. მესამეც, წნეხზე ამოტვიფრული ნიშნები უცვლელად გადადის ყველა დადებულ პლომბზე და შესაბამისად შეუძლებელი ხდება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის გამოყენება, რის საშუალებასაც ლუქები იძლევიან. ეს კი დიდ პრობლემებს ქმნის წნეხის მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში.

2. ლუქი შეიძლება პლომბის თანამედროვე ანალოგად ჩავთვალოთ. დღეისათვის ლუქებმა უმეტესწილად ჩაანაცვლეს პლომბები. ისინი უფრო საიმედო იდენტიფიკაციის საშუალებებია, თუმცა უფრო ძვირია ვიდრე პლომბები. ლუქები ქარხნული წესით მზადდება.



მასზე დატანილია უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრები, რომლებიც არ მეორდება. ზოგიერთი ქვეყნის საბაჟო სამსახური უკვეთავს ლუქებს საკუთარი ლოგოთი ან წარწერით. ლუქების ბოლოები ერთმანეთს უერთდება თვითჩამკეტი მექანიზმით. ისინი ერჯერადი გამოყენებისაა. მიუხედვად მეტი დაცულობისა, ხშირია ლუქების უკანონოდ გახსნის ფაქტებიც. უმეტეს წილად ლუქებს ჩაჭრიან ჩამკეტ მექანიზმთან ხოლო შემდეგ წებოს გამოყენებით ისევ ჩაამაგრებენ მექანიზმში. ამიტომაც საბაჟო საქმის სპეციალისტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მათი ვიზუალური დათვალიერებით. არამედ უნდა ეცადოს გამოსწიოს მექანიზმიდან ლუქის ბოლოები. იმის გამო, რომ ლუქები უმეტესწილად ლითონისაა, მათ წებო სუსტად იკავებს და გახსნის შემთხვევაში მისი ერთი ბოლო აუცილებლად ამოვარდება ჩამკეტი მექანიზმიდან. არსებობს პლასტმასის ლუქებიც, რომლებიც თავისი საიმედოობით არაფრით ჩამოუვარდება ლითონისას და უფრო ეკონომიურიცაა.



ლუქის, ისევე როგორც პლომბის დადებისას ყურადღებით უნდა დათვალიერდეს მთელი სათავსი. თუკი არსებობს მასში ლუქის მოუხსნელად შეღწევის სხვა ალტერნატივა, მაშინ ეს სათავსებიც უნდა დაილუქოს ან დაედოს მასზე იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში საბაჟო საქმის სპეციალისტმა უნდა მოითხოვოს დასალუქი საქონლის გადატანა სხვა, იდენტიფიცირებას დაქვემდებარებულ სათავსში ან სატრანსპორტო საშუალებაში.

სატრანსპორტო საშუალებების დალუქვისას სიფრთხილეა საჭირო. ზოგჯერ კარის ანჯამების კონსტრუქცია საშუალებას იძლევა კარი მოიხსნას მთლიანად, საიდენტიფიკაციო საშუალების დაუზიანებლად. ამიტომაც ყურადღება უნდა მიექცეს ამ ანჯამებს, რომ მათში გაყრილი ლითონის ღერძის ბოლოები საიმედოდ იყოს მირჩილული.

ლუქის და პლომბის დადების რამოდენიმე მეთოდი არსებობს. სასურველია ის რამდენჯერმე გაეყაროს ნახვრეტში და შემდეგ შეიკრას, ან კარის კონსტრუქციის შესაბამისად გადაიხლართოს სახელურებში და სხვა.

ლუქების ნაცვლად, ზოგჯერ გამოიყენება სპეციალური ბოქლომები, რომლებიც ასევე ერთჯერადი გამოყენებისაა. მათაც გააჩნიათ საიდენტიფიკაციო ნომრები და მეტი მოხერხებულობისათვის ტროსით იკვრებიან. აგრეთვე ფართოდ გამოიყენება ერთჯერადი გამოყენების ქანჩები და ჭანჭიკები.

<u>3. მარკირება.</u> საქონლის მარკირება ხდება სპეციალური ფხვნილების ან საღებავი სითხეების შერევით, რაც საქონელს ფერს უცვლის. მიუხედავად იმისა, რომ ამ საღებავებს სუნი არ გააჩნიათ, მისი გამოყენებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. ის არ გამოიყენება საკვებ პროდუქტებში რათა არ შეუცვალოს მას ორგანოლეპტიკური თვისებები. მარკერების გამოყენება ძირითადად სამრეწველო დანიშნულების თხევად საქონელში, ძირითადად კი ნავთობპროდუქტებში ხდება. ასეთი სახის მარკირება იშვიათად გამოიყენება, რადგანაც არ წარმოადგენს იდენტიფიკაციის საიმედო საშუალებას.

მარკირებაში აგრეთვე მოიაზრებენ საქონლის ნიშანდებას. საბაჟო განსაზღვრულ შემთხვევებში აკეთებს ტვირთის ნიშანდებას შტამპებით, ბეჭდებით, ხელმოწერით, სტიკერის დაკვრით და სხვა საშუალებებით.

<u>4. დეტალური აღწერა</u>**.** საქონლის დეტალური აღწერა კარგი საშუალებაა მისი იდენტიფიკაციისათვის. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკე ან სხვა იდენტიფიკაციის

საშუალებებთან ერთობლიობაში (მაგ. ფოტოგადაღება). საქონლის დეტალურ აღწერას, სავალდებულო წესით, მიმართავენ სამართალდარღვევის ნივთიერი მტკიცებულებების იდენტიფიკაციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ნივთმტკიცება ილუქება, ოქმში ან ცალკე დანართის სახით შედგენილ დოკუმენტში დეტალურად აღიწრება ნივთის ფიზიკური და სხვა სახის მახასიათებლები, როგორიცაა: ზომა, წონა, ფერი, ფიზიკური მდგომარეობა (სითხე, მყარი ნივთიერება, ფხვნილი), სუნი და სხვა. საქონლის დეტალურ აღწერას მიმართავენ აგრეთვე ფიზიკური პირების მიერ დროებით გასატანი ან შემოსატანი ძვირფასი ლითონის და ძვირფასი ქვების ნაკეთობების იდენტიფიკაციის მიზნით. ამისათვის როგორც წესი ფიზიკური პირის დეკლარაციაში სპეციალურადაა დატოვებული გრაფა საბაჟო აღნიშვნებისათვის. აღწერილობის გაკეთება იმ ფორმით უნდა მოხდეს, რომ სხვა საბაჟო საქმის სპეციალისტის გაუადვილდეს აღწერილობის მიხედვით ნივთის იდენტიფიკაცია. აღწერილობის დასრულების შემდეგ, მიღებული პრაქტიკის მიხედვით საბაჟო საქმის სპეციალისტი შემოხაზავს თავისი წარწერის კონტურს და დაამოწმებს ბეჭდით, რათა აღწერილობაში ცვლილებები არ შეიტანონ.

5. ფოტოგადაღება. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენება შეუძლებელია, საქონლის დეტალურ აღწერასთან ერთად მიმართავენ საიდენტიფიკაციო ობიექტის ფოტოგადაღებასაც. ეს განსაკუთრებით გამოიყენება ხელოვნების ნიმუშების და ნაწარმოებების გატანის ან შემოტანის დროს. როგორც წესი, შესაბამის ნებართვასთან ერთად საბაჟოს წარედგინება ხელოვნების ნაწარმოების (სურათი, სკულპტურა, მაკეტი და სხვა) ფოტოსურათი, რაც უკანა გვერდზე ასევე დამოწმებულია ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ. დამოწმებასთან ერთად მოცემულია მისი მოკლე აღწერილობა: ზომები, სახელწოდება, ავტორი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები.

<u>6. მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები.</u> ეს იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო საშუალებაა და ისეთი საქონლის მიმართ გამოიყენება, რომლებსაც როგორც წესი, მწარმოებლის მიერ ენიჭება სერიული ნომრები. ესენია ავტომანქანები, ძრავები, ტელევიზორები, სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. თუმცა იდენტიფიკაციის მიზნით სერიული ნომრების გამოყენებისას მხედველობაშია მისაღება თუ რა ფორმითაა დატანილი ობიექტზე

სერიული ნომერი და რამდენადაა შესაძლებელია მისი ჩანაცვლება სხვა ნომრით. ამიტომაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს კორპუსზევე ამოტვიფრულ სერიულ ნომრებს. თუ სერიული ნომერი სტიკერით ან ფირფიტითაა მიკრული, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი მოხსნის ნიშნებს რაც შეიძლება იყოს ზედმეტი სისუფთავე, ნაკაწრი, მოცვეთილი კიდეები და სხვა.

<u>7. საქონლის სინჯის ან ნიმუშის გამოკვლევის ანალიზის შედეგების შედარება.</u> ეს

იდენტიფიკაციის საშუალებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე რთულია და სპეციალურ უნარებს საჭიროებს. ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქონელი იცვლის სასაქონლო სახეს თუმცა ტექნოლოგიური პროცესის დაწყებამდე და მის შემდეგ კანონმდებლობა საბაჟო ზრდამხედველობის განხორციელებას ითვალისწინებს. უპირველესად ეს გადამუშავების საბაჟო რეჟიმების გამოყენებისას ხდება. ამ დროს საქონლის სინჯები აიღება საქონლის გადამუშავებამდე და მის შემდეგ, რომელთა გამოკვლევის შედეგების შედარებით შესაძლებელი ხდება გადასამუშავებელი საქონლის ამოცნობა გადამუშავების პროდუქტებში. იგივე მეთოდი შესაძლებელია აიქნას გამოყენებული, როცა ხდება ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედებით საქონლის განადგურება და არის ეჭვი სამნართალდარღვევაზე. განადგურების შედეგად მიღებული ნარჩენების ანალიზის შედეგებით ზოგ შემთხვევაში ხდება განადგურებული საქონლის ამოცნობა.

ამ მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია დაცული იქნას გამოკვლევების მიზნით სინჯების აღების, მათი დალუქვის, შენახვისა და ტრანსპორტირების ნორმები. ამიტომაც ამ სამუშაოების შესასრულებლად საბაჟო ორგანოები როგორც წესი სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტებს და სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ საექსპერტო დაწესებულებებს მიმართავენ.

<u>8. თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება.</u> საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია ყოველთვის შეიცავს ფასეულ ინფორმაციას საქონლის იდენტიფიკაცირების მიზნით. ესაა

სატრანსპორტო და კომერციული დოკუმენტაცია, ლიცენზიები, ნებართვები და სერთიფიკატები. ზოგიერთი ასეთი დოკუმენტი, მაგალითად თIღ კარნეტი მკაცრი აღრიცხვის და საუკეთესოდ დაცული დოკუმენტია, რაც განაპირობებს ასეთ სატრანზიტო გადაზიდვებზე დამატებითი კონტროლის მექანიზმების გამოყენების გამოუყენებლობას. ზოგჯერ თანმხლები დოკუმენტები, როგორიცაა ტექნიკური მომსახურეობის სახელმძრვანელოები ძალზედ დეტალურ ინფორმაციასაც კი შეიცავენ საქონლის შესახებ, როგორიცაა მისი ფიზიკური მახასიათებლები, შემადგენლობა და სხვა, რაც საჭიროების შემთხვევაში იდენტიფიკაციის მიზნებისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

<u>9. სატელიტური თვალთვალის სისტემის გამოყენება.</u> ეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ერთ-ერთი უახლესი სისტემაა. კონტროლს დაქვემდებარებულ

სატრანსპორტო საშუალებაზე ხდება სპეციალური სიგნალის გადამცემი მოწყობილობის დამაგრება, რაც მუდმივად გადაცემს სიგნალს სატელიტის გავლით სამეთვალყურეო პუნქტს. ამ სისტემის გამოყენებით მონიტორინგი ხდება მთელი მარშრუტის გასწვრივ ტრანსპორტის გადაადგილებზე. აღირიცხება მისი მოძრაობის ტრაექტორია, გაჩერებების ხანგრძლივობა, დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა და სხვა. საეჭვო შემთხვევებში უახლოესი საბაჟო ორგანო ახორციელებს ადგილზე გასვლას და სიტუაციის კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ ეფექტური საშუალებაა, იმავდროულად საკმაოდ ძვირია და მუდმივ დანახარჯებს საჭიროებს.

<u>10. ესკორტი.</u> ანუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიზიკური გაცილება კონტროლის საკმაოდ გავრცელებული საშუალება იყო საქართველოში 1990-იანი წლების ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ ის ყველაზე პრიმიტიულია, იმავდროულად საკმაოდ ძვირადღირებული საშუალებაა, რადგანაც საჭიროებს ბევრ ადამიანურ რესურსს და მათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ამ სისტემის მუშაობის ეფექტურობა ძირითადად თვით გამცილებელთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. დღეისათვის ესკორტის გამოყენება თითქმის აღარ ხდება, გარდა ისეთი გამონაკლისებისა, როცა იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.



სახელმძღვანელოში განხილულია საბაჟო იდენტიფიკაციის სხვადასხვა საშუალებები. რა თქმა უნდა, საქართველოში ყველა მათგანი არ გამოიყენება. საბაჟო ინფრაქტრუქტურის განვითარების კვალდაკვალ და მუშაობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე პრაქტიკაში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა იდენტიფიკაციის მრავალი საშუალება მათ შორის ისეთი პრიმიტიულიც კი, როგორიცაა, როგორიცაა წებოვანი ლენტით ქაღალდის გადაკვრა, დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების დაცვის უზრუნველსაყოფად ან ჩვეულებრივი ტომრები, ფიზიკური პირების მიერ დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის ტრასპორტირების მიზნებისათვის.

საბაჟო საქმის სპეციალისტმა, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე თვითონ უნდა გადაწყვიტოს იდენტიფიკაციის ამა თუ იმ საშუალების გამოყენების საკითხი. უნდა გვახსოვდეს, რომ ძვირი არ ნიშნავს ეფექტურს. ხშირად წებოვანი ლენტის პატარა ნაგლეჯი უფრო ეფექტურად შეასრულებს ფუნქციას, ვიდრე საკმაოდ ძვირადღირებული სატელიტური თვალთვალის სისტემა.

საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან და დადებული საიდენტიფიკაციო საშუალების შემოწმებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია 10.2 დანართით.

10.1.4. საბაჟო ზედამხედველობის დაწყება (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლზე აყვანა)

საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი გაფორმების დასრულების მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა საქართველოს კანონმდებლობით[171] დადგენილი წესით (ეს ვალდებულება არ ვრცელდება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით, საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საჰაერო სივრცის გავლით გადაადგილებულ საქონელზე). საბაჟო ზედამხედველობის დაწყება გულისხმობს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სახეობის მიხედვით, აღრიცხვის მოწმობის გამოწერას ან მათ შესაბამის პროგრამაში რეგისტრაციას. საბაჟო ზედამხედველობის დაწყება საჭიროა

[171] საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის (საბაჟო ზედამხედველობის დაწყების) წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ საბაჟო კონტროლის დაწყების ოფიციალური დადასტურებისათვის. საბაჟო ზედამხედველობა საქონლის შემოტანისას იწყება საბაჟო გამშვებ პუნქტში), ხოლო საქონლის გატანისას იწყება საბაჟო გაფორმების ადგილზე (იხ. 10.1. დანართი).

საბაჟო ზედამხედველობა საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე ძირითადად ხორციელდება აღრიცხვის მოწმობის გამოყენებით. კერძოდ, აღრიცხვის მოწმობით ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ან/და დროებით შენახული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების, ან დროებით შენახული საქონლის, ან დროებით შემოტანილი საქონლის, აგრეთვე საბაჟო გამშვები პუნქტიდან უკან დაბრუნებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა[172].

თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო ზედამხედველობა ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის[173] გამოყენებით.

10.1.5. საბაჟო ზედამხედველობის დასრულება (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლიდან მოხსნა)

საბაჟო ზედამხედველობის დასრულება (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლიდან მოხსნა) გულისხმობს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო კონტროლის დასრულების დადასტურებას შესაბამისი პროგრამის გამოყენებით. როდესაც საქონლსა და სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო ზედამხედველობა დაიწყო აღრიცხვის მოწმობის გამოწერით, მისი დასრულება უნდა მოხდეს აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნით (ტრანზიტის, ექსპორტის ან რეექსპორტის შემთხვევაში), ხოლო სხვა სასაქონლო ოპერაციაში, სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად.

---

[172] აღრიცხვის მოწმობის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-01 დანართით. მისი გამოყენების შემთხვევები - ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლით. მოწმობის შევსებისა და გაცემის ზოგადი წესები, ასევე გრაფების შევსების ინსტრუქცია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-9 მუხლებით.

[173] ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის ფომა განსაზრვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-02 დანართით. მისი გამოყენების შემთხვევები - ამავე ინსტრუქციის მე-11 მუხლით. მისი გრაფების შევსების ინსტრუქცია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-10 მუხლით.

10.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) საბაჟო ზედამხედველობის არსი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 214-222 მუხლებით.

ა.ბ) ზოგადი დეკლარირების მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით.

ა.გ) ზოგადი დეკლარირებისთვის საჭირო, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით.

ბ) ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან და მიტანის ვადებთან დაკავშირებით:

ბ.ა) საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 5-12-ე მუხლებით.

ბ.ბ) აღრიცხვის მოწმობის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-01 დანართით. მისი გამოყენების შემთხვევები - ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლით. მოწმობის შევსებისა და გაცემის ზოგადი წესები, ასევე გრაფების შევსების ინსტრუქცია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-9 მუხლებით.

ბ.გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის ფომა განსაზრვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-02 დანართით. მისი გამოყენების შემთხვევები - ამავე ინსტრუქციის მე-11 მუხლით. მისი გრაფების შევსების ინსტრუქცია განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-10 მუხლით.

ბ.დ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტენის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლით.

ბ.ე) მიტანის ვადის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან დაკავშირებით:

გ.ა) საქონლის ნიშანდების წესები და იდენტიფიკაციის საშუალებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-35-ე მუხლებით.

დ) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის (საბაჟო ზედამხედველობის დაწყების) წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლით.

დ.ბ) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისა და დამთავრების წესები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

10.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ზედამხედველობის არსთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 214-222 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ა.ბ) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირების განმარტებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.გ) რეკომენდებულია, ზოგადი დეკლარირებისთვის წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ) ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 5-12-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ბ) რეკომენდებულია, აღრიცხვის მოწმობის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას, ხოლო მისი გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით - ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.გ) რეკომენდებულია, აღრიცხვის მოწმობის შევსებისა და გაცემის ზოგადი წესებთან და მისი გრაფების შევსებასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-9 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.გ) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №II-02 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას, ხოლო მისი გამოყენების შემთხვევები - განსაზღვრულია ამავე ინსტრუქციის მე-11 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.დ) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსებასთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი და მე-10 მუხლით.

გ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, საქონლის ნიშანდების წესებთან და იდენტიფიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-35-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ.ბ) რეკომენდებულია, საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან და დადებული საიდენტიფიკაციო საშუალების შემოწმებასთან დაკავშირებით გაეცნოთ 10.2 დანართით მოცემულ პრინციპებს.

დ) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის (საბაჟო ზედამხედველობის დაწყების) წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ბ) რეკომენდებულია, საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისა და დამთავრების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

10.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმება?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმების წესები?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან და მიტანის ვადებთან დაკავშირებით:

ბ.ა) რა გადაწყვეტილებები მიიღება ზოგადი დეკლარირების შემდგომ?

ბ.ბ) რისთვის არის საჭირო მიტანის ვადების შემოწმება?

ბ.გ) რამდენია ჯარიმის ოდენობა საქონლის/სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადის დარღვევისთვის?

ბ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესები და მიტანის ვადები?

ბ.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელებისა და მიტანის ვადების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რისთვის არის საჭირო საიდენტიფიკაციო საშუალების დედბა?

გ.ბ) რა ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საიდენტიფიკაციო საშუალება?

გ.გ) რა სახის საიდენტიფიკაციო საშუალებები იცით?

გ.დ) აღწერეთ საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებაზე ლუქის დადებისა და დადებული ლუქის შემოწმების ძირითადი პრინციპები.

ბ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადების წესები?

ბ.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) გულისხმობს საბაჟო ზედამხედველობის დაწყება?

დ.ბ) რომელი დოკუმენტით ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობა საქონლით დატვირთულ სატრანსპორტო საშუალებაზე?

დ.გ) რომელი დოკუმენტით ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობა თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე?

დ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისა და დამთავრების წესები?

დ.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისა და დამთავრების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

10.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №10.1. ზოგადი დეკლარირებისათვის წარდგენილი მონაცემების შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ ზოგადი დეკლარირების განმარტება. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 10.1. General Information_(Your Name and Surname[174]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №10.2. ზოგადი დეკლარირების შემდგომი პროცედურების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან და მიტანის ვადებთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ შეკითხვას - რა გადაწყვეტილებები მიიღება ზოგადი დეკლარირების შემდგომ? საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ რამდენია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადები. შესრულებული დავალება (როგორც შეკითხვაზე გაცემული პასუხი, ისე ნაპოვნი ინფორმაცია), ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 10.2. Decisions_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №10.3. საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე საიდენტიფიკაციო საშუალების დადებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს კანონმდებლობაში იპოვეთ პასუხი კითხვებზე: საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას, უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ცვლის თუ არა შემოსავლების სამსახურის იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს)? და სად შეიტანება საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ასეთი იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) შესახებ? შესრულებული დავალება, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 10.3. Identification_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ

[174] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №10.4. საბაჟო ზედამხედველობის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს კანონმდებობაში იპოვეთ აღრიცხვის მოწმობის გამოყენების შემთხვევები. ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 10.4. Registration Certificate_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 10.1. საბაჟო გამშვები პუნქტები და საბაჟო გაფორმების ძირითადი ადგილები საქართველოში

დანართი 10.2. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე ლუქის დადებისა და შემოწმების პრინციპები

ა) დალუქვამდე:
საქონელი ისე უნდა დაიტვირთოს, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დათვალიერებისათვის

ბ) ლუქი უნდა დაედოს მარტივი და საიმედო წესით

გ) ყურადღება მიაქციეთ ლუქის მთლიანობას

დ) საქონლის ამოღება შეუძლებელი უნდა იყოს ლუქის მთლიანობის დაურღვევლად

ე) შეამოწმეთ, რომ დასალუქი ზონარი არ იყოს გადაბმული, ის უნდა იყოს დაჭიმული, ასევე ე.წ. „ტენტი“ არ უნდა იყოს შეკეთებული არაქარხნული წესით

თავი 11. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)

(მოკლე შინაარსი: საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობა; ინტეგრირებული ტარიფის გამოყენება; ზომის ერთეულების დადგენა)

11.1. რისთვის არის საჭირო

ჩვენს ირგვლივ უამრავი დასახელების საქონელი არსებობს: საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, კომპიუტერები, ტექნიკა, საამშენებლო მასალები, ტრანსპორტი, ავეჯი თუ ყოველდღიური მოხმარების ესა თუ ის საგანი. ყველა მათგანს აქვს არა მარტო დასახელება, არამედ „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემის“ შესაბამისად მინიჭებული, ინდივიდუალური ციფრული კოდი. „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას“ - შემოკლებით „HS“-ს უწოდებენ, რაც გახლავთ მისი ინგლისურენოვანი დასახელების აბრევიატურა - Harmonized System.

ჰარმონიზებული სისტემა მოქმედებს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ 1983 წლის 14 ივნისს მომზადებული საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე და ძალაშია 1988 წლის 1 იანვრიდან. პირველად იგი შეიცვალა 1996 წელს, მოგვიანებით 2002 წელს, შემდეგ 2007და 2012 წელს[175].

ჰარმონიზებული სისტემა უნდა მოიცავდეს საერთაშრისო სავაჭრო ბრუნვაში არსებულ ნებისმიერ საქონელს. ლოგიკურია, 1988 წელს, როდესაც ძალაში შევიდა პირველი რედაქცია, მასში ვერ მოხვდებოდა ისეთი საქონელი, როგორიც არის DVD დისკი (1995), მეხსიერების ბარათი (1999), იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროისათვის ეს ნივთები არ იყო გამოგონილი. ახალი საქონლის შეტანა ხდება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტის მიერ, კონვენციით განსაზღვრული პროცედურის დაცვით.

ჰარმონიზებული სისტემის საფუძველზე, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსოფლიოს ქვეყნები შეიმუშავებენ თავ-თავიანთ ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურებს. საქართველოში გამოიყენება „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა - შემოკლებით „სეს ესნ“[176], რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანებით.

---

[175] დღეისათვის მოქმედებს ჰარმონიზებული სისტემა - 2012, რომელიც ძალაშია 2012 წლის 1 იანვრიდან;

[176] „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა - „სეს ესნ“, დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანებით.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) გამოყენება გულისხმობს:

1. საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრას;
2. ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრას;
3. სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრას.

11.1.1. საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა

საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა საჭიროა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა განსახორციელებლად, სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურაში საქონელი კლასიფიცირებულია რაიმე ნიშნის, წესის და პრინციპის მიხედვით 11 ნიშნა კოდის სიზუსტით. კოდის პირველი 6 ციფრი ზუსტად იგივეა რაც ჰარმონიზებულ სისტემაში. სეს ესნ - ით განისაზღვრება საქონლის 99 ჯგუფი[177], სადაც ხდება საქონლის კლასიფიცირება 2 ნიშნა კოდებად.

11.1.2. ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა

ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა საჭიროა იმისათვის, რომ ერთი ნორმატიული აქტიდან მივიღოთ ინფორმაცია ყველა იმ საბაჟო რეგულაციის შესახებ, რომელიც საჭიროა საქართველოდან კონკრეტული საქონლის გატანისათვის ან საქართველოში შემოტანისათვის. კერძოდ, ინტეგრირებული ტარიფის დახმარებით შეგვიძლია მოვიძიოთ შემდეგი სახის ინფორმაცია საქონლის შესახებ:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. შეღავათები;

---

[177] საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული საქონლის ჯგუფები მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში;

3. აკრძალვები და შეზღუდვები;
4. ნებართვები და ლიცენზიები;
5. ნებართვის გამცემი ორგანოები.

საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი არის მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შედგება[178]:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან - სეს ესნ;

ბ) იმპორტის გადასახდელების განაკვეთებისაგან ან/და შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შეღავათებისაგან - პრეფერენციებისაგან;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ.

საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი დგნიდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით[179]. მოქმედი გადასახდელების განაკვეთების, გადასახდელებისაგან გათავისუფლების შემთხვევებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეღავათების მიხედვით, ინტეგრირებული ტარიფის შედგება შემდეგი სამი დანართისაგან[180]:

დანართი N1 - საქართველოში პროდუქციის იმპორტზე მოქმედი გადასახდელების განაკვეთები ან/და შეღავათები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები და შეზღუდვები;

დანართი N2 - გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ, მაგრამ არ იდენტიფიცირდება სეს ესნ-ის სასაქონლო კოდებით;

დანართი N3 - საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ნუსხა, რომლითაც დადგენილია შეღავათები იმ საქონელზე, რომლებიც N1 დანართში არ არის იდენტიფიცირებული სეს-ესნ-ის კოდებით.

11.1.3. სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა

[178] **ინტეგრირებული ტარიფის განმარტება** მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის პირველ ნაწილში;

[179] **ინტეგრირებული ტარიფის შექმნის საფუძველი** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

[180] **ინტეგრირებული ტარიფი დამტკიცებულია** საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის N351 დადგენილებით „ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“;

სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა საჭიროა საქონლის რაოდენობის დადგენისათვის. საბაჟო კონტროლის მიზნებისათვის, საქონლის რაოდენობის ძირითად ზომის ერთეულს კილოგრამი წაროადენს. საჭიროების შემთხვევაში, სატარიფო რეგულირების, არასატარიფო რეგულირების (ლიცენზირება, კვოტირება და სხვა), სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნებისათვის ასევე გამოიყენება ნომენკლატურის მესამე გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულები[181].

[181] **სეს ესნ-ში გამოყენებული ზომის ერთეულები, მათი პირობითი აღნიშვნები და კოდები** განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით;

11.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა - „სეს ესნ“;

ბ) საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული საქონლის ჯგუფები მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში;

გ) ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

გ.ა) ინტეგრირებული ტარიფის განმარტება მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის პირველ ნაწილში;

გ.ბ) ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

გ.გ) ინტეგრირებული ტარიფი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის N351 დადგენილებით „ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“;

დ) სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) სეს ესნ-ში გამოყენებული ზომის ერთეულები, მათი პირობითი აღნიშვნები და კოდები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით;

11.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანებით დამტკიცებულ „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა - „სეს ესნ“ - ის მოქმედ რედაქციას;

ბ) საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული საქონლის ჯგუფებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ) ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, ინტეგრირებული ტარიფის განმარტებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ.ბ) რეკომენდებულია, ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების საფუძველთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ.გ) რეკომენდებულია, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის N351 დადგენილებით დამტკიცებული ინტეგრირებული ტარიფის, დანართებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

დ) სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) რეკომედებულია, სეს ესნ-ში გამოყენებული ზომის ერთეულებთან, მათ პირობით აღნიშვნებთან და კოდებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

11.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) რამდენ ნიშნა კოდის სიზუსტით არის კლასიფიცირებული საქონელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურაში?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) რა სახის ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი საქართველოს ინტეგრირებული ტარიფით?

ბ.გ) რა შინაარსის დანართებისაგან შედგება საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი?

ბ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრა საქართველოში?

ა.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) საბაჟო კონტროლის მიზნებისათვის, რომელი ზომის ერთეული წარმოადგენს საქონლის რაოდენობის ძირითადი ზომის ერთეულს?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრა საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

11.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №11.1. საქონლის დასახელების, აღწერისა და სესესნ კოდის ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ რამდენი სასაქონლო ჯგუფი არსებობს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში (სეს ესნ)?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 11.1. HS_(Your Name and Surname[182]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №11.2. ინტეგრირებული ტარიფის გამოყენებით საქონლის მიმართ დადგენილი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების საფუძველი.

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 11.2. GIT_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №11.3. სეს ესნ კოდის მიხედვით საქონლის ძირითადი და დამატებითი ზომის ერთეულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ:

- როგორი სახის ზომის ერთეულს წარმოადგენს „ლიტრი“? (ძირითადი თუ დამატებითი);
- „ცალი“ - ს ზომის ერთეულის კოდი;

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 11.3. Size Units_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

---

[182] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

თავი 12. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

(მოკლე შინაარსი: საქონლის წარმოშობის დეკლარირება;
წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმება;
წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა)

12.1. რისთვის არის საჭირო

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა გვესმოდეს თუ რატომ არის საჭირო საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა და რა მნიშვნელობა აქვს მას, როგორც კომპანიისათვის, ასევე, ქვეყნისათვის. ბუნებრივია, როცა საქონლის წარმოშობის ქვეყანის შესახებ ვსაუბრობთ, წარმოდგენა გვექმნება საქონლის ხარისხზე. მაგალითად, თუკი ერთმანეთს შევადარებთ გერმანული ბრენდის ორ მსგავს სპორტულ ფეხსაცმელს, რომელთაგან ერთი დამზადებულია გემრანიაში, ხოლო მეორე ჩინეთში, უმრავლეს შემთხვევაში შესაძლოა მისი წაროების ხარისხის განსხვავება ერთი შეხედვით (ან თუნდაც შეხებით) ვერ დავინახოთ, თუმცა განსხვავება ხარისხში ძალიან დიდია, რაც საქონლის მოხმარების დროს იჩენს თავს. როდესაც დაინტერესებულ კომპანიას აქვს ინფორმაცია საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით, მას შეუძლია განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული საქონლის ხარისხი მის ფასს და თამამდ ღებულობს გადაწყვეტილებას შეიძინოს თუ არა ესა თუ ის სასაქონლო პარტია. ასევე, საქონლის იმპორტით დაინტერესებულ კომპანიას, შესაბამისი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის არსებობისას, საშუალება აქვს ისარგებლოს გარკვეული შეღავათებით[183], რომელიც არსებობს ამა თუ იმ სახელმწიფოებში, სადაც ხორციელდება საქონლის იმპორტი. გარდა ზემოთ მოყვანილი მაგალითისა, საქონლის წარმოშობის ქვეყნის ცოდნა, ასევე წარმოადგენს ქვეყნის ინტერესს. მაგალითად, როდესაც მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში გავრცელებულია გარკვეული ეპიდემია, რომელიც სხვადასხვა საქონლის ექსპორტ–იმპორის დროს შესაძლებელია გავრცელდეს სხვადასხვა ქვეყნებში, საერთაშორისო ვაჭრობის დროს ჩნდება რისკი. სახელმწიფოს საბაჟო სამსახურის მიერ, სხვადასხვა სახის პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, ხდება საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა, რადგან არ მოხდეს ისეთი სახის საქონლის შემოტანა, რომელიც წარმოებულია ეპიდემიურ ქვეყანაში და რომლითაც შესაძლოა გავრცელებულ იქნას ესა თუ ის დაავადება.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა გულისხმობს:

---

[183] **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 228-ე მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:** „დეკლარანტი უფლებამოსილია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენება, თუ: იგი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას“.

1. საქონლის წარმოშობის დეკლარირებას;
2. წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებას;
3. საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრას.

12.1.1. საქონლის წარმოშობის დეკლარირება

საქონლის წარმოშობის დეკლარირება[184] გულისხმობს საგადასახაო ორგანოში საქონლის წარმოშობის დადასტურებას, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას, ამ საქონელს არ ახლავს წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საქონლის წარმოშობის დადგენა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებით“[185].

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით, საქონელი შესაძლებელია მოქცეულ იქნას სხვადასხვა სასაქონლო ოპერაციაში, მაგალითად განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანა, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი ის შესაძლებელია მოექცეს მეორე, იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი შემოტანისას ნიშნავს, რომ წარმოშობის ქვეყნის დადგენა ხორციელდება საქონლის პირველივე სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის დროს. საქონლის ახალ სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას წარმოშობის ქვეყნის განმეორებით დადგენა არ ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულის თაობაზე დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საგადასახადო ორგანოს და წარადგენს დამატებით დოკუმენტებს.

საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს ორი სახის: შეღავათიანი ანუ პრეფერენციული და შეღავათების გარეშე ანუ არაპრეფერენციული, შესაბამისად, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც საქონლის წარმოშობის დასადასტრურებლად წარედგინება საგადასახადო ორგანოს, ასევე შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული.

12.1.2. წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმება

წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმება საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქონლის წარმოშობის ქვეყანას, წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს. იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანო ეჭვს შეიტანს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნამდვილობაში ან მასში აღნიშნული

---

[184] **საქონლის წარმოშობის დეკლარირებისათვის, საქონლის თანმხლები დოკუმენტები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით;

[185] **წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებასთან** დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების მე-4 მუხლით;

მონაცემების სისწორეში, დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადასტურება ხდება ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატით, ხოლო საქონლის გატანისას – საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს[186] მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატით.

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ოთხი სახისაა:

ა) საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი;[187]

ბ) საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა «A";[188]

გ) პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1[189];

დ) პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1[190].

12.1.3. საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა

საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა საჭიროა, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობისათვის, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის შეღავათებით სარგებლობას, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოთხოვნათა შესაბამისად.

რაც შეეხება საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრის მიზანს, წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარება, რომელიც ხორციელდება, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას, ასევე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას.

საქონლის ექსპორტის დროს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

---

[186] **საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანოები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით;

[187] **საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა** დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილებით - დანართი N2; აღნიშნული სახის სერტიფიკატის გაცემის წესი განსაზღვრულია იმავე დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით, მე-11 და მე-12 მუხლებით;

[188] **საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის - ფორმა «A"-ს ფორმა** დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილებით - დანართი N3; ფორმა «A" - ს გაცემის წესი განსაზღვრულია იმავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით, მე-13 და მე-14 მუხლებით;

[189] **საქონლის წარმოშობის CT-1 სერტიფიკატის გაცემის წესი** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-10 პუნქტით და მე-15 მუხლით;

[190] **პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 – ის გაცემის წესი** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-11 პუნქტით და მე-16 მუხლით;

ა) მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონლის კრიტერიუმი[191];

ბ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი[192];

გ) ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი[193];

დ) აუცილებელი პირობების, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი[194].

საქონლის რეექსპორტის დროს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი შემოტანისას თანმხლები, ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე, ხოლო სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების შესაბამისად.

---

[191] **მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონლის კრიტერიუმითან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-6 მუხლით;

[192] **საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-7 მუხლით;

[193] **ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-8 მუხლით;

[194] **აუცილებელი პირობების, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-9 და მე-10 მუხლებით;

12.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი მოცემულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 228-ე მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში;

ბ) საქონლის წარმოშობის დეკლარირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) საქონლის წარმოშობის დეკლარირების მიზნებისათვის საქონლის თანმხლები დოკუმენტები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით;

ბ.ბ) წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-4 მუხლით;

გ) წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებასთან დაკავშირებით:

გ.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანოები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით;

გ.ბ) საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილებით - დანართი N2; აღნიშნული სახის სერტიფიკატის გაცემის წესი განსაზღვრულია იმავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით, მე-11 და მე-12 მუხლებით;

გ.გ) საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის - ფორმა «A“-ს ფორმა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილებით - დანართი N3; ფორმა „A“ - ს გაცემის წესი განსაზღვრულია იმავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით, მე-13 და მე-14 მუხლებით;

გ.დ) საქონლის წარმოშობის CT-1 სერტიფიკატის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-10 პუნქტით და მე-15 მუხლით;

გ.ე) პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 - ის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის, მე-11 პუნქტით და მე-16 მუხლით;

დ) საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონლის კრიტერიუმითან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-6 მუხლით;

დ.ბ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-7 მუხლით;

დ.გ) ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-8 მუხლით;

დ.დ) აუცილებელი პირობების, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-9 და მე-10 მუხლებით;

12.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, შესაბამისი სახის წარმოშობის სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 228-ე მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ) საქონლის წარმოშობის დეკლარირებასთან დაკავშირებით:

ბ) რეკომენდებულია, საქონლის წარმოშობის დეკლარირების მიზნებისათვის საქონლის თანმხლები დოკუმენტებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ) რეკომენდებულია, წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-4 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ) წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებასთან დაკავშირებით:

დ) რეკომენდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანოებთან დაკავშირებით, გაეცნოთ მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

ე) რეკომენდებულია, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ, საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის ფორმას (დადგენილების დანართი N2) და აღნიშნული სახის სერტიფიკატის გაცემის წესთან დაკავშირებით, იმავე დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით, მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

ვ) რეკომენდებულია, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის - ფორმა «A“-ს ფორმას (დადგენილების დანართი N3) და იმავე დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით, მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

ზ) რეკომენდებულია, საქონლის წარმოშობის CT-1 სერტიფიკატის გაცემის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის, მე-10 პუნქტით და მე-15 მუხლით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

თ) რეკომენდებულია, პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 - ის გაცემის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420

დადგენილების დანართი N1-ის მე-2 მუხლის, მე-11 პუნქტით და მე-16 მუხლით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

დ) საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ი) რეკომენდებულია, მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონლის კრიტერიუმითან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-6 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

კ) რეკომენდებულია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართი N1-ის მე-7 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ლ) რეკომენდებულია, ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N 420 დადგენილების დანართი N1-ის მე-8 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

მ) რეკომენდებულია, აუცილებელი პირობების, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის N420 დადგენილების დანართნი N1-ის მე-9 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

12.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) საქონლის წარმოშობის დეკლარირებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს საქონლის წარმოშობის დეკლარირება და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) რამდენი სახის შეიძლება იყოს საქონლის წარმოშობა?

ა.გ) გარდა საქონლის წარმოშობის დეკლარირებისა, რა სახით შეიძლება განხორციელდეს საქონლის წარმოშობის დადგენა?

ა.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საქონლის წარმოშობის დეკლარირება საქართველოში?

ა.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქონლის წარმოშობის დეკლარირების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმება და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) შეუძლია თუ არა საგადასახადო ორგანოს, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატთან დაკავშირებით, დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას?

ბ.გ) ჩამოთვალეთ, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის სახეები?

ბ.დ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ა.ე) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) ჩამოთვალეთ საქონლის ექსპორტის დროს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრა საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

12.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №12.1. საქონლის წარმოშობის დეკლარირებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, წარმოადგენს თუ არა საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, საქონლის წარმოშობის დეკლარირების მიზნებისათვის მის თანმხლები დოკუმენტს?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 12.1. Declaring of Origin_(Your Name and Surname[195]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №12.2. წარმოშობის სერტიფიკატის ვალიდურობის შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა სახის ინფორმაცია იწერება, საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის მე-7 გრაფაში?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 12.2. Validity of Certificate of Origin_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №12.3. საქონლის წარმოშობის ქვეყანის განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე:

- რომელ ქვეყანაში წარმოშობილად ჩაითვლება საქონელი, რომლის წარმოებაში ჩაბმული იყო ორი ან მეტი ქვეყანა?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 12.3. Determination of Country of Origin_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

---

[195] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

თავი 13. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

(მოკლე შინაარსი: საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით; საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით)

13.1. რისთვის არის საჭირო

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს საქონლის დეკლარირების დღისათვის მის შეფასებას. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საჭიროა საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ **სავაჭრო პოლიტიკის**[196] ღონისძიებების სწორად გამოყენებისთვის. საქართველოს კანონმდებლობით[197], საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი ხოლო მისი განსაზრვრის სისწორეს აკონტროლებს საბაჟო სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახური არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, თვითონ განსაზღვრავს მას.

საქართველო 2000 წლიდან არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი, რის შედეგადაც, ქვეყანამ აიღო ვალდებულება საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით. WTO-ს წევრი ქვეყნები იყენებენ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ერთიან მეთოდიკას და წესებს, რაც გულისხმობს საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენას 6 მეთოდის გამოყენებით. ამასთან, ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება. დეკლარანტს უფლება აქვს, შეცვალოს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მხოლოდ მე-4 (ერთეულის ფასის მიხედვით) და მე-5 მეთოდების (შედგენილი ღირებულების მიხედვით) გამოყენების რიგითობა.

---

[196] საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები (ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა. შ.).

[197] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 213-ე მუხლი.

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გულისხმობს **საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის (ინკოტერმსი-2010)**[198] გამოყენებას კონკრეტული კომერციული გარიგების შესაბამისად და საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას:

1. საქონლის გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით;
2. იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდი) მიხედვით;
3. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით;
4. საქონლის ერთეულის ფასის (მე-4 მეთოდი) მიხედვით;
5. შედგენილი ღირებულების (მე-5 მეთოდი) მიხედვით;
6. სარეზერვო მეთოდის (მე-6 მეთოდი) მიხედვით.

საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგია (ინკოტერმს 2010). საერთაშორისო სავაჭრო გარიგების დადებისას, ადამიანები ხშირად აწყდებიან უსიამოვნებებს (იხ. სურათი 5).



სურათი 5. რატომ არის ინკოტერმსი ხელსაყრელი (იხ. ვიდეო Youtube-ზე: INCOTERMS- 2010)

[198] **ინკოტერმსი** (**INCOTERMS - International Commercial Terms**) – საერთაშორისო კომერციული ტერმინები. ინკოტერმისი შემუშავებულია სავაჭრო გარიგებების გაადვილების მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის International Chamber of Commerce (ICC) მიერ 1936 წელს, პარიზში. წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Incoterms.

დავუშვათ, იმპორტიორმა სახელად „მყიდველი“, საზღვარგარეთ შეიძინა საქონელი ექსპორტიორისაგან სახელად „გამყიდველი“. ამ დროს, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად პასუხი უნდა გაეცეს მთელ რიგ შეკითხვებს:

- საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები გამყიდველმა უნდა დაფაროს თუ მყიდველმა?
- ხომ არ აჯობებს გამყიდველმა დაუტვირთოს სატრანსპორტო საშუალებაზე თავისი ხარჯით, ხოლო შემდეგ პასუხი მყიდველმა აგოს?
- საექსპორტო და საიმპორტო საბაჟო ფორმალობები გამყიდველმა მოაგვაროს თუ მყიდველმა?
- ხომ არ აჯობებს გამყიდველმა მხოლოდ საექსპორტო საბაჟო ფორმალობები მოაგვაროს, ხოლო დანარჩენზე პასუხი მყიდველმა აგოს?
- ხომ არ აჯობებს მყიდველმა მხოლოდ საიმპორტო საბაჟო ფორმალობები მოაგვაროს, ხოლო დანარჩენზე პასუხი გამყიდველმა აგოს?
- ხომ არ აჯობებს გამყიდველმა დააზღვიოს და ჩაიტანოს საქონელი მყიდველის ქვეყანაში თავისი ხარჯით, მაგრამ თუ დაზიანდა ან დაიკარგა საქონელი მყიდველმა დაუმტკიცოს ზარალის არსებობა და ოდენობა სადაზღვევო კომპანიას?
- და ა.შ. დაუსრულებლად ...

ბუნებრივია, ყველაზე მარტივი გზა, ამ უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად არის გარიგების დადებისთანავე მხარეთა შეთანხმება ყველა შესაძლო პრობლემური შემთხვევისათვის. რა თქმა უნდა, არ არსებობს უნივერსალური დოკუმენტი, რომელშიც საერთაშორისო გარიგებასთან დაკავშირებულ, აბსოლუტურად ყველა შეკითხვაზე იქნება პასუხი. მაგრამ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სირთულეები, რომელსაც შეიძლება საქონლის გამყიდველი (ექსპორტიორი) და მყიდველი (იმპორტიორი) წააწყდნენ კონტრაქტის დადების შემდეგ. სწორედ ასეთი დოკუმენტია ინკოტერმსი - ანუ საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგია.

ინკოტერმსი შემუშავებულია სავაჭრო გარიგებების გაადვილების მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 1936 წელს, საფრანგეთში. პირველი რედაქცია ცნობილია სახელწოდებით „ინკოტერმს 1936“. მოგვიანებით, აღნიშნულ წესებში რამოდენიმეჯერ (1953, 1967, 1976, 1980, 1990, 2000 და 2010 წლებში) იქნა შეტანილი ცვლილებები და დამატებები. შესაბამისად, ისინი სავაჭრო პრაქტიკაში ცნობილია „ინკოტერმს 1953“, „ინკოტერმს 1967“ და ა.შ. სახელწოდებით. ბოლო რედაქციას, რომელიც სახემძღვანელოში არის განხილული, „ინკოტერმს 2010“ ეწოდება. პირველი რედაქცია გამოიყენებოდა მხოლოდ საქონლის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების შემთხვევაში, ხოლო შემდგომი რედაქციები გამოიყენება საქონლის ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებით (სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო) საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში.

ინკოტერმს 2010 შედგება 4 ჯგუფისაგან (E, F, C, D) და 11 პირობისაგან (EXW, FCA, FAS, FOB, CFR, CIF, CPT, CIP, DAT, DAP, DDP). თითოეული ჯგუფისა და პირობის შინაარსთან

დაკავშირებით იხილეთ ამ თავის 13.1 დანართი, ხოლო 13.2 დანართით მოცემული სამახსოვრო დაგეხმარებათ ვიზუალურად დაიმახსოვროთ თითოეული პირობის დროს, თუ როგორ ნაწილდება რისკებთან და ხარჯებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა საქონლის გამყიდველსა (ექსპორტიორსა) და მყიდველს (იმპორტიორს) შორის, ასევე თუ რომელი სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყენება თითოეული პირობა.

13.1.1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით

კანონმდებლობის მიხედვით, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება არის გარიგების ფასი[199] ანუ საექსპორტოდ გაყიდულ საქონელში ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი (საბაჟო ღირებულების ელემენტების გათვალისწინებით[200]). საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის, ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი[201] – ეს არის მთლიანი თანხა, რომელიც მყიდველმა გადაუხადა ან უნდა გადაუხადოს გამყიდველს ან უნდა გადაიხადოს გამყიდველის სასარგებლოდ. იგი მოიცავს ყველა გადახდას, როგორც პირდაპირს, ასევე ირიბს, რომელიც წარმოადგენს საქონლის გაყიდვის პირობას. შესაძლებელია გადახდა ხდებოდეს აკრედიტივით ან თავისუფლად ბრუნვადი ფასიანი ქაღალდებით, პირდაპირ ან ირიბად.

როდესაც ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი მოიცავს თანხას, რომელიც წარმოადგენს საქონლის წარმოშობის ან ექსპორტის ქვეყანაში გადახდილ შიდა გადასახადს, და საგადასახადო ორგანოს წარედგინება დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ აღნიშნული თანხა უკან დაუბრუნდა ან დაუბრუნდება მყიდველს/გამყიდველს, ეს თანხა არ უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში.

საქართველოს კანონმდებლობით[202], საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის:

ა) თუ ფასი ფაქტობრივად არ არის გადახდილი (ან სრულად არ არის გადახდილი), საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოიყენება გადასახდელი ფასი;

---

[199] საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით.

[200] საბაჟო ღირებულების ელემენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 31-ე მუხლით.

[201] ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით.

[202] საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასთან დაკავშირებული დებულებები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

ბ) თუ ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი არ არის საბოლოო გადასახდელი ფასი და საბოლოო გადასახდელი ფასი უფრო მაღალია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოიყენება საბოლოო გადასახდელი ფასი;

გ) თუ გადახდილი ან გადასახდელი ფასი არ არის საბოლოო გადასახდელი ფასი და საბოლოო გადასახდელი ფასი უფრო დაბალია, მაშინ, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საბოლოო გადასახდელი ფასი, თუ ის წარმოადგენს თავდაპირველი კონტრაქტით განსაზღვრულ ვალდებულებას.

საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრა ითვალისწინებს ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასის კორექტირებას იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს ეკისრება გარკვეული ელემენტის გადახდა, რომელიც შეადგენს საბაჟო ღირებულების ნაწილს, მაგრამ არ არის შეტანილი იმპორტირებული საქონლისათვის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასში.

გარიგების ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით, ამავე ინსტრუქციის 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები) და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის (ურთიერთდამოკიდებული პირები) გათვალისწინებით.

გარიგების ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ნასყიდობის დოკუმენტების (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) არარსებობა.

13.1.2. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მეთოდით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური იმპორტირებული საქონლის გარიგების ღირებულება[203], რომელიც გაყიდულ იქნა საქართველოში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს[204], როდესაც განხორციელდა შესაფასებელი საქონლის ექსპორტი.

---

[203] საბაჟო ღირებულების იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლით.

[204] **ექსპორტირებულია იმავე ან თითქმის იმავე დროს** ნიშნავს იმას, რომ განსხვავება იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღს შორის არ აღემატება 30 კალენდარულ დღეს (30 დღით ადრე ექსპორტამდე ან ექსპორტიდან 30 დღის შემდეგ). საქართველოს

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის **იდენტური საქონელი** არის საქონელი, რომელიც შესაფასებელ საქონელთან შედარებით ყოველმხრივ, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით, ერთნაირია, აგრეთვე აქვს ერთი და იმავე წარმოშობის ქვეყანა. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის იდენტურად მიჩნევას, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას.

თუ გამოვლინდა იდენტური იმპორტირებული საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს მათგან უმცირესი.

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლით, ამავე ბრძანების 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები) და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით.

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ნასყიდობის დოკუმენტებისა (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) და **იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირებული** იდენტური საქონლის არარსებობა.

13.1.3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასისა და იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდებით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ მსგავსი იმპორტირებული საქონლის გარიგების ღირებულება[205], რომელიც გაყიდულ იქნა საქართველოში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს[206], როდესაც განხორციელდა შესაფასებელი საქონლის ექსპორტი.

ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[205] საბაჟო ღირებულების მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლით.

[206] **ექსპორტირებულია იმავე ან თითქმის იმავე დროს** ნიშნავს იმას, რომ განსხვავება მსგავსი საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღს შორის არ აღემატება 30 კალენდარულ დღეს (30 დღით ადრე ექსპორტამდე ან ექსპორტიდან 30 დღის შემდეგ). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის მსგავსი საქონელი არის საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი და აქვს ერთი და იმავე წარმოშობის ქვეყანა, მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი.

თუ გამოვლინდა მსგავსი იმპორტირებული საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს მათგან უმცირესი.

მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლით, ამავე ბრძანების 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები) და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით.

მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ნასყიდობის დოკუმენტებისა (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) და და იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირებული იდენტური და მსგავსი საქონლის არარსებობა.

13.1.4. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის, იდენტური და მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდებით, საქონლის საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით[207] (ან შედგენილი ღირებულების მეთოდით).

საქონლის ერთეულის ფასი არის შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაზრო ფასი იმპორტის ქვეყანაში, რომელიც ყალიბდება არაურთიერთდაკავშირებული მყიდველისათვის ამ საქონლის მაქსიმალურად დიდ პარტიებად მიყიდვის დროს, პირველივე კომერციულ დონეზე. ამასთან, ასეთი საქონელი უნდა იყოს იმპორტირებული იმავე ან თითქმის იმავე დროს (საბაჟო ღირებულების საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით განსაზღვრის მიზნებისთვის, დასაშვები განსხვავებაა 90 დღე), როდესაც ხორციელდება

[207] საბაჟო ღირებულების საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლით.

შესაფასებელი საქონლის იმპორტი და ერთეულის ფასიდან უნდა გამოიქვითოს, ყველა ის ხარჯი რაც გაწეულია საქართველოში იმპორტის შემდეგ[208].

საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლით, ამავე ბრძანების 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები) და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით.

საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ნასყიდობის დოკუმენტების (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) არარსებობა, ასევე, იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირებული იდენტური და მსგავსი საქონლის არარსებობა და ერთეულის ფასის გამოთვლის შეუძლებლობა.

13.1.5. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით.

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის, იდენტური და მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდებით, საქონლის საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს შედგენილი ღირებულების მეთოდით[209] (ან საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით).

შედგენილი ღირებულების მიზნებისთვის, საქონლის საბაჟო ღირებულებად ითვლება ღირებულება, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

ა) საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადების ან/და დამუშავების ღირებულება;

ბ) მოგებისა და საერთო ხარჯების რაოდენობა, რომელსაც ადგილი აქვს ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებლის მიერ იმავე კლასის ან ტიპის საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვისას;

გ) ტრანსპორტირების ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები (თუ სხვადასხვა საქონლის პარტია ერთი და იმავე ტრანსპორტით არის იმპორტირებული, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება, რომელიც უნდა განისაზღვროს გადამზიდავთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით);

დ) დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ ეს ხარჯები გაწეულია დეკლარანტის მიერ.

---

[208] საქონლის ერთეულის ფასიდან გამოსაქვითი ხარჯები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

[209] საბაჟო ღირებულების შედგენილი ღირებულების მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლით.

შედგენილი ღირებულების მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლით, ამავე ბრძანების 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები) და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით.

შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ნასყიდობის დოკუმენტების (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) არარსებობა, ასევე, იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირებული იდენტური და მსგავსი საქონლის არარსებობა და ერთეულის ფასის გამოთვლის შეუძლებლობა.

13.1.6. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის, იდენტური და მსგავსი საქონლის გარიგების ფასის, ასევე საქონლის ერთეულის ფასისა და შედგენილი ღირებულების მეთოდებით, საქონლის საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს სარეზერვო მეთოდით.

სარეზერვო მეთოდი[210] გულისხმობს საბაჟო ღირებულების განსაზღვრას მიზანშეწონილი საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც შეესაბამება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგად დებულებებს და საქართველოში არსებულ მონაცემებს. სარეზერვო მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

ა) საქართველოში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;

ბ) საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე;

გ) სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი;

დ) საქონლის მინიმალური საბაჟო ღირებულება;

ე) საქონლის თვითნებურად შერჩეული ან ფიქციური ღირებულებები;

ვ) საქონლის ორ ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულების მიღების პრინციპი;

ზ) წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის ასაქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლის დებულებების მიხედვით.

სარეზერვო მეთოდით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ეფუძნებოდეს საქონლის ადრე უკვე განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას.

---

[210] საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლით.

სარეზერვო მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, ძირითადად უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლით, ამავე ბრძანების 24-ე (საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები), 26-29-ე და 31-ე მუხლების (იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები) გათვალისწინებით. ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №425 ბრძანებით დამტკიცებული საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლისას გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემით (ე.წ. „მედიანით“).

საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის ღია წყაროებიდან და პრაქტიკის განზოგადებიდან მიღებულ მონაცემებს, რომელიც საინფორმაციო ხასიათის არის და გამოიყენება მხოლოდ სარეზერვო მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის დადგენის მიზნით.

შენიშვნა:

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება საბაჟო ღირებულების ტრადიციული 6 მეთოდისაგან განსხვავებით. კერძოდ, საქარელოს კანონმდებლობით[211], მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების[212] საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ პროგრამის მატარებლების ფასი, იმ პირობით, რომ მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების[213] ღირებულება დოკუმენტურად განცალკევებულია პროგრამის მატარებლების ღირებულებისაგან. ამასთან, პროგრამის მატარებლების საბაჟო ღირებულება განისაზღვრება პროგრამის მატარებლების ღირებულებისა და მის ტრანსპორტირებაზე, ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე, მოვლასა და შეფუთვაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობით.

---

[211] მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 32-ე მუხლით.

[212] **პროგრამული უზრუნველყოფის მატარებელი** – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის ეს ცნება არ მოიცავს ინტეგრირებულ სქემებს, ნახევარგამტარებს და მოწყობილობებს ან ნაწილებს, რომლებისგანაც შედგება ზემოაღნიშნული სქემები, ნახევარგამტარები ან მოწყობილობები.

[213] **მონაცემები და სასწავლო პროგრამები** – აღნიშნული ცნებები არ მოიცავს აუდიო, კინო და ვიდეოჩანაწერებს.

13.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის არსი, მეთოდები და მათი გამოყენების რიგითობა, ასევე ურთიერთდამოკიდებული პირები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლით;

ბ) გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით;

ბ.ბ) საბაჟო ღირებულების ელემენტები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 31-ე მუხლით;

ბ.გ) ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით;

ბ.დ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასთან დაკავშირებული დებულებები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით;

გ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

გ.ა) საბაჟო ღირებულების იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლით;

დ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) საბაჟო ღირებულების მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლით;

ე) საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ე.ა) საბაჟო ღირებულების საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლით;

ე.ბ) საქონლის ერთეულის ფასიდან გამოსაქვითი ხარჯები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით;

ვ) შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ვ.ა) საბაჟო ღირებულების შედგენილი ღირებულების მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლით;

ზ) სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ზ.ა) საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლით;

თ) მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 32-ე მუხლით;

ი) საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლისას გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემა დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №425 ბრძანებით.

13.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის არსთან, მეთოდებთან და მათი გამოყენების რიგითობასთან, ასევე ურთიერთდამოკიდებულ პირებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ) გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ.ბ) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების ელემენტებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 31-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ.გ) რეკომენდებულია, ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ.დ) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასთან დაკავშირებულ დებულებები შესახებ, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

დ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ე) საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ე.ა) საბაჟო ღირებულების საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლით;

ე.ბ) საქონლის ერთეულის ფასიდან გამოსაქვითი ხარჯები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით;

ვ) შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ვ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების შედგენილი ღირებულების მეთოდით განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ზ) სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ზ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

თ) რეკომენდებულია, მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 32-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ი) რეკომენდებულია, საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლისას გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №425 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

13.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

ა.ბ) რა წარმოადგენს, გარიგების ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებული საფუძველს?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხი საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

ბ.ბ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის, რა ნიშნავს „იდენტური საქონელი“?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ბ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

გ.ბ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის, რა ნიშნავს „მსგავსი საქონელი“?

გ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

გ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

დ.ბ) რა არის საქონლის ერთეულის ფასი?

დ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

დ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ე) შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ე.ა) რას გულისხმობს შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

ე.ბ) ნასყიდობის დოკუმენტების (ხელშეკრულების ან/და ინვოისის) არარსებობის გარდა, რა შიძლება ასევე იყოს შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი?

ე.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ე.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ვ) სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ვ.ა) სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა?

ვ.ბ) რა სახის მონაცემებს შეიძლება შეიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასები?

ვ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ვ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

13.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №13.1. გარიგების ფასის (პირველი მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ ინფორმაცია, თუ რა სახის ფასები შეიძლება იქნას გამოყენებული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.1. Transaction Value_(Your Name and Surname[214]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №13.2. იდენტური საქონლის გარიგების ფასის (მეორე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

- თუ გამოვლინდა იდენტური იმპორტირებული საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, რომელი უნდა იქნეს გამოყენებული?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.2. Transaction Value of Identical Merchandise_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №13.3. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის (მესამე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.3. Transaction Value of Similar Merchandise_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

---

[214] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

დ) სავარჯიშო №13.4. საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ საქონლის ერთეულის ფასის (მეოთხე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.4. Deductive Value_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ვ) სავარჯიშო №13.5. შედგენილი ღირებულების (მეხუთე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება):საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა სახის ელემენტებისაგან შედგება საქონლის საბაჟო ღირებულება, შედგენილი ღირებულების მიზნებისთვის?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.5. Computed Value_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ზ) სავარჯიშო №13.6. სარეზერვო მეთოდის (მეექვსე მეთოდის) მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა სახის ფასი/ღირებულება არ გამოიყენება სარეზერვო მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად?

პასუხი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 13.6. Derivative Method _(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 13.1. საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის შინაარსი

№	პირობა	სათაური	მოკლე შინაარსი	ტრანსპორტის სახე	შენიშვნა
	E ჯგუფი	**Departure** **საქონლის გადაცემა**	**გამყიდველი საკუთარი შენობა-ნაგებობების ფარგლებში მყიდველისათვის მხოლოდ ხელმისაწვდომს ხდის საქონელს:**		
1	**EXW**	EX Works (... named place) **ფრანკო[215] ქარხანა** (... ადგილის დასახლება)	გამყიდველი[216] თავის ქვეყანაში, საკუთარი შენობა-ნაგებობიდან აწოდებს საქონელს მყიდველს[217]: • **გამყიდველი** არ იღებს თავის თავზე არანაერ ხარჯსა[218] და რისკს[219]; • **მყიდველი** იხდის ყველა ხარჯს და თავის თავზე იღებს რისკს, საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად.	ყველა სახის ტრანსპორტი	ამ პირობის საპირისპიროა DDP პირობა, იმ განსხვავებით, რომ საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად აუცილებელ ყველა ხარჯსა და რისკს აკისრებს გამყიდველს.
	F ჯგუფი	**Main Carriage Unpayd** **საერთაშორისო გადაზიდვა გადაუხდელია**	**გამყიდველი მოვალეა საქონელი მიაწოდოს მყიდველს ან მისგან დასახელებულ ექსპედიტორს:**		
2	**FCA**	**Free Carrier** (...named place) **ფრანკო გადამზიდავი** (...ადგილის დასახლება)	გამყიდველი გადასცემს საქონელს მყიდველის მიერ დასახელებულ გადამზიდველს, დასახელებულ ადგილზე, თავის ქვეყანაში: • **გამყიდველი** იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებს. ამასთან თუ საქონლის გადაცემის დასახელებული ადგილი გამყიდველის შენობა-ნაგებობაა, გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის დატვირთვის რისკსა და ხარჯებზე. სხვა შემთხვევაში, გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის დატვირთვის,	ყველა სახის ტრანსპორტი	

[215] **ფრანკო** (იტალ. franco - თავისუფალი) – აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით. მაგ: ფრანკო-ვაგონი - ისეთი გარიგება, როდესაც საქონლის სადგურში მიტანისა და ვაგონის დატვირთვის ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, გამგზავნი.
[216] **გამყიდველი** – იგულისხმება საქონლის ექსპორტიორი.
[217] **მყიდველი** – იგულისხმება საქონლის იმპორტიორი.
[218] **ხარჯი** – ყველა ხარჯი, რომელიც საჭიროა საქონლის გადასაზიდად მყიდველის მიერ დასახელებულ დანიშნულების ადგილამდე.
[219] **რისკი** – საქონლის გადაზიდვისას, ნებისმიერი მიზეზით მისი დაკარგვის ან დაზიანებისაგან დაზღვევა.

			ასევე შიდა გადაზიდვის რისკსა და ხარჯებზე, მაგრამ არ არის პასუხისმგებელი გადმოტვირთვის რისკსა და ხარჯებზე. • **მყიდველი** იხდის ყველა ხარჯს და თავის თავზე იღებს რისკს, გამყდველის შენობა-ნაგებობიდან საქონლის გადამზიდველის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთის შემდეგ, ან საქონლის მის მიერ დასახელებულ ადგილამდე მიტანის შემდეგ ექსპორტიორ ქვეყანაში.		
3	**FAS**	**Free Alongside Ship** (... named port of shipment) **ფრანკო გემის გასწვრივ** (...გამგზავნის პორტის დასახელება)	გამყიდველს საქონელი მიაქვს დასახელებულ პორტში, ექსპორტიორ ქვეყანაში და ათავსებს მას გემის ბორტთან. საქონელი მიწოდებულად ითვლება გემის ბორტთან განთავსების მომენტიდან: • **გამყიდველი** პასუხისმგებელია საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადების, დატვირთვა გადმოტვირთვის, ასევე შიდა ტრანსპორტირების რისკსა და ხარჯებზე საქონლის გემამდე მიტანამდე; • **მყიდველი** იხდის ტრანსპორტირების ყველა ხარჯს და თავის თავზე იღებს რისკს, საქონლის გემის ბორტთან განთავსების შემდეგ.	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი 	ხშირად იყენებენ მძიმე ან ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირებისას
4	**FOB**	**Free On Board** (... named port of shipment) **ტვირთი გემბანზე** (...გამგზავნის პორტის დასახელება)	გამყიდველს საქონელი მიაქვს დასახელებულ ადგილზე, ექსპორტიორ ქვეყანაში და ტვირთავს მას გემზე. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა იგი გადაკვეთს გემის ბორტს მყიდველის მიერ დასახელებულ პორტში, ექსპორტიორ ქვეყანაში: • **გამყიდველი** პასუხისმგებელია საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადების, დატვირთვა გადმოტვირთვის, ასევე შიდა ტრანსპორტირების რისკსა და ხარჯებზე საქონლის მიერ გემის ბორტის გადაკვეთამდე; • **მყიდველი** იხდის ყველა ხარჯს და თავის თავზე იღებს რისკს, საქონლის მიერ გემის ბორტის გადაკვეთის შემდეგ.	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი 	თუ საქონლის დატვირთვისას, საქონელი ჩამოვარდა და დავარდა გემის გარეთ, ხარჯებზე და რისკზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამყიდველს, ხოლო თუ დავარდა გემზე - პასუხისმგებლობა ეკისრებს მყიდველს
	C ჯგუფი	**Main Carriage Payd საერთაშორისო გადაზიდვა გადახდილია**	**გამყიდველი მოვალეა საქონელი მიაწოდოს მყიდველს ან მისგან დასახელებულ ექსპედიტორს:**		

5	CFR	**Cost and Freight** (... named port of destination) **ღირებულება და ფრახტი** (... დანიშნულების პორტის დასახელება)	გამყიდველს დასახელებულ პორტში, იმპორტიორის ქვეყანაში ჩააქვს საქონელი და იხდის ფრახტს[220]. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა იგი გადმოკვეთს გემის ბორტს დასახელებულ პორტში, იმპორტიორ ქვეყანაში: • **გამყიდველი** იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს, აგრეთვე დასახელებულ პორტში საქონლის მისატანად აუცილებლ ფრახტს, მაგრამ არ იღებს თავის თავზე საქონლის დაკარგვა/დაზიანების რისკს; • **მყიდველი** თავის თავზე იღებს რისკს საქონლის ჩატვირთვისას ექსპორტიორ ქვეყანაში, საქონლის მიერ გემის ბორტის გადაკვეთის მომენტიდან (მსგავსად პირობისა - FOB) და იხდის თავის (იმპორტიორის) ქვეყანაში გემიდან საქონლის გადმოტვირთვის, აგრეთვე გადმოტვირთვის შემდეგ წარმოშობილ ყველა ხარჯს.	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი 	
6	CIF	**Cost, Insurance and Freight** (... named port of destination) **ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი** (... დანიშნულების პორტის დასახელება)	გამყიდველს დასახელებულ პორტში, იმპორტიორის ქვეყანაში, ჩააქვს საქონელი, იხდის ფრახტს და დაზღვევის საკომისიოს (იხ. CIF პირობასთან დაკავშირებული შენიშვნა). საქონელი მიწოდებულად ითვლება, როცა იგი გადმოკვეთს გემის ბორტს დასახელებულ პორტში, იმპორტიორ ქვეყანაში: • **გამყიდველი** იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს, დასახელებულ პორტში საქონლის მისატანად აუცილებლ ფრახტს, აგრეთვე საქონლის დასაზღვევად საჭირო საკომისიოს, მაგრამ არ იღებს თავის თავზე საქონლის დაკარგვა/დაზიანების რისკს (იხ. CIF პირობასთან დაკავშირებული შენიშვნა); • **მყიდველი** თავის თავზე იღებს რისკს საქონლის ჩატვირთვისას ექსპორტიორ ქვეყანაში, საქონლის მიერ გემის ბორტის გადაკვეთის მომენტიდან (მსგავსად პირობისა - FOB) და იხდის თავის (იმპორტიორის) ქვეყანაში გემიდან საქონლის გადმოტვირთვის, აგრეთვე გადმოტვირთვის შემდეგ წარმოშობილ ყველა ხარჯს.	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი 	CIF პირობის დროს, გამყიდველს უხდება მხოლოდ დაზღვევის ორგანიზება. კერძოდ, მაგალითად: გამყიდველი იხდის საქონლის დასაზღვევად საჭირო საკომისიოს, მაგრამ თუ საქონელი დაზიანდა ავარიის გამო, სადაზღვეო კომპანიისათვის ავარიის ფაქტისა და ზარალის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ხარჯი მყიდველმა უნდა გაიღოს

[220] **ფრახტი** (გერმ. fracht) – გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა, საფასური. წყარო: http://ka.wikipedia.org/wiki/ფრახტი.

7	CPT	**Carriage Paid To** (... named place of destination) **გადაზიდვა გადახდილია** ... (... დანიშნულების ადგილის დასახელება) - მდე	გამყიდველს იმპორტიორის მიერ დასახელებულ ადგილზე ჩააქვს საქონელი, იმპორტიორის ქვეყანაში და იხდის სატრანსპორტო ხარჯებს. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როდესაც იგი მიეწოდება მყიდველის მიერ დასახელებულ პირველ გადამზიდავს, იმპორტიორის ქვეყანაში: • **გამყიდველი** იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს, აგრეთვე იმპორტიორის ქვეყანაში დასახელებულ ადგილამდე საქონლის მისატანად აუცილებლ ხარჯებს, მაგრამ თავის თავზე იღებს რისკს საქონლის მხოლოდ თავის მიერ დაქირავებული გადამზიდავისთვის მიწოდებამდე ექსპორტიორ ქვეყანაში; • **მყიდველი** თავის თავზე იღებს საქონლის მისატანად აუცილებელ რისკს მას შემდეგ რაც საქონელი მიეწოდება გამყიდველის მიერ დაქირავებულ გადამზიდავს ექსპორტიორის ქვეყანაში, ხოლო იხდის გადაზიდვის ხარჯებს მას შემდეგ, რაც საქონელი მიეწოდება მის მიერ დასახელებულ პირველ გადამზიდავს, თავის (იმპორტიორის) ქვეყანაში დასახელებულ ადგილზე საქონლის მიტანის შემდეგ.	ყველა სახის ტრანსპორტი 	CPT პირობა ჰგავს CFR პირობას, იმ განსხვავებით, რომ CPT პირობა გამოიყენება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში
8	CIP	**Carriage and Insurance Paid To** (... named place of destination) **ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია** (... დანიშნულების ადგილის დასახელება) - მდე	გამყიდველს იმპორტიორის მიერ დასახელებულ ადგილზე ჩააქვს საქონელი, იმპორტიორის ქვეყანაში. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როდესაც იგი მიეწოდება მყიდველის მიერ დასახელებულ პირველ გადამზიდავს, იმპორტიორის ქვეყანაში: • **გამყიდველი** იხდის საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს, იმპორტიორის ქვეყანაში დასახელებულ ადგილმდე საქონლის მისატანად აუცილებლ ხარჯებს, აგრეთვე საქონლის დასაზღვევად საჭირო საკომისიოს, მაგრამ არ იღებს თავის თავზე საქონლის დაკარგვა/დაზიანების რისკს (მსგავსად პირობისა CIF); • **მყიდველი** თავის თავზე იღებს საქონლის მისატანად აუცილებელ ხარჯებს და რისკს მას შემდეგ, რაც საქონელი მიეწოდეაბა მის მიერ დასახელებულ პირველ გადამზიდავს თავის (იმპორტიორის) ქვეყანაში.	ყველა სახის ტრანსპორტი 	CIP პირობა ჰგავს CIF პირობას, იმ განსხვავებით, რომ CIP პირობა გამოიყენება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში

	D ჯგუფი	Arrival საქონლის მიღება	**გამყიდველი ვალდებულია თავის თავზე აიღოს ყველა ხარჯი და რისკი, რაც აუცილებელია იმპორტიორის ქვეყანაში, საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად:**		
9	**DAT**	Delivered At Terminal (... named terminal of destination) **მიწოდება ტერმინალზე** (...დანიშნულების ადგილის დასახელება)	გამყიდველს იმპორტიორის მიერ დასახელებულ ადგილზე ჩააქვს საქონელი, იმპორტიორის ქვეყანაში. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როდესაც იგი მიტანილია დანიშნულების ადგილზე, ჩამომტანი სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოტვირთვამდე: • **გამყიდველი** იხდის ყველა ხარჯს (გარდა საიმპორტო საბაჟო ხარჯებისა) და თავის თავზე იღებს რისკს, იმპორტიორის ქვეყანაში, საქონლის დანიშნულების ადგილზე გადმოტვირთვის გარდა; • **მყიდველი** თავის თავზე იღებს რისკს და იხდის ყველა ხარჯს საქონლის იმპორტიორის ქვეყანაში, დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდეგ (მათ შორის, საქონლის გადმოტვირთვის რისკსა და ხარჯებს).	ყველა სახის ტრანსპორტი 	
10	**DAP**	Delivered At Piont (... named point of destination) **მიწოდება დანიშნულების პუნქტამდე** (...დანიშნულების ადგილის დასახელება)	გამყიდველს იმპორტიორის მიერ დასახელებულ ადგილზე ჩააქვს საქონელი, იმპორტიორის ქვეყანაში. საქონელი მიწოდებულად ითვლება, როდესაც იგი დანიშნულების ტერმინალში ან დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდეგ გადმოიტვირთება ჩამომტანი სატრანსპორტო საშუალებიდან: • **გამყიდველი** იხდის ყველა ხარჯს (გარდა საიმპორტო საბაჟო ხარჯებისა) და თავის თავზე იღებს რისკს, საქონლის დანიშნულების ტერმინალში გადმოტვირთვის ჩათვლით (იხ. ამ პირობის შენიშვნა); • **მყიდველი** თავის თავზე იღებს რისკს და იხდის ყველა ხარჯს საქონლის იმპორტიორის ქვეყანაში, დანიშნულების ტერმინალში გადმოტვირთვის შემდეგ.	ყველა სახის ტრანსპორტი 	თუ გამყიდველი თავის თავზე იღებს ტერმინალიდან სხვა ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირებისა და გამოტვირთვის ხარჯებსა და რისკს, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას DAP ან DDP პირობა.
11	**DDP**	Delivered Duty Paid (... named place of destination) **მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით** (...დანიშნულების ადგილის დასახელება)	გამყიდველი იმპორტიორის ქვეყანაში, მყიდველის შენობა-ნაგებობაში აწოდებს საქონელს მყიდველს; • **გამყიდველი** იხდის ყველა ხარჯს (მათ შორის, საბაჟო გადასახდელების გადახდა) და თავის თავზე იღებს რისკს საქონლის მყიდველის შენობა-ნაგებობაში მისატანად; • **მყიდველი** არ იღებს თავის თავზე არანაერ ხარჯსა (მათ შორის საბაჟო გადასახდელების გადახდა) და რისკს, საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად.	ყველა სახის ტრანსპორტი 	ეს პირობა არის EXW პირობის საპირისპირო და EXW პირობისგან განსხვავებით, საქონლის დანიშნულების ადგილზე მისატანად აუცილებელ ყველა ხარჯსა და რისკს აკისრებს გამყიდველს.

დანართი 13.2. საერთაშორისო კომერციული ტერმინოლოგიის სამახსოვრო



თავი 14. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები

(მოკლე შინაარსი: გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენა; საგადასახადო შეღავათების დადგენა; საბაჟო გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება)

14.1. რისთვის არის საჭირო

საბაჟო გადასახდელების სახეების, განაკვეთების, გადახდის ვადებისა და შეღავათების დადგენა საჭიროა საბაჟოს ფისკალური ფუნქციის განხორციელებისათვის. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის საბაჟო გადასახდელების სწორად დარიცხვის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი პროცედურების განხორციელება (მოცემული თანმიმდევრობით):

1. გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენა;
2. საგადასახადო შეღავათების დადგენა;
3. საბაჟო გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება.

14.1.1. გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენა

საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას. საბაჟო გადასახდელებს საქართველოში, 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეწოდათ „იმპორტის გადასახდელები“. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 207 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებობს სამი სახის იმპორტის გადასახდელი:

1. საბაჟო (იმპორტის) გადასახადი;
2. აქციზი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი (შემოკლებით დღგ).

1. საბაჟო (იმპორტის) გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა, ხოლო საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება. საბაჟო გადასახადის განაკვეთებთან დაკავშირებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 14.1, ნაწილი 2.

2. საბაჟო მიზნებისთვის, აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს ან პირი რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს. აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი ან ექსპორტი.

აქციზის განაკვეთებთან დაკავშირებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 14.1, ნაწილი 2. აქციზური საქონლის იმპორტისა და ექსპორტის თანხა განისაზღვრება[221]:

ა) ალკოჰოლიანი სასმელისათვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;

ბ) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით;

გ) ნავთობპროდუქტისათვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);

დ) მსუბუქი ავტომობილისათვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მოცულობით.

3. საბაჟო მიზნებისთვის, დღგ-ს გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს, ექსპორტს, რეექსპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ექსპორტზე, რეექსპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია საქონლის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და დროებითი შემოტანა. დღგ-ს განაკვეთებთან და დღგ-საგან გათავისუფლებასთან (შეღავათებთან) დაკავშირებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 14.1, ნაწილი 2. საქონლის ექსპორტის, რეექსპორტისა და დროებითი შემოტანის თანხა, რომელსაც ერიცხება დღგ, არის საქონლის საბაჟო ღირებულება, ხოლო საქონლის იმპორტის თანხა, რომელსაც ერიცხება დღგ, არის ჯამი საქონლის საბაჟო ღირებულებისა და იმპორტისას გადასახდელი გადასახდელებისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად (იხ. დანართი 14.1, ნაწილი 3).

14.1.2. საგადასახადო (საბაჟო) შეღავათების დადგენა

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საგადასახადო (საბაჟო) შეღავათების დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, საქონლის საქართველოში შემოტანისას, თავისუფლდება თუ არა გადასახადის გადამხდელი საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდისაგან. აღნიშნული შემოწმება საჭიროა იმისათვის რათა გადამხდელს შეცდომით არ გადავახდევინოთ თანხა, რომლის გადახდასაც მას არ ავალდებულებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

საგადასახადო შეღავათების პარალელურად საკანონმდებლო აქტებში ან ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი „პრეფერენცია“. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ამ ორ ტერმინს სინონიმებად იყენებენ, „პრეფერენცია“, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს სხვასთან შედარებით ვიღაცის ან რაღაცის მჯობინებას, მისთვის უპირატესობის მინიჭებას.

[221] აქციზური საქონლის იმპორტისა და ექსპორტის თანხის განსაზღვრის წესი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 185-ე მუხლით.

პირის მიმართ საგადასახადო (საბაჟო) შეღავათების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი აუცილებელი წინაპირობა: პირველი, ასეთი შეღავათი კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი და მეორეც, შეღავათის გავრცელება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენას, რაც დაადასტურებს ასეთი შეღავათის გავრცელების შესაძლებლობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათების გამოყენება ნებაყოფლობითია. საქონლის გადამაადგილებელმა პირმა თავად უნდა მოითხოვოს შეღავათის გამოყენება და ეს როგორც წესი, უნდა მოხდეს დეკლარირებისას. იმავდროულად საბაჟო სამსახურს უნდა წარედგინოს ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებები. ეს შეიძლება იყოს თვითონ საქონელი ან რაიმე სახის დოკუმენტი რაც ადასტურებს პირის უფლებას დეკლარირებული შეღავათების მიღებაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ ან ვერ წარადგენს ასეთ მტკიცებულებებს, საბაჟო სამსახური მასზე საგადასახადო შეღავათებს არ გაავრცელებს. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია შეღავათების მიღება დოკუმენტაციის მოგვიანებით, დადგენილ ვადებში, წარდგენის საფუძველზეც. ეს ის შემთხვევაა როცა დეკლარანტი საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო სამსახურს წარუდგენს პრეფერენციულ წარმოშობის სერთიფიკატს, რაც ითვალისწინებს საბაჟო (იმპორტის) გადასახდელის შეღავათიან განაკვეთს ან სხვა საგადასახადო შეღავათების გამოყენებას.

საგადასახადო შეღავათების გამოყენება ხდება დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ, საქონლის გაშვებამდე შემცირდა ან გაუქმდა საბაჟო (იმპორტის) გადასახდელის განაკვეთი, დეკლარანტს უფლება აქვს მოითხოვოს სწორედ ამ შემცირებული განათკვეთის გამოყენება მის მიმართ ან გადასახდელისაგან განთავისუფლება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის გაშვების გაჭიანურება არ უნდა მოხდეს დეკლარანტის მიზეზით ან მისი უმოქმედობის გამო.

საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები)[222], აქციზისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები)[223] და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ) გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები)[224] განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან გათავისუფლებასთან (შეღავათებთან) დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების პოვნას გაგიადვილებთ ამ სახელმძღვანელოს [დანართი 14.1, ნაწილი 2](#) ფორმით მოცემული სამახსოვრო.

---

[222] საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლით.

[223] აქციზისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[224] დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1,3,4 და მე-5 ნაწილებით.

14.1.3. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება

საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება გულისხმობს გადასახადის გადახდის ვადების, სახაზინო კოდებისა და გადახდის დამადასტურებელი საშუალებების შემოწმებას. აღნიშნული შემოწმება საჭიროა იმისათის, რათა გამოირიცხოს გადამხდელების მხრიდან გადასახდელების გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევები. 2010 წლამდე, საქართველოში გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმების გარეშე აკრძალული იყო საქონლის გაშვება საბაჟო კონტროლის ზონიდან, ხოლო 2010 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა გადასახდელების გადავადება, რაც ნიშნავს იმას რომ გადამხდელს მიეცა საშუალება არა მარტო საბაჟო კონტროლის ზონიდან გაიტანოს საქონელი, არამედ გაასხვისოს ის იმპორტის გადასახდელების გადახდამდე. ასეთმა საკანონმდებლო ცვლილებამ, ერთის მხრივ, სტიმული მისცა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ, გაართულა გადასახდელების გარეშე გაფორმებულ და რეალიზებულ საქონელზე გადასახდელების ამოღების მექანიზმი.

თუ ადრე საქონლის გაფორმება ნიშნავდა გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრების არსებობას, დღეისათვის გაფორმება ნიშნავს მხოლოდ საქონლის გაშვებას, რის შემდეგაც საგადასახადო ორგანოებს უხდებათ დამატებითი კონტროლის დაწესება იმაზე, რომ გადამხდელმა გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები.

საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის ვადები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით[225].

[225] იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადები განსაზღვრრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

14.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენასთან დაკავშირებით:

ა.ა) საბაჟო (იმპორტის) გადასახადის 12%-იანი განაკვეთით დასაბეგრი საქონელი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა.ბ) საბაჟო (იმპორტის) გადასახადის 5%-იანი განაკვეთით დასაბეგრი საქონელი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ა.გ) ალკოჰოლური საქონლის საბაჟო (იმპორტის) გადასახადით დაბეგვრის განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ა.დ) საქართველოში დროებით შემოტანილი საქონლის საბაჟო (იმპორტის) გადასახადით დაბეგვრის განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით.

ა.ე) მსუბუქი ავტომანქანის საბაჟო (იმპორტის) გადასახადით დაბეგვრის განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-6 ნაწილით.

ა.ვ) აქციზის გადასახადის განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა.ზ) დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

ბ) საგადასახადო შეღავათების დადგენასთან დაკავშირებით:

ბ.ა) საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლით.

ბ.ბ) აქციზისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბ.გ) დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1,3,4 და მე-5 ნაწილებით.

გ) საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით:

გ.ა) „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილი საქონლის, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის, საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი საქონლის, საფოსტო გზავნილით შემოტანილი 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის, წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებული საქონლის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბაჟო გაფორმებისას, იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

14.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით დასაბეგრ საქონელთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ბ) რეკომენდებულია, იმპორტის გადასახადის 5%-იანი განაკვეთით დასაბეგრ საქონელთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.გ) რეკომენდებულია, ალკოჰოლური საქონლის იმპორტის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.დ) რეკომენდებულია, საქართველოში დროებით შემოტანილი საქონლის იმპორტის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ე) რეკომენდებულია, მსუბუქი ავტომანქანის იმპორტის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ა.ვ) რეკომენდებულია, აქციზის გადასახადის განაკვეთებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაციას.

ა.ზ) რეკომენდებულია, დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაციას.

ბ) საგადასახადო შეღავათების დადგენასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან გათავისუფლებასთან (შეღავათებთან) დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.ბ) რეკომენდებულია, აქციზისაგან გათავისუფლებასთან (შეღავათებთან) დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ.გ) რეკომენდებულია, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებასთან (შეღავათებთან) დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1,3,4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ) საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილი საქონლის, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის, საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი საქონლის, საფოსტო გზავნილით შემოტანილი 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის, წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებული საქონლის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის **საბაჟო გაფორმებისას**, იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

დ) ტერმინი „იმპორტის გადასახდელი“ ხშირად ერევათ ტერმინში „იმპორტის გადასახადი“. ასეთი შეცდომის თავიდან აცილების მიზნით რეკომენდებულია გაეცნოთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 14.1, ნაწილი 1-ით მოცემულ სქემას.

14.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) რისთვის არის საჭირო საბაჟო გადასახდელების სახეების, განაკვეთების, გადახდის ვადებისა და შეღავათების დადგენა?

ბ) საბაჟო გადასახდელების სწორად დარიცხვის მიზნით რა პროცედურები ხორციელდება და როგორი თანიმდევრობით?

გ) გადასახდელების სახისა და განაკვეთების დადგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) ჩამოთვალეთ საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები.

გ.ბ) ვინ არის საბაჟო (იმპორტის) გადასახადის გადამხდელი?

გ.გ) რა არის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?

გ.დ) ვინ არის აქციზის გადამხდელი?

გ.ე) რა არის აქციზით დაბეგვრის ობიექტი?

გ.ვ) ჩამოთვალეთ აქციზური საქონელი.

გ.ზ) ვინ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი?

გ.თ) რა არის დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი?

გ.ი) რა თანხას ერიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას?

გ.კ) რა თანხას ერიცხება დღგ საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას?

გ.ლ) რომელი ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების განაკვეთები საქართველოში?

გ.მ)) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) საგადასახადო შეღავათების დადგენასთან დაკავშირებით:

დ.ა) რა შეიძლება იყოს რას გულისხმობს საგადასახადო შეღავათების დადგენა?

დ.ბ) რომელი თარიღით უნდა ვიხელმძღვანელოთ საგადასახადო შეღავათების გამოყენებისას?

დ.გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლითა და ქვეპუნქტით არის განსაზღვრული საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები)?

დ.დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლითა და ნაწილით არის განსაზღვრული აქციზისაგან გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები);

დ.ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლითა და ნაწილებით არის დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ) გათავისუფლების შემთხვევები (შეღავათები)?

დ.ვ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებთან დაკავშირებული შეღავათების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ე) საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით:

ე.ა) რისთვის არის საჭირო საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმება?

ე.ბ) რომელი ნორმატიული აქტის რომელი მუხლითა და პუნქტით არის განსაზღვრული საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის ვადები?

ე.გ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის ვადების მარეგულირებელი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

14.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №14.1. იმპორტის გადასახდელების განაკვეთებთან და შეღავათებთან დაკავშირებით (დავალება - იმპორტის გადასახდელების ადმინისტრირება): საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი სადაც განსაზღვრულია თითოეული საბაჟო (იმპორტის) გადასახდელის გადამხდელი, გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გადასახადის განაკვეთი და შეღავათი საბაჟო მიზნებისთვის. ნაპოვნი მუხლის/ნაწილის/ქვეპუნქტის ნომრები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

№	გადასახდელი	მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი			
		გადამხდელი	დაბეგვრის ობიექტი	განაკვეთები	შეღავათები
1	იმპორტის გადასახადი				
2	აქციზი				
3	დღგ				

შევსებული ცხრილი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 14.1. Import Duties and Preferences (Administering)_(Your Name and Surname[226]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №14.2. იმპორტის გადასახდელების გამოანგარიშებასთან და შეღავათების დადგენასთან დაკავშირებით (პრაქტიკული სავარჯიშოები):

[226] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოსთან დაკავშირებით, იგულისხმება მოცემული სავარჯიშოს შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

ბ.ა) 5 ტ. კაკალი უნდა მოექცეს იმპორტის სასაქონლო ოპერაციში. არ ახლავს წარმოშობის სერთიფიკატი. 1 კგ. კაკლის საბაჟო ღირებულება არის 10 $. ვალუტის კურსი: 2,25. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.ბ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციში უნდა მოექცეს 15 ტ. ცემენტი. 1 კგ. ცემენტის საბაჟო ღირებულება არის 0.15 ლარი. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.გ) გეზ „ფოთში“ წარდგენილ იქნა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში უნდა მოექცეს 30 ტონა მანდარინი. საბაჟო ღირებულება არ არის ცნობილი. ვალუტის კურსი 2,25. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.დ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში უნდა მოექცეს ცქრიალა ღვინო, 3 ლიტრიანი ტევადობის 25000 ცალი ბოთლი. ვალუტის კურსი არის 1 ევრო = 2,45 ლარი. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.ე) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში უნდა მოექცეს 12000 ლიტრი ვისკი. ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა 40 % ALC / VOL. ვალუტის კურსი არის 1 ევრო = 2,45 ლარი. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.ვ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში უნდა გაუშვათ 2012 წლის გამოშვების ავტომანქანა, ძრავის მოცულობით 3200 სმ^3. რამდენ ლარს შეადგენს იმპორტის გადასახდელები?

ბ.ზ) საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ ფიზიკური პირის საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებისაგან - საბაჟო (იმპორტის) გადასახადისაგან, აქციზისაგან და დღგ-ისაგან გათავისუფლების შემთხვევები.

ამოხსნილი პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე ფიზიკური პირების შეღავათებთან დაკავშირებით ნაპოვნი ინფორმაცია შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 14.2. Import Duties and Preferences (Practice)_(Your Name and Surname)- და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №14.3. საბაჟო (იმპორტის) გადასახდელების გადახდის სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით (დავალება):

გ.ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციაში იპოვნეთ მუხლი და პუნქტი რომლითაც განსაზღვრულია იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადები. ნაპოვნი ინფორმაცია, მუხლისა და პუნქტის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 14.3. Dates to Pay Import Duties_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დანართი 14.1. სამახსოვრო საბაჟო (იმპორტის) გადასახდელებთან დაკავშირებით

ნაწილი 1. იმპორტის გადასახდელები

ნაწილი 2. იმპორტის გადასახდელებისა და შეღავათების გზამკვლევი საგადასახადო კოდექსში

№	გადასახდელი	მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი			
		გადამხდელი	დაბეგვრის ობიექტი	განაკვეთები	შეღავათები
1	იმპორტის გადასახადი	195	196	197	199
2	აქციზი	182/1/ბ,გ	183/ბ,გ	188/1	194/5,6
3	დღგ	156/გ	160/ბ,გ,დ	169/1/ა,ბ	168/1,3,4,5

ნაწილი 3. დღგ-ს გამოანგარიშების წესი იმპორტისას[227]



[227] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 162-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტები.

თავი 15. საბაჟო დეკლარირება

(მოკლე შინაარსი: დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა; მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში; შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება; ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში; დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება)

15.1. რისთვის არის საჭირო

სიტყვა დეკლარირება წარმოებულია ლათინური სიტყვისაგან „Declare“ რაც რაიმეს საჯაროდ გაცხადებას ნიშნავს. საბაჟო მიზნებისთვის, დეკლარირება არის მოქმედება, რომლითაც პირი, კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად, აცხადებს თუ რომელ სასაქონლო ოპერაციაში (საბაჟო რეჟიმში) სურს მოაქციოს საქონელი. 2011 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოში, საბაჟო დეკლარირებას ეწოდება „საქონლის დკლარირება“. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 207 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქონლის დეკლარირება არის ქმედება, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას. საქონლის დეკლარირება გულისხმობს შემდეგი პროცედურების განხორციელებას:

1. დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა;
2. მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში;
3. შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება;
4. ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში;
5. დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება.

15.1.1. დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა

დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა პირველ რიგში გულისხმობს დეკლარირების ფორმის შერჩევას საქონლის რაოდენობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე. დეკლარირების ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ქმედებითი დეკლარირება (წითელ ან მწვანე დერეფანში გავლა);
- ზეპირი დეკლარირება;
- წერილობითი დეკლარირება;
- ელექტრონული დეკლარირება.

ქმედებითი დეკლარირება, ყველაზე ხშირად, ხორციელდება წითელ ან მწვანე დერეფანში გავლით. კერძოდ, როდესაც მგზავრი გაივლის წითელ დერეფანში, ეს ქმედება ითვლება მის ოფიციალურ განცხადებად, რომ ის გადააადგილებს საბაჟო დეკლარირებას

დაქვემდებარებულ საქონელს, ხოლო როდესაც მგზავრი გაივლის მწვანე დერეფანში, ეს ქმედება ითვლება მის ოფიციალურ განცხადებად, რომ ის არ გადააადგილებს საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელს. ქმედებითი დეკლარირება საჭიროა საბაჟო კონტროლის ხანგრძლივობის შესამცირებლად. როგორც წესი, ქმედებითი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტებში და მის საფუძველზე არ გადაიხდევინება საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები.

ზეპირი დეკლარირება გულისხმობს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის სახეობისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ზეპირად დასახელებას ამ საქონლის გადამადგილებელი მგზავრის მიერ. დეკლარირების აღნიშნული ფორმაც მნიშვნელოვნად ამცირებს საბაჟო კონტროლის ხანგრძლივობას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შერჩევითი დათვალიერების შემთხვევაში მგზავრს აღმოაჩნდება არადეკლარირებული საქონელი (ანუ საქონელი, რომელიც მან ზეპირად არ დაასახელა). ქმედებითი დეკლარირების მსგავსად, ზეპირი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტებში და მის საფუძველზე არ გადაიხდევინება საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები.

წერილობითი დეკლარირება გულისხმობს საქონლის დეკლარირებას საბაჟო დეკლარაციის შევსებით. 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საბაჟო დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას. კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში არსებობს არსებობს ექვსი სახის საბაჟო დეკლარაცია:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია;

გ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია;

დ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;

ე) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია;

ვ) საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაცია.

თითოეული სახის საბაჟო დეკლარაცია ივსება კანონმდებლობით დადგენილი[228] ფორმის შესაბამისად.

როგორც წესი, წერილობითი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გაფორმების ადგილებში და მის საფუძველზე, გარდა ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციისა, გადაიხდევინება საბაჟო (იმპორტის) გადასახდელები.

თითოეული სახის საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან, შემვსებ პირებთან და შევსების წესებთან დაკავშირებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს 15.1.2 და 15.1.3 ქვეთავები.

[228] საბაჟო დეკარაციის ფორმები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით.

ელექტრონული დეკლარირება ნიშნავს დეკლარანტის მიერ წერილობითი ფორმით შევსებული საბაჟო დეკლარაციის, კანონმდებლობით დადგენილი საშუალებებით ელექტრონულად წარდგენას საგადასახადო ორგანოში.

15.1.2. მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში

მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში საჭიროა შესაბამისი საბაჟო დეკლარაციის შესავსებად. საბაჟო დკლარაციების შესავსებად გამოიყენება სპეციალური კომპიუტერული სისტემები „ASYCUDA“[229], „ORACLE“[230] და „BMARS“[231]. სისტემა „ASYCUDA“-ს მეშვეობით ივსება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, „BMARS“-ის გამოყენებით ივსება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია, „ORACLE“-ს გამოყენებით ივსება გამარტივებული, საფოსტო და ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციები, ხოლო ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ხელით. ასეთი სისტემები უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ მათი გამოყენებით დეკლარაციის რეგისტრაციის დასრულებისთანავე დეკლარაციის პოვნა და დათვალიერება შეუძლია სისტემაში დაშვებულ ყველა უფლებამოსილ პირს, მიუხედავად სამუშაო ადგილისა, რაც საბაჯო სამსახურის მუშაობას ხდის მნიშვნელოვნად ეფეტურს და ხარისხიანს. აღნიშნულ სისტემებში მონაცემები შეიტანება დეკლარირების კლასიფიკატორის გამოყენებით. დეკლარირების კლასიფიკატორის დანიშნულებაა საბაჟო დეკლარაციაში ინფორმაციის შეტანის გამარტივება თითოეული მონაცემისთვის ნომრის/კოდის მინიჭებით. ის დამტკიცებულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №2 დანართით.

15.1.3. შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება

შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება საჭიროა იმისათვის რათა სისტემაში მოხდეს დეკლარაციის ოფიციალური რეგისტრირება, რაც გულისხმობს იმას, რომ რეგისტრაციის შემდეგ, დეკლარანტს არ აქვს უფლება შეცვალოს დეკლარირებული მონაცემები. რეგისტრაციისას საბაჟო დეკლარაციას ენიჭება ინდივიდუალური ნომერი (მაგალითად, სასაქონლო საბაჟო დეკლარაცის რეგისტრაციისას მას ენიჭება ე.წ. „C“ ნომერი)

---

[229] **ASYCUDA** (ასევე - ASYCUDA World; eCustoms) – საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ივსება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია.

[230] **ORACLE** – მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ივსება გამარტივებილი საბაჟო დეკლარაცია.

[231] **BMARS** (ასევე - PIRS) – სასაზღვრო მიგრაციისა და რეგისტრაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ივსება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია.

და ამ დღიდან საბაჟო დეკლარაცია ხდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტი[232].

15.1.4. ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში

ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში, როგორც წესი, ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტი ან საგადასახადო ორგანო აღმოაჩენს შეუსაბამობას დეკლარაციის თანმხლებ დოკუმენტებში მითითებულ და დეკლარირებულ მონაცემებს შორის. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილებები შეტანილ იქნეს:

ა) საქონლის გაშვებამდე, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით, საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისას, თუ დადგინდა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა;

ბ) საქონლის გაშვებამდე, დეკლარანტის ინიციატივით, თუ საგადასახადო ორგანოს არ შეუტყობინებია დეკლარანტისთვის ამ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების განზრახვა ან არ დაუდგენია დეკლარირებული მონაცემების მცდარობა - ასეთ შემთხვევაში დეკლარანტს სანქცია არ დაეკისრება[233];

გ) საქონლის გაშვების შემდეგ, დეკლარანტის ინიციატივით, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების შესახებ საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნამდე - ასეთ შემთხვევაში დეკლარანტს სანქცია არ დაეკისრება[234].

15.1.5. დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება

დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება გულისხმობს დეკლარაციის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილად ცნობა ნიშნავს იმას, რომ დეკლარაცია დაიბეჭდა შეცდომით (მაგალითად, შეცდომით მოხდა სასაქონლო ოპერაციის გამოყენება ან დეკლარაციაში არასწორად მიეთითა მონაცემები საქონლის იმპორტიორის/ექსპორტიორის შესახებ) და მისი გაბათილებით უნდა გაუქმდეს ასევე ამ დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერიც (თითქოს არც დაბეჭდილა), ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ დეკლარაცია სწორად დაიბეჭდა თუმცა რადგან მისი დაბეჭდვის პირობა შეიცვალა (მაგალითად, განადგურდა საქონელი ან მიზნობრივი დანიშნულებით იმპორტირებულ

[232] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.
[233] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 6(პრიმა) ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.
[234] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 6(პრიმა) ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქონელს შეეცვალა მიზნობრიობა და სხვ.) იგი უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად. ასეთ შემთხვევაში დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი არ უქმდება.

15.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) საბაჟო დეკლარაციის წარდგენასთან, რეგისტრაციასთან და მასში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული წესები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლით.

ბ) საქონლის დეკლარირების ფორმები და საბაჟო დეკლარაციის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლით.

გ) საბაჟო დეკლარაციის შემვსები პირები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლით.

დ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ფორმა, გამოყენების შემთხვევები, შევსების ზოგადი წესები და გრაფების შევსების წესები:

დ.ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლით.

დ.ბ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების ზოგადი წესები (რამდენი დასახელების საქონლის გაფორმება შეიძლება ერთი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით, რამდენი დამატებითი ფურცელი აქვს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციას, რამდენი დასახელების საქონელი ფორმდება ძირითადი ფურცლით და რამდენი დასახელების საქონელი ფორმდება ერთი დამატებით ფურცლით, უკანა გვერდის გამოყენებისა და დეკლარაციაზე ხელმოწერის წესები, როდის ითვლება საქონელი სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებულად, ასევე დეკლარაციაში არასწორი მონაცემები არსებობისას რა შემთხვევაში არ დაეკისრება დეკლარირების განმახორციელებელ პირს ჯარიმა) განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 37-ე მუხლით.

დ.გ) ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით დეკლარირების განხორციელების შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლით.

დ.დ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების გამარტივებული წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლით.

დ.ე) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-40 მუხლით.

დ.ვ) საქონლის გაშვების შემდეგ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლით.

დ.ზ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VII-01 დანართით.

დ.თ) იმპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 35-ე მუხლით.

დ.ი) ექსპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლით.

დ.კ) რეექსპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 37-ე მუხლით.

დ.ლ) საწყობის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლით.

დ.მ) დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლით.

დ.ნ) შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 40-ე მუხლით.

დ.ო) გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლით.

დ.პ) ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 42-ე მუხლით.

დ.ჟ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემოწმების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-50-ე მუხლებით.

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცის ფორმა, გამოყენების შემთხვევები, შევსების ზოგადი წესები, გრაფების შევსების წესები:

ე.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 42-ე მუხლით.

ე.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის შევსების ზოგადი წესები (რამდენი ავტომანქანის გაფორმება შეიძლება ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთი საბაჟო დეკლარაციით, ვინ ავსებს ამ საბაჟო დეკლარაციას, დეკლარაციაზე ხელმოწერის წესების) განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-ე მუხლით.

ე.გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები და გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 44-ე მუხლით.

ე.დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VIII-01 დანართით.

ე.ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები და გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 44-ე მუხლით.

ვ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცის ფორმა, გამოყენების შემთხვევები, შევსების ზოგადი წესები და გრაფების შევსება:

ვ.ა) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები, მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და შევსების ზოგადი წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 45-ე მუხლით.

ვ.ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის IX-01 დანართით.

ვ.გ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლით.

ზ. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცის ფორმა, გამოყენების შემთხვევები და შევსების ზოგადი წესები და გრაფების შევსება:

ზ.ა) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები, მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და შევსების ზოგადი წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 49-ე მუხლით.

ზ.ბ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-01 დანართით.

ზ.გ) დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-02 დანართით.

თ) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცის ფორმა, გამოყენების შემთხვევები, შევსების ზოგადი წესები და გრაფების შევსება:

თ.ა) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები, მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და შევსების ზოგადი წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 50-ე მუხლით.

თ.ბ) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-03 დანართით.

ი) საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაცის ფორმა, გამოყენების შემთხვევები, შევსების ზოგადი წესები და გრაფების შევსება:

ი.ა) საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები, მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და შევსების ზოგადი წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 46(პრიმა) მუხლით.

ი.ბ) საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №IX(პრიმა)-02 დანართით.

ი.გ) საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №IX(პრიმა)-01 დანართით.

კ) დეკლარირების კლასიფიკატორი დამტკიცებულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №2 დანართით.

15.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, საბაჟო დეკლარაციის წარდგენასთან, რეგისტრაციასთან და მასში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლით განსაზღვრული, რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ბ) რეკომენდებულია, საქონლის დეკლარირების ფორმებთან და საბაჟო დეკლარაციის სახეებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 21-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

გ) რეკომენდებულია, საბაჟო დეკლარაციის შემვსებ პირებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან, შევსების ზოგად წესებთან და გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

დ.ა) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ბ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების ზოგადი წესებთან (რამდენი დასახელების საქონლის გაფორმება შეიძლება ერთი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით, რამდენი დამატებითი ფურცელი აქვს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციას, რამდენი დასახელების საქონელი ფორმდება ძირითადი ფურცლით და რამდენი დასახელების საქონელი ფორმდება ერთი დამატებით ფურცლით, უკანა გვერდის გამოყენებისა და დეკლარაციაზე ხელმოწერის წესები, როდის ითვლება საქონელი სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებულად, ასევე დეკლარაციაში არასწორი მონაცემები არსებობისას რა შემთხვევაში არ დაეკისრება დეკლარირების განმახორციელებელ პირს ჯარიმა) დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 37-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.გ) რეკომენდებულია, ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით დეკლარირების განხორციელების შემთხვევებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.დ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შევსებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ე) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-40 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ვ) რეკომენდებულია, საქონლის გაშვების შემდეგ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ზ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VII-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.თ) რეკომენდებულია, იმპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 35-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ი) რეკომენდებულია, ექსპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.კ) რეკომენდებულია, რეექსპორტისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 37-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ლ) რეკომენდებულია, საწყობის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.მ) რეკომენდებულია, დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ნ) რეკომენდებულია, შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 40-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ო) რეკომენდებულია, გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.პ) რეკომენდებულია, ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების დროს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 42-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

დ.ჟ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემოწმების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-50-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან, შევსების ზოგადი წესებთან და გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ე.ა) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 42-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.ბ) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის შევსების ზოგად წესებთან (რამდენი ავტომანქანის გაფორმება შეიძლება ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთი საბაჟო დეკლარაციით, ვინ ავსებს ამ საბაჟო დეკლარაციას, დეკლარაციაზე ხელმოწერის წესების) დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.გ) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან და გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 44-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.დ) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VIII-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ე.ე) რეკომენდებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან და გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 44-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან, შევსების ზოგადი წესებთან და გრაფების შევსებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ვ.ა) რეკომენდებულია, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებითან, ტერმინოლოგიასთან შევსების ზოგად წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 45-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.ბ) რეკომენდებულია, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის IX-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ.გ) რეკომენდებულია, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ზ. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან შევსების ზოგად წესებთან და გრაფების შევსებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ზ.ა) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებთან და შევსების ზოგად წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 49-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ზ.ბ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ზ.გ) რეკომენდებულია, დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-02 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან, შევსების ზოგადი წესებთან და გრაფების შევსებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

თ.ა) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებთან და შევსების ზოგად წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 50-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

თ.ბ) რეკომენდებულია, ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის XI-03 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ი) საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაცის ფორმასთან, გამოყენების შემთხვევებთან, შევსების ზოგად წესებთან და გრაფების შევსებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ი.ა) რეკომენდებულია, საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევებთან, ტერმინოლოგიასთან და შევსების ზოგად წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 46(პრიმა) მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ი.ბ) რეკომენდებულია, საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №IX(პრიმა)-02 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ი.გ) რეკომენდებულია, საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციის ფორმასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №IX(პრიმა)-01 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

კ) რეკომენდებულია, დეკლარირების კლასიფიკატორთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №2 დანართით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

15.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რას გულისხმობს არის საბაჟო დეკლარირება?
2. დეკლარირების რა ფორმები არსებობს?
3. საბაჟო დეკლარაციის რა სახეები არსებობს?
4. რისთვის არის საჭირო მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში?
5. როდის ხდება საბაჟო დეკლარაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტი?
6. ჩამოთვალეთ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევები.
7. რას გულისხმობს საბაჟო დეკლარაციის გაუქმება?
8. რომელი ბრძანებით არის დამტკიცებული დეკლარირების კლასიფიკატორი?

15.5. სავარჯიშოები

სავარჯიშო №15.1.1. საბაჟო დეკლარირებასთან დაკავშირებით

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსში იპოვეთ საბაჟო დეკლარაციის წარდგენასთან, რეგისტრაციასთან და მასში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული წესების მარგულირებელი მუხლი/ნაწილი/ქვეპუნქტი.

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში იპივეთ მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები.

გ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი.

დ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გამოუყენების შემთხვევები.

ი) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მისი დანართი, რომლითაც განსაზღვრულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ფორმა.

კ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი.

ლ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები.

მ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

ნ) იპოვეთ ნორმატიული აქტი და დანართი, რომლითაც განსაზღვრულია ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმა.

ო) იპოვეთ ნორმატიული აქტი და დანართი, რომლითაც განსაზღვრულია ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის ფორმა.

„ა“ - „ო“ სავარჯიშოების მიხედვით ნაპოვნი ინფორმაცია შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 15.1.1. Declaring - და გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე.

დანართი 15.1. საბაჟო დეკლარაციების გზამკვლევი საგადასახადო კანონმდებლობაში

№	საბაჟო დეკლარაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია	მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი		
		საგადასახადო კოდექსი	26.07.202. №290 ბრძანება[235]	1.08.2015 №12858 ბრძანება[236]
1	ყველა სახის საბაჟო დეკლარაცია			
1.1	წარდგენა, რეგისტრაცია, ცვლილების შეტანა	218		
1.2	საბაჟო დეკლარაციების სახეები, მათი შემვსები პირები		21-22	
1.3	შემოწმების ეტაპები და გადაწყვეტილების მიღება			43-50
2	სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია			
2.1	ფორმა		დანართი VII-01	
2.2	გამოყენების შემთხვევები		36	
2.3	ზოგადი ინფორმაცია[237]		37	
2.4	ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება		40	
2.5	ცვლილების შეტანა		41	
2.6	გრაფების შევსების წესი			35-42
3	ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია			
3.1	ფორმა		დანართი VIII-01	
3.2	გამოყენების შემთხვევები, ცვლილების შეტანა, ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება		42	
3.3	ზოგადი ინფორმაცია[238]		43	
3.4	გრაფების შევსების წესი		44	
4	გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია			
4.1	ფორმა		დანართი IX-01	
4.2	გამოყენების შემთხვევები და ზოგადი ინფორმაცია[239]		45	
4.3	გრაფების შევსების წესი			51
5	ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია			
5.1	ფორმა		დანართი XI-01	
5.2	გამოყენების შემთხვევები და ზოგადი ინფორმაცია		49	
5.3	დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა		დანართი XI-02	
6	ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია			
6.1	ფორმა		დანართი XI-03	
6.2	გამოყენების შემთხვევები და ზოგადი ინფორმაცია		50	
7	საფოსტო გზავნილების საბაჟო დეკლარაცია			
7.1	ფორმა		დანართი IX(პრიმა)-02	
7.2	გამოყენების შემთხვევები და ზოგადი ინფორმაცია		46(პრიმა)	
7.3	საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაცია		დანართი IX(პრიმა)-01	

[235] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

[236] შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი 1.

[237] **ზოგადი ინფორმაცია სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებით** – ვინ ავსებს ამ დეკლარაციას, რამდენი დამატებითი ფურცელი აქვს, რამდენი დასახელების საქონლის გაფორმება შეიძლება ერთი დეკლარაციით და აქედან რამდენი დასახელების საქონელი ფორმდება ძირითადი ფურცლით და რამდენი თითო დამატებითი ფურცლით, უკანა გვერდის გამოყენებისა და დეკლარაციაზე ხელმოწერის წესები, რა შემთხვევაში ხორციელდება ტრანზიტის დეკლარირება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შევსება, ელექტრონული დეკლარირების შემთხვევაში დოკუმენტების წარდგენა, ასევე, როდის ითვლება საქონელი სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებულად და დეკლარაციაში არასწორი მონაცემები არსებობისას რა შემთხვევაში არ დაეკისრება დეკლარირების განმახორციელებელ პირს ჯარიმა.

[238] **ზოგადი ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებით** – ვინ ავსებს ამ დეკლარაციას, რამდენი ავტომანქანის გაფორმება შეიძლება ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთი საბაჟო დეკლარაციით, დეკლარაციაზე ხელმოწერის წესები.

[239] **ზოგადი ინფორმაცია გამარტივებულ საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებით** – ვინ ავსებს ამ დეკლარაციას, რამდენი დასახელების საქონლის გაფორმება შეიძლება ერთი დეკლარაციით, რა შემთხვევაში ივსება დეკლარაციის დამატებითი ფურცელი და მისი რომელი გრაფები ივსება, როგორ ხდება დეკლარაციის რეგისტრირება და ამობეჭდვა, ასევე ელექტრონული დეკლარირების შემთხვევაში დოკუმენტების წარდგენა, ცვლილების შეტანა, ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება.

თავი 16. საბაჟო გაფორმება

(მოკლე შინაარსი: დეკლარირების ადეკვატური ფორმის/სახის შერჩევა; მონაცემების შეტანა დეკლარირების შესაბამისი სისტემის მოდულში; შევსებული დეკლარაციის დარეგისტრირება; ცვლილებების შეტანა დეკლარირებულ მონაცემებში; დარეგისტრირებული დეკლარაციის გაუქმება)

16.1. რისთვის არის საჭირო

საბაჟო გაფორმება[240] საჭიროა იმისათვის, რომ დასრულდეს საბაჟო დეკლარირება. ტერმინი „საბაჟო გაფორმება“ არ უნდა აგვერიოს ტერმინ „საქონლის გაშვებაში“. საქართველოს კანონმდებლობით[241], საბაჟო გაფორმება განიმარტება როგორც საქონლის გაშვებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, ხოლო საქონლის გაშვება განიმარტება როგორც დეკლარანტისთვის საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის[242] პირობების შესაბამისად. „საბაჟო გაფორმებასა“ და „საქონლის გაშვებას“ შორის განსხვავების იოლად აღსაქმელად მოვიყვანოთ მაგალითი. კერძოდ, თუ დეკლარირებული საქონელი მოქცეულია იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, „საბაჟო გაფორება“ და „საქონლის გაშვება“ ერთი და იგივე რამეს გულისხმობს - დეკლარანტს ენიჭება ამ საქონლის განკარგვის ან/და ამ საქონლით სარგებლობის უფლება, მაგრამ თუ საქონელი მოქცეულია საწყობის ან დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში „საბაჟო გაფორმება“ ნიშნავს მხოლოდ დეკლარირების პროცედურის დასრულებას, რის შემდეგაც არ ხდება ამ საქონლის გაშვება, არამედ ის ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას არჩეული სასაქონლო ოპერაციის დასრულებამდე.

საბაჟო გაფორმება გულისხმობს შემდეგი პროცედურების განხორციელებას:

1. დერეფნის განსაზღვრა რისკის კრიტერიუმის მიხედვით;
2. დეკლარირებული მონაცემების შედარება თანდართულ დოკუმენტაციასთან;
3. მოთხოვნის შედგენა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ;
4. გადაწყვეტილების მიღება საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

---

[240] სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ტერმინი „საბაჟო გაფორმება“ იგივეს გულისხმობს, რასაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „პ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერმინი „საქონლის გაფორმება“.

[241] იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები.

[242] **სასაქონლო ოპერაცია** – 2011 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საბაჟო რეჟიმებს საქართველოში ეწოდათ სასაქონლო ოპერაციები.

16.1.1. რისკის კრიტერიუმის მიხედვით დერეფნის განსაზღვრა

რისკის კრიტერიუმის მიხედვით დერეფნის განსაზღვრა გულისხმობს დეკლარაციის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ოთხი სახის დერეფნიდან ერთ-ერთის განსაზღვრას, რაზედაც არის დამოკიდებული, თუ რამდენად სიღრმისეულ საბაჟო კონტროლს ექვემდებარება ამ დეკლარაციით დეკლარირებული (გასაფორმებელი) საქონელი. საქართველოს კანონმდებლობით, არსებობს რისკის მწვანე, ლურჯი, ყვითელი და წითელი დერეფნები, რომელთა შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება დეკლარირებული საქონლის მიმართ გასატარებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით[243], სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმების შემთხვევაში, ამ დეკლარაციისათვის განისაზღვრება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი დერეფანი, რაც გულისხმობს:

ა) „მწვანე დერეფანი“ – საქონლის გაშვებას დეკლარაციის და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე;

ბ) „ლურჯი დერეფანი“ – საქონლის გაშვებას დეკლარაციისა და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, საქონლის გაშვების შემდგომ საქონლის საბაჟო ღირებულებისა ან/და იმპორტის გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმების აუცილებლობის პირობით;

გ) „ყვითელი დერეფანი“ – საქონლის გაფორმებას დეკლარაციისა და დოკუმენტების კამერალურ შემოწმებით, საქონლის დათვალიერების გარეშე;

დ) „წითელი დერეფანი“ – საქონლის გაფორმებას დეკლარაციისა და დოკუმენტების კამერალური შემოწმებით, აგრეთვე დეკლარირებული საქონლის დათვალიერებით.

რისკის კრიტერიუმები კონფიდენციალურია ხოლო რისკის პროფილები, მათი შემუშავების წესი და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის ბრძანებით.

თითოეული დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში საქონლის მიმართ გასატარებელი პროცედურები ხორციელდება 16.1 დანართში აღნიშნული თანმიმდევრობით.

16.1.2. დეკლარირებული მონაცემების შედარება თანდართულ დოკუმენტაციასთან

დეკლარირებული მონაცემების შედარება თანდართულ დოკუმენტაციასთან საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს იმპორტის გადასახდელების არასწორად დარიცხვა. როგორც წესი, შედარება ხორციელდება ყვითელი ან წითელი დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში და

[243] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გულისხმობს საქონლის შესახებ დეკლარირებული მონაცემების გადამოწმებას დეკლარაციის თანმხლებ დოკუმენტაციაში. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხორციელდება დეკლარაციაში ცვლილების შეტანა, დეკლარაციის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა შედგეს შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი.

16.1.3. მოთხოვნის შედგენა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ

მოთხოვნის შედგენა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტს არ წარმოუდგენია დეკლარირებული საქონლის გასაფორმებლად აუცილებელი რომელიმე დოკუმენტი. როგორც წესი, თუ დეკლარანტი ესწრება საქონლის გაფორმების პროცედურას, დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის თაობაზე მას ეცნობება ზეპირად, ხოლო თუ დეკლარანტი არ ესწრება საქონლის გაფორმებას, მას წერილობით (ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით) ეცნობება დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის მოთხოვნის შესახებ[244], რისთვისაც ეძლევა მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის ვადა.

16.1.4. საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება არჩეული სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად და გულისხმობს დეკლარაციის შემოწმების შედეგებიდან[245] გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გადაწყვეტილების მიღებას:

ა) საქონლის გაშვების შესახებ;

ბ) საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ;

გ) საქონლის დათვალიერების და/ან სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ;

დ) სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ;

ე) საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ;

ვ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ;

ზ) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ.

---

[244] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 221, ნაწილი 3.

[245] დეკლარაციის შემოწმების ეტაპები და საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-50-ე მუხლებით.

საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით (გარდა ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის გაშვებისა). შეფასების ნომერთან ერთად საბაჟო დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო საბაჟო დეკლარაციისათვის შტრიხ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ხორციელდება, გაფორმების დასრულება დასტურდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შტამპით – „გაშვება ნებადართულია“, პირადნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში), თარიღისა და ხელმოწერის მითითებით.

16.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) სასაქონლო ოპერაციების შესახებ ზოგადი დებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-237-ე მუხლებით;

ბ) სასაქონლო ოპერაციების გამოყენების დეტალური დებულებები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-85 მუხლებით.

გ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმების შემთხვევაში რისკის კიტერიუმები და შესაბამისი ტერმინოლოგია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლის 4-7 პუნქტებით.

დ) საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების წესები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 112-118-ე მუხლებით.

ე) დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მოთხოვნის (ნაკლოვანებების აღმოფხვრის) წესი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის, 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ვ) დეკლარაციის შემოწმების ეტაპები და საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-50-ე მუხლებით.

16.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) რეკომენდებულია, სასაქონლო ოპერაციების შესახებ ზოგად დებულებებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-237-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ბ) რეკომენდებულია, სასაქონლო ოპერაციების გამოყენებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 51-85 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

გ) რეკომენდებულია, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმების შემთხვევაში რისკის კიტერიუმებთან და შესაბამის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 36-ე მუხლის 4-7 პუნქტებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

დ) რეკომენდებულია, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების წესებთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 112-118-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

ე) რეკომენდებულია, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მოთხოვნის (ნაკლოვანებების აღმოფხვრის) წესთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას.

ვ) რეკომენდებულია, დეკლარაციის შემოწმებასთან და მისაღებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-50-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას.

16.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რისთვის არის საჭირო საბაჟო გაფორმება?
2. რა მსგავსებაა ტერმინებს „საბაჟო გაფორმებასა“ და „საქონლის გაშვებას“ შორის?
3. რა განსხვავებაა ტერმინებს „საბაჟო გაფორმებასა“ და „საქონლის გაშვებას“ შორის?
4. რას გულისხმობს საბაჟო გაფორმება?
5. რას გულისხმობს რისკის კრიტერიუმის მიხედვით დერეფნის განსაზღვრა?
6. რისკის რა დერეფნები არსებობს და რა პროცედურები ხორციელდება დეკლარაციის მიმართ თითოეული მათგანის განსაზღვრის დროს?
7. რისთვის არის საჭირო დეკლარირებული მონაცემების შედარება თანდართულ დოკუმენტაციასთან?
8. ჩამოთვალეთ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების ეტაპები.
9. რა გადაწყვეტილებები მიიღება საქონლის საბაჟო გაფორმებისას?

16.5. სავარჯიშოები

სავარჯიშო №16.1.1. საბაჟო გაფრორმების ტექნოლოგიური სქემა

დახაზეთ საბაჟო გაფორმების ტექნოლოგიური სქემა. ნახაზი შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 16.1.1. Technology of Customs Clearance - და გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე.

სავარჯიშო №16.1.2. საბაჟო გაფორმება

საქართველოს მოქალაქე გიორგი გიორგაძემ, საქართველოში გაყიდვის მიზნით, სატვირთო სატრანსპორტო საშუალებით (მარკა: MAN; სახელმწიფო ნომერი: AB123 CD/EF456HI) შემოიტანა 4000 ლიტრი (2000 ბოთლი) ვისკი (ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა 40 % ALC / VOL). საქონელს ახლავს CMR, საქონლის შესყიდვის ინვოისი, ტრანსპორტირების ინვოისი და წარმოშობის სერთიფიკატი CT-1. ცნობილია ასევე შემდეგი მონაცემები:

- საქონლის ექსპორტიორი - არტურ ოჰანესიანი (პასპ. ნ. AM1234567);
- საქონლის იმპორტიორი - გიორგი გიორგაძე (პ.ნ. 12345678910);
- საქონლის გამომგზავნი ქვეყანა - სომხეთის რესპუბლიკა;
- დანიშნულების ქვეყანა - საქართველო;
- საქონლის წარმოშობის ქვეყნის კოდიკლასიფიკატორის მიხედვით - 051;
- ინვოისის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულებაა 20 000 ევრო;
- ვალუტის კურსი - 1 ევრო=2,45 ლარი;
- ზეპირად აცხადებს რომ სეს ესნ-ის მიხედვით საქონლის კოდია 2208 30 110 00;
- ტრანსპორტირების ინვოისის მიხედვით საერთაშორისო გადაზიდვა დაჯდა 1000 ევრო.

მოცემული ინფორმაციის მიხედვით განახორციელეთ შემდეგი პროცედურები:

1. სასაქონლო კოდი გადაამოწმეთ სეს ესნ-ში;
2. იანგარიშეთ საქონლის საბაჟო ღირებულება;
3. დაარიცხეთ იმპორტის გადასახდელები;
4. აღწერეთ რისკის თითოეული დერეფნის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურები;

5. იანგარიშეთ დეკლარაციის შევსების მომსახურების საფასური;
6. საჭირო გრაფაში მიუთითეთ თანმხლები დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის შესაბამისად;
7. საჭირო გრაფებში მიუთითეთ გამომგზავნი და მიმღები ქვეყნის კოდები კლასიფიკატორის შესაბამისად;
8. ყველა პასუხი დაასაბუთეთ იურიდიულად;
9. შეავსეთ სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია.

დეკლარაციის შეავსეთ ელექტრონულად, Word-ის დოკუმენტში. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 16.1.1. Customs Clearance - და გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე.

შეფასების ინსტრუმენტი:

№16.1.2	შესრულების კრიტერიუმები	შეფასება	
1	სეს ესნ-ის მიხედვით სწორად არის ნაპოვნი სასაქონლო კოდი	დიახ	არა
2	სწორად არის დაანგარიშებული საქონლის საბაჟო ღირებულება	დიახ	არა
3	სწორად არის დარიცხული იმპორტის გადასახდელები გადასახდელები	დიახ	არა
4	სწორად არის აღწერილი აღწერეთ რისკის თითოეული დერეფნის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურები	დიახ	არა
5	სწორად არის დაანგარიშებული მოცემული ღირებულების საქონელზე სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო მომსახურების საფასური	დიახ	არა
6	საჭირო გრაფაში სწორად არის მითითებული თანმხლები დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის შესაბამისად	დიახ	არა
7	საჭირო გრაფებში სწორად არის მითითებული გამომგზავნი და მიმღები ქვეყნის კოდები კლასიფიკატორის შესაბამისად	დიახ	არა
8	ყველა პასუხი დასაბუთებულია იურიდიულად	დიახ	არა
9	სწორად არის შევსებული სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია	დიახ	არა

საბაჟო გაფორმების ცოდნა დადასტურებულია თუ ყველა კრიტერიუმი არის - „დიახ“ (შესაფასებელ პირს ეპატიება მხოლოდ მე-8 კრიტერიუმში დასახელებილი მცდარი პასუხი).

დანართი 16.1. საბაჟო გაფორმების ტექნოლოგიური სქემა



დანართი 16.2. სასაქონლო ოპერაციების გზამკვლევი საგადასახადო კანონმდებლობაში

№	სასაქონლო ოერაცია	მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი	
		საგადასახადო კოდექსი	26.07.202. №290 ბრძანება[246]
1	ყველა სასაქონლო ოპერაცია		
1.1	სააქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა	217	
1.2	სასაქონლო ოპერაციის სახეები	227	
2	იმპორტი		
2.1	რა სტატუსი ენიჭება საქონელს იმპორტისას, როდის არის დეკლარანტი უფლებამოსილი მოითხოვოს იმპორტის გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთით ან/და შეღავათებით (პრეფერენციებით) სარგებლობა	228	
2.2	იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენება		51
2.3	საქონლის იმპორტი მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით		52
2.4	იმპორტში მიზნობრივი დანიშნულებით გაშვებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის დასრულება		53
2.5	სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის იმპორტზეც არ ვრცელდება იმპორტის გადასახდელების გადახდის გადავადება		დანართი №XII-01
3	ექსპორტი		
3.1	ექსპორტის არსი	229	
3.2	ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენება		54
3.3	ექსპორტის დეკლარირება		55
3.4	ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის დასრულება ან შეცვლა სხვა სასაქონლო ოპერაციით		56
4	ტრანზიტი		
4.1	ტრანზიტის არსი, დეკლარანტის/გადამზიდველის ვალდებულება	230	
4.2	ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენება		57
4.3	ტრანზიტის დეკლარირება		58
4.4	ტრანზიტში მოქცეული საქონლის გადაადგილება		59
4.5	ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის დასრულება		60
4.6	საგადასახადო ორგანოს მიერ გასაცემი დოკუმენტის ფორმა იმის დასადასტურებლად, რომ ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი არ ყოფილა გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე.		დანართი №XIV-01
5	საწყობი		
5.1	საწყობის სასაქონლო ოპერაციის არსი, ამ სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა	231	
5.2	საწყობის სასაქონლო ოპერაციის დეკლარირება		61
5.3	საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვა		62
5.4	საწყობში საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები		63
5.5	საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა		64
5.6	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის გარეშე		65
5.7	საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანა		66
5.8	საქონლის შენახვა საბაჟო ტერმინალში		67

[246] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

6	თავისუფალი ზონა		
6.1	თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციის არსი	232	
6.2	თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციის გამოყენება		68
6.3	თავისუფალ ზონაში ნებადართული საქმიანობა		69
6.4	თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანა		70
6.5	თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა		71
7	რეექსპორტი		
7.1	რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის არსი	233	
7.2	რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენება		72
7.3	რეექსპორტის დეკლარირება		73
7.4	რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის დასრულება		74
8	შიდა გადამუშავება		
8.1	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის არსი, გადამუშავების ოპერაციები, გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენების პირობებია	234	
8.2	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება, ეკვივალენტური საქონელი	235	
8.3	ტერმინთა განმარტება		75
8.4	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება		76
8.5	გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავებულ საქონელში		77
8.6	გამოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა		78
8.7	საქონლის გადამუშავების ვადები		79
9	გარე გადამუშავება		
9.1	გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის არსი, იმპორტის გადასახდელების განსაზღვრა	236	
9.2	გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოიყენება		80
9.3	გარე გადამუშავების გამოყენების პირობები		81
9.4	გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შეცვლა სხვა სასაქონლო ოპერაციით		82
10	დროებითი შემოტანა		
10.1	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის არსი, დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის ვადა	237	
10.2	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დეკლარირება		83
10.3	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევად აკრძალული საქონელი		84
10.4	დროებითი შემოტანის ვადები		85
10.5	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევი, იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი		86
10.6	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევი, იმპორტის გადასახდელებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი		87
10.7	დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულება		88
10.8	დროებითი შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი		დანართი №XX–01

თავი 17. საბაჟო საქმესთან დაკავშირებული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

(მოკლე შინაარსი: მტკიცებულების მოპოვება; სამართალდარღვევის კვალიფიცირება; ოქმის შედგენა და მისი გასაჩივრება)

17.1. რისთვის არის საჭირო

საგადასახადო სფეროში, სამართალდარღვევა შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციული, იმ შემთხვევაში თუ პასუხისმგებლობა დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით[247] და ბ) სისხლის სამართლის, თუ პასუხისმგებლობა დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.[248]

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საბაჟო საქმესთან დაკავშირებული სამართალდარღვევის საქმის წარმოება გულისხმობს:

1. სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებას;
2. სამართალდარღვევის კვალიფიცირებას;
3. შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;
4. სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.

17.1.1. სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება

სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება საჭიროა, საბაჟო კონტროლის ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელებისათვის და შესაბამის სამართალდარღვევათა სწორად გადაწყვეტისათვის. სამართალდაღვევის მტკიცებულება, ეს არის გარემოება, ან ნივთი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დასაბუთდეს გარკვეული მოვლენის, ფაქტის არსებობა ან რაიმე მოქმედების ჩადენა. მტკიცებულებების საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და სამართალდამცავი ორგანოები ადგენენ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს.

საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გატარების დროს, სწორედ მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით წარმოებს ვიდეო გადაღება, რომლის განსაკუთრებული საჭიროებაც

---

[247] **საგადასახადო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხი** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილით;

[248] **საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციებითან და სიხსლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხი** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 27-ე ნაწილით;

მდგომარეობს - მაგ: საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტის დასატასტურებლად.[249] ასევე, პირადი გასინჯვის და ნივთების გასინჯვის დროს.[250] დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს, თუკი აღმოჩენილ ნივთებსა და დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ხორციელდება მათი ჩამორთმევა.[251]

საგადასახადო ორგანოებში მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[252]

17.1.2. სამართალდარღვევის კვალიფიცირება

სამართალდარღვევის კვალიფიცირება გულისხმობს, სამართალდარღვევის კატეგორიისა და შესაბამის განსჯად ორგანოების განსაზღვრას, კომპეტენციის ფარგლებში[253]. სამართალდარღვევათა კვალიფიცირებისას, საჭიროა სწორად დადგინდეს სამართალდარღვევის განმეორებითობის შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება და განისაზღვროს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის მისაწოდებელ ინფორმაციია[254].

საგადასახადო სამათალდარღვევა მიეკუთვნება საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციული ფორმის სამართალდარღვევების კატეგორიას. საგადასახადო სამართალდარღვევა არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მხოლოდ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. სხვა საკანონმდებლო აქტებით არ შეიძლება განისაზღვროს საგადასახადო სამართადარღვევები და პასუხისმგებლობის ზომები.

17.1.3. შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა

---

[249] **საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის** შესაბამისი სანქცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 277-ე მუხლით;

[250] **პირადი გასინჯვისთან და ნივთების გასინჯვასთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით;

[251] **ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლით;

[252] **მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერბასთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების მე-14 – 25-ე მუხლებით;

[253] **საგადასახადო სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლით;

[254] **საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლით;

სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საჭიროა, რადგან სამართალდარღვევის ოქმით დასტრუდება გარკვეული კანონსაწინააღმდეგო ფაქტის არსებობა, რომლისათვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები. გამომდინარე იქედან, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი წარმოადგენს მკაცრი[255] აღრიცხვის ფორმას, რომელსაც აქვს ინდივიდუალური ნომერი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის თითოეულ გრაფას, რომელშიც ხდება სამართალდარღვევასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის შეტანა. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით და მათ თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ[256].

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[257]

17.1.4 სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება

სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს:

- საჩივრის შედგენას;
- მონაწილეობის მიღება დავის განხილვაში;

საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებებთან ერთად, პირის ასევე უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება[258]. აღნიშნული უფლების გამოყენებისათვის, საჭიროა საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული იმ ძირითადი დებულებების ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია საჩივრის შედგენასთან და შესაბამის ვადებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ შესაბამის პროცედურულ მოთხოვნებს, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს წარმოებაში არ იღებს[259].

---

[255] **მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხა** დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანებით - დანართი N1;

[256] **საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანების 70-ე მუხლით;

[257] **ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები** განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით;

[258] **საგადასახადო ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით ინფორმაცია** მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანების დანართი N30[3] - ით დამტკიცებულ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ფორმაზე;

[259] **საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები** განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე - 308-ე მუხლებით;

17.2. სამართლებრივი რეგულირება

ა) სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით:

ა.ა) საგადასახადო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილით;

ა.ბ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციებითან და სიხსლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 27-ე ნაწილით;

ა.გ) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის შესაბამისი სანქცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 277-ე მუხლით;

ა.დ) პირადი გასინჯვისთან და ნივთების გასინჯვასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით;

ა.ე) ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლით;

ა.ვ) მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერბასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების მე-14 – 25-ე მუხლებით;

ბ) სამართალდარღვევის კვალიფიცირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) საგადასახადო სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლით;

ბ.ბ) საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლით;

გ) შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანებით - დანართი N1;

გ.ბ) საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანების 70-ე მუხლით;

გ.დ) ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით;

დ) სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) საგადასახადო ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანების დანართი N303 - ით დამტკიცებულ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ფორმაზე;

დ.ბ) საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე - 308-ე მუხლებით;

17.3. აუცილებლად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

ა) სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რეკომენდებულია, საგადასახადო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.ბ) რეკომენდებულია, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ საგადასახადო სანქციებსა და სიხსლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 27-ე ნაწილით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.გ) რეკომნდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან დაკავშირებულ სანქციის შესახებ, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 277-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.დ) რეკომენდებულია, პირადი გასინჯვისთან და ნივთების გასინჯვასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.ე) რეკომენდებულია, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ა.ვ) რეკომენდებულია, მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერბასთან დაკავშირებით, გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანების მე-14 – 25-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

ბ) სამართალდარღვევის კვალიფიცირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რეკომენდებულია, საგადასახადო სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

ბ.ბ) რეკომენდებულია, საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ) შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) რეკომენდებულია, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების - დანართი N1-ით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ.ბ) რეკომენდებულია, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანების 70-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

გ.დ) რეკომენდებულია, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციის მოქმედ რედაქციას;

დ) სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) რეკომენდებულია, საგადასახადო ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემრის №994 ბრძანებით (დანართი N30[3]) განსაზღვრული რეგულაციის მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ფორმას;

დ.ბ) რეკომენდებულია, საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებით, გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე - 308-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების მოქმედ რედაქციას;

17.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

ა) სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით:

ა.ა) რას გულისხმობს სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება და რა არის მისი მიზანი?

ა.ბ) პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს, რა შემთხვევაში ხორციელდება, აღმოჩენილ ნივთებსა და დოკუმენტებს ჩამორთმევა?

ა.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

ა.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

ბ) სამართალდარღვევის კვალიფიცირებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) რას გულისხმობს სამართალდარღვევის კვალიფიცირება და რა არის მისი მიზანი?

ბ.ბ) საქართველოს, რომელი კანონით ეკისრება პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენ პირს?

ბ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სამართალდარღვევის კვალიფიცირება საქართველოში?

ბ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სამართალდარღვევის კვალიფიცირების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

გ) შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით:

გ.ა) რას გულისხმობს სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და რა არის მისი მიზანი?

გ.ბ) რა ფორმით დგება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი?

გ.გ) აქვთ თუ არა თანაბარი იურიდიული ძალა, ელექტრონული ფორმით და ზეპირი ფორმით შედგენილ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს?

გ.დ) ძირითადად, რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

გ.ე) რომელი ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები?

გ.ვ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

დ) სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით:

დ.ა) რას გულისხმობს სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრება და რა არის მისი მიზანი?

დ.ბ) აქვს თუ არა პირს უფლება გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება?

დ.გ) ძირითადად რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში?

დ.დ) რა არის საერთო პრინციპი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან და საგადასახადო დავის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოყენებისას?

17.5. სავარჯიშოები

ა) სავარჯიშო №17.1. სამართალდარღვევის შესაბამისი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ბარგის დათვალიერება მგზავრის დაუსწრებლად?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 17.1. Evidences of Offenses_(Your Name and Surname[260]) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ბ) სავარჯიშო №17.2. სამართალდარღვევის კვალიფიცირებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე:

- საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, ამ შემთხვევაში მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა თუ გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 17.2. Qualification of Offenses _(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

გ) სავარჯიშო №17.3. შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა სახის ინფორმაცია აღინიშნება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 17.3. Protocol_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით

[260] **Your Name and Surname** - ყველა სავარჯიშოში იგულისხმება მისი შემსრულებელი პირის სახელი და გვარი.

გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

დ) სავარჯიშო №17.4. სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით (დავალება): საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში იპოვეთ, თუ რა პრიციპებით ხელმძღვანელობს დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას?

ნაპოვნი ინფორმაცია, ნორმატიული აქტის დასახელების, შესაბამისი მუხლისა და ნაწილის მითითებით, შეინახეთ Word-ის ცალკე დოკუმენტად. შენახულ Word-ის დოკუმენტს დაარქვით - 17.4. Tax Dispute_(Your Name and Surname) - და თქვენი ელექტრონული ფოსტით გააგზავნეთ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე (სხვისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დავალება არ ფასდება).

ე) სავარჯიშო №17.5. მინდობილობის, სჩივარის და საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების ბრძანების შედგენასთან დაკავშირებით (სიმულაციური დავალება):



2015 წლის 28 მარტს, გეზ „ფოთმა“ ჩვენი საბაჟო საწყობის სახელზე შეადგინა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №EL010203, სსკ 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევითვის. სინამდვილეში არ გვეკუთვნოდა ჯარიმა. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული კონტეინერის გემზე დატვირთვისას დაზიანდა მასზე დადებული საბაჟო ლუქი GE111222, რის გამოც კონტეინერი შევაბრუნეთ საწყობში. საქონლის განკარგვას და დაკარგვას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ გეზ „ფოთს“. მინდობილობას გავცემ თქვენს სახელზე და გთხოვთ, როგორც ჩვენმა წარმომადგენელმა შეადგინოთ საჩივარი რათა გაუქმდეს ჩვენს მიმართ შედგენილი ოქმი.

დავალება (სიმულაცია) : ცალკ-ცალკე თაბახის ფურცლებზე შეადგინეთ:

1. **მინდობილობა** (აღნიშნული დირექტორის მიერ თქვენს სახელზე გაცემული);
2. **საჩივარი** შემოსავლების სამსახურის უფროსის სახელზე (საჩივარი უნდა შეიცავდეს ფაქტის აღწერას, თქვენს არგუმენტებს და თქვენს მოთხოვნას);
3. **ბრძანება** საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ (მიუთითეთ საგადასახადო კოდექსის მუხლი/ნაწილი/პუნქტი რატომ ეკუთვნის ან არ ეკუთვნის დაკმაყოფილება).